საუკუნე გისოსებს მიღმა

(პატიმართა შემოქმედება)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი — 2010

წიგნი გამოცემულია „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით / With Financial Support of the civil Institutionalizm Development fund

ლიტერატურული პროექტი „სამყარო გისოსებს მიღმა“ განხორციელებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიულ ინიციატივათა ცენტრის“ მიერ, რომელიც შედგება საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმრების ლიტერატურულ ნაწარმოებებისაგან.

„დემოკრატიულ ინიციატივათა ცენტრი“ მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის **„სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდს“**, ბ-ნ **დიმიტრი შაშკინს** და ქ-ნ **ხათუნა კალმახელიძეს** (საჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ყოფილ და ამჟამინდელ მინისტრებს), ასევე სასჯულაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს გულისხმიერი დახმარებისა და ხელშეწყობისათვის.

„დემოკრატიულ ინიციატივათა ცენტრი“ მადლობას უხდის ბატონებს: **ზურაბ ნიჟარაძეს, გიორგი ზანგურს და ბესო ხვედელიძეს** პროექტის განხორციელებაში გაწეული თანადგომისათვის.

განსაკუთრებული მადლობა **ყველა პატიმარს** ამ ლიტერატურულ პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის.

პატივისცემით,
„დემოკრატიულ ინიციატივათა ცენტრის“
თავმჯდომარე **ნიკა ჩხარტიშვილი**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010

ISBN 978-9941-10-224-0

უაკ: 821.353.1:-82
ს-21

შინაარსი

უცნობი ავტორი

აკლდამა 9
მაკადრეს 11
დეკემბერი 11
თავისუფლება 12
ვერხვები 12
დავღალე ღამე 13
გულადი ლექსი 14
* * * 14

რომეო ხუდოევი

* * * 15
მე 15

დუდუ

ლეგენდა ბადაგონზე 16

ედგარ-საბა ჭანკვეტაძე

ვედრება 19
მზესუმზირები 19
შემოდგომა 20
სამშობლოს საგალობელი 21

კახი ლომიძე

ოცნების ლაბირინთებში... 22

მადონა ალელიშვილი

სიზმარში ახდენილი ოცნებები. დედას! 23
ანის! 24

ალექსანდრე ლომინაძე

ჩეშირის კატის ღიმილი 25

პაატა თვალაძე
ჟამთა ცვლის რებუსი 39
მაკა მოსიაშვილი
მამაშვილობა 59
თ. ჯანტურია
უშენოდ გზები არეულია 65
გიორგი მგალობლიშვილი
* * * 66
მე ერთი მიყვარს ამქვეყნად 67
მერაბ მეტრეველი
ქარი აიწეწა 68
ლამაზი ქალი 69
გიზოლდი ჩანტლაძე
ბედის ირონია 70
ჰომოსაპიენსი 70
...მაგრამ ერთხელაც, კვლავ უშენოდ გადავიზამთრე! .. 71
დიალოგში გამხელილი აღსარება 71
გიორგი ყურაშვილი
* * * 76
მ. ქვარაია
კუკას 77
მათე ხოსიტაშვილი
* * * 79
* * * 79
როცა გული დუმს 79
ქარები არ სჩანს 80
ავაგებ ტაძარს 80
ანაორთქლი 81

ი. ხაბურძანია
1991 წლის დეკემბერი 82

მალხაზ მინდაძე
* * * 83

ზაზა კარსანიძე
* * * 84
ალსარება 85

მერაბ მინდელი
წერილი მეგობარს 86

გიორგი ბერუაშვილი
ლამპიონებზე 87

მალხაზ საზანდრიშვილი
ღვინო 88
* * * 88

ნასყიდა (ნოდარ) ბოკუჩავა
გზა – გასაყართან 90
ცხოვრების გზაზე 91

შალვა ლოლაძე (კაცხელი)
* * * 92
ძვირფასო ბავშვებო 93

ბესიკი ჯიქია
ქარვებს დაუთოვია 94
რუ 94
* * * 95
თეთრი ფარშავანგია 96
შემოდგომის საგა 97
ლაჟვარდებით შემოსილი 98

ხელები 98
* * * 99

გ. გოგოლაძე

ისევ 100
იცი?! 100
მოდი ი. მ. 101
წარსულის გამო 102
გაქურდული ქურდი 102

მ. ქირია

* * * 105
გთხოვ, მოინანიე 108

შალიკო გველესიანი

* * * 110
ჩემს პატარა ნუციკოს 111
* * * 111

არჩილ ქურიძე

მოვკარი თვალი ბალახზე 113

ს. მარღიშვილი

სიზმარი ხონში... 115
ველი გაზაფხულს 115

ნოდარ ნაზღაიძე

* * * 116
* * * 117

ნიკოლოზ სიფრაშვილი

სიზმარი 118
ეპილოგი 118
ცად ფანტელი მოფარფატებს, სოფო 119

ნიკოლოზ ქათამაძე

* * * 120

* * * 120

* * * 121

* * * 122

მზია მთავრიშვილი

ლექსები დაუწერელო 124

მიმაცილებენ ხოტბით 124

მაია სალუქვაძე

* * * 126

ტასო ბალამწარაშვილი

* * * 127

* * * 127

პაატა ხვედელიძე

ჩემი ცხოვრების კაპიტალი 129

ტყუილი 133

გოჩა შიმშინაშვილი

ყინულის თემიდა 142

ლაშა ბარათელი

ბიოგრაფია თუ ტრაგედია?! 168

ირაკლი შევჩენკო

მამა 197

სერგო ჩირკანოვი

მონატრება 201

გიორგი ყურაშვილი

* * * 202

ლაშა მაისურაძე
სიკვდილის წინ დანახული თვალები 203
გიორგი სალარიძე
ტამიშთან ისევ 204
ნათელა მარკიზაშვილი
თეთრი ვარდი 205
ვლადიმერ ოსიევი
* * * 206

აკლდამა

ისევ ჩამოწვა კვამლისფერი ღამე. უხალისოდ ვდგები და სიგარეტს ვუკიდებ. სარკმელთან მივედი (სარკმელი-მეთქი, თორემ). სიგარეტის კვამლი გისოსებში ზღაპრული ჯინივით გაიწელა და გაიხლართა. აქ ახლა ყველას სძინავს. მხოლოდ ამ დროს არ იგრძნობა თუ სად ვართ, რა ყოფაში. დილით ნახევრად მძინარე ვდგებით. დათვლაა (თითქოს ამ ცხრაკლიტულიდან გახვალ სადმე თუუ?!). გადაგვთვლის მორიგე ზედამხედველი საბუდარში ჩასასხამი წიწილებივით და მოხურავენ მძიმედ რკინის კარს. მერე ორჯერ შემზარავად დაიკეტება საკეტი. საკნის წინ ვირთხა დარბის წრიპინით.

...ამ გისოსებიან სარკმლიდან მხოლოდ კედელი და კედელზე ჩამოკიდული კაშკაშა „ლიმონები" ჩანს. კიდევ წარწერა: აკრძალული ზონა. სდექ, გესვრიან! არადა, სულ რაღაც ათ ნაბიჯზე, სიცოცხლე ჩქეფს. იქ — თავისუფლებაა!

ყოველ დილით მესმის ბედნიერი დედის საუბარი. პატარა გოგონა ჰყავთ. გოგონას სალომე ჰქვია. თითის წვერებზე თუ დადგები, გასაშრობად დაფენილ მის სარეცხსაც დაინახავ, გამთენიისას ურიკის ხმაც ისმის ქუჩიდან. ყოველ დილით „ის" ბაზარზე მიდის. მერე ქუჩაზე ფეხის ხმა არ წყდება. მოდიან და მიდიან. ესენი პატიმრის პატრონები არიან. დედები, მამები, შვილები, დები, ძმები აკითხავენ. ვიღაც ქუჩიდან ცდილობს ხმა მაინც მიაწვდინოს ცხრაკლიტულში ჩაკეტილ თავისიანს.

— ნინოო, ნი-ნოოო!

— ჰო, აქ ვარ, დედა, — აგონებს შიგნიდან.

— ვერ გხედავ, შვილო, სად ხარ, დედა მოგიკვდეს — ნუ ტირი დედა, არ იჯავრო, მე კარგად ვარ, ბავშვი როგორ არის?

— გკითხულობს! შვილო, ვეუბნებით, რომ ავად ხარ და მალე მოხვალ, დედა მოგიკვდეს, შვილო...

ჰეი, ქალო, გამოდი აქეთ, არ შეიძლება ლაპარაკი, წადი გა-

იარე, დროზე! – ღრიალებს „ვიშკიორი“ და წყდება დიალოგი თავისუფლებასათან.

...საკნის წინ ვირთხა დარბის. როგორც იქნა ღამის ნიავმა შემოაღწია საკნის სარკმელში. ნაგვისა და რაღაც საზიზღარი სუნი შემოიტანა. ღამის რვა საათია. მანქანამ გაიარა და ბოლოში გაჩერდა. სირენის ხმამ მძინარე პატიმრები შეაღვიძა. რკინის კარი ჭრიალით გაიღო. ახალი პატიმარი მოიყვანეს. მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ ამ კარს მიღმა დატოვა ყველაფერი... სიგარეტი საფერფლეში ჩავჭყლიტე, მძინარე თანასაკნელებს გადავხედე, მათ სძინავთ. ისინი ახლა აქ არ არიან. ჩუმად, ჩემთვის წმინდა გიორგის ლოცვას ვკითხულობ და ყველას თავისუფლებას ვუსურვებ... აქ მუდამ კვამლისფრად თენდება და კვამლისფრად ღამდება. აქ ცოცხალ მიცვალებულთა აკლდამაა. ცოდვითა და ცრემლით გაჟღენთილი კედლები „ოფლიან“ შუბლს იწმენდენ. აქ ყველაფერი მდუმარეა. აქ ყველა ერთნაირია. ფერიც კი ერთი გვაქვს. რაღაც მოშავო-მოყვითალო. აქ ყველა პატიმარი ვართ და არა დამნაშავეები. მხოლოდ სახელები გვაქვს სხვადასხვა. აქ... აქ... ჯანდაბა!!!.....საკნის წინ ვირთხა დარბის, წრიპინით... გათენდა.

მაკადრეს

დამაგდეს, დამწიხლეს – ესეც არ მაკმარეს,
სულ'ში ჩამაფურთხეს და მეძავიც მაკადრეს.
„იუდას მოდგმა ხარ და ნუღარ ლოცულობო,"
სანთელი წამართვეს და ჯვარზე გამაკრეს,
    მერე ილხინეს და დიდხანს იღრეობეს,
    ფეხზე ვეღარ იდგნენ, გაჰყვნენ ღობე-ღობე.
    როცა მოიწყინეს, თვალი ამომთხარეს
    ცოცხლად დამმარხეს და მიწა დამაყარეს.
დამაგდეს, დამწიხლეს და ესეც არ მაკმარეს,
სულ'ში ჩამაფურთხეს მეძავი მაკადრეს.

დეკემბერი

ქარი შმაგი, მოასვენებს ყვითელ ფოთოლს,
სველი მიწა, მესაფლავეს უკვე ელის.
დაიორთქლა აქა-იქა ფანჯრის მინა,
გისოსების მიღმა მოჩანს დეკემბერი.
    ვგრძნობ სიცოცხლის ყულფი ისე ვიწროვდება
    ხვალინდელი დღისგან უკვე არას ველი.
    აქ დრო თითქოს ცოდვის საათს გაუყინავს,
    გისოსების მიღმა მოჩანს დეკემბერი.
ღრუბლის ჩიტმა, გადიფრინა სადღაც მშვიდად
სურვილი მაქვს, რომ შევახო ვარსკვლავს ხელი...
სიცივეა, ალბათ, მოვა თოვლი ფიფქად,
გისოსების მიღმა მოჩანს დეკემბერი.
    თუმცა, გუშინ შემოდგომაც თრთოდა გარეთ,
    მაგრამ აქ ხომ, სულ ერთია ყველაფერი.
    იანვარი, ივლისი და სექტემბერი
    გისოსების მიღმა მოჩანს დეკემბერი.

თავისუფლება

ბავშვობიდან ეპიზოდი გავიხსენე,
როგორ მყავდა ჩიტის ბარტყი გალიაში,
ფრთებჩამოყრილს საკენკს როგორ ვაძალებდი,
თითქოს ჩინი დაკარგვოდა ორივ თვალში.
    მახსოვს: მამამ, რომ დამტუქსა მწარედ მასზე
    — „მას ფრენა სურს, თავის სარჩოს თვითონ ნახავს
    — გალიაში, ოქროს მარცვალს არ აქვს ფასი,
    — გაუშვი და შენი თვალით, ამას ნახავ.“
გალიაში, დიდ სიფრთხილით შევყავ ხელი,
მოვიმწყვდიე ორივ მუჭში ჩიტის ბარტყი.
სული ისე უთრთოდა და უფეთქავდა,
რომ გალიას ლანძღვა-წყევლით უმალ გავცდი.
    ჰა, გაფრინდი, გაფრინდი-თქო! — მივაძახე,
    მაგრამ იქვე, ხის წვეროზე დაჯდა ჩიტი.
    და რატომღაც, მომეჩვენა სამადლობელს
    პაწაწინა თვალებით და ფრთებით მიხდის.
მერე, უცებ აიწია ცისკენ ფრენით
და კამარა შეკრა მზისკენ მიმავალმა,
ახლა მივხვდი, რა ძალა აქვს ჩემთვის ფრენას,
თუკი გულმა ფრენისას არ მიღალატა.

ვერხვები

კედლის გადაღმა შრიალებს ვერხვი,
ხმელი ფოთლები ცეკვავენ სამბას.
ბელურების გუნდს აფრთხობს სიცივე
უკვე მეოთხედ შევხვდები ზამთარს.
    გისოსის მიღმა, ფანჯრის მინაზე
    ყინულის ფუნჯი პეიზაჟს ხატავს,
    მზე ვეღარ ათბობს ოთახში ნახატს...

უკვე მეოთხედ შევხვდები ზამთარს.
კედლის გადაღმა შრიალებს ვერხვი,
კედლის გადაღმა დაათოვს ქალაქს,
რკინის გისოსი ისე ცივია
უკვე მეოთხედ შევხვდები ზამთარს.
კედლის გადაღმა დეკემბერია,
ვერხვის ფოთლები ცეკვავენ სამბას.
დღეს კი მეოთხედ მოვკვდები ალბათ
გისოსებს მიღმა შევხვდები ზამთარს.

დავღალე ღამე

რუხი ღრუბელი, მთვარე ულონო,
სარკმელი რკინით და კიდევ...რამე,
ისევ ცრემლებით სავსე თვალები,
ვიცი, დავღალე, დავღალე ღამე.
სადღაც შორს ისმის, მურიას ყეფა.
გონება მისდევს ოცნების გამებს,
სარკმელი რკინით და კიდევ...მთვარე
ვიცი, დავღალე, დავღალე ღამე.
წაუკითხავი ლექსების გროვას
მიემატება დღეს კიდევ რამე,
სარკმელი რკინით, ცრემლები მლაშე
ვიცი, დავღალე, დავღალე ღამე.
შენ თუ არ გნახავს, ამას გპირდები,
მე სხვის დანახვას ვუკრძალავ თვალებს.
შენი სურათი... სარკმელი რკინით,
თეთრად ნათევი დავღალე ღამე.

გულადი ლექსი

აღარ ძალუძს ჩემს გონებას ფიქრი,
გული ამდენს, ნეტავ, როგორ უძლებს?!
უსამართლოდ დამირბიეს ლექსი
ხელკეტებით დაერივნენ მუზებს.
ასო-ასო წამოეკრიფე რითმა,
წერტილ-წერტილ მოვაგროვე სტროფი.
კალმის წვერზე ძლივს ვაკავებ სტრიქონს,
თეთრ ფურცელზე ლურჯი სისხლი მოდის.
ნიღბიანი – კვლავ დაუვლის რვეულს,
უმოწყალოდ დააცხრილავს საფანტს,
უშიშარი გამომადგა ლექსი,
რომ დინება დროის ვერა ფანტავს.

* * *

მე უკვე პატიმარი ვარ. მორიგე ზედამხედველი ჩემს პირად ნივთებში იჩხრიკება, რადგან შეიძლება ციხისთვის აკრძალული ნივთები აღმომაჩნდეს. მეგონა, არაფერი მქონდა, თუმცა ბევრი რამ იპოვეს:

ახალგაზრდობა აღარ გვჭირდებაო...

თავისუფლებას – ჯერ ვერ დაგიბრუნებთო...

ნატვრა არ შეიძლება, თავისუფლებას ინატრებო...

ღიმილი – არ გინდა, აქ ვერ გამოიყენებო...

სიძულვილი დამიტოვეს. აქედან რომ გახვალ, აუცილებლად გამოგადგებაო.

ჩემი პირადი ნივთების ნუსხას ხელი მოვაწერე. ნუსხაშია:

1) რვეულის აუარებელი ფურცლები.

2) რამოდენიმე ფოტოსურათი.

3) დაცლილი კალმები და ორი ფანქარი...

მე... პატიმარი... ვარ!!!

* * *

გულის ფიცარზე დაიწერე და ეს გახსოვდეს,
რომ ვინც სიყვარულს საჭადრაკო დაფას ადარებს,
ის ვერასოდეს ვერც დედოფალს და ვერც მეფეს
თავის ჭკუაზე, როგორც მას სურს, ვერ გაატარებს.
— შენ გეუბნები!... დაიხსომე ჩემი სიტყვები
და სიყვარული სათამაშოდ არ გაიხადო,
შენი ვალია, დაგროვილი შენში ალერსი
და სიყვარული, სუფთა გულით გადაიხადო!

მე

ნუ გაკვირვებს ჩემი, ძმაო,
თუ დავიწყე ლექსის წერა,
წინასწარ ხომ ვერ გაიგებ,
რას გიმზადებს ბედისწერა.
    გამოძახილს შენსას ვიღებ,
    თუკი გინდა ჩემთან ომი,
    გიცდი უკვე, როგორც ტყეში
    გაშმაგებით — ნადავლს ლომი.
რომ მიიღებ, ამ, ჩემს წერილს,
თქვი: — თუ რითმში ჩამიწყვია,
სიტყვა, — რითაც შენთან უკვე
ორთაბრძოლა დამიწყია.
    ამ სიტყვებს გწერს გაუთლელი;
    უსწავლელი ქურთის ბიჭი,
    შეაფასე, ჩემს რითმებში,
    პოეტური თუ კრთის ნიჭი.

ლეგენდა ბადაგონზე

როდესაც ვაზი აილეწავს მელნისფრად ლებნებს
და შემოდგომა გადაიხსნის ქარვისფერ ვენებს,
როცა მზის სხივი დააშაქრებს დაჯიქნულ მტევნებს
და მწიფე ყურძნის არომატიც ახელებს ვნებებს.
    მზე ბადაგონი დაამზადებს რთველისთვის ქვევრებს
    და საწნახელში ჩააზვირთებს კუპრივით მტევნებს.
    მერე კაცღმერთი ჩამოიხსნის მშვილდს და სატევარს
    და ხარის ყანწში ჩააწურავს მუჭით საფერავს.
რქის ორბიტაში სისხლისფერი ცეცხლი ანთია,
ეს ხარის ყანწში ბადაგონის სისხლი ასხია,
კაცღმერთის სისხლი ვნებით სავსე ქარიშხალია,
ეს პრომეთესგან მორთმეული ცეცხლის თასია.
    როს ბადაგონი გადააგდებს ყანწს და სატევარს,
    გახელებული შამხატის ტანს ხარბად დახედავს
    როსკიპი ქალი საწნახელში დაიწყებს ბორგვას,
    თლილი თითები მოჭყლიტავენ ლებნების გროვას.
დატრიალდება ყუმს მტევნებში ურუჯის თვალი,
აიზიდება ტალღასავით მოქნილი ტანი
და ეშვებივით აშვერილი თეთრი წვივები
თითქოს კივიან, მოდი ჩემთან, მოდი ვიწვები.
    ჩაიძირება შავ მტევნებში თეთრი ბეჭები,
    ჩამოაშავებს თბილ თეძოებს ტკბილი წვეთები
    და ვნებისაგან დახეთქილი მწიფე ლებნებით
    გამთბარ ბადაგით დაწუწული გლუვი მალები
რძისფერ ბეჭებზე ბრწყინავს ტკბილი, შავი ხალები
და ბეჭებშორის ხეობაში თმის დალალები
იკლაკნებიან ხერხემალზე შავი ალები.
მკვრივი მკერდიდან მოქნეული მხურვალე მხეფი,
    ცხელ ბარძაყებზე ადუღდება ბადაგის წვეთი
    და ოხშივარი ავარდნილი, სურნელი ვნების

გონებას ბინდავს და ღვიეზდება სიღოდას ცეცხლი.
აირეკლება საწნახელში ზორბა ბეჭები,
დაიბერება ელდისაგან თლილი ნეკნები,
აისრისება მუხის ხეზე ყურძნის ლებნები,
გაიწუწება ბადაგისგან მარნის კედლები.
განათებული ცეცხლის ალით ალვის მკლავები
ველურ ვეფხვივით ჩაფრენიან ბეჭებს ბრჭყალებით
და თითქოს სისხლი დადენილი ქალის კლანჭებით
შიშველ ბეჭებზე მეხს ხატავენ ძოწის ღვარები.
წამოიწევა ტალღასავით კაცღმერთის მხრები
მთვარეს დაჩრდილავს სილამაზით შამხატის მკერდი
და წარღვნასავით მოვარდნილი გრძნობის ტალღებით
გაწითლდებიან ფოლადივით ქალის ღაწვები.
აატკაცუნებს ვნების ალი მუხის საწნახელს,
ააგიზგიზებს ტრფობის ცეცხლი შამხატის სახეს
და აწითლებულ ბიბილოებს ყურძნის ნაჟურით
ხარბად ალოკავს და მოსტაცებს ვნებებს ბახუსი!!!
როგორც შავ ხვრელში იკარგება სამყარო მთელი,
ისე ბადაგში ჩაინთქება შამხატის ცეცხლი.
საწნახელიდან გადმოხეთქავს ლეგენდა ძველი,
ვაზის ნაჟურით გამოძღება მწყურვალი ქვევრი.
შავი ქარცეცხლით გაევსება გამშრალი ყელი
და ეს ლეგენდა დამალული ათასი წელი
და ეს ვნებები დამწყვდეული ათასი წელი
და ეს ბადაგი დამარხული ათასი წელი.
თქვენა გგონიათ, ღვინო არის მარტო სასმელი?
მე კი მგონია, მაისია, ვარდის გამშლელი!
მე კი მგონია, ხმალი არის აბჯრის გამჭრელი!
მე კი მგონია, ძალა არის გუთნის გამწევი!
მე კი მგონია, ფესვებია ერის აღმზრდელი!
თუ თქვენ გგონიათ, ღვინო არის მხოლოდ სასმელი,
ბევრი ჰქონია მაშინ ამ ლექსს თქვენზე სათქმელი,
ყველა ღვინოს აქვს დამზადების თავისი წესი,
ღვინოს არ სვამენ! მას იღებენ პატივისცემით!

იღებენ ერთად, მუხტავენ გზნებით
და აერთებენ ყანწებს რქისცემით.
ყველა ღვინოს აქვს რიტუალი მისი მიღების,
მას მიიღებენ და დადიან ბახუსის ფრთებით....
    ბახუსის ფრთებით, ნიკეას ხმლებით,
    დიანას გზნებით, ხან დალის ვნებით?
    ხან გილგამიშის მძიმე ცულებით,
    ხან ტყუპ ხარების მძიმე უღელით.
დადიან როგორც ხვადი ლომები,
რომ დაიოკონ მზარდი გრძნობები.
თუ კიდევ ფიქრობ, ღვინო არის მხოლოდ სასმელი,
„ანიც“ და „ჰაეც“, — გააჩნია მისგან რას ელი..
    თუ შენ გინდა ბადაგონის იგრძნო სახელი,
    ვნებათაღელვის თუ გინდა რომ გახდე მნახველი,
    მაშინ გახსენი და დაისხი ღვინო ხავერდი!
    მაშინ გახელდი და იგრძენი ქალის ალერსი!
ლოყები ცხელი, ტუჩები სველი,
მხურვალე მკერდი, თრთოლვის მომგვრელი,
ჰოდა, იგრძენი! ჰოდა, გახელდი!
    ჰოდა, გახსენი! ჰოდა დათვერი!
    ჰოდა, სიღოდას თბილი ნამქერი,
    სხეულის ყველა ნაკვთით გაცერი,
    მზე ბადაგონი...
ღვინო ხავერდი...
ფუჟერში ცეცხლი,
ბნელში ნათელი...
რქებზე ანთია ორი სანთელი

ვედრება

უფალო, ღმერთო, მაპატიე მე შეცოდება.
შემინდე ულირსს გულცივობა, მტრობა და შური,
გთხოვ, შეისმინე განწირული სულის გოდება,
მომმადლე სევდა, რომ გავწმინდო ცოდვილი გული!
    მომეცი ძალა დავამარცხო ჩემში სატანა.
    ბნელი აზრების შემოქმედი, ჩემი პატრონი,
    მომმადლე რწმენა, რადგან შევძლო ტანჯვის ატანა,
    ფიქრი ბოროტი იყოს მონა, მე კი ბატონი!
ვერ შევიყვარე მტერი ჩემი, მე სულმდაბალმა,
ხიდის გახსნისთვის, რა ვქნა, ქუდი ვარ მოვიხადე,
მაცდუნა ქალის ლალის ბაგემ, გიმრის დალალმა,
ვერც მაცდურ თვალებს შეველიე, ვერ მოვითხარე...
    რა ადვილია დაცვა მცნების, და რარიგ ძნელია,
    ვიცი, არასდროს გაიღება სახლი უკაროდ,
    სულის ტანჯვას და გაბრწყინებას, მე ერთად ველი,
    დაე, აღსრულდეს ნება შენი, უფალო ჩემო!

მზესუმზირები

მომძალებია სინანული, გულს სევდა კორტნის,
არ შემწევს ძალა, დაქანცული ბედს ვურიგდები,
გამეფებულა მდუმარება ქვითინებს კორდი,
აქ შრიალებენ თავდახრილი მზესუმზირები!
და უნებურად მომაგონებს ფიქრები ვანგოგს,
უნდა რევოლვერს ვაზიარო ნატანჯი სული,
ცრემლები — ლამაზს, ხოლო ტყვია — გმირის მკერდს ამკობს.
აღსასრულშია ნეტარების სიმშვიდე სრული!
მალე გვიანი შემოდგომის დადგება ჟამი.
გადაიფრენენ მოგონების ფიქრები მწველი,

დაიღვენთება სისხლი სანთლად, დაცხრება წამი.
სმენას დაახშობს, დაადუმებს სიკვდილის ცელი!
    რაა სიცოცხლე?! არასოდეს მიღირდა თეთრად,
    სიკვდილს მივენდე, ვაჟკაცურად დავხარე დროშა.
    ჩემებთან ახლო გამითხარეთ საფლავი კენტად,
    არ გინდა გლოვა, არ ღირს ჩემი სიცოცხლე ცრემლად!
მომძალებია სინანული? — გულს სევდა კორტნის,
არ შემწევს ძალა, გადაღლილი ბედს ვურიგდები,
გამეფებულა მწუხარება შრიალებს კორდი...
და ქვითინებენ თავდახრილი მზესუმზირები!

შემოდგომა

ღამე სულში აოქროებს ფიქრებს,
გამოძახილს შორეული სივრცის,
ეს შეხვედრა ბოლო იყოს იქნებ,
ჩამჩურჩულებს ღამეული ნისლი...
    მოჰფენია სიბოროტის შური
    შემოდგომის დაუნდობელ ქარებს,
    რომ ამომხდეს უცაბედად სული,
    ვინ გამიგებს ან ვინ შემიბრალებს?!
ვის მივენდო ქვეყანაზე როცა
ბევრი მახსოვს გატეხილი ფიცი,
დღეს რომ შეწყდეს ჩემი სულის ლოცვა
ხვალ არავინ გამიხსენებს ვიცი.
    თუმცა ბევრმა მიმატოვეთ უღვთოდ,
    არ გემდურით, მაინც თქვენსკენ ვილტვი,
    და თუ ბედიც არ მომექცა უნდოდ
    ყველა სათქმელს თქვენს წინაშე ვიტყვი!
თუმცა ბედმა მიწყალობა ტანჯვა,
სიხარულიც განვიცადე სრული,
თქვენი ხსოვნა ჩემში მარად დარჩა
თქვენთვის ფეთქავს ეს ცოდვილი გული!
    და, თუ, ამ სულს შეაჩერებს უღვთო,
    აღსასრულის ულმობელი ნისლი,

გული ჩემი გაბრწყინდება უფრო,
ვიდრე მკერდში ხმაურობდა სისხლი...!
ღამე სულში აოქროებს ფიქრებს,
გამოძახილს შორეული სივრცის,
ეს შეხვედრა ბოლო იყოს იქნებ, —
ჩამჩურჩულებს ღამეული ნისლი..

საშობლოს საგალობელი

მე მონა ვარ საქართველოს სიყვარულის,
მგალობელი ჩემი ცის და მიწის,
მშობელი ვარ უდიდესი სინანულის,
არგამტეხი წინაპართა ფიცის!
მე ხმალი ვარ სააკაძის მოქნეული,
სამ-ოთხ სპარსელს რომ მუსრავდა ერთად,
ზურაბი ვარ, საძირკველში მოტნეული
სურამში რომ აღვიმართე კედლად!
მე ცრემლი ვარ საბას თვალზე მონაღვენთი,
შორეთისკენ მიმავალი გზები,
მარჯვენა ვარ დიდოსტატის მონაკვეთი,
სვეტიცხოველს რომ შეასხა ფრთები!
მე რა ვიცი, მუზებს როგორ დავუხვდები,
ღამენათევს რა მომივა თავში,
ჩემი ცხენი მუსტანგია გაუხედნი,
გალამ გაწვრთნა მხოლოდ ლურჯა რაში!
საქართველოს მთებს და ველებს უმღერივარ,
ვიცი, ღამე ჩემში რისთვის თვლემდა,
ჩემი ქვეყნის ცაზე თეთრი ღრუბელი ვარ,
ილიას და ბაირონის სევდა.
მე ცრემლი ვარ, საატრფოს თვალზე დანადენი,
შამქორის და ბასიანის ქება,
კოცონი ვარ მამულისთვის ანანთები,
რომელიც რომ არასოდეს ქრება!

ოცნების ლაბირინთებში...

დიდი ვარ, დიდი, დიდი სიმდიდრე მაბარია — ყვავილები, კაცობრიობამ მისხალ-მისხალ მომიწონა ეს სიმდიდრე. ცრემლი და ნაღველი, ღიმილი და ტკივილი. ყველა ყვავილს თავისი ფერი აქვს. ღიმილი ცისფერია და თავის სუნს აფრქვევს, ტკივილი ვარდისფერია, სიყვარული — სამყაროსფერი.

ბოლოს დავძლიე შორს მიმალული შიში, მოვირგე ოცნების ფრთები, და ავსრიალდი ოცნების ცაში. ეჰ, ღმერთო ჩემო, რა საოცრად ლამაზი ყოფილა იგი.

შემდეგ ნისლს ვეწვიე და მთათა საიდუმლო თხოვნა მუდარით გავუმხილე, თხოვნა, რომელიც უჭამთ და უჟანგავთ გულს ბებერ ბუმბერაზებს.

შემდეგ მდელოზე ჩამოვედი, ნაზი იები დავკრიფე, დედის სულივით ნაზები და სამყაროს ყველაზე თბილ ადამიანს დედას გავუგე ფეხქვეშ.

შემდეგ მზემ შემირგო, მის საკუთრებად მაქცია, და ისე ჩუმად გამაქრო ამ ქვეყნიდან, რომ აზრზეც ვერ მოვედი.

ჩემი დაბადებისას ხომ არავის უსვრია თოფები და არ გამოუფენიათ ბაირაღები, მე სამშობლოს ყველაზე პაწაწინა ნაწილი ვიყავი და მისი მშვენებით მოხიბლული, შეუმჩნევლად, მაგრამ ლამაზად დავიფერფლე.

სამშობლოვ, ჩემო!

სულისთქმავ და ოცნებავ ჩემო, შენს სალოცავ ხატზე მუხლმოდრეკით მლოცველად მოსული, ვეთაყვანები შენს წმინდა სახეს. შენ ოცნება ხარ, ცაში დაბინდული ვარსკვლავების სუნთქვა ხარ, ხოლო მე ფეხის მტვერი შენი, დავშთები მლოცველად შენზე, ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე.

მე მუდამ ვიქნები შენთან შენში და შენთან, — შენში და შენთან...

სიზმარში ახდენილი ოცნებები

დედას!

დედიკო, მენატრები, ვიცი, შენც გენატრები. საღამოს ცას ვუყურებ და ვარსკვლავებს ვეკითხები: — „ვარსკვლავებო, მნათობებო, დედა მინდა, როდის მოვა?!“ — მაგრამ პასუხს არავინ და არაფერი მცემს.

დე, იცი?! გავიზარდე, სიბნელის აღარ მეშინია, ოთახში უკვე მარტო მძინავს. კიდევ, დე, კარგად ვსწავლობ, აი, ისე როგორც შენ გინდოდა რომ მესწავლა.

მამაომ ორი პატარა ანგელოზი მაჩუქა, ერთი ჩემია, მეორე კი შენთან მოფრინავს ხოლმე, არ გჯერა?! აი, როცა მძინავს სიზმარში ვხედავ შენი ანგელოზი ფრენას იწყებს და თავისი თეთრი ფაფუკი ფრთებით შენსკენ მოფრინავს. მეც მას მოვყვები და მეც მოვფრინავ. კიდევ, დე, იცი, რას ვხედავ?! — შენს საცხოვრებელს. გგონია არ ვიცი სადა ხარ?! ვიცი, ციხეში ხარ. ციხე შავია, ოთახები — ბნელი, კედლები — მუქი და როცა შენი ანგელოზი შემოდის ციხის ოთახში, ოთახი ნათდება, სინათლე თვალებს ჭრის, მეც ამ დროს იმ ოთახში შემოვდივარ, სადაც შენ ცხოვრობ. შენ ვერ მხედავ, მე კი გიყურებ როგორ ეფერები ჩემს ნაჩუქარ დათუნიას. მე ამ სიზმარს სხვებს რომ ვუყვები, დამცინიან, გთხოვ, დედიკო მომწერე, რომ ეს მარტო სიზმარი არ არის, ეს ხომ ნამდვილად ხდება.

ალბათ ძნელია მანდ ცხოვრება, მაგრამ, ვიცი რომ მაგარი დედიკო მყავს, და ყველაფერს გაუძლებს. მე შენ ყველაზე ძალიან მიყვარხარ.

ანის!

ჩემო ახდენილო ოცნებავ! პატიებას გთხოვ, რომ შენს გვერდით არ ვარ, მაგრამ გპირდები, რომ მალე ერთად ვიქნებით.

ჩემო პატარა, მე მჯერა შენი სიზმრის, როცა დათუნიას ვეფერები, რატომღაც შენი სურნელი მომდის. ხედავ? პატარა ეშმაკუნა თურმე ამ დროს აქ ყოფილხარ, ჩემთან. მე კი ვერ გხედავ. სამაგიეროდ სიზმარში სულ შენ მელანდები. შენ ხომ ჩემი პატარა ანგელოზი ხარ, თუმცა მე? – მე ღრუბლებში ვიმალები და ისე დავდევ უკან.

ჩემო პატარა, არ მიწყინო, მაგრამ, მაინც გახსენებ, ბევრი უნდა ისწავლო. ამ ბნელ ოთახშიც კი ნასწავლი და განათლებულია პატივსაცემი...

— შენ ჩემი სუნთქვა ხარ.

ჩემი ჰაერი!

ჩემი არსებობის წყარო! მე შენს გარეშე არარაობა ვიქნებოდი.

ცხოვრება რთულია, თუმცა ამ რთულ გზაზე ყველაზე დიდი ნათება შენ ხარ. ჩემო პატარა, მუდამ გახსოვდეს, რაც არ უნდა მოხდეს, მე მუდამ შენთან ვიქნები.

P.S. პატიმრობაში მყოფი დედისა და გარეთ დარჩენილი შვილის ურთიერთობა არასოდეს არ წყდება. მათ ყოველთვის უფალი აკავშირებს უხილავი ძაფით, ამ ძაფს კი სიზმარი ჰქვია.

ჩეშირის კატის ღიმილი

ჭეშმარიტება ღვინოში აღარაა, დღეს მას აბსენთში პოულობენ. მცირერიცხოვან კასტას, რომელსაც პერნოს ან ჩინურ ნაგავს ვერ მიასაღებ, იმ იშვიათ კატეგორიას, ვინც იცის, რატომ კაიფობს და რისთვის. ვისაც ძალუძს მინუსი პლიუსად მცირე ხნით მაინც გარდაქმნას. ამბობენ, მეორედ მოსვლის წინ დედამიწას მეტეორი, სახელად აბსენთი დაეჯახება. დღეისათვის ეს მოყვითალო სითხეა, რომლითაც რჩეულებს უმასპინძლდებიან. სხვებს კი მწვანე სუროგატს ასმევენ. ეს ნორმალურიცაა ქვეყანაში, სადაც სუბოტექსი მორფსა და კოკაინს ურჩევნიათ.

ამ კაფეში მხოლოდ დახვეწილი საზოგადოება დაიარება. ბარმენი თავის საქმის უბადლო ოსტატია, მისნაირ კოქტეილს სხვაგან ვერ ამზადებენ. აბსენთის შეზავება კი მთელი რიტუალია, თვალისთვის საამო და საინტერესო. ბანგის პირველსავე ყლუპზე ზმანებათა სამყაროში იძირები. ადამიანს, რომლის ხელობაც სპექტაკლების დადგმაა, თან ამის სურვილი და ნიჭი გააჩნია, მეფისტოფელი ხელს ჩასჭიდებს, სხვადასხვა ზომისა და ფორმის კიბეზე აიყვანს, თეატრალური პერსონაჟებით დახუნძლულ კორიდორს გაატარებს და სამეჯლისო დარბაზში ამოაყოფინებს თავს. აქ შხვართი ფეხები ქაოტურად მოძრაობენ, აბსენთის მოყვარული ფრაკით შეიმოსება, ხელში დირიჟორის ჯოხს დაიჭერს და ქაოსიდან სიმეტრიის შექმნას შეეცდება. მისი ჯაფა ნელ-ნელა გამოიღებს ნაყოფს, წვიეები და ბარძაყები გარკვეულ კომპოზიციას ემორჩილებიან, ყველაფერი კი მგზნებარე კანკანით მთავრდება.

კაბარეში ვართ, ვსვამთ აბსენთს და ვუყურებთ სამყაროს გადაგვარებაზე შექმნილ შოუს, სადაც რამოდენიმე სულიერიღა შემორჩა და მათთაც საექსპერიმენტოდ იყენებენ. დეკორაცია მწირია: ვეებერთელა კვერცხი, ჩვეულებრივი ზომის კუბი და საკარძელი. შემოდის არლეკინი, ესალმება ბრწყინვალე საზოგადოებას და თავის უკულმართ ცხოვრებაზე მოუთხრობს:

მაშინ მეშვიდე კლასში ვიყავი
და ნაღვლიანი მქონდა ცხვირ-პირი.
უგუნებობა შემატყვეს ხელად
და შემეკითხეს მისი მიზეზი.
— ვუთხარი: — ვიყავი ქალთან ლამაზთან
და მუცლად იღო ჩემგან ნაყოფი.
— დაბნეული ვარ და იმას ვჯავრობ,
თუ სად ვიშოვო აბორტის ფული.

ყველა შურით გაიმსჭვალა, არც ერთი არ იყო ქალთან ნამყოფი. მეორე დღისათვის მთელმა სკოლამ იმხელა თანხა შემიგროვა, მთელი კვირა კოქტეილებით ვუმასპინძლდებოდი. ჩემთვის ულამაზესი ლარნაკი შევიძინე, ასე ჩაეყარა საფუძველი ჩემს დიდებულ კოლექციას და ჩემი, როგორც გამოუსწორებელი მუსუსის იმიჯს. არადა პირველი, ასე რეალური კონტაქტი, საკმაოდ გვიან, ოცდაათი წლის ასკში მქონდა. ეს ვუთხარი კიდეც ჩემს პირველ პარტნიორს, მაგრამ არ დამიჯერა. სხვებსაც არ სჯერათ. იმის მერე კი ავიწყვიტე და ხელოვნების ნიმუშებთან ჰარამხანის მოგროვება დავიწყე. სამწუხაროდ, ფერწერისაგან განსხვავებით, ქალები ჟამთა სვლას ვერ უძლებენ და ხშირად მიწევს მათი გამოცვლა. ამდენ წვალებას მირჩევნია უნივერსალური დიაცი გამოვიყვანო. იმედია, ჩემი ექსპერიმენტი წარმატებით დაგვირგვინდება და თქვენ, პატივცემულო დამსწრე საზოგადოებავ, ამ ექსპერიმენტის თვითმხილველნი გახდებით. მანტიას მოისხამს და საავარძელში ჯდება. თითებს ატკაცუნებს, ბნელდება. ამოდის მთვარე, მისი სხივი დეკორაციას პირქუშ სხივს აძლევს. კვლავ თითების ტკაცუნი, ელვა, ჭექა-ქუხილი. კვერცხი ლოტოსის ყვავილივით იშლება და მამაკაცი იჩეკება. კვლავ ელვა. ახალშობილი ნაჭუჭებიდან გადმოდის, ისინჯავს სხეულს, შეშინებული ათვალიერებს გარემოს. წვიმდება, ცდილობს მივიდეს არლეკინთან, სტიქია ხელს უშლის. დიდი ჯაფით მოახერხებს ოთხზე მოფორთხებას. არლეკინი ეფერება, როგორც შინაურ ძაღლს ეალერსებიან, ამშვიდებს: ნუ გეშინიაო, „ჩასჩურჩულებს“: მე შენთან ვარ და ყოველთვის შენთან ერთად ვიქნები, ძილში და ცხადში, დარსა და ავდარში, ხვალ, ზეგ, მუდამ. შენ არარაობა

იყავი, მე კი მეორე შანსი მოგეცი. მე შენი მეწყვილე კუბოზე მიუთითებს. ისიც მორჩილად მიდის, სუდარას ახდის და შეშინებული დაიღმუვლებს.

— ნუ გეშინია.

— ის მკვდარია.

— არა, მხოლოდ სძინავს. აკოცე და გაელვიძება.

— მეშინია.

— ნუ ხარ ლაჩარი. გახსოვდეს. მე შენთანა ვარ, გააღვიძე.

— რომ გავაღვიძებ, რა უნდა გავაკეთო?!

— მშვენივრად იცი, თუ არა და ის მოგახსენებს.

კუბოსაკენ გადაიხრება და ნეშოს ეამბორება. იქიდან შიშველი ქალი ამოდის და მეწყვილეს ეხვევა. ისინი ერთმანეთს შეერწყმებიან.

— მაგარი ქალია, — წამოიძახეს დარბაზში მსხდომთა. მას მეორე გამოეპასუხა.

— ქალების ამბავი მე მკითხე. მივდივარ, ეხედავ, ვიტრინის იქით თაკოა თუ ქეთი. მე ასეთი ჟესტი გავაკეთე, იმან კიდევ ნე ვიჟუ დამირტყა. ვიფიქრე, შედი ახლა წედი ამ გომბიოს თმაში ხელი და არახუნებინე თავი კედელს.

— დგამ რამეს? ეს რეპლიკა მთავარ გმირს ეკუთვნის.

— რა დროს სპექტაკლების დადგმაა, ქუჩაში პატარა ბავშვები მათხოვრობენ.

— აბა რას აკეთებ?

— ვწერ, ვხატავ, ვიკეთებ, ვბოლდები. პერიოდულად ფულსაც ვშოულობ.

— ფული რომ მქონდეს, დიდებულ სპექტაკლს დავდგამდი.

— პირიქით ჯობია, სპექტაკლმა უნდა მოგცეს შემოსავალი.

— ეს შესაძლებელია?

— როგორც ამბობენ, შეუძლებელი არაფერია. რუსულ „რულეტში" მჭიდში ერთ ვაზნას ტოვებენ, ჩემმა მეგობარმა კი სავსე მჭიდიდან მხოლოდ ერთი ტყვია ამოიღო, ბარაბანი დაატრიალა. ფეხზე შეაყენა, ლულა საფეთქელთან მიიტანა და ჩახმახს გამოჰკრა. დღემდე ცოცხალია.

— იქნებ, ასეჩკა მისცა.

— მაგდენი აღარ ვიცი, ერთიც ხომ არ დაგველია. — სიამოვნებით.

— მიდიან ბართან. ბარმენი შეკვეთას ამზადებს, თან ქადაგებს.

— ღვინოში ჭეშმარიტება რახანია დაიკარგა. ომარ ხაიამი წარსულს ჩააბარა. ჩვენ პარალელურ სამყაროს გთავაზობთ. ხსნის პორტსიგარს. ეს უბრალო თამბაქო არ გეგონოთ, ოპიუმი ზეთშია ამოვლებული. არ იყიდება. საუკეთესო კლიენტებს ძღვნად მივართმევთ. მოხარული ვიქნები, თუ ახალ შოუს გაგვიკეთებ, ამჯერად ბილეთებით. მხოლოდ თხუთმეტი მაგიდა. ათი ათკაციანი, ხუთი ოთხადგილიანი. დარბაზში შემოსულებს შაქრის ნატეხს დავურიგებ, ზედ ჯადოსნური სიტყვა იქნება დაწვეთებული.

— ლსდ.

— ეს კანონით აკრძალულია. — მაგრამ შენ ამის არ გეშინია. არც ეგრეა საქმე. ბოროტ ვნებას რა გამოლევს... ისე ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს.

— ქუჩაში ცივა. ბავშვები მათხოვრობენ, პროფესორები შიმშილობენ. სიმართლე ისედაც ყველამ იცის. მათ რაღაც სხვა უნდათ. ახალი ჭაშნიკი. ნორმალურ ქვეყანაში ეს კარგა ხნის წინ იყო.

— მართალი ბრძანდებით. ამაშია ჩვენი უპირატესობა. არაფრის გამოგონება არ გვჭირდება, ამაზე იაპონელებმა და ამერიკელებმა იმტვრიონ თავი. მათი გუშინდელი დღე ჩვენთვის ნიუჰაუა. ამით უნდა ვისარგებლოთ.

— ეს ჩათლახი თვითონ ყავასაც არ სვამს.

— იმდენი ყავა მაქვს დამუღამებული, მარტო არომატი კარგა ხანს მეყოფა. რას იტყვით, გაგვიკეთებთ შოუს?

— რა თემაზე?

— რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ხალხს მოეწონოს.

ხალხს სერიალები მოსწონს.

— ვფიქრობ, მოინახება ორმოცი კაცი, ვისაც მოხიბლავს. ახალი შოუ, ჯადოსნური კოქტეილები. შემოსვლა მხოლოდ საღამოს კაბებითა და ჰალსტუხებით. ერთი-ორი სკანდალი რეპეტიციების

პერიოდში და ხილვის სურვილიც ყველას გაუჩნდება. ორთვიანი ანშლაგი გარანტირებულია.

— რამდენს გადაიხდი?

— 20% ბილეთებიდან, ათი სასმელიდან. მცირე თანხა არ იქნება. პიარი ჩემი. განათება მაქვს, ვერც ერთი თეატრი ვერ დაიკვეხნის. როდის დაიწყებთ?

— რა ჯანდაბა დავიწყო, თვითონ არ იცი რა გინდა.

— მშვენივრად ვიცი, მე მინდა შოუ, რომელზეც ხალხი ივლის, წვრილმანები თავად მოიფიქრეთ. რეკლამას ჩემ თავზე ვიღებ. კიდევ დაგისხათ?

— დაასხი, დრო რამდენი გვექნება?

— სამი კვირა ეს ბროდვეიზეც საკმარისია.

— ეგ რეპეტიციებს. მანამდე სად უნდა მოიფიქრო, რას აკეთებ.

— მერე დაიწყეთ ფიქრი. სათაურს თუ მეტყვით, ხვალ აფიშები მთელ ქალაქში იქნება გამოკრული. მთავარია ეფექტური სათაური იყოს. რას დაარქმევთ?!

— ეს სიგიჟეა.

— ყველა გენიოსი გიჟია. თქვენ კი გენიოსი ხართ და შეუძლებელიც არაფერია. მითხარით, რა ერქმევა წარმოდგენას.

— გვემისა და ნეტარების დღესასწაული.

— მშვენიერია, — რეკავს ტელეფონზე, — ხვალისათვის ანონსის აფიშები მჭირდება, სათაური ჩაიწერეთ, არა, უკვე გაიკრას. დღესაც, ჰო, კაი დავიწყეთ, წამზომი ჩაირთო.

— ეს რა, დაგვცინის?

— არა, ეგრე მუშაობს. ხომ გსურდა დადგმა, ფინანსები არის, სცენაც და სათაურიც, ახლა ყველაფერი შენს მარიფათზეა.

— დასი?

— ვინც გინდა ის მოიყვანე. თორმეტი მსახიობი გეყოფა.

— ხუთი კაცი და ოცდაათი ქალი.

— ოცი ქალი, აქედან თხუთმეტი მოცეკვავე, ხუთი შეიძლება დრამატული მსახიობი იყოს, თუმცა არც ესაა სასურველი.

— შევთანხმდით. ბარი ანტრაქტით.

— ანტრაქტი საერთოდ არ იქნება.

— ანტრაქტი აუცილებელია, ბარმა რომ იმუშაოს.

— კარგი, დღეს ანტრაქტი დავასრულე, ხვალ პირველ მოქმედებას დავიწყებ.

— მოვილაპარაკეთ. ინებეთ ავანსი. აქ ერთი მეოთხედია. მთელი ეს პერიოდი ბარი უფასოდაა.

კონვერტს ხელში ატრიალებს.

— რა იცით, რომ ეს თანხა მაწყობს?!

— დაგენიძლავებით, იმაზე მეტია, ვიდრე თქვენ ვარაუდობთ. თქვი, რა ღირს შენი შრომა და შევადაროთ.

— ორი ათასი.

— ავანსი თუ სრული ჰონორარი.

— მთლიანად. ბარი — ათასი, ძალიან ნორმალურია მთელი თვის მუშაობაში.

— მაგ კონვერტში ორი ათას ხუთასია. სამ მაგდენს პრემიერაზე მიიღებთ, ოღონდ ერთ თვეში კი არა, სამ კვირაში.

— მე ყველაფერს გავაკეთებ.

— ჩვენც ჩვენი მხრივ. რთავს ტელევიზორს. იწყება საინფორმაციო გამოშვება, პოლიტიკურ მიმოხილვას კულტურის ბლოკი მოსდევს: „ზუსტად სამ კვირაში გრანდიოზული პრემიერა გაიმართება, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება სკანდალი. საზოგადოებრივი აზრი ტრადიციულად ორადაა გაყოფილი. ზოგიერთი რეპეტიციების შეწყვეტას და შემოქმედებითი ჯგუფის დაკავებას მოითხოვს ძალადობისა და გარყვნილების პროპაგანდისათვის. სანდო წყაროდან შევიტყეთ: ახალი შოუ უხვად იქნება დატვირთული თამამი სცენებით.

— სისასტიკისა და ძალადობის კალეიდოსკოპი, — აი, რა გელით თქვენ, თუ გაგიმართლათ და ბილეთის შოვნა მოახერხეთ. სიტყვას ვაძლევთ თეატრალურ ექსპერტს:

— ის გახლავთ უაღრესად ნიჭიერი ადამიანი, ამავდროულად ძალზე უნიჭო რეჟისორი. დაკომპლექსებულია, ერთი სული აქვს პუბლიკა რაღაცით გააკვირეოს, დაბოლოს, მარაზმში ვარდება. ისე, ამჟამად შეიძლება გაუმართლოს. ვფიქრობ, პრემიერა მაინც უნდა შედგეს. ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანაში ყველას აქვს უფლება საკუთარი აზრი მისთვის სასურველი ფორმით გამოხატოს.

— როგორ ფიქრობთ, ხმები მეტისმეტად ხომ არაა გაზვიადებული.

— შეიძლება ეს სარეკლამო პიარის ნაწილი იყოს. კიდევ ვიმეორებ, ის უაღრესად ნიჭიერი ადამიანია. სამწუხაროდ, მთელ თავის ძალისხმევას ჯერ არდადგმული სპექტაკლების გარშემო აჟიოტაჟისა და სკანდალების შექმნას ახმარს. მთელი ეს ენერგია სპექტაკლისათვის რომ დაეთმო, მართლაც შედევრი გამოუვიდოდა. ვფიქრობთ, მთელი ეს სიტუაცია მის მიერვეა ინსპირირებული.. საუბარში მეორე ექსპერტიც ერთვება.

— სასურველი განწყობის შესაქმნელად ხმების წინასწარი მუსირება თანამედროვე კომერციული ხელოვნების აუცილებელი კომპონენტია. მე პირადად არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუ მაყურებელში გარკვეული ემოციური მუხტი ფარდის გახსნამდე აღიძვრება. ეს ერთ-ერთი შემოქმედებითი ხერხია წარმოდგენის ავტორის არსენალში. რაც შეეხება საერთო კონცეფციას, ალბათ, მიუღებელია, თუ გავითვალისწინებთ, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

— თქვენი ნათქვამი მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ სპექტაკლი ლანძღვა-გინების კორიანტელში გაეხვევა, საზოგადოება თავლაფს დაასხამს, გასტროლებიდან კი ტრიუმფით დაბრუნდებიან.

— ორივე კრიტიკოსი ეთანხმება.

— სამწუხაროდ, ასე ხშირად ხდება.

— როგორც წესი, შეიძლება ითქვას.

— ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ პრემიერას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მაყურებლის რეაქცია აუცილებლად გასცდება თეატრალურ დარბაზს და თუ სპექტაკლში სკანდალურობის გარდა მხატვრული აზრი და ინფორმაცია დევს, აფიშებს ის კარგა ხნით შემორჩება.

სხვა არხზე ჟურნალისტი ქუჩაში გამვლელებს ეკითხება:

— მაგარ რაღაცას დგამენ. აპირებთ წასვლას?!.

— აუცილებლად!

— არა მგონია.

— ბილეთები დაჯავშნული მაქვს.

— არაფერი არ ვიცი.

— იცით, ეს კაფე სად არის?

რესპოდენტთა უმეტესობას წარმოდგენა არა აქვს ამ კაფეზე და თეატრიც დიდად გულზე არ ეხატებათ. სამაგიეროდ სახლში მსხდომნი გაფაციცებით მისჩერებიან ტელეეკრანს, ხოლო ვისაც ბომონდში ტრიალის პრეტენზია აქვს, ტელეფონს აწკარუნებს.

— პიესა ვინმეს აქვს წაკითხული?

— ბილეთები თუ გინდათ, დაგეხმარებით. ბლატი მაქვს.

— მხოლოდ მეექვსე ან მეშვიდე ჩვენებაზე მოხერხდება, მანამდე ყველა ბილეთი გაყიდულია.

— დეკორაცია და კოსტიუმები ევროპელი დიზაინერისაა.

— ვინ მონაწილეობს, ის მაინც თუ იცით.

მომდევნო არხზე.

— დიდი ინტერესი გამოიწვია ახალმა თეატრალურმა პროექტმა. პრემიერა თვის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. სპექტაკლზე მისულ მაყურებელს შაქრის ნატეხით გაუმასპინძლდებიან. მასზე რაღაც სითხე იქნება დასხურებული, სახელდობრ, რა, მკაცრად გასაიდუმლოებულია. ერთი სიტყვით, პუბლიკამ შაქარი უნდა წუწნოს და მსახიობების ტლინკაობას უყუროს. ისე, მე შაქარყინულს ვურჩევდი, უფრო გემრიელი იქნებოდა. საიდუმლო ხსნარი კი შეიძლება ლსდ იყოს. თქვენი კომენტარი:

— არა მგონია, ნარკოტიკების გამოყენება გაბედონ. თავს საციხოდ არ გაიხდიან. ისე, გრანდიოზული ეფექტი ექნებოდა. რაიმე უწყინარ მიქსტურას მიასხურებენ, ხალხს კი რაღაც განსაკუთრებული ეგონება და ნაწილი შეიძლება ტრანსშიც ჩავარდეს. შედეგი უდავოდ იქნება. მათემატიკური სიზუსტით გათვლილი სვლაა. რამდენად ეთიკურია, ეს ცალკე მსჯელობის თემაა.

— ასაკობრივ შეზღუდვას აწესებენ.

— თქმით ბევრ რამეს ამბობენ. ისიც მითხრეს, დარბაზის გამდიდრებული ჟანგბადით მოსამარაგებლად ახალი ვენტილაცია დაამონტაჟესო. მსგავს ხერხს კაზინოები კარგა ხანია მიმართავენ. პირადად მე მივესალმები მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებას. ამას რა ჯობია, თუ ფინანსები გიწყობს ხელს.

სიტყვას კვლავ ჟურნალისტი იღებს.

— არანაკლებ აქტუალურია დაფინანსების საკითხიც. ხარჯთაღრიცხვა პირვანდელთან შედარებით თვრამეტჯერ გაიზარდა. ყველაზე უღიმღამო რეკლამის დროსაც სპონსორები წინა პლანზე გამოდიან, აქ კი კრინტს არავინ ძრავს, ვინ გაიღო ამხელა თანხა.

— ვფიქრობთ, ყველაფერი რეჟისორის პირადი სახსრებითაა.

— საიდან, საიდან ამდენი ფული ადამიანს, რომელიც ვალების გამო ციხეშიც კი არ იჯდა. ეს აინტერესებს ხალხს, პასუხს კი არავინ იძლევა.

მეორე დღეს პრესა აჭრელებულია სათაურებით, ვერსიებით. ქალაქი მოფენილია აფიშებით, სატელეფონო ხაზები გადატვირთულია ჭორაობით, რეჟისორი კი დასის შეკრებითაა დაკავებული.

— დიდი მადლობა რომ გამიხსენე, მაგრამ არ მცალია.

— ჯერ სცენარი მანახე.

— ფაბულა არის, სიუჟეტი კი რეპეტიციებზე დაიხვეწება.

— კაფეში თამაში არ მსურს, შანტეკლერი კი არა ვარ.

— რატომაც არა, ძალიან საინტერესოა.

ძლივს ვაი-ვაგლახით დასი შეიკრიბა. მოინახა სცენოგრაფი და კომპოზიტორი, ყველაზე იოლად ქორეოგრაფი დათანხმდა. ამას შეეწირა რეპეტიციის პირველი დღე.

მეორე დღეს, დილის თერთმეტ საათზე ყველამ მოიყარა თავი. ადგილზეა რეჟისორი, მსახიობები, ტექპერსონალი.

— ნულარ ვაჯანჯლებთ, დრო თითქმის აღარაა.

— ვფიქრობთ, სანერვიულო აღარაფერია.

— რა თქმა უნდა, თუ აქამდე ვერაფერი მოვიფიქრეთ. დარჩენილ დროში რა ჯანდაბა უნდა მოვახერხოთ.

— გული მიგრძნობს, ყველაფერი კარგად იქნება.

— კარგად იქნება კი არა, არ შეიძლება საკითხის ასე დაყენება: მაქსიმალური ტრიუმფი ან სრული ფიასკო. ვინც ასეთ ფსონს ჩამოდის, როგორც წესი, ხელში არაფერი რჩება.

— სახელისა და დიდების გარდა.

— გენიოსია, მაგრამ შეშლილი... მატრაბაზობაა და მეტი არაფერი, ჩვენც ამ უაზრო „პრიკუპში“ ვხვდებით.

— ხომ არ გაძალებენ, თუ არ გინდა წადი.

— გაჭირვებას რა ვუთხრი, თორე...

— აშენებით ვერც ახლა აშენდები.

— გეყოფათ, დავიწყოთ.

— ის მაინც გვითხარი, რა დავიწყოთ.

— ასე რატომ მელაპარაკები?

— თუ ზრდილობა არა გაქვს, მეტსაც გეტყვი.

— ბოლოს და ბოლოს, მითხარი რა გინდა.

— თქვენი კარგად ყოფნის მეტი რა უნდა მინდოდეს.

— აბა, მე რა ვიცი... ამ სპექტაკლში მთავარი გმირი მშვენივრად იცნობს საკუთარ თავს და იცის საკუთარი თავის ფასი.

— ადამიანი საკუთარ თავს ვერასდროს შეიცნობს. ან შეიძლება იცოდეს წიგნები, ჭორი და ნაღდი, საკუთარი თავი კი არასოდეს ეცოდინება.

— ჰო, ალბათ.

კი, შენ, რა გინდა, შენ თვითონვე არ იცი. მაგრამ შენი ბრალი არაა მე მგონი, რაღაც გამოგვივა.

— ალბათ

— როგორც იტყვიან, იმედი არის და შანსი არაო. თუმცა, ისეთი ბრიყვებიც არსებობენ, შეუძლებელთან ბრძოლა და დამარცხება რომ უყვართ. შენთვის საჩუქარი გვაქვს ყველას სახელით.

საჩუქრად აძლევენ ყუთს. შიგნით მოოქროვილი ბრაუნინგია.

— ოღონდ ჩვენ არ დაგვხოცო.

— ფრთხილად იყავი, პრემიერის შემდეგ რომელიმე კრიტიკოსი არ შემოგაკვდეს.

— იმდენი იქნებიან, რევოლვერით რას გასწვდები, ტყვიამფრქვევი არ ეყოფა. დიდი მადლობა, ყოველთვის ამაზე ვოცნებობდი. დავიწყოთ.

რამოდენიმე რეპეტიციის შემდეგ მოვა ექსტრავაგანტულად ჩაცმული მამაკაცი, შეშლილი მილიონერის ტიპის, უკან ბარმენი მიჰყვება და შამპანურით გაწყობილ მაგიდას მოაგორებს.

— ეს მეტად იშვიათი მარკაა. განსაკუთრებული შემთხვე-

ვისათვის. ეს ბ-ნი დაინტერესდა ჩვენი პროექტით, მზად არის შეიძინოს და დიდ სცენაზე გადაიტანოს. იმედია, წინააღმდეგი არ იქნებით, პირობები მეტად ხელსაყრელია.

— რომელ დარბაზზეა საუბარი?!

— სადაც ყველაზე მეტი ხალხი დაეტევა.

— ეგეთი ფილარმონიაა.

— რა პრობლემაა, ვიქირავებთ.

— ისიც არ ვიცით რას ვაკეთებთ.

— ეგ არც მაინტერესებს, ფული ჩემი, ხელობა თქვენი. მოგება შუაზე.

— ფინანსური მხარე არ გვეხება. ამ ბატონთან მოილაპარაკეთ.

— ძალიან კარგი. ჩვენ პრაქტიკულად ყველაფერზე შევთანხმდით. მხოლოდ თქვენი დასტური გვაკლდა.

— მე ყაბულსა ვარ.

— შესანიშნავია, ერთ კვირაში დეკორაცია მზად იქნება. ხვალისთვის პრესკონფერენციაა დანიშნული. ახლა კი წავიდეთ და...

— ფრიად გასაიდუმლოებული პროექტი გქონიათ. ყველა მასზე ლაპარაკობს და არავინ არაფერი არ იცის. საუბარი თუ არ გსურდათ, აბა, რისთვის მოგვიწვიეთ.

რეპეტიციების მეექვსე დღე. სცენარი თითქმის დასრულებულია, ფინალური სცენა დარჩა მოსაფიქრებელი.

მომდევნო დღეს ორ მსახიობს აპატიმრებენ ნარკოტიკების მოხმარებისათვის და იმავე საღამოს გირაოთი ათავისუფლებენ. პრესა აქტიურად აშუქებს ამ ამბავს.

შემდეგ დღეებში ტექსტზე მუშაობენ. ფინალური სცენა მოფიქრებულია. მუსიკაც თითქმის მზადაა. ამონტაჟებენ დეკორაციას. მკერავი ზომებს იღებს.

მე-11 დღეს ქორეოგრაფი უჩვენებს ძირითად მონახაზს, რეპლიკები ყველამ დაისწავლა, ყველა თავდაუზოგავად მუშაობს. რეჟისორი წარმატებაში დარწმუნებულია, მაგრამ მაინც ნერვიულობს. მოდიან რომელიღაც სადაზღვევო ფირმიდან, რაღაცას იწერენ, ყველაფერს ათვალიერებენ და მაინც დასს სადაზღვევო

კონტრაქტზე ხელს აწერინებენ, აზღვევენ მთლიანად.

რომელიღაც სასტუმროს კონფერენც-დარბაზში. რეჟისორი:

— დიდი მადლობა მობრძანებისთვის. მზად ვარ ნებისმიერ კითხვაზე გაგცეთ პასუხი.

— რა სიუჟეტი აირჩიეთ?

— ეს არის ზღაპარი დიდებისათვის. მოზარდები წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

— რატომ?

— უბრალოდ, ეს მათზე არ არის გათვლილი. ჩვენ შეგნებულად ვამბობთ უარს აუდიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილზე.

— ამით ადასტურებთ ეროტიკისა და ძალადობის სიუხვეს.

— მე ეს არ მითქვამს, ზღაპარში ყველაფერი ხდება, თითქმის ყველაფერი ხდება რეალურ ცხოვრებაშიც. ვიღაც მზადაა ამის აღსაქმელად, ზოგს მომზადება სჭირდება.

— სიუჟეტს თუ არ გვიყვებით, მონაწილენი მაინც დაგვისახელეთ.

— ყველა მათგანი მაღალი კლასის პროფესიონალია.

ზოგიერთს იცნობს ფართო საზოგადოება, დანარჩენებს პრემიერის შემდეგ გაიცნობთ.

— ვინ გაფინანებთ?

— არა მგონია, ეს თქვენთვის საინტერესო იყოს.

— შოუსა და ცალკეულ მონაწილეებს. ყველას მკაცრად აფრთხილებენ კონფიდეციალურობის შესახებ და პრესამ ეს არაფრის დიდებით არ უნდა შეიტყოს. რასაკვირველია, ვიღაცა ენას კბილს ვერ დააჭერს და მასმედიაში კიდევ ერთი ალიაქოთი ატყდება.

მომდევნო ორ დღეში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

მე-17 დღე.

პრემიერა დღეისწორს გაიმართება. ტექნიკურ მხარეს თუ არ ჩავთვლით, არაფრისთვის მზად არა ვართ. მესმის ეს მეტად უჩვეულო სამუშაო პირობებია, მეც თქვენ დღეში ვარ და უნდა გაუძლოთ. ამით მხოლოდ ჩვენი ბედი როდი წყდება. სპონსორებსა და ინვესტორებს მხოლოდ ამ პირობებით და ამ ვადებში სურთ მუშაობა. ჩვენ გვერგო პატივი ვზიდოთ პიონერის მძიმე ტვირთი და თუ დავამარილებთ, მსგავსი სანახაობა მრავლად იქ-

ნება. ჩავარდნის შემთხვევაში კი ყველაფერი ისევე კარგა ხნით გაიყინება, ანუ ყველაფერი ისევე დარჩება, როგორც არის და ეს დიდხანს გაგრძელდება. ჩვენ თაობას შეიძლება აღარც მიეცეს მეორედ ასეთი შანსი. ამიტომაც უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი და ვთქვათ ღირსეულად. ან სამუდამოდ დავიგუბოთ პირში წყალი, რაც, არა მგონია, გვაწყობდეს.

ყველა ეთანხმება, ზოგი რეპლიკით, ზოგი ჟესტით.

ჩვენ გვაქს მთელი რიგი ეპიზოდებისა, რომელიც სხვაგან თანაგრძნობის ღიმილს თუ გამოიწვევდა, ჩვენი მაყურებელი კი აუცილებლად შოკში ჩავარდება და სუნთქვაშეკრული მიადევნებს თვალყურს სიუჟეტის განვითარებასა და გულახდილ ეროტიკულ სცენებს. ვილაც შეგვაქებს. ბევრი გვაგინებს, ჩვენზე ბევრს ილაპარაკებენ, მიუხედავად რეზულტატისა. ჩვენ უნდა შევძლოთ, შეგვწევდეს უნარი, საუბრის თემად ვაქციოთ არა მასშტაბური დეკორაციები, პიკანტური სცენები, არამედ ჩვენზე ილაპარაკონ, როგორც მაღალი ხელოვნების შემქმნელებზე. ვიცი, ეს ძალზე რთულია, პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ შეუძლებელი უნდა შევძლოთ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ჩემს ხელში მსგავსი ტექნიკური საშუალებები და ფინანსური რესურსი აღმოჩნდებოდა, მაგრამ ეს რეალობაა. ამას თითოეული თქვენგანი ხედავს. ჩვენ გვაქვს გარანტირებული ათი ანშლაგი, მომდევნო ათ წარმოდგენაზეც ბილეთების ნაახევარი უკვე გაყიდულია.

ნუ დაგავიწყდებათ, ამ ხალხს მივცეთ საშუალება შიშველ უკანალზე და დეკორაციაზე კი არა, სპექტაკლის არსზე ილაპარაკონ. სხვანაირად ჩვენ დავემსგავსებით სახელგანთქმულ ჩეშირის კატას, ხომ გახსოვთ, „ალისა სასწაულების ქვეყნიდან“: მისგან მხოლოდ ღიმილი დარჩა, თვითონ კატა კი კარგა ხანია აღარ არსებობს.

დადგა პრემიერის დღე. მომხდარმა მოლოდინს ბევრად გადააჭარბა. შენობის წინ სპექტაკლის მოწინააღმდეგენი შეკრებილან ტრანსპარანტებით ხელში. ტელევიზია პირდაპირ ეთერში აშუქებს მოვლენას:

მსგავსი აჟიოტაჟი ბოლო დროის არც ერთ კულტურულ მოვლენას არ გამოუწვევია. ბილეთების რიგში ჭყლეტის შედეგად

რამდენიმე ადამიანი დაშავდა. ერთი ქალბატონი ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში გადაიყვანეს ფეხის მოტეხილობით. საზოგადოების საკმაოდ სოლიდური ნაწილი სპექტაკლის აკრძალვასა და დასის ქალაქიდან გაძევებას მოითხოვს. მათსა და თეატრალებს შორის რამოდენიმე ინციდენტიც კი მოხდა. ახლაც ჩხუბობენ, თქვენ კადრში ხედავთ, თუ როგორ უმოწყალოდ ჟეჟავენ ერთმანეთს. გამოჩნდა საპატრულო პოლიციის მანქანები და ცდილობენ მოჩხუბართა დაშოშმინებას. დაშავდა რამოდენიმე პოლიციელი, ერთს წარბი აქვს გახეთქილი. აპატიმრებენ რამდენიმე მოჩხუბარს, შოუს დასრულებისთვის ახალ-ხალ ექსცესებს ელიან, თუმცა ძალოვანები მტკიცე პირობას იძლევიან მათ აღსაკვეთად.

ხალხის რაოდენობა მატულობს. ცოტა ხანში შესასვლელი კარი გაიხსნება. მოდიან ძვირფასი მანქანებით, ტაქსით, ფეხით. ბევრია უბილეთო. მათზე ქორვაჭრები სამმაგ მოგებას ნახულობენ. სალარო კარგა ხანია დაიკეტა. ყველა ბილეთი გაყიდულია, არა მარტო დღეს, მომდევნო დღეებში. ვნებათაღელვა ყოველ წამს მატულობს. რაღაც გრუხუნი ისმის. ეს ფეიერვერკია. რამდენიმე ზალპის შემდეგ ცაში სპექტაკლის სახელწოდება იწერება.

ახალ სპექტაკლთან ერთად ახალი თეატრი იბადება, რომლის ფორმასაც შუასაუკუნეობრივი მისტერია წარმოადგენს, ეს შემოქმედებითი ჯგუფის ერთგვარი მანიფესტია. რამდენიმე წუთში ახალი ათვლა დაიწყება ხელოვნების მატიანეში.. იღება შესასვლელი კარები. მაყურებელი ფოიეში შებრძანდება. უამრავი ცნობილი სახეა, ელეგანტურ საღამოს კაბებში გამოწყობილი და ბრილიანტებით მორთული მშვენიერი ქალბატონები და მათი კავალრები. კამერდინერები სასმელით უმასპინძლდებიან. თანდათანობით ივსება მაყურებლის დარბაზი, შუქი ქრება და წარმოდგენა იწყება.

სპექტაკლის მსვლელობას რეჟისორი რადისტის ჯიხურიდან უცქერს. ნერვიულობს, სიგარეტს სიგარეტზე უკიდებს. რამდენიმე წუთია დარჩენილი. უკანასკნელი რეპლიკა. ფარდა დაეშვა. ტაშის ხმა. მსახიობები აივანზე გამოდიან. რეჟისორს ჯიბიდან ბრაუნინგი ამოაქვს და რუსულ „რულეტკას“ თამაშობს.

გავარდება თუ არა ტყვია, ამის გადაწყვეტა თქვენთვის მოგვინდვია!

ჟამთა ცვლის რებუსი
(ნოველა)

გათენდა 2003 წლის 26 ნოემბრის დღე. დილის 7 საათი იქნებოდა, როდესაც მახინჯაურის რკინიგზის სადგურში „თბილისი-ბათუმი" მატარებლის შემადგენლობა ჩამოდგა. ერთი შეხედვით, ამ მოვლენაში განსაკუთრებულ ყურადღებას არაფერი იმსახურებდა. მხოლოდ დაკვირვებულ თვალს შეეძლო იმის შემჩნევა, რომ სამგზავრო მატარებლის შემადგენლობას, ლოკომოტივის მიყოლებაზე, გარდა ჩვეულებრივი საფოსტო ვაგონისა, ჩაბმული ჰქონდა უცნაური, საბადრაგო, პატიმართა ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ვაგონი. ამ ვაგონის ფანჯრებსაც გისოსები იცავდა, ხოლო თავად ფანჯრები გაუმჭვირვალე შუშით იყო შემინული. ეს ყოველივე კი იმაზე მიანიშნებდა, რომ თბილისიდან ბათუმის ციხეზე პატიმართა ეტაპირების პროცესი მიმდინარეობდა.

სულ რაღაც ორმოციოდე წუთში რკინიგზის სადგურის ბაქანი დაცარიელდა. დამხვდურებმა და ჩამოსულმა მგზავრებმაც იქაურობა დატოვეს. სადგურის ბაქანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილი თითოოროლა ადამიანის დანახვა თუ მოხერხდებოდა, მშვენიერი მზის სხივებითა და ზღვის სურნელით გაჟღენთილი დილა იყო. ადამიანს რომ არ სცოდნოდა კალენდარულად თუ რა დრო იყო წელიწადისა, შესაძლოა, გაზაფხულის დილა ჰგონებოდა. ამასობაში „სპეცვაგონის" კარები გააღეს და ვაგონის თანმხლებ ბადრაგთაგან ერთ-ერთმა, რომელმაც სხვებზე ადრე შენიშნა ვაგონისკენ მომავალი სამხედრო კომუფლიაჟში შემოსილი დამხვდურ კოლეგათა ჯგუფი, ვაგონში მყოფთა. საყურადღებოდ დაიძახა: — გაემზადეთ, დროზე გადავაბაროთ და.... აი, რას გულისხმობდა „და-ს" შემდგომ ეს აღარ გაუმხელია.

ასე იყო, თუ ისე, სულ რაღაც ნახევარ საათში მახინჯაურიდან ბათუმის მიმართულებით მიქროდა ხაკისფერის დასავ-

ლეთევროპული წარმოების, მაგრამ ევროპაში დიდი ხნის წინ ჩამოწერილი ჯიპის ტიპის საბადრაგო ავტომობილი. ამ ავტომობილის სალონი ნაწილობრივ ოსტატთა ძალისხმევით ორსექციან გალიად იყო ქცეული. ამ გალიის წინა ნაწილში იყვნენ განთავსებულები მძღოლი და მისი თანმხლები „АКМ"-ის ტიპის ავტომატით შეიარაღებული ორი ძვალმსხვილი ბადრაგი. იმავე გალიის მეორე სექციაში იმყოფებოდაა სამი პატიმარი – ოციოდე წლის ახალგაზრდა, რომელიც სტუდენტს უფრო ჰგავდა თავისი გარეგნობით, ვიდრე პატიმარს. მეორე პატიმარი 40 წლამდე ასაკის ოდნავ თმაშეევერცხლილი ახალგაზრდა მამაკაცი გახლდათ, იგივე „საპატიმრო გალიით" მგზავრობდა შედარებით ხანდაზმული, ასე – 65 წლის, ტარანივით ხმელი აღნაგობის მქონე ჭაღარა, აშკარად მოუსვენარი პატიმარიც. გარდა ამ სამი სუბიექტისა, რატომღაც გალიის იმავე სექციაში მოთავსებული იყო სამი ცალი საკმაოდ ტევადი ფიცრული ყუთიც (მათი დანიშნულება გარკვეულ მომენტამდე გამოცანად რჩებოდა), ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, საბადრაგო „ავტო-ზეკმა" ტრასიდან ბარცხანაში გადაუხვია (მხოლოდ ბეცი ვერ მიხვდებოდა, რომ ეს არასანქცირებული გადახვევა იყო სამოძრაო მარშრუტიდან). მანქანამ ორიოდე წუთიც იმოძრავა და ვიღაცის ეზოსთან გაჩერდა. ბადრაგები ოპერატიულად გადავიდნენ მანქანიდან. საჭესთან დარჩა მხოლოდ მძღოლი, რომელსაც მიაბარეს ტაბელური იარაღიც, თავად კი ეზოში შეაბიჯეს. მანქანაში მყოფი პატიმრები აშკარა გაურკვევლობაში რჩებოდნენ. სიტუაცია მანქანის საჭესთან მჯდომმა მძღოლმა განტვირთა, მიუბრუნდა უკან მსხდომთ და თქვა: – აქ მემედის ტაია ცხოვრობს, ცოტა მანდარინს გამოაყოლებს ხელს ბადიშებისათვის და მერე მალე მიგიყვანთ ადგილამდე, არ ინერვიულოთ, ბიჭებო. მართლაც მალე მანქანის სატუსაღო სექციაში ჩალაგებული ცარიელი ყუთები მანდარინით პირთამდე სავსე იმავე ზომის ყუთებით ჩაანაცვლეს. ავტომანქანის სალონში ციტრუსის სურნელი დატრიალდა. ცდუნებაც გაჩნდა კაცს ხელი წაგეტანებინა ნარინჯისფერი ნაყოფისათვის.

მანქანა დაიძრა თუ არა, წინ მჯდომთაგან ერთ-ერთი მიუბრუნდა ბოროტმოქმედებს და ხმაში მასპინძლის ტონალობით მიმართა

მათ: — „ეიღეთ მანდარინი, ბიჭებო, არ მოგერიდოთ, რასაც ვერ შეჭამთ, ჯიბეებში ჩაილაგეთ, კამერაში შეიყოლიეთო“ სულ მალე „ავტო-ზეკი“ უკვე ბათუმის ქუჩებს მიუყვებოდა, სადღაც სოხუმის ქუჩის მახლობლად კვლავ დაირღვა გადაადგილების მარშრუტი. ამჯერად მემედს აქ ელოდებოდნენ და რომ არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტი, ალბათ, სხვა არაფერი დაუდგებოდა წინ, მანქანაში მყოფთა მიპატიჟებას მემედის შვილ-ბადიშების ოჯახში. მანდარინით დატვირთული ყუთები პატიმართა და ბადრაგების ერთობლივი ძალისხმევით გააჩოჩეს მანქანის სალონიდან და გადასცეს დამხვდურებს. ამ გაჩერების მერე მანქანას მოძრაობა აღარ შეუწყვეტია, აუყვა აღმართს და ათიოდე წუთში უკვე თითქმის საზეიმო ვითარებაში მემედი და მისი თანმხლები პირები ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებს აბარებდნენ ეტაპში მოყვანილ პატიმრებსა და ამ პატიმრების საბუთებს. ამასთანავე, საკმაოდ ხმამაღლა საპატიმროს პასუხისმგებელ მორიგე ოფიცერს აუწყეს, რომ „აგი პატიმრები კარგი არესტანტები არიენ და აწი ჩეიბარეთ და მიხედეთო“.

პროცესიამ ციხის პირველ სართულზე განლაგებულ „სამორიგეოში“, ე.წ. „дежк“-ში გადაინაცვლა. საკანცელარიო მაგიდასთან იჯდა ლოყებაწითლებული, საკმაოდ ჩაფსკვნილი „პასუხისმგებელი მორიგე ოფიცერი“ და მისგან სამიოდე ნაბიჯით ერთ მწკრივში იდგნენ ჯიბეებდაბერილი, თითო ცელოფნის პარკით ხელში პატიმრები. „მორიგე ოფიცერმა“ ყოვლისმომცველი მზერით მოავლო თვალი ყველას და ყველაფერს, ღრმად ამოისუნთქა და შეუდგა ბრალდებულთა პირადი საქმეების თვალიერებას. დიდ კონვერტებით თანმიმდევრობით ხსნიდა და თანმხლებ დოკუმენტაციას ბუზღუნით კითხულობდა, თან სახის მიმიკას ისე და იმგვარად იცვლიდა, მისი დამნახავი ადამიანი უმალ ამოიცნობდა თუ რა გრძნობის დემონსტრირება სურდა მას. —ხო, ხო, ხო, — აღმოხდა მას და ყველაზე ხანდაზმულ პატიმარს შეხედა. — კეთილი და პატიოსანი, კი, მაგრამ ეს შვიდი „სროკი“ გასაგებია, მაგრამ მალხაზ ღლონტო, ე-რა უბუდერებაა, ფოთის ფსიქიატრიული, თბილისში ასათიანი, „ციხის რესპუბლიკურის „ფილიალი“

და თუ დიპლომირებული გიჟი ხარ, ბათუმის ციხეში რატომღა მოგიყვანეს?! — თუმცა გასაგებია, ლანჩხუთში გაქვს სასამართლო დანიშნული და თბილისიდან ხომ არ გარონიავებდნენ სასამართლოს სხდომებზე, ერთი სიტყვით, წახვალ მეორე საკანში!"

ამ სიტყვების გაგონებაზე მახომ გეზი ოთახიდან გასასვლელი კარებისაკენ აიღო და თვითდინებით დააპირა მისულიყო დანიშნულების ადგილამდე. ამის დანახვაზე „პასუხისმგებელმა მორიგემ" შესძახა: — მოიცა, მოიცა, შენ სად მიდიხარ?! — იქნება მოითმინო და საკნამდე გზასაც გასწავლიან და კარებსაც გაგიღებენ. ამ სიტყვების გაგონებაზე მოხუც პატიმარს გაეცინა.

— კი, მაგრამ, უფროსო, მე საქართველოში ყველა ციხესა და ზონას საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობ. აქ, ამ ციხეში კი პირველად მჟავანაძის პირველი მდივნობის დროს მომიწია ყოფნა და რამდენადაც ვიცი, ეს მეორე კამერაა, მას მერე არსად სხვაგან არ გადაუტანიათ. მოიცადე, მორიგე კონტროლიორი ჩამოგარიგებთ კამერებში, — თქვა „მორიგე ოფიცერმა" და განაგრძო საბუთების დათვალიერება. ამჯერად ყურადღების ცენტრში 20 წლის ახალგაზრდა აღმოჩნდა. — ესე იგი დათო ხომერიკს დედა მოენატრა და ამიტომ ჯარიდან გაურკვეველი ვადით სახლში წავიდა?! ო, ო, ო, რა იყო, ბიჭო, ციხეში ჯდომა არჩიე იმ დარჩენილი სამი თვის ჯარში სამსახურს? მამაშენის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, სულ ყურით მიგათრევდი იმ ნაწილში და ციხეში წამოსასვლელად საქმეს არ გაგიხდიდი. ამ სიტყვების გაგონებაზე ახალგაზრდას სახე აემრიზა და ოფიცერს მკვახედ მიახალა: — მე მამაჩემი დავასაფლავე და მერე ლოგინად ჩავარდნილ დედას ვადექი თავზე. თან 11 წლის დაიკო მყავდა საპატრონო. რაღა მეჯარისკაცებოდა? ამ განმარტების გამგონე ოფიცერს სახეზე დამნაშავე კაცის შეცბუნებულმა ღიმილმა გადაუარა. — კარგი, კარგი, ნუ ჯავრობ, დათო, ყველაფერი გაირკვევა და იმედია მოსამართლე სახლში დაგაბრუნებს. მანამდე კი, შენც მეორე კამერაში მოგიწევს ცხოვრება.

როგორც იქნა, ოფიცერმა მესამე პატიმრის პირადი საქმე აიღო ხელში და ყურადღებით ჩააშტერდა რაღაცას. მარჯვენა წარბი ასწია, ღრმად ჩაისუნთქა, თავი მოიფხანა და მესამე იქ

მყოფ პატიმარს მიმართა: -- ბატონო ტატო თავაძე, მე ერთი რამე არ მესმის, თბილისელი კაცი ხარ, ბათუმში ცხოვრობდი, განათლება და თანამდებობა არ გაკლდა. არადა ჯერ იქ, თბილისში გიქნია საოცრება, თან ვის...?! აქ წუთით დადუმდა „პასუხისმგებელი მორიგე" და კვლავ განაგრძო მონოლოგი, – მერე აქ აგიტეხეს ვაი-ვაშში. არა და ჩვენმა უფროსობამ თუ იცის ეტაპით რომ მოდიოდი?! ეს სიტყვები არ ჰქონდა დასრულებული, რომ უკვე „შიდა-კავშირის" ტელეფონს უჩხაკუნებდა – გიორგევიჩ, აქ ეტაპით ტატო თავაძე ჩამოიყვანეს. რა ვქნა? რომელში გავუშვა? მეორე სართულზე გოგიტასთან ერთად ხომ არ დავაბინაოთ? არ ვიცი, ვკითხავ და თუ აწყობს, – ამ სიტყვებით დაასრულა სატელეფონო თათბირი უფროსობასთან მორიგე ოფიცერმა და კვლავ მიუბრუნდა. – რა ვქნათ, ტატო, ახვალთ №45 საკანში? იქ ორადგილიანი ფერადტელევიზორიანი, კეთილმოწყობილი კამერაა. გოგიტა ციხეს უყურებს, კარგი, აზრიანი ახალგაზრდა ბიჭია. მგონია, რომ ერთმანეთს კარგად შეეწყობით. შენ სულ რაღაც ერთი კვირა მოგიწევს აქ ყოფნა, მერე იზოლატორში გადაგიყვანენ. ჯემალ გოგიტიძეს უკვე დაურეკავს აქ უფროსთან. ტატო ყურადღებით უსმენდა მორიგე ოფიცერს. ახლა მიეცა პასუხის გაცემის საშუალება. პასუხი გასცა ყველა დასმულ კითხვასა და შემოთავაზებას, – მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, მაგრამ ჯერ იმ გოგიტას ჰკითხეთ, თუ გაახარებს ჩემი მეზობლობა და მთავარი კი ის არის, რომ ყელში მაქვს ამოსული მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობაც. ამას ისიც ემატება, რომ, არც განსაკუთრებული კომფორტის მოტრფიალე ვარ. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ისიც მასწავლა, რომ თუ არა განსაკუთრებული მიზანი, უბრალოდ ლამაზი თვალებისათვის, არავინ შეიწუხებს თავს, იმისათვის, რომ მე კომფორტულ გარემოში ვიცხოვრო, საუბედუროდ, ვერც თანამდებობის პირებსა და ელიტის წარმომადგენლებს ვენდობი, უბრალოდ ალბათ არ გამეგება მათი, ჩემი პირადი საქმიდან მიხვდებით, რომ დროის სხვადასხვა მონაკვეთში, სამ სხვადასხვა ყაიდის პრეზიდენტთან და მათთან დაახლოებულ პირებთან მიწევდა საქმიანი ურთიერთობა, მხოლოდ ზვიადისგან არ მახსოვს საკუთარი სიტყვის უარყოფა და გატეხვა, სხვა ყვე-

ლანი კი, ჩემი აზრით, ერთ თარგზე არიან მოჭრილები, ასე რომ, თქვენის ნებართვით მეც მათ საკანში დავბინავდები. ამ სიტყვების გაგონებაზე „მორიგე ოფიცერმა“ აშკარა გაოცება გამოხატა და იქვე შორიახლო მდგომ კონტროლიორს უთხრა: – რამინ, შეუშვი ეს ხალხი მეორეში და მერე „პრაგულკები“ დავიწყოთ.

ბათუმის ციხის № 2 საკანი – ეს იყო იმ დროისთვის სტანდარტული საცხოვრებელი ფართი ჩვეულებრივი რიგითი პატიმრებისათვის, რვა კაცზე იყო გათვალისწინებული, ნესტიანკედლებიანი ოთახი. ეტაპში მიყვანილი სამეულის მისვლის მომენტში, იქ უკვე ბინადრობდა ოთხი პატიმარი, ოთხი აჭარის მკვიდრი მოსახლე აღმოჩნდა.

სიმართლე უნდა ითქვას, და თბილისის „გუბერნსკი“ ციხიდან გადმოსულ პატიმარს, მიუხედავად საკნის უღიმღამო ხედისა თავი სამოთხის საპყრობილეში ეგონებოდა (ან კი თუ არსებობს სამოთხეშიც მსგავსი დაწესებულება?! მის თაობაზე. ჩანს, დაავიწყდათ ცნობის მოწოდება). შედარებაც კი არ შეიძლებოდა თბილისში 20 ადამიანზე გათვლილი ანალოგიური კომფორტის მქონე საკანში, როგორც წესი, მინიმუმ 60, ხშირ შემთხვევაში კი 90 ან 105 პატიმარიც კი „ეტეოდა“. ეტაპში ჩამოყვანილმა პატიმრებმა, უპირველეს ყოვლისა, ჯიბეები დაიცალეს და მაგიდაზე, საერთო ჯამში, ალბათ 3 კილოგრამამდე მანდარინმა მოიყარა თავი. შეუმჩნეველი არც ის დარჩა ვინმესთვის, რომ ყველაზე ტევადი ჯიბეები მახოს შარვალზე ყოფილა მიკერებული, სულ ცოტა 2 კილოგრამამდე მანდარინი გადმოიტვირათა მისი ჯიბეებიდან. ამ გადმოტვირთვის ოპერაციის დასრულების შემდეგ შედგა ჩამოსულთა და დამხვდურთა გაცნობის ცერემონია. „მასპინძელთაგან“ ყველაზე უფროსმა ითავა ამ პროცედურის დაწყება: – მე როსტომ ჩიკიროვი, ბათუმელი კაცი ვარ, წარმოთქვა მან და ახალ შემოსულებს სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა. მის მაგალითს მიბაძეს სხვებმაც. როგორც გაირკვა, დანარჩენი სამი ადამიანიც აჭარის სხვადასხვა რაიონის მკვიდრი იყო: ხუსიკა –სოფელ დანისფარაულიდან, ავთო აბაშიძე – სოფელ ციხისძირიდან, დათა სურმანიძე – სოფელ გილაძეების მკვიდრი ყოფილა. მოკლედ რომ ვთქვა, ამ პროცედურით სტანდარტულ

სიტუაციათა მინიმუმი ამოიწურა, ნამგზავრ სამეულს ახლა მხოლოდ კუთვნილ ნარებამდე მიღწევა და თავის დადება ჰქონდათ სანატრელი და ეს ოცნებაც მალე აიხდინეს.

გამოძინების მერე მოშინაურებისა და აკლიმატიზაციის ეტაპი დაიწყო ჩამოსულთათვის. ეს დიდ სირთულეებთან არ იყო დაკავშირებული, ციხე ხომ ყველგან ციხედ აღიქმება და... დაწერილი თუ დაუწერელი წესები ყველა ციხეში ერთნაირია, მნიშვნელობა არა აქვს მის გეოგრაფიულ ადგილსამყოფელს (ყოველ შემთხვევაში ეს პოსტულატი ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მყოფ ციხეთა მიმართებაშია მართებული).

ციხეში მყოფთათვის არსებობს ტაბუდადებული და ნებადართული სასაუბრო თემები, ამაში არაბუნებრივი არაფერია. „გრძელი ენა" ბევრ პატიმარს პრობლემათა სათავედაც არაერთგზის ქცევია. თუკი ვინმეს აინტერესებს მისი თანამესაკნის ციხეში ყოფნის მიზეზი, ამის გასარკვევად შეკითხვა შემდეგნაირად დაისმევა: — „რას გაბრალებენ, ძმაო?"

შეკითხვის დასმის ეს ფორმა მისაღებია, იმდენად რამდენადაც აქ თითქმის ყველას რაღაცა ბრალდება. ანალოგიური გამოკითხვის საფუძველზე ყველას ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა თუ ვინ და რატომ იმყოფებოდა „ბალანდის" კუთვნილ ულუფაზე, სავარაუდოდ, ყველა სხვა აქ მყოფებთან შედარებით როსტომს მოუწევდა ხანგრძლივად საუბარი (უეჭველი შეუსაბამისობა სახეზე იყო. კაცი თუ თაღლითია, ის არასოდეს იარაღს არ შეეხება და მით უმეტეს ყაჩაღობა მისთვის მიუღებელი საქმეა. და თუ არც თაღლითია კაცი და არც ყაჩაღი, მაშინ მას ციხეში არფერი ესაქმება. ესე იგი, იგი ჩასვეს იმიტომ, რომ ეს ვიღაცას დასჭირდა). ამას ემატებოდა ის ყურადღება, რაც ტატოს პიროვნებასთან მიმართებაში გამოიჩინა ციხის ადმინისტრაციამ. თვითონ ტატო კი თავისი ქცევით, მსჯელობის მანერითა და აზროვნების სტილით უფრო XIX საუკუნის არისტოკრატ-ჰუსარს ჰგავდა, ვიდრე ყაჩაღს ან თაღლითს, ერთი სიტყვით, აშკარა იყო, რომ ტატოს სოციალური სტატუსი აბსოლუტურ ოპოზიციაში ედგა მის პიროვნულ სტატუსს, მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ტატო ყველასთან მისთვის გასაგებ ენაზე მეტყველებდა და საკუ-

თარი არსებობით დისკომფორტს არავის უქმნიდა.

რაც შეეხება მახოს, ის თითქოს და ციხისათვის გაჩენილი ადამიანი იყო, პროფესიით ჯიბგირი, მოწოდებით კი — ავანტიურისტი. აქ თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.

ორიგინალობით ხუსიკა გამოირჩეოდა. სიმაღლით ერთი მეტრი და ორმოცდაექვსი სანტიმეტრი იქნებოდა. ნამდვილი აჭარელი გლეხი იყო. აქ ციხეში მეზობლის თხის „დაუკითხავად დაკვლისა" და მერე იმავე თხის ხორცისგან შემწვარი მწვადის შამფურით თხის კანონიერი მფლობელის მარჯვენა დუნდულში დაჭრისათვის მოაბრძანეს.

ნამდვილ უბედურ შემთხვევად შეიძლება აღთქმულიყო ავთო აბაშიძის პიროვნება (ასლანას გვარის შემარცხვენელის), მან მოახერხა და საკუთარ ძმას და ცალკე მამიდას მოტყუებით მანდარინი გამოსცინცლა და დატვირთული მანქანებიანად ერგნეთის მიდამოებში გაუჩინარდა. ერთი წლის მერე სტამბულიდან დეპორტით ჩამოაბრძანეს. რა თქმა უნდა, ფულიც შემოეჭამა, ნათესაობამ კი არც აცია, არც აცხელა და უჩივლეს, ასე რომ, სიცოცხლის ამ ეტაპზე მასზე მთავრობა უფრო ზრუნავდა, ვიდრე მთელი მისი სანათესაო და ოჯახი.

ხომერიკის შესახებ წარმოდგენა ყველას ერთნაირი ჰქონდა. ბიჭი რეალობამ შეიწირა! ეს ფაქტი იყო.

რაც შეეხება საკანში მცხოვრებ კიდევ ერთ პატიმარს, ის აქ ჯართის, უფრო კონკრეტულად, ელსადენების მოპარვისათვის იმყოფებოდა. დათა სურმანიძემ, ნუ იტყვით და, თურმე მთელი სოფელი თავის ოჯახის ჩათვლით ელექტროენერგიის გარეშე დატოვა სამი თვის განმავლობაში. როგორც კი ახალ კაბელს დაჭიმავდნენ ელექტროკომპანიის მუშები, თურმე ეს ჩვენი დათა უახლოესი 24 საათის განმავლობაში ჭრიდა და ხსნიდა ძაბვის ქვეშ მყოფ სადენს, მერე ბათუმში ნაწილ-ნაწილ გამოჰქონდა და ასე არჩენდა ცოლ-შვილს. სამჯერ განახორციელა მან ერთი და იმავე ხერხით კაბელის მოპარვის ოპერაცია. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ლითონის მიმღებ პუნქტში მისი მოპოვებული კაბელი --ოს თანამშრომლებმა პირადად ჩაიბარეს. თავად დათა კი ციხეში მიაბრძანეს.

სწორედ ასეთი შემადგენლობით არსებობდა საკანი №2, როგორც მინიმუმ, კიდე ერთი კვირის მანძილზე (თუკი გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ, ტატოს მოსალოდნელ გადაყვანას სამინისტროს იზოლატორში).

პატიმართათვის, განსაკუთრებით ჩაკეტილ სისტემაში, ციხეში ყოფნისას, უპირველესი ამოცანაა — არ ჩავარდნენ ქრონიკულ დეპრესიაში. ამ მოსალოდნელი საფრთხის პრევენციის მიზნით საკანში ყოველთვის ცდილობენ შექმნან, ხშირად ექსპრომტული სახალისო სიტუაციები. ახალმოყვანილები და დამხვდურები უკვე ერთ ოჯახად აღიქვამდნენ თავს. იშვიათად ვინმეს თუ აკითხავდა გამომძიებელი ან ადვოკატი. ტატო კი სამგზის ზედიზედ გაიყვანეს პაემანზე, ერთიმეორის მიყოლებით ცოლი, ყაინი, მისი ქობულეთელი მეგობარი, ნუგზარ ცინცაბაძე. რა თქმა უნდა, ხელცარიელი მასთან არავინ მოდიოდა (ან კი რამდენი გულშემატკივარი ჰყავდა ამ ბათუმის სიძეს?!). სამაგიეროდ პოლიციის მხრივ აჭარაში ჩამოყვანის მერე პირველ დღეებში ის არავის მოუნახულებია. ნაშუადღევი იქნებოდა, როცა ხუსიკას დაეწყო მორიგი დეპრესიის შემოტევა. ის საოცრად განიცდიდა იმას, რომ ძალზედ ტანმორჩილი იყო. მახლობლად მყოფ ადამიანს სთხოვა მოენიშნა კედელზე ლურსმნით მისი სიმაღლის მაჩვენებელი ზოლი. სამწუხაროდ, ხუსიკა უკვე ერთი თვის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა დაეფიქსირებინა საკუთარი სიმაღლის თუნდ მცირე მატება. ეს მისთვის უკვე ნამდვილ უბედურებად აღიქმებოდა. რა თქმა უნდა, ეს „უბედურება“ საკანში შეუმჩნეველი არავინ დარჩენია.

თითქოსდა წინასწარი განზრახვის გარეშე როსტომი ჩამოჯდა ნარზე, რომელზეც ხუსიკა იყო თავქვე გაშოტილი. როსტომმა ტატოს თვალი ჩაუკრა და თან დაიწყო ლაპარაკი: — მისმინე ტატო, შენ თბილისელი, განათლებული კაცი ხარ და იქნებ იცოდე რამე საიმისო წამალი, რომ კაცმა სიმაღლეში მოიმატოს?! ყოველივე ეს აბსოლუტური სერიოზულობით იყო წარმოთქმული. მცირე პაუზის შემდეგ ტატომაც ასეთივე სერიოზულობით გასცა პასუხი: — კი, ნამდვილად ვიცი, მაგრამ ეს უცხოური და საკმაოდ ძვირად ღირებული წამალია. არა მგონია, რომ ბათუმში იშოვებოდეს. ამ სიტყვის თქმა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის,

რომ ხუსიკა „მკვდრეთით აღმდგარიყო.“ წამოხტა ნარიდან და ჩანს, ვერ მოზომა, აშკარად ხმამაღლა დაიძახა: — „ტატო, ძამა, გთხოვ, მითხარი რა ჰქვია იმ წამალს. რაც არ უნდა ღირდეს, ახლა მანდარინობაა. სოფელში დავაბარებ მამაჩემსაც, ტაიასაც, ბაჯანასაც, ბულდუზსაც, ყაინსაც და ბათუმში თუ არ იქნება, თბილისიდან ან სულაც რიზედან ჩამოვატანინებ. შენ კი „მაყარიჩს“ გიკისრებ იმფერს, რომ... ტატო ნამდვილად არ მოელოდა მსგავს რეაქციას. პირველი, რაც კი მოახერხა ტატომ, ეს იყო კატეგორიული უარი ნებისმიერ „მაღარიჩზე“. ხუსიკამ ტატოსგან „მაღარიჩზე“ უარის თქმა, აღიქვა როგორც უარი წამლის სახელის გამხელაზე და კინაღამ ნამდვილი ისტერიკა დაემართა, მთელი საკანი ამშვიდებდა ხუსეინას და მთელი საკანი ეხვეწებოდა ტატოს, — ადამიანო, თქვი, რა ჰქვია იმ წამალსო.

უკან დასახევი გზა აღარ დაუტოვეს ტატოს. იცოდა ტატომაც, მეხსიერებაში გადაფურცლა ნაცნობ წამალთა სახელები. შეარჩია ნაკლებად ცნობადი და ხმამაღლა განაცხადა: — „ვიაგრა“ ჰქვია წამალს, „ვიაგრა“ ხუსიკამ კიდევ სამჯერ გაამეორებინა სანატრელი წამლის სახელი. ჩააწერინა კიდევაც.

იმ წუთიდან საკანში არალეგარულად შემოტანილ მობილურ ტელეფონს აღარ მოშორებია. მთელი საღამოსა და ღამის განმავლობაში მთელი მთიანი აჭარა, ქობულეთის რაიონი და ბათუმის შემოგარენი შეაწრიალა, ყველა ნაცნობ-ნათესავს კარნახობდა საჭირო წამლის დასახელებას. ერთი სიტყვით, ხუსიკამ ის ღამე თეთრად გაათენა. ელოდებოდა ახალი დღის გათენებას. ერთი სიტყვით, არსებობდა დიდი ალბათობა, რომ ეშოვნათ და მოეტანათ კიდევაც ის წამალი. როგორც იქნა გათენდა. მოლოდინად ქცეული ხუსიკა ახლა უკვე კარებს აღარ სცილდებოდა. სადღაც დღის ორი საათისთვის მოაკითხეს და პაემანზეც დაუძახეს. სანამ „ტანმოკლე ხუსიკა“ ნათესავ-ახლობლებთან იყო, საკანში მყოფებმა შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა. გადაწყდა — არ დაეშვათ, რომ „პაციენტს“ დღეში ერთ ტაბლეტზე მეტი წამალი გადაეყლაპა. თანაც როგორმე უნდა შეეკვეცათ „მკურნალობის“ კურსის ვადა. ვახო სერიოზულად ნერვიულობდა, — „ეს ხუსიკა მძინარებს ბუ-

ღასავით არ დაგვერიოს, თორემ მოსაკლავი ეგეც გამიხდება და როსტომასაც და ტატოსაც ზედ მივაყოლებო.“

სადღაც ერთ საათში საკნის კარებმაც დაიჭრიალა და საკანში გაბრწყინებული სახით ხუსიკამ შემოაბიჯა, ორ ჩანთას ძლივს მოათრევდა. ამის დანახვაზე როსტომმა შესძახა: – ღმერთო ჩემო, ნუთუ ორი ჩანთა „ვიაგრა“ მოგიტანეს, ხუსო? ხუსიკამ ჩანთები იქვე მაგიდასთან მიაწყო და სახეზე საზეიმო გამომეტყველებით, ჯიბიდან მთელი მუჭა მოგრძო ფორმის, ცისფერი ტაბლეტები ამოიღო. – აი, 28 ცალი მომიტანეს. ხუსიკამ თვალებით საკანში ტატო მოძებნა და მას მიმართა: – ტატო, ხომ მეყოფა ეს?! როსტომმა შეამჩნია, რომ პაციენტი მკურნალობის კურსის დაუყონებლივ დაწყებას ლამობდა და ამიტომ მაინც შეკითხვა დაუსვა ტატოს: – ხომ არ იცი, რამდენი ტაბლეტი და რამდენჯერ დღეში უნდა გადაყლაპოს პატარა კაცმა, რომ დიდი გახდეს? ტატომაც პასუხი არ დააყოვნა და ხუსიკას დღეში ერთხელ, დილაობით ურჩია წამლის მიღება. თან გააფრთხილა, რომ დოზის ზრდა დაუშვებელია, – უკუჩვენება იცისო. სანამ ტატო ხუსიკას „მოძღვრავდა“, საკნის იმ კუთხეში, სადაც მაგიდა იდგა, დათო, მახო და ავთო ემზადებოდნენ სუფრის გასაწყობად. მახო ჩანთიდან იღებდა პროდუქტებს და ბიჭებს აწვდიდა, თან უკომენტაროდ არაფერს სტოვებდა: – დაწნული ყველი, სახლში გამომცხვარი პურები, ცივად მოხარშული დედალი, ციკნის ჩაშუშული ხორცი, ალბათ ეს იმ ციკნის ხორცია, რომელიც მეზობელს მოპარა ხუსიკამ. აწი ალბათ სროკის ბოლომდე ასე უნდა გიზიდონ ეს ხორცი?! ამ სიტყვების გაგონებაზე როსტომმა შესძახა: – კი, მაგრამ ეგ თხის ხორცია თუ სპილოსი? მას მინიმუმ 6 წელიწადს მიუსჯიან, სულ ცოტა თვეში ერთხელ 3 კილო ხორცი რომ უზიდონ, ესე იგი, საერთო ჯამში, ის თხა მინიმუმ 226 კილოგრამს უნდა იწონიდეს. ამ სიტყვების გაგონებაზე ახლა მახოს აუტყდა სიცილი და თქვა: – ხუსიკამ დაზარალებული მეზობელი ეტყობა თავის თხებს სტაფილოსა და „ვიაგრას“ სალათის სახით აჭმევდა, ხოლო სამეზობლოს უმალავდა ამ რეცეპტს. ახია მის დუნდულებზე! ღირსი ყოფილა.

ამასობაში სუფრაც უკვე გააწყვეს და მთელი დამსწრე საზოგადოება მიპატიჟებულ იქნა მაგიდასთან. ხუსიკა კი ხელიდან წამითაც არ უშვებდა ცისფერ აბებს. როსტომმა მას თითქოს ძალით ჩამოართვა ეს „განძი" და ტატოს გადასცა. – მხოლოდ დღეში ერთხელ და ტატოს პასუხისმგებლობის ქვეშ. ეს სიტყვები წარმოთქვა როსტომმა და მკაცრი მზერა სტყორცნა ხუსიკას.

სადილობისას ყველა სხვა სასაუბრო თემასთან ერთად განიხილებოდა სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური კურსიც. ამაში განსაცვიფრებელი არც არაფერი იყო, კამერაში ხომ სამი გურული ცხოვრობდა. არადა გურულობა ხომ თითქმის პოლიტიკოსობის სინომიმია. ამას ისიც ემატებოდა, რომ გულის სიღრმეში ყველას ახარებდა შევარდნაძის ეპოქის დასასრული და ახალი ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში ყველას ჰქონდა იმედი სასიკეთო ცვლილებებისა. ჭორებიც დადიოდა, რომ სააკაშვილი დიდ და ყოვლისმომცველ ამნისტიას გამოუშვებს და თითქმის ყველა პატიმარს მისცემს შანსს ცხოვრება „სუფთა ფურცლიდან" დაიწყოსო. საკან №2-ში მყოფთაგან მხოლდ როსტომს არ სჯეროდა არც ხალხის საკეთილდღეოდ არსებული მთავრობისა საზოგადოდ! ტატო ამ კამათსა და დებატებში საერთოდ არ ერეოდა. ერთადერთი რაც მან თქვა ყველას გასაგონად, უფრო მეტად საკუთარი აზრის დაფიქსირების მცდელობა იყო: – „ყველა კითხვას მხოლოდ დრო გასცემს პასუხს. საბოლოოდ კი ყოველივე ღმერთის ნებაა. ჩვენც და ეს ახალი მთავრობაც საბოლოოდ მხოლოდ იმას მივიღებთ, რასაც დავიმსახურებთ. თუ ქვეყანა და ხალხი წელში გაიმართა, ხომ ეს მთავრობაც დღეგრძელი იქნება, თუ არა და, ესე იგი ადრე თუ გვიან მათაც გასაქცევად ექნებათ საქმე. მანამდე კი იქნებ სხვებზე მეტის დაშავება-გაფუჭებაც მოახერხონ.

ალბათ კიდევ დიდხანს გასტანდა ეს ტრაპეზი და მსჯელობა რომ არა მორიგე კონტროლიორის ხრინწიანი ხმა: – „პროვერკისათვის გაემზადეთ". ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კიდევ ერთი დღე გადააგორეს ბათუმის ციხის პატიმრებმა.

დღე დღეს მიჰყვებოდა. უკვე მესამე დღე იყო, რაც ხუსიკა „მკურნალობის ინტენსიურ კურსს“ გადიოდა. სამი თვის განმავლობაში მას დასჩემდა ბარბაცით სიარული და საპირფარეშოში დიდი ხნით განმარტოება. ეს უკანასკნელი კი გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა დანარჩენ საკნის შვიდსავე ბინადარს. საწყალ ხუსიკას ლამისაა აუჯანყდნენ კიდევაც. მახო განსაკუთრებულად გამოხატავდა აღშფოთებას. საკმაოდ ხანგრძლივი უცენზურო მონოლოგის თანხლებით ის ასკვნიდა ერთადერთ გამოსავლის არსებობას: — სხვა გზა არ რჩება, უნდა კარებზე ავტეხო ბრახუნი და კონტროლიორს ვთხოვო „მოსასაქმებლად“ მეზობელ საკნის ტუალეტში შემიშვას ან სულაც იმ მეზობელ საკანში პოლიტიკური თავშესაფარი მოვითხოვო. არა, ამის მოთმენა მეტად აღარ შეიძლება. ამ სცენამ რიტუალის ფორმაც კი მიიღო და დღეში ორ-სამჯერ მეორდებოდა. როგორც კი ვახო შეწყვეტდა მოთქმას, ხუსიკა ქანაობითა და ბარბაცით გამოდიოდა ტუალეტიდან. ამ სამი დღის განმავლობაში ამ „მთიანი აჭარის შვილმა“ აშკარად წონაშიც დაიკლო. ყველა აქ მყოფისათვის აშკარა ხდებოდა, რომ საჭირო იყო ამ ტრაგიკომედიის უმტკივნეულო, ლამაზი და თან კეთილი ფინალის სცენარის შექმნა. თან სასწრაფოდ!

ეს მისია ტატომ იტვირთა. დილიდან გადარაზულ კარის მიღმა ისმოდა, რომ ციხის „სამეურნეო ბრიგადას“ პატიმრების ძალისხმევით, რაღაც სარემონტო სამუშაოები ხორციელდებოდა დერეფანში. აშკარა იყო, რომ დერეფანში ჩამონგრეულ-ამონგრეულ კედელსა და ბეტონის იატაკს ლესავდნენ. ამ მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. „გასეირნების“ დაწყებამდე, სანამ ხუსიკა „ტუალეტის ოკუპანტად“ ევლინებოდა თანამოსაკნეებს, ტატოს თავმჯდომარეობით შედგა კონსილიუმი. გადაწყდა — ხუსიკა ყოველ მიზეზ გარეშე „ჰაერზე უნდა გაეყვანათ“ სასეირნოდ. ამასობასი კი საკანში დარჩენილები საფუძველს ჩაუყრიდნენ ამ ტრაგიკომედიის ფინალურ აქტს. წვრილმანებზე არავის გაუმახვილებია ყურადღება. ყველა ბრმად მიენდო ტატოს კომპენტენტურობასა და ორგანიზატორულ ნიჭს. დღის 12 საათზე „პრაგულკებიც“ დაიწყო და თითქმის ძალით მახომ და დანარჩენებმა ხუსიკა გარეთ გაიყვანეს. საკანში მარტო ტატო და როსტომი

დარჩნენ. მათ როგორც კი ყველა გაისტუმრეს, მაშინვე (რა თქმა უნდა, კონტროლიორთან შეთანხმებით. ეს შეთანხმება კი ერთი კოლოფი ვინსტონი ღირდა) საკანში მოიწვიეს დერეფანში მოფუსფუსე მუშები. და „მოწვეულთათვის" გაუგებარი მიზეზით, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ხუსიკას ჩვევად ჰქონდა საკუთარი სიმაღლის კონტროლის დაფიქსირება, ცემენტის 3-4 სანტიმეტრი სიმაღლის ფენა მოასხმევინეს და, რომ ეს თვალში საცემი არ ყოფილიყო, დანარჩენი ბეტონის იატაკიც მოასველეს (ვითომდა მორეცხეს იქაურობა). ამასობასში „პრაგულკისათვის" განკუთვნილი ერთი საათიც ამოიწურა და საკანში დაბრუნდნენ გასეირნებაზე მყოფნი. აზრადაც არ მოსვლია არავის იმის კითხვა, თუ რატომ იყო სველი იატაკი. სულ რაღაც 10-15 წუთში ხუსიკას ადვოკატმა მოაკითხა და ის გაიყვანეს კიდევაც. ეს კიდევ უფრო ადვილებდა ფინალური აკორდის მყარად შესრულებას. სრულიად შემთხვევით ტატომ როსტომს ხელში რუსული გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტი" დაუნახა: — „როსტომ, ხუსიკო რომ დაბრუნდება ეგ შენი გაზეთი მე მომაწოდე, თან კომენტარიც მოაყოლე: აი, ტატო, აქ რას წერენ-თქო". დანარჩენს კი მე თავად მივხედავო.

დღის 15 საათისთვის ხუსიკა დაბრუნდა საკანში. ახალი ამბავიც მოიტანა. მას ერთ კვირაში სასამართლო პროცესი ეწყებოდა. თურმე, ნუ იტყვი და, მოსამართლეს სულ რაღაც 5000 დოლარი მოუთხოვია და სანაცვლოდ ჩვენს ხუსეინას მხოლოდ 2 წელს მიუსჯიდნენ და სავარაუდოდ, გეგუთში გაამწესებდნენ. ასეთი ყოფილა აჭარელი „თემიდას" შემოთავაზება. ის იყო ხუსიკამ დაასრულა სიახლეთა თხრობა, რომ თითქოს ერთდროულად მახომ და როსტომმა დაიღრიალეს: — ტატო, ტატო, აბა ნახე აქ რას წერენო. და გაზეთი ჰაერში აფრიალდა. ტატომ მათ გაზეთი გამოართვა. თითქოსდა ყურადღებით კითხულობდა რაღაცას, მერე ხმაამაღლა წაიკითხა რუბრიკის სახელწოდება: „კომენტარიი ეკსპერტა" და თითქოსდა სინქრონულად თარგმნიდა. სტატიას, მცირე პაუზებით განაგრძო კითხვა: — „პრეპარატ ვიაგრას" ერთი სრული კურსის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს. იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებულმა მკურნალობამ სასურველ მიზანს მიაღწია, რაც გამოიხატება თუნდ 1-2 სანტიმეტრის სიმაღ-

ლის მატებით, კურსი უნდა შეწყდეს და მხოლოდ ერთი წლის შემდეგაა დასაშვები განმეორებითი კურსის ჩატარება. ძვალთა სისტემას უნდა მიეცეს საშუალება გამყარებისა. წაიკითხა რა ტატომ აღნიშული ტექსტი, გაზეთი თავად ხუსიკას გადასცა. ხუსიკას არაფერი გაეგებოდა რუსული დამწერლობისა და მიუხედავად ამისა, მაინც დააშტერდა ქაღალდს. იგი აღავსო დაუოკებელმა სურვილმა მისულიყო იმ კედელთან, სადაც იგი სისტემატურად ცდილობდა საკუთარი პარამეტრის გადამოწმებას. დიდი ხანი არც უფიქრია, წამოიჭრა და კედელს მიადგა და აი საოცრებაც, აღსრულდა მისი ნატვრა. მან აღმოაჩინა, რომ ძველი ნიშნული, სადღაც 3-4 სანტიმეტრით დაბლა იყო გახაზული, ვიდრე ახალი. ამ აღმოჩენამ მას ყველაფერი დააავიწყა. ადამიანი გაბრწყინდა. საკნის მოპირდაპირე კედლამდე მიირბინა და ისე ახტა, რომ თითქმის ჭერს შესწვდა. ამასთანავე, უცნაურ ხმას გამოსცემდა. იგი ეიფორიაში იმყოფებოდა.

დანახულმა მთელ საკანში უნებლიე ხალისი და სიხარულის ემოცია გაამეფა. ყველა აქ მყოფი რიგრიგობით მოდიოდა ხუსიკოსთან და ულოცავდა იმას, რაც ხუსიკას ასე ახარებდა. რატომღაც ყველასათვის გადამდები აღმოჩნდა ის დადებითი ემოციის ტალღა, რომელსაც ხუსეინი ასე ლაღად აფრქვევდა.

აი, ხუსიკ, შენი დარჩენილი 25 აბი. ამ სიტყვებით ტატომ დაუბრუნა ხუსეინს დარჩენილი აბები და ურჩია სახლში გაეგზავნა ისინი.

ამ სიტყვების გაგონებაზე ვახო აიჯაგრა და ალტერნატიული წინადადება წარმოთქვა: — ეგ წამალი აღარაფრად ივარგებს ერთ წელიწადში. დახედეთ ვარგისობის ვადას. ასე რომ, აქ გამოვიყენოთ და საერთო საქმეს მოვახმაროთ. ი რამინი რომაა კონტროლიორი, არც ის არის ძალიან მაღალი. აჯობებს მას მივცეთ და... — კი, მაგრამ რამინი უკვე 50 წელს გადაცილებულია და აბა, რაღა დროს მისი გაზრდაა? ამ სიტყვებით ჩაიჭრა საქმეში აქამდე ჩუმად მყოფი ხომერიკი. — ეჰ, აბა, შენ რა გესმის, ჯერ ამის მისახვედრად ძალიან ახალგაზრდა ხარ, სწორედ რამინის ასაკშია საჭირო რაღაც-რაღაცების ზრდა და ფეხზე დაყენება, თორემ ახალგაზრდებს ამისათვის დიდი ძალისხმევა და გარჯა

არ სჭირდებათ, — უპასუხა დათა ხომერიკს მახომ. მერე ხუსიკას 25 აბი გამოართვა და აღარ დაუბრუნა. „კარმუშკიდან" რამინს დაუძახა. რამინი და მახო ერთხანს ხმადაბლა რაღაცაზე ბჭობდნენ. როგორც ჩანს, შეთანხმებაც მიღწეულ იქნა და უკლებლივ ყველა ცისფერი აბი რამინს გადაეცა.

ეს დღეც განსაკუთრებული მოვლენების გარეშე დასრულდა (ყველაფერი ის, რაც ყურადღების ღირსი იყო, მოგახსენეთ). დისკომფორტს მხოლოდ ის ქმნიდა, რომ ელექტროენერგიის მოწოდება პერიოდულად წყდებოდა და საკანში სპირალების ჩაქრობასთან ერთად ტემპერატურაც უეცრად ეცემოდა. ხუსიკამაც აშკარად შვება იგრძნო. აღარც ტუალეტში იჯდა გამუდმებით და ძილიც მოეძალა, მთელი საღამო და ღამე ბალიშიდან თავი აღარ აუწევია. მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი კმაყოფილების ღიმილი უთრთოდა სახეზე.

2 დეკემბრის დილა კარგა ხნის გათენებული იყო, როცა თავად ციხის უფროსის მოადგილე ეახლა მეორე საკანს და ბრალდებულ თავაძეს აუწყა, რომ ხვალ მას გადაიყვანდნენ სამინისტროს იზოლატორში. მოვლენათა განვითარების ალბათობის შესახებ მან არაფერი იცოდა. ამ სიახლემ გარკვეულწილად გაახარა და დააღონა კიდეც ტატო. ერთი მხრივ, რაც უფრო მალე გაირკვეოდა სიტუაცია მის „ბოროტმოქმედებათა" დასჯადობასთან თუ დაუსჯელობასთან დაკავშირებით, უკეთესი იქნებოდა მისთვისაც და მისი ოჯახისთვისაც. ხოლო, მეორე მხრივ, ტატოს რატომღაც უჭირდა ამ მხიარული საზოგადოების მიტოვება. ურთიერთობათა უშუალობა და უბრალოება ყოველთვის დეფიციტური იყო იმ გარემოში, სადაც ტატოს უწევდა ცხოვრება.

ნაშუადღევს გადაცილებული იქნებოდა, როცა ყველასათვის მოულოდნელად საკანის კარმა გაიჭრიალა და კარის ზღურბლზე რამინმა გადმოაბიჯა. მის გამოჩენას დღეს არავინ ელოდა. დღეს ხომ მისი დასვენების დღე იყო. რამინს სახეზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა, ხელში კი ტურისტული ზურგჩანთა ეჭირა. მან მახოს ტვირთი მოაწოდა და იქვე უთხრა: — მალადეც! მაინც

ვალ'ში ვარ თქვენთან, ჭო!" ამის დამნახავ პატიმრებს მოთმინება აშკარად ღალატობდათ. ყველას აინტერესებდა ამ გახეხილ-გაცრეცილ ზურგჩანთის შიგთავსის რაობა. ვახოს ეს ინტერესი შეუმჩნეველი არ დარჩენია. ზურგჩანთა დემონსტრაციულად მაგიდაზე შემოდო და ნელ-ნელა დაიწყო ჩანთის გამოშიგნვა. ყოველივე ეს ხდებოდა კომენტარების თანხლებით. — მაშ ასე, რამინი კაცური კაცმა მოგვიტანა: 3 ლიტრიანი ბოთლა, სავარაუდოდ, ჭაჭაა, ერთი „ალუმინის კასტრული" ბორანო, ერთი პლასტმასის ჯამი, სავარაუდოდ „სინორი", 5 ცალი აჭარული ხაჭაპური, ერთი ცელოფანი „ოლთა ნახადა" აჯიკა, 4 ცალი შოთის პური, დაბოლოს, ერთი ნაჭერი ვიჩინა. ეს ყველაფერი მაგიდაზე დაალაგა და მიპატიჟებას არავინ დალოდებია. როსტომმა სხვა ყველაზე ადრე გაახმოვანა დასკვნა: — თუ ვიმსჯელებთ „მაყარიჩის" შემცველობიდან და შინაარსით, განა მარტო კონტროლიორი რამინი, არამედ მისი ცოლიც კმაყოფილი დაგვრჩა, ბიჭებო.

ამ დასკვნამ საკანში თავშეუკავებელი სიცილ-ხარხარი გამოიწვია. მხოლოდ ხუსიკა ვერ ხვდებოდა თუ რა აცინებდა ყველას. მაგრამ სხვათა ხათრით, მანაც გაიღიმა.

ქართველ კაცს ჭირშიც და ლხინშიც ყოველთვის თან სდევს პურმარილის ტრფობის ნიჭი. გამონაკლისი შემთხვევა არც საპატიმროშია. ამის დემონსტრირებისათვის კი საკან №2-ში ყველა წინაპირობა სახეზე იყო. თამადობა ტატოს შესთავაზეს. როსტომმა მერიქიფეობა ითავა. მისი თვალზომა უნიკალურია. ერთ წვეთ ზედმეტ სასმელს არ ჩაასხამს ჭიქაში. უეჭველად დიდი პრაქტიკა ჰქონდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ტრადიციული ქართული პურ-მარილი არატრადიციულ ვითარებაში შედგა. ღმერთს მადლობა უძღვნეს, საკუთარი ოჯახებიც დალოცეს, სიყვარულიც ადღეგრძელეს, მიცვალებულებსაც მიაგეს პატივი, და თავისუფლებაც უსურვეს ერთმანეთს. სასმელის ზღვრული რაოდენობა რომ არა... თუმცა ყველა კმაყოფილი დარჩა, თუ არ ჩავთვლით როსტომს. მას აშკარად არ აკმაყოფილებდა მიღებული ალკოჰოლის რაოდენობა.

ის-ის იყო ნასუფრალი ალაგდა, რომ სადღაც დერეფნის ბოლოს გაისმა კონტროლიორის ხმა: — „პრავერკისთვის გაემზა-

დეთ“, ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ ეს დღეც თვალსა და ხელს შორის მიილია. რა თქმა უნდა, ამ დროის სწრაფმავლობას რამინის „ჭაჭამაც“ შეუწყო ხელი.

საღამოს დარჩენილი მონაკვეთი საკანში მყოფთათვის ნოსტალგიის საათებად იქცა. ყველა საკუთარ ნარზე იყო წამოწოლილი და აზრით სადღაც შორს იყვნენ გადახვეწილები. ვიღაც წარმოსახვაში საკუთარ ოჯახში ტრიალებდა, ვიღაც ცოლ-შვილს ესიყვარულებოდა, ვიღაც კი საკუთარ მშობლებს იკრავდა გულში და მიტევებას სთხოვდა.

მხოლოდ როსტომი ვერ პოულობდა ადგილს, საკანში განუწყვეტლივ წინ და უკან დადიოდა, თან სიგარეტს აბოლებდა.

ძნელია ადამიანის სულში ჩაწვდომა, როსტომი ხომ 53 წლის მარტოხელა ადამიანი იყო. ოდესღაც სპორტსმენი, მერე მეზღვაური, ბოლო დროს კი ბავშვთა საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი, ცხოვრებისეულმა სირთულეებმა, ახალ რეალობასთან შეუგუებლობამ საბოლოოდ სასმელს დაუმონა. ამ სასმელმა კი ისეთი რამ ჩაადენინა, რისი დაჯერებაც თავადაც უჭირდა, მაგრამ ან კი მოიძებნება დედამიწის ზურგზე ადამიანი, ვისაც ააღელვებს ამ ადამიანის სატკივარი, საფიქრალი და სადარდებელი?! – აი, სწორედ ამის შეგნება არ აძლევდა მოსვენების უფლებას ამ ბათუმელ კაცს. ცხოვრება რთული რამაა!

3 დეკემბრის დღეც გათენდა. ჩვეულებრივი დღე, მაგრამ ტატოსთვის გარკვეულწილად უჩვეულოც და მნიშვნელოვანიც კი. მიუხედავად წუხანდელიდან გამოყოლილი მსუბუქი ნაბახუსევისა, ტატო ცდილობდა გარეგნულად არაფერი დამჩნეოდა. რატომღაც წარამარა მაჯაზე საათს აშტერდებოდა. მოლოდინის რეჟიმში არცთუ დიდი ხნის განმავლობაში მოუწია ყოფნა, დღის 1 საათი იქნებოდა, როდესაც საკნის კარებმა გაიჭრიალა და ახალმოსულმა რამინმა თავაძეს აუწყა: – ტატო, შენთან სამინისტროს გამომძიებელია მოსული. გაემზადე, აწი წაგიყვანენო.

ტატოს სხვა აღარაფერი რჩებოდა, სათითაოდ ყველა თანამოსაკნეს დაემშვიდობა. ყველას წინასწარ მიულოცა დამდეგი 2004 წელი და, როგორც წესი, ყველას მოულოდნელი თავისუფლებაც უსურვა. ამ გამომშვიდობების პროცესში ყველას არგუნა თავი-

სი წილი კუთვნილი სითბო, კეთილმოსურნეობა და ყველასაგან უკლებლად თავადაც აღიქვა კუთვნილი სიკეთის მუხტი (ამქვეყნად ხომ ცალმხრივი ყველაფერი უაზრობაა).

დერეფნის ბოლოში, სამორიგეოსთან ტატოს ორი უცხო მამაკაცი ელოდებოდა და მის დანახვისთანავე ორივემ ერთმანეთს შეხედა. თითქოს უსიტყვოდ სცადეს ერთმანეთისაგან მიეღოთ დასტური მათკენ მომავალი პატიმრის იმ ტატოსთან იდენტურობა, რომლის წასაყვანადაც აქ იყვნენ მოსულები.

ტატოც გაუსწორდა მათ. ერთ-ერთმა მათგანმა ტატოს აუწყა, ის იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი გამომძიებელი, გვარად რურუა, ხოლო მისი თანმხლები ადამიანი იყო ოპერმუშაკი. წარდგენის შემდეგ პატიმარი და პოლიციელები ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ ერთმანეთს. უფროსმა გამომძიებელმა ტატოს შესთავაზა მანქანაში ჩამსხდარიყვნენ და იქ ესაუბრათ.

პოლიციელმა ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელს ტატოს საბუთები გამოართვა, ჟურნალში რაღაცაზე ხელი მოაწერეს და სამივემ, ტატომ და ორმა პოლიციელმა გეზი ციხიდან ქუჩაში გამავალი კარებისაკენ აიღეს. გასასვლელში ორიოდ წუთითაც შეყოვნდნენ. „საკონტროლო პუნქტის" მორიგეს რაღაც ქაღალდი წარუდგინეს, რის შემდეგაც მორიგემ ქუჩაში ასასვლელ კარებთან გისოსი გახსნა და სამივე ქუჩაზე გამავალ კიბეზე დაეშვა. გაუთვითცნობიერებელ ადამიანს მათ დანახვაზე ეგონებოდა, რომ სამმა ნაცნობმა ადამიანმა ვიღაცა მოინახულა ციხეში და ახლა ალბათ სახლში ბრუნდებიანო.

ტატომ განცვიფრება ნამდვილად ველარ დამალა, როცა იქვე ახლოს დაინახა 528-ე სერიის შავი „ბმw" სახელმწიფო ნომრით 555. ეს მანქანა ხომ ასლან აბაშიძის პირადი დაცვის უფროსისა და ტატოს კარგა ხნის ნაცნობის, ოდესღაც მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტიდან პარალელურ კურსელის კონსტანტინე მიხაელოვიჩის მანქანა იყო. არც კოსტია და არც მისი პირადი მძღოლი არ ჩანდნენ. მანქანასთან ვიღაც მამაკაცი იდგა და ციხიდან გამოსულ სამეულს თვალს არ აცილებდა.

მალე ტატოს განცვიფრება გაოგნებაში გადაიზარდა, როცა იმ მანქანასთან მდგომმა მამაკაცმა მამის სახელით მიმართა, მიესალ-

მა და სამივე მომხდურს თავაზიანად სთხოვა მანქანაში ჩამსხდარიყვნენ. ტატოს თანმხლებ პოლიციელებს მან უკანა დასხდომა შესთავაზა, ხოლო ტატოს უთხრა: – თქვენთან სალაპარაკო მაქვს და წინა სავარძელზე დაჯექითო.

სულ რამოდენიმე წუთში შავი „ბმვ“ ბათუმის ქუჩებში მისრიალებდა. მანქანაში მსხდომთაგან არც ერთმა კაცმა არ იცოდა თუ სად მიიყვანდათ ის გზა, რომელზეც იმ წამს გადაადგილდებოდნენ. ყოველს განსაზღვრავდა საუბრის შედეგი.

ჩინელებს ერთგვარი წყევლა აქვთ: – „გეცხოვროთ ცვლილებათა ჟამს“ და ვიდრე ადამიანში არსებობს იმედი, რწმენა და სიყვარულის აღქმის უნარი, ვერავითარი წყევლა და ჟამთაცვლა ვერ დააკნინებს მის მშვენიერ აზრს.

დაიხსომეთ აქ თქმული, დანარჩენში დრო გაგარკვევთ, ტატო კი ამჟამად ქ. რუსთავის ს/ა-ის დაწესებულების ბინადარია.

მამაშვილობა

ეძღვნება მამაჩემისა და ჩემი ძმის –
ბესო და ვანო მოსიაშვილების უკვდავ ხსოვნას.

„მამა! აქამდე ვერ დაგიკავშირდი, დაგტანჯე, შეგარცხვინე, სოფელში თავი მოგჭერი, ჩემი არსებობის ძალიან მრცხვენია:...

მამიკო, მე ბათუმში არა ვარ, არც არსად არ ვმუშაობ. აქამდე ფულს რომ ვაგზავნიდი, ყოველთვის არასწორი გზით იყო ნაშოვნი.

არ ვიცი, როგორ გითხრა, თუ შეძლებ გამიგე. რა მექნა?! ქმარი აღარ მყავს, შენ და დედა თითქმის 70 წლისები ხართ, მოხუცებს ორი შვილი შეგატოვეთ. სახლში ათასი რამ გჭირდებათ, ბავშვები, მათი ჭამა, ჩაცმა, სწავლა, თქვენი წამლები... ტვინი გამეთიშა, გონება დამებინდა და საკუთარი სხეულით ვაჭრობა დავიწყე...

მამა! ვიცი, შენი სახელი ვერ დავაფასე! ვერც ჩემი ძმისა და ქმრის უკანასკნელი თხოვნა ვერ შევასრულე.

ახლა?! ახლა ციხეში ვარ. ქურდობისათვის დამიჭირეს, ალბათ ოთხი წელი ვერ გნახავთ, ერთადერთი სათხოვარი მაქვს. გეხვეწებით, შენ და დედა თავს გაუფრთხილდით, ჩემი შვილებისათვის დიდხანს უნდა იცხოვროთ. მე პატიებას არ ვითხოვ, პატიება არ მეკუთვნის.

დამიკოცნე დედა და ჩემი ჩიორები, გთხოვ, მიშოსა და ანის ნუ ეტყვი სიმართლეს, არ მინდა შერცხვენილებმა იარონ.

თეა“

ონისემ ალბათ ასჯერ მაინც წაიკითხა უცნობისგან მოწერილი წერილი. ფიქრობდა, არა, ეს ჩემი შვილის წერილი არ არისო, მაგრამ შინაგანი ხმა პასუხობდა, რომ სწორედ თეა იყო

წერილის ავტორი. სახლისკენ მიმავალს ახალი დარდი შემოაწვა. საკუთარ თავთან ბუტბუტებდა: „რა ვქნა, უთხრა ცოლს თუ არა, ვაი და ვერ გადაიტანოს?! წვალობდა საუკუნეს მიღწეული მოხუცი, – ბავშვებს დედა სჭირდებათ, დედა კი ციხეში ჰყავთ. ბებია ხომ მაინც უნდათ პატარებს?! მიშო, ანი, გენაცვალოთ პაპა, თეამ თუ დააშავა, რა ბავშვების ბრალია?

– ეხ, შვილო რატომ? რატომ მოხვდი ამ დღეში შენ მოგიკვდეს მამა! ვიცი, გრცხვენია, – მეც მრცხვენია. მაგრამ რა ვქნა?

– გაგკიცხო?! – მაშ რა ვქნა?

– არ გაგკიცხო?! – როგორ მოგიწონო, შვილო საქციელი...

– ძმა და ქმარი კი არ უნდა დაგეკარგა იმ საშინელ ომებში, მე და დედაშენი უნდა მოვმკვდარიყავით.

– ახლა დედაშენს რა ვუთხრა? დედაკაცს გული როგორ გავუხეთქო... არა, არ ვეტყვი და მორჩა.“

მოხუცი სოფლის ორღობეში შეჩერდა, ერთხელ კიდევ წაიკითხა წერილი, ცეცხლი მოუკიდა და დაწვა. ცოტა შვება იგრძნო, გულზეც მოეშვა, გზას დინჯად გაუყვა. ახლა უკვე სხვა საფიქრალი ჰქონდა. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში დედაბერი საქმიანად დაფუსფუსებდა. ახალგაზრდა ბიჭების ფოტოებს გულდასმით წმენდდა. ამდენი წმენდით გადიდებულ სურათებს, ჩარჩოებზე შავი საღებავი სულ მოშორებოდათ. ონისე სამფეხა სკამზე იჯდა და რაღაც წერტილს უაზროდ მისჩერებოდა.

– ონისე! გესმის კაცო! ფქვილი გველევა, შაქარიც აღარ არის, აღარც ცხიმი გვაქვს. სექტემბერი მოდის და ჯერ შეშაც არ გვიყიდია. ამბობენ, დიდი ზამთარი იქნებაო. მალე სკოლაც დაიწყება, ბავშვებს ფეხსაცმელები და წიგნები უნდათ. ნეტა, რას ფიქრობს თეა, ზაფხულმა გადაიარა, ის კიდე არა ჩანს. ფულიც არ გამოუგზავნია უკვე რამდენი ხანია... შენ ხომ არ გაგიგია რამე ახალი? – ქლოშინით შეეკითხა თამარი ქმარს.

– არა.

– უნუგეშოდა ხარ? – არ ეშვება დედაბერი.

– არა.

– ონისე მოხდა რამე?

— რა მოგივიდა, დედაკაცო, რა უნდა მომხდარიყო? — გაღიზიანებული პასუხობს მოხუცი.

— აბა, თეაზე არ ჯავრობ?

— არა.

— რა არა? — გაოცებული დააცქერდა დედაბერი ქმარს.

— არ იდარდო, კვირის ბოლოს გამოგიგზავნის!

— გაიგე რამე? ჩემი შვილი როგორ არის? — კითხვები დააყარა ქალმა.

— ჰოო, კარგად არის, სამუშაო არა ჰქონია, ახლა უშოვია: ჰა, დამშვიდდი, დედაკაცო?

— ეჰ, ასე დამშვიდდეს ჩემი ოჯახის დამაწყევარი, საცოდავი გოგო, მოუკვდეს დედა, ოცი წლის დამიქვრივდა, ჯერ ძმა მიაბარა მიწას, მერე მთასავით ქმარი მოუკვდა. მაინც არ გატყდა: ღმერთო! ცათა სასუფეველი დაუმკვიდრე...

— დედაბერი ვიშვიშით მივიდა ხატების კუთხესთან, სანთლები დაუნთო მიცვალებულს, ონისემ კი თუთუნი გაახვია და აივანზე გავიდა. გარეთ აგვისტოს სასიამოვნო ღამის სიგრილე სუფვდა, მთელი დღის სიცხეს ნიავი ცვლიდა. ალვის ხეების შრიალი საცოდავ მუხასაც წარსულში აბრუნებდა, ფიქრთა ჟამი იწყებოდა:

„აგერ ის არის, მესამე ალვის ხე, თამარას ცოლობა იქ ვთხოვე; მერე, რა ბედნიერები ვიყავით. ორი შვილი, ჩემი მიშო და თეა... რა ლამაზი ბავშვები იყვნენ. მიშო, ჩემო მამაცო შვილო. მამაშეენი ცოცხალია“ შენ კი?! შენ ომმა გიმსხვერპლა, შენმა მოძმემ მოგკლა, ყოველთვის ვამბობდი, მოძმეთა ომში გამარჯვებული არ არის-მეთქი! მაგრამ დამიგდე ყური?!

— ამ ფიქრებით აფორიაქებულმა მოხუცმა ცას მიაბჯინა მზერა, თითქოს ეძებდა შვილის ხატებას — მერე, თეა გამითხოვდა, რა კარგი სიძე მყავდა, რა ბედნიერები იყვნენ ბავშვები, თავისი შვილებით ხარობდნენ, მეც ცხოვრებისაკენ მომიბრუნდა გული. მაგრამ რაც გაწერია კაცს, არ აგცდება. სიძე მეორე ძმათა მკვლელმა ომმა იმსხვერპლა და დამრჩა სახლში ოცი წლის ქვრივი შვილი, ორი შვილიშვილით.

ეხ,შენ მოგიკვდეს ბებერი მამა, თეა!

სად ხარ? რა გისოსებმა უნდა გაუძლოს შენს ცრემლებს, შვილო, რა ცოდვამ მიგიყვანა მაქამდე... რა ვუთხრა დედაშენს? კვირის ბოლოს ფული საიდან მოვუტანო? როგორ ავუხსნა ბავშვებს, როგორ მივხედო ჩემი დაჩაჩანაკებული მუხლებით ოჯახს. რა ვაჭამო ბავშვებს ან შენ როგორ დაგაგდო უპატრონოდ მაგ ჯოჯოხეთში?!"

— ონისე! — გამოსძახა ოთახიდან თამარამ.

— ჰო, დედაკაცო აქ ვარ!

— შემოდი, მთელი დღის მშიერი ხარ! —ჰო, მოვდივარ!

ოთახში მრგვალ მაგიდასთან თამარამ ნედლი ლობიო, პამიდორი და მწნილი შემოიტანა. ანიმ პური მოაცუნცულა და პაპას ბუზღუნით შესჩივლა:

— იცი? ბებომ დღეს ხაჭაპური არ გამოაცხო, ასე თქვა ყველი აღარ არისო. პაპამ შვილიშვილს ღიმილით შეხედა. აგულიანებულმა ბავშვმა გააგრძელა: — ქათამი არ დაკლა, ასე თქვა თეა დედიკო მარიამობას ჩამოვა ღამეო და მერეო. მე კიდე ახლა მინდოდა.

— პაპას ქალო! ხვალ დაგიკლავს ოღონდ არ იცელქო, ხო? — ბავშვმა უდარდელად დაუქნია თავი, შეკუნტრუშდა და სამზარეულოსკენ გაქუსლა. მოხუცი კი ისევ ფიქრებმა წაიღო: „მე მამა ვარ? მე უნდა ვჭამო და ჩემი შვილი ახლა რას ჭამს?...

— ჭამე, ონისე, ჭამე, — ისევ ჩაეძია ფიქრებში წასული მოხუცი.

— ხო, ხვალ ბავშვს ქათამი დაუკალი, ბევრი არ მალაპარაკო.

— მოგიტლიკინა ენა? ეს ჭინკა, დავკლავ აბა რას ვიზამ.

მალე ოჯახი ძილისთვის მოემზადა, ბავშვები ლოგინში ბებიასთან მოკალათდნენ და უდარდელად ამოუშვეს ფშინვა, არ ეძინა მხოლოდ ონისეს. მთელი ღამე ბორგავდა, უმისამართოდ ეძებდა გამოსავალს, გამთენიისას ჩაეძინა. სიზმარში გარდაცვლილი შვილი და სიძე გამოეცხადა. მიშო მიუახლოვდა მამას, მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „მამა, ეგ ქვა გულიდან მოიხსენი და მოგეშვება, ხომ გაიგე, მამა, ჩემი ქვა მოიხსენი, ჩემი ქვა, ჩემი ქვა," — ექოსავით ესმოდა ხმა ონისეს, სიძეც ულიმოდა და თავს უქნევდა.

უცებ მოხუცი გამოფხიზლდა და ხმამაღლა შესძახა:

— მარტო აღარ ვარ, ჩემი ბიჭები ჩემთან არიან!

— მე მითხარი რამე ონისე? — გამოსძახა თამარამ.

— არა. დაიძინე.

სოფლის ორღობეში, მოხუცი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. უკვე აღარ ფიქრობდა. ზუსტად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

ორი საათის მერე, სოფლის გაღმა სასაფლაოსთან მდებარე მარმარილოს საამქროსთან ონისეს ქვის ხელოსნებმა, ორი ათას ხუთასი ლარი ჩაუთვალეს.

მამამ შვილის საფლავის ქვა გაყიდა!

ოჯახი უნდა გადაერჩინა!

ზამთარი ახლოვდებოდა!

თეასა და ბავშვებს პატრონობა უნდოდა!

ცოტა ხანში პაპა შვილიშვილებს ტკბილეულით მიადგა სახლში.

— დედამ გამოგიგზავნათ! — თამარამ ქმარს დაეჭვებით შეხედა, ონისემ მოკლედ უთხრა: — მერე აგიხსნი! ხვალ თბილისში მივდივარ. თეა უნდა ვნახო, მასაც ვჭირდები.

— აკი ბათუმშიაო? — დაეჭვდა დედაბერი

— ახლა თბილისშია. — მოუჭრა სიტყვა ქმარმა.

მეორე დღე:

ონისემ ციხეს მიაგნო.

გისოსებს მიღმა საყაროში დარჩენილი თეა ნახა. ჩაეხუტა!

დარცხვენილ შვილს თავი მაღლა ააწევინა და მშვიდად უთხრა:

— არ იდარდო, შვილო! ეს ცხოვრებაა... ხან გიხარია, ხან გწყინს. ხან აღმა მიდიხარ, ხან დაღმა ეშვები. უშეცდომო არავინ არ არის. მთავარია შენი შვილების წინაშე იყო მართალი. — შენ ჩემი სისხლი ხარ! რაც არ უნდა დაგეშავებინა, მუდამ მოგიძებნიდი გამართლებას, არ მიგატოვებ, არ გაგწირავ, ხელს არა გკრავ, მე შენთანა ვარ. ისეთი მიყვარხარ, როგორიცა ხარ! ყველაფერი დროებითია. ისევ მოვა შენთან გაზაფხული! მთავარია სხვას არ დაემსგავსო, მუდამ გახსოვდეს, შენ შენა ხარ! მე და შენ ერთად

გადავლახავთ ამ ტკივილს! ჩვენ მარტო არა ვართ, ჩვენთან შენი ძმა და ქმარია! ახლა მომიყევი როგორა ხარ? რა გიჭირს, რა გჭირდება?

P.S არ ვიცი სხვა ეპოქაში როგორი იყო დედაშვილობისა და მამაშვილობის ინსტიტუტი.

მაგრამ ვიცი, რომ გაჭირვების დროს დედები ვიშვიშებენ და გაგვკიცხავენ შეცდომებზე, მამები, პირიქით, გამოსავალს ეძებენ...

მოხუცი ონისე ერთი ეპიზოდის გმირი არ არის, ონისე ყველა პატიმრის მამაა!

სწორედ ამიტომ არის ჩემი მოხუცი განსხვავებულიცა და თან ძალიან ნაცნობიც.

უშენოდ გზები არეულია

მინდა გაკოცო ახლა თვალებზე,
მინდა თითებზე ხელი შეგავლო, —
მინდა გიყვარდე! უშენოდ ვერ ვძლებ,
მინდა ლოყაზე ლოყა დაგადო!
მინდა ტუჩებით დაგიშრო ცრემლი!
მინდა თვალებში შენ ჩაგახედო
    და დავინახო ცრემლები შენი!
    შეხედე ცრემლებს...
ჩახედე, სცივათ ახლა,
ჩახედე! ჩემს სულს ფერი უცვლია,
უშენოდ მე ის! მე ის აღარ ვარ!
და გზებიც ჩემი — არეულია...

* * *

როცა ფიქრები გროვდებიან ნიალვარივით,
თავში აზრები ვერ პოულობს ვერსად გასაქანს,
როცა სიცივე გულში გხვდება იანვარივით,
მაშინ შენი გზაც მიდის, მიჰყვება უცხო ქარავანს.
ლოცვას დაიწყებს, წლები გავა უცებ წამივით,
ორომტრიალში ვერ ახერხებს თავის გატანას,
შენთვის უცნობი ტანჯვა-წამება ჯერ არ ჩაივლის,
შენს ცოდვილ სულში ფესვი გაუდგამს ბოროტ სატანას.
უიმედობა დღეს იქნება შენი მეგზური,
ხვალ უკვე ცოდნა გამოგადგება მხოლოდ ცოდნისთვის,
უსამართლობას ვერ გაექცევი შენ უბედური
და თუ ისჯები, ისევ და ისევ შენი ცოდვისთვის.
თვალს რომ გაახელ და აღმოჩნდები უფსკრულის პირას
უფსკრულის — სადაც, გისოსებს მიღმა... არის სამყარო,
თავს რომ დააღწევ ბოლოს და ბოლოს წარსულის სიზმარს,
გვიან მიხვდები, ეს მძიმე ჯვარი როგორ ატარო.

მე ერთი მიყვარს ამქვეყნად

მე სიყვარულის მონა ვარ, მითვე ვარ თავისუფალი,
ჩემი თავისვე მტერი ვარ, მუნითვე ჭირისუფალი,
მე სიმართლეში მტერი ვარ, ამისთვის დამსჯის უფალი,
მარტოობაშიც მარტო ვარ, ცვლადშიც ხანდახან უცვლელი.
 მე ერთი მიყვარს ამქვეყნად, სხვანი წარსულში დავფალი,
 ჩემთვის ის ერთადერთია, მძულს სხვათა გამონაცვალი,
 ის სანუკვარი განძია, ვარსკვლავი ამომავალი,
 ჩემი ოცნების კოშკია, გრძნობათა შთამომავალი.
მისთვის მოვიკლებ სიამეს, სხვა დანარჩენი გმირობით,
თუნდაც დამჭირდეს მტკიცება: სიტყვით, საქმით და პირობით;
თვალს არ ავუხვევ უნიჭო, მოჩვენებითი ზრდილობით,
ეცდი, მასთან მთელი სიცოცხლე გავლიო სიამტკბილობით.
 „სიყვარულს მალვა უხდების“ – არ დაეთანხმო ძნელია,
 მისკენ სავალი ბილიკი ჯერ კიდევ გასავლელია,
 რაც წინ მივიწევ მით უფრო, მრავალი განსაცდელია,
 ყველაზე ცუდი ის არის, გზის ბოლოს რომ არ გელიან...
თავიდან ვიწყებ ყველაფერს, ზურგს უკან ნაკვალევია,
მე ერთი მიყვარს ამქვეყნად... მას კი, ვინ? გასარკვევია...

ქარი აიწეწა

ამინდი ცივია, ქარი აიწეწა,
ხეებს აუტეხა ერთი რია-რია,
მე შენმა მონატრებამ, შენმა სიყვარულმა,
მაგრამ? ეს ქარი რაღამ გადარია!
    შენი სიყვარულის ყველა ასლი მინდა,
    ვიცი! რომ გიყვარვარ,
    მაინც შენთან მინდა,
    ჩემო სიყვარულო, შენთან ყოფნა მინდა!
რა ვქნა, რა ვიღონო, რითი მიგახვედრო,
უშენოდ ყოფნა ჩემთვის რა ძნელია,
იცი? შენს გარეშე, ჩემო სიყვარულო,
ჩემი სიცოცხლე ხომ არაფერია!
    ბედი რომ გაჩუქო, ბედი მე სადა მაქვს,
    ტანჯვა მოგიძღვნა და ტანჯვა რა ძღვენია,
    მიიღე ჩემგან ეს კეთილი გული,
    ამ ცხოვრებისგან ესღა დამრჩენია!
ამინდი ცივია, ქარი აიწეწა,
ხეებს აუტეხა ეროი რია-რია,
მე შენმა მონატრებამ, შენმა სიყვარულმა,
მაგრამ ეს ქარი რაღამ გადარია!

ლამაზი ქალი

იჯდა მდუმარედ ცხელ ბუხართან ლამაზი ქალი,
გარეთ კი თეთრი ფანტელები თოვდა და თოვდა,
იყო სიჩუმე, მოგონება, ფიქრები მკრთალი,
ყინავდა, ქარი გაბუტული ზუზუნით ქროდა!
თუმცა იცოდა, არასოდეს დაბრუნდებოდა,
მაინც ელოდა, უსასრულოდ ძლიერ ელოდა,
და რომ ეთხოვა, მის ლოდინში დაბერდებოდა,
თოვდა თეთრად უსასრულოდ, სულში ბნელოდა!
ფარდა გასწია, ქარისაგან იდგა ქაოსი,
კვლავ მოაგონდა წარსული და წამით გაფითრდა,
ბოლმა მოაწვა ამ დაწყევლილ სააქაოზე,
მერე ფიქრები გაიფანტა დაბურულ ცაზე!
ქრებოდნენ ისე, როგორც ჩვენ ვქრებით ცხოვრების გზაზე,
დგებოდა ღამე მოლოდინით, უსაზღვროდ ვრცელი,
და მიდიოდა მის გარეშე ახალი წელი...
იჯდა მდუმარედ ცხელ ბუხართან ლამაზი ქალი,
გარეთ კი თეთრი ფანტელები თოვდა და თოვდა!!!

ბედის ირონია

გრძნობებში ჩემი პრინციპულობა არ მღალატობს... იმიტომ, რომ ჩემი მძიმე ცხოვრების მიუხედავად — მე ხომ მაინც ქალი ვარ...

ძლიერი — მაგრამ შენს მკლავებში უსუსური....

გონიერი — მაგრამ შენს პირისპირ დაბნეული...

მიზანსწრაფული — მაგრამ შენთან მიმართულება დაკარგული...

წაიკითხავ და იფიქრებ — ჩემი თავი ამოვიცანიო, მაგრამ არა, შენ — საყვარელ მამაკაცს არ გეკუთვნის ეს სიტყვები... ბედის ირონიაა, აბა, რა — ასეთად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა მაქცია...

ჰომოსაპიენსი

ღალატი?
— ღალატი რა მოსატანია,
მტერი ხარ საკუთარი თავის.
— სიძვა?
— სიძვა ხომ სასაცილოა,
ბინძურ წყალს ეწაფები მალვით.
— მკვლელობა?
— მკვლელობა — თვითმკვლელობაა;
— შური?
— ბუშტია შხამის;
რა სჯობს სიყვარულს, უმანკოს, სპეტაკს,
გავსებს მოვარისებრ,
გათბობს მზესავით...

თუ არ გინდა, რომ სამყაროს მოსწყდე –
ღვთიურ გაგებით,
ღმერთების ენით,
იყავი უბრალოდ – ადამიანი!

...მაგრამ ერთხელაც, კვლავ უშენოდ გადავიზამთრე!

სევდა მაწვიმდა,
ცრემლებისგან მეწვოდა ღაწვი
ნაღველი მკლავდა –
გულის ფეთქვა ყელთან მებჯინა;
უშენობისგან დატანჯული –
მსერავდა ზრახვა;
ბოროტებისგან ანთებული –
მოუსვენრობა, ბობოქარ აზრთა...
– მაგრამ ერთხელაც,
კვლავ უშენოდ გადავიზამთრე!

დიალოგში გამხელილი აღსარება
(ნაწყვეტი)

– თემა გრძნობებია...
– გრძნობები?
– არასოდეს არ მეზარება გრძნობებზე საუბარი, მე ამ გრძნობებით მოვედი ამ ქვეყანაზე, გავიზარდე და ვიცხოვრე, გაგრძელებასაც ასე ვაპირებ.
– გრძნობათა მეუფე – სიყვარული იყო ყოველთვის ჩემი მეგზური. იმას არ ვამბობ სხვა, რაღაც სატანურს არ შევუწუხებივარ-მეთქი, მაგრამ ყველა ურთიერთობაში, ცუდშიც და კარგშიც, მხოლოდ სიყვარული მამარჯვებინებდა და მმატებდა ბედნიერების უკვდავ მუხტს.

— სხვა, სხვა გრძნობები, რომელიც გაწუხებს, გაწვალებს და გიბიძგებს ბოროტებისკენ — შური, სიძულვილი, გაუმაძღრობა, 'შურისძიება... რამდენია, რაც შინაგანი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის 'შემთხვევა'ში რაღაცნაირად ბატონობს პიროვნებაზე?

— გააჩნია შინაგან მოთხოვნილებებს ვინ როგორ ხედავს და ვინ როგორ აფასებს.

— ჩემს შეხედულებებს გრძნობებსა და განცდებზე სამ ეტაპად დავყოფდი, თუმცა იმედი მაქვს კიდევ ვიცოცხლებ და ეს ეტაპები გაიზრდება და სულიერად უფრო ამაღლდება.

— საინტერესოა, ბრძანეთ.

პირველი ეტაპი ეს ბავშვობის წლებია, როცა სამყაროში ყველაფერს ვარდისფერ და ცისფერ ფერებში ხედავ; როცა ღრმად გწამს და გჯერა, რომ ყველა გიყვარს და ყველას უყვარხარ; როცა ყველა ურთიერთობა გულიდან ნაკარნახევი დიდი სიყვარულით არის მონაპოვარი; როცა გონება — რომელსაც ევალება აწონ-დაწონვა, შეფასება ან გადაფასება, კალკულატორის ფუნქცია შენაძენისა და დანაკარგის, ფინანსური გაანგარი'შება და გარიგება, და. ა.შ — არაფერ შუა'შია. ამ ეტაპზე ყველაფერის მმართველი მხოლოდ გულია და წრფელი სიყვარული, ეს არის დრო, როცა ერთნაირად შეიძლება დაიხარჯო — როგორც წამიერი ბედნიერებისთვის, ისე მარადიულისთვის.

მეორე ეტაპი — ვთვლი, რომ საკმაოდ რთული პერიოდია ჩემი ცხოვრების. მიზნად დასახული — „მტკიცედ დავიცვა ათი მცნება“ — ისე ჩამემსხვრა და ისე აღმოვჩნდი რეალური ცხოვრების დიდ ჭაობში, რომ გააზრებაც ვეღარ მოვასწარი.

— არა, არა და არა... მოდით, ყველაფერს ჩემეულ ახსნას მოვუძებნი და ერთად ვიმსჯელოთ...

— როდესაც ვიცით, რომ ღმერთმა ადამიანი 'შექმნა სულითა და ხორცით — რა გვემართება? რატომ ვზრუნავთ მარტო ხორცზე და არა სულზე? ალბათ იმიტომ, რომ გვჯერა — ყველა ღმერთის შვილები ვართ და მოგვცემს საკმარის დროს იმისთვის, რომ გავაფუჭოთ და მერე გავაკეთოთ, ანუ ყველა მანკიერი მხარე გამოვასწოროთ.

— არადა ჩვენი ნება არ არის? ხომ შეიძლება „გაფუჭების“ გარეშე ვიცხოვროთ? მაგრამ „აკრძალული ხილის“ ცდუნება ადამ და ევას მოდგმას ბოლომდე გვაწვალებს...

— ჩემი გამზრდელი ბებო მეტყოდა ხოლმე: — „აქაური ცხოვრების ტკბობა ბოლომდე უნდა განიცადო, რომ იქაურისა რამე გაიგოო“, — დარწმუნებული ვარ ამ ტკბობაში ის განიხილავდა სიკეთეს, სიყვარულს, პატიოსნებას, — რომელიც გაჭირვების თუ დალხინების დროს ერთნაირად თანამდევი უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრების, მაგრამ ვიტყვი ღიად — ბევრჯერ ვყოფილვარ ეშმაკის მსახური და..... და უფრო მეტიც...

— უფრო მეტიც? ეს როგორ?!

— როცა მიხვდები, რომ საკუთარ აზრებზე ისევე ხარ პასუხისმგებელი, როგორც ქცევებზე — ადვილად წარმოიდგენ შავ კუპრში როგორ იხრჩობი და სულში რამდენი წყლული გაქვს მოსაშუშებელი...

— სიყვარული, სულიერი მეგობრობა და ბოლოს გარდუვალი სექსუალური კავშირი საპირისპირო სქესთან. ეს კავშირი სიყვარულისა და მეგობრობის ფონზე აუწერელი ნეტარება და ბედნიერებაა, სხვა შემთხვევაში კი — უდიდესი შეურაცხყოფა.

— ჰო, სულ ვამბობდი, შემთხვევითი კავშირი დასაფასებელი რომ იყოს, დედის გინებაზე ახალგაზრდები ერთმანეთს აღარ დახოცავდნენ. პირიქით — შემგინებელს დიდ მადლობას გადაუხდიდნენ. მაგრამ რეალურად რა ხდება, რისი მსხვერპლნი ვართ?!

— ძალადობის?

— სიძულვილის?

— არა, ჩემი აზრით, ცხოველამდე დაყვანილი ინსტინქტების, რომელსაც რაღაც ეტაპზე თავის ნებაზე ვუშვებთ და აღარ ვაკონტროლებთ.

— და რატომ ხდება ასე?

— უბრალოდ არასწორად მიღებულ გადაწყვეტილებაზე გაბრაზებულნი ძიების პროცესში ვერთვებით და ვახრჩობთ სულს ბოლომდე, რაღაც ეტაპზე თუ არ გამოვფხიზლდით, ჯოჯოხეთი გარანტირებულია...

— როგორც გაუაზრებელი ჭამაა სხეულისა და ჯანმრთელობის დამანგრეველი?!

— ჰო, დაახლოებით...

— წარმოგიდგენიათ, სული ამ დროს რა დღეშია და უმთავრესი-ნაყოფი, შვილი ჩვენი სიყვარულის ნაყოფი — რომელიც სიძულვილის, შურისა და ბოროტების საწყისად გვევლინება და ხელოვნური მშობიარობის (აბორტი) აქტით კიდევ ერთხელ ვხვდებით ათი მცნების „დამრღვევნი.... მკვლელები...საშინელებაა...“

— ისევ „აკრძალული ხილის“ განსაკუთრებული არომატი და ამოუცნობი გემო, რომელსაც უფსკრულისაკენ მიჰყავს კაცობრიობა...

— თუ გაუცნობიერებლად მოხდა?

— გაუცნობიერებელ შეცდომას ღმერთი ყოველთვის გვპატიობს.

— ამაშია უბედურება: რომ იცი ფასი ამპარტავნებისა და სიმდაბლის: ერთმნიშვნელოვნად გრძნობ სიძვას და ეთაყვანები უმანკოებას: ცდილობ ყოველგვარი ანგარების გარეშე გაიღო მოწყალება: გინდა მრისხანება დაფარო და გამოავლინო სიმშვიდე: იცი, რომ შენი ტვინი კუჭზე არ გადის და მარხულობ: ეტრფი სიყვარულს და ცდილობ ამოძირკვო შური: სურვილი გაქვს სასოებით შეხედო სამყაროს და როგორც შემოქმედის უდიდესმა გენიამ, ისე წარმოაჩინო თავი, მაგრამ... მაგრამ... იცი რა შეგნებულად აფუჭებ — აი, სად არის ამ ეტაპის მთელი სიმძიმე — შეგნებული დანაშაული...

— თავისუფლებისთვის იბრძვი...

— ამ მცნებებიდან, რომელიმე წარმოუდგენელი რომ ყოფილიყო და უმოქმედო, ღმერთი მითითებას ხომ არ გაგვიკეთებდა?

— ჰმ? გამოსავალს ეძებ?

— თავისუფლება აღვირახსნილობა არ არის, თავისუფლება სუფთა სულის სინარნარეა, წმინდა განცდების სიფარფატე და, უპირველეს ყოვლისა, ღმერთის სიყვარული...

— გამოსავალი იპოვე?

— სწორი გზა გენიშნა?

— იცი, რითი უნდა დაიწყო?

— ან როგორ აპირებ გაგრძელებას?...

— თითქოს ერთი ძლიერი ხელის გალაწუნებით გამოვფხიზლდი და ფართოდ გავახილე თვალები — ვიცოდი, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ჩემი ცხოვრების 35-ე შემოდგომა იდგა მთელი თავისი მომხიბვლელობით, — თათა გათხოვდა, ჩემი პატარა თათა, რომელსაც სულ რაღაც მე-17 შემოდგომა ჰქონდა — მისთვის გაზაფხულის უმანკოებით დახუნძლული... მე გადავედი ჩემი გრძნობების მე-3 ეტაპზე... და დაიწყო სულ სხვა ცხოვრება... პასუხისმგებლობის უმაღლესობა...

* * *

შობის ღამე დგებაო, სასწაული ხდებაო,
წმინდა სანთელს ავანთებთ, ფანჯრის სარკმელზედაო,
შობის ღამეს მოვიხმობთ
დედა ღვთისმშობელსაო,
სახლი მისი სტუმრობით,
მადლით აგვევსებაო.
შობის ღამე დგებაო,
ქრისტე იბადებაო!
ყველა სასწაული ხომ შობის ღამეს ხდებაო...

კუკას
(ვუძღვნი 26 წლის გარდაცვლილი ძმის ხსოვნას)

წერილი შენი...
წერილი შენი...
არც ისე დიდი,
არც ისე ვრცელი,
წერილი მძიმე
წერილი მწველი,
გულში სევდა და
სულში ნაღველი.
წერილი შენი...
წერილი შენი...
ტკივილი შენი,
გრძნობები შენი.
სიტყვები წრფელი,
ცრემლებით სველი,
მრავლისმთქმელი და
მრავლისმეტყველი,
წერილი შენი...
წერილი ცხელი,
განა წერილი?!
უფრო ანდერძი...
დამშვიდობებით დედის და ძმების,
სინანულით და თხოვნებით წრფელით.
გლეხურად ვწერო –
წერ როგორც ბრძენი,
არ გამწიროთო
შენდობას ელი.
სიყვარულს ელი...
იმედით ელი...

ბავშვურად თბილი,
ბავშვურად წრფელი,
და იყო რასაც პირველად წერდი,
უკანასკნელი წერილი შენი.
წერილი შენი
აწ უკვე ჩვენი...
ტკივილი ჩვენი
იარა ჩვენი.
და ასე თბილი
ღიმილით შენით,
მარადისობის ზღვას შეუერთდი.
ჩვენ გვენატრები და უფლის რწმენით
შეხვედრას შენთან ნათელში ველით.

* * *

პატიმარი ვარ, ყველამ იცოდეს
გულში მინთია დიდი ხანძარი,
მე ალბათ ლოცვა თუ გადამარჩენს,
ან ჩვენი უფლის წმინდა ტაძარი.

* * *

ყოველთვის როცა ოცნებობ,
ყოველთვის როცა მარტო ხარ,
იცოდე, რომ მე მიყვარხარ,
იცოდე, რომ მე მახსოვხარ.

როცა გული დუმს

ვერ შევიყვარებ, ვერ შეგიყვარებ
როცა გული დუმს,
ნურაფერს ნუ მთხოვ, არ შემიძლია
როცა ტკივილი ჩემზე მეტია,
ისმის ფიქრებში, ისმის ყვირილი
სახეს მისერავს როცა ცრემლები,
როცა დუმილი ჩამაკვდა გულში
ვერ შეგიყვარებ, არ შემიძლია,
შენი სიშორე ჩუმად დამცინის
შენი ფიქრები სხვასთან ცეკვავენ,
მე თვალთმაქცობა არ შემიძლია,
შენი სიშორე ჩუმად დამცინის
შენი ფიქრები სხვასთან ცეკვავენ,

მე თვალთმაქცობა არ შემიძლია,
ვერც საკუთარ გულს ვერ მოვატყუებ,
როცა გული დუმს, მინდა იცოდე
ვერ შეგიყვარებ, ადამიანო.

ქარები არ ჩანს

არ გაუმართლა ვიღაცას კიდევ
დღეს კიდევ ჩაქრა ერთი სანთელი,
დაიმსხვრა ხიდი, მოკვდნენ ფიქრები,
ნეტავ რა იყო ამის მიზეზი.
ვიღაცას ბედმა ისევ უმტყუნა
და გამოსტაცა ბედნიერება,
სახეში სილა გააწნა ისევ,
ისევ ძაძებში შემოსა ისევ!
ტირის თვალები და არცა ტირის,
სულმთლად დამსკდარა, ცრემლი დამშრალა.
ქარები არ ჩანს, სადღაც გამქრალნან
თან წაუღიათ იმედი ხვალის.
— არა, ცხოვრება არაფრად არ ღირს
უიმედოდ და რწმენის გარეშე.

ავაგებ ტაძარს

უკან წაიღე ეს სიყვარული
შენ ხომ სხვისი ხარ, უკვე სიცოცხლე,
შენ ხომ დედა ხარ სხვისი შვილების,
წაიღე უკან ეს სიხარული!
მე შენ მიყვარდი, შენ არ გესმოდა,
შენ არ გესმოდა ჩემი ფიქრების,
მენატრებოდი, გეძებდი ყველგან,
გეძებდი სანთლით, დღისით და ღამით.

მე შენს სახელზე ავაგებ ტაძარს
და ამ ტაძარის გავხდები ბერი,
მუხლდაჩოქილი ვილოცებ შენთვის,
იმ სიყვარულზე, იმ იარებზე,
შენ რომ მაჩუქე და მისახსოვრე.
მე ამ ლოცვაში, გავლევ სიცოცხლეს,
გავლევ სიცოცხლეს, შენზე ლოცვაში.

ანაორთქლი

ქვიშით სასახლეს ვაშენებდი ციცაბო კლდეზე,
ცრემლით ზღვას ვქმნიდი უდაბნოში,
მაგრამ ამაოდ!
ფიქრი მინდოდა მენახა ცხადში,
მინდოდა შენთან მეცეკვა ვალსი,
მაგრამ ამაოდ!
დრო ჩემ სავალ გზად გადაშლილიყო, ესეც მინდოდა
ხან მომავალში, ხანაც წარსულში ვისეირნებდი,
ბედიც მორჩილად გამომყვებოდა,
მაგრამ ამაოდ!
მე ხომ ამ ქვეყნის ერთი უბრალო
ანაორთქლი ვარ...

1991 წლის დეკემბერი

მე ვიზრდებოდი ტანჯვით ამ ომში
ხელ-ფეხ შეკრული სნეულებისგან
და მე ვიყავი უძლური მაშინ,
რომ გამომსტაცეს სიკვდილს ხელიდან.
დილა თენდება თითქოს მზიანი
და სნეულებაც ბრძოლით მარცხდება,
ღამე ნატანჯი ცრემლების ზღვაში,
ჩემს მოლოდინში დილა გათენდა.

* * *

პირველად, როცა შენ დაგინახე,
პატარა ქალო, თვალებხატულა,
იმ წამსვე მივხვდი, ჩემო ძვირფასო,
რომ ერთად ყოფნა ღმერთმა გვარგუნა.
მომაჯადოვა შენმა თვალებმა,
შენმა ღიმილმა, ჩემო ფერია.
და მაშინ მივხვდი, ამ ქვეყანაზე,
შენზე ძვირფასი არაფერია.
შენი ლამაზი ბროლის კისერი,
შენი ტუჩები „მალინის“ ფერი,
მომენატრები სარკმელს გავსცქერი,
შენს გამოჩენას ყოველდღე ველი.
მჯერა, რომ მოხვალ, პატარა ქალო,
ჩემო ლამაზო, თეთრო ფერია,
ამქვეყნად, კარგო, მინდა იცოდე,
შენზე ძვირფასი არაფერია.

* * *

მტრობის ქარცეცხლში გახვეული ტირის მამული,
ხმალაღმართული დაქვითინებს დედა ქართლისა.
გაწყდა ქართველი, დაგვიმონა უღმერთოებმა!
ცა ჩამოიქცა, ცა იბერიის, ცა სიმართლისა.
    გლოვობს თამარი ოქროს ცრემლით ბეთანიის კარს,
    დიდგორის ველი შეიმოსა გმირების სისხლით!
    კლდეებს ასკდება მტკვარ-ენგური, ვით ერის ცრემლი
    დღეს საქართველო აღვსილია უდიდეს ზიზღით!
და დაისაჯოს ღვთიური ძალით კარის შემმტვრევი!
კარი ღვთის სახლის, რომელიც ახლა გათელილია,
დღეს საქართველო დაიმონა მხოლოდ ქართველმა!...
დღეს წიწამურთან ხელმეორედ მოკლეს ილია!!!

ალსარება

ისევ უნიჭოდ ვრითმავ სტრიქონებს,
ისევ შემაშრა ხელ'ში მელანი,
რა ფუჭად მიჰქრის წლები საჭირო
ვერ დაეწევა ტატოს მერანი.
    გზადაგზა ვტოვებ სისხლის ნაკვალევს,
    კვლავ რომ მიპოვოს ჭირმა, ვარამმა,
    მე ბედისწერამ ხრამ'ში ჩამაგდო
    და ჩამირაზა რკინის დარაბა.
დაეპატრონა ჩემს გულს ეშმაკი,
'შორს არის სულის ხსნა სასწაულით!!!
ჯოჯოხეთს ხარობს ეშმას შვილები
და გაუმართავთ დღესასწაული!
    მოვა დრო, არვის გავახსენდები,
    ცოდვილს საფლავი არ მეღირსება!
    სვავმაც დაჯიჯგნოს ჩემი სხეული...
    თქვენ არ გათელოთ ჩემი ღირსება.
გიტოვებთ ლექსად ჩემს გულისნადებს,
გთხოვთ არ განმსაჯოთ, იქაც განმსჯიან,
ამქვეყნიური ცოდვების გამო
მე სამუდამოდ მწარედ დამსჯიან.
    მე ველოდები იმქვეყნად წასვლას,
    სიკვდილის ზარი ჩამოჰკრავს მალე,
    პატიებას ვთხოვ ყველა სულიერს
    ჩემი არსებით ვინც გავაწვალე.

წერილი მეგობარს

მე ახლა გაგიმხელ ჩემსა ოცნებას,
ახლა გაიგებ ჩემ გულთა ნადებს,
ნეტავ მანდ ვიყო
არ დავეჭირე.
ტკივილი მახრჩობს,
რომ დაგვაშორეს,
ახლაღა ვხვდები თქვენსას სიყვარულს,
ბევრი რამაც კი შესასწავლი მაქვს,
ირგვლივ სიმარტოვე,
ირგვლივ სიცივეა,
ცაზე ღრუბლებია,
ოცნებები უთვლელია.
დარდები, ბოლმები
ერთად იმდენია,
მოყოლა ძნელია,
არ მინდა დავიწყო,
გიჟუნა, ბიჭუნა
რამ გადარია,
ალბათ მიხვდები ჩემსა ტკივილებს
და გაამართლებ ჩემსა ოცნებებს.

ლამპიონებზე

ლამპიონები გზას მინათებენ,
მშობლიურ ქალაქს რომ ანათებენ,
მიედივარ მარტო გზა აბნეული,
სიყვარულისგან მისკდება გული.
მე გზად შევნიშნე ლამაზად მდგარი
ქრისტიანების წმინდა ტაძარი
მინდა მივიდე, რაღაცა მიჭერს
ეშმაკი თავში სხვა ფიქრებს მიჩენს.

ღვინო

ღვინოს არ უყვარს შეჯიბრი, დოღი,
მას მოფერება უნდა ქალწულის,
ღვინო ლექსია, ტკბილი ჩაკრულო,
ალმაფრენა და ბოჰემა სულის.
გორული მწვანე, ლალი, თავკვერი,
რქაწითელი თუ ცოლიკაური,
ზომით დალიე, თაფლად შეირგე,
ნუ მოგერევა ვაჟკაცს ბახუსი.
თავქარიანსა კაცსა ხარბად მსმელს,
ცხვირს შეუღებავ წითლად ინითა,
დაატრიალებ, თავქვე აბრუნებ,
ჭინკა ეშმაკის ბორბალივითა.

* * *

ეგ შენი მხრები მაგონებს, ვაზო,
გამრჯე ბერკაცის მკლავებს დაკუნთულს,
შენ'ში ზეიმობს მიწის ბარაქა
უხვად გიხუნძლავს ტოტებს დაღარულს.
ყურძნის მარცვალი ცის ალმასია,
მტევნის ნაჟური სამოთხის წყარო,
საკმარისია პეშვი დალიო,
ძალა მოგეცეს, გულმა იხაროს.
შენით იწყება ქეიფი, ლხინი,
სუფრა ფასდება დიდებულ ღვინით,
ჭკვიანი კაცის წამალი ხარ და
უგნურთ შემრცხვენი, მლანძღავი ტვინის.

ალბათ შენგან ვართ დაბადებულნი,
ძარღვებში შენი სითხე ჩურჩულებს,
ძალა გვეძლევა გოლიათური
და სიყვარულის ღმერთი ჩურჩულებს.
შენით ვაჟკაცი უნდა ზეობდეს,
ქეიფობდეს და ენამზეობდეს,
სიტყვებს და აზრებს ტკბილად ქარგავდეს,
ღვინოს არ უყვარს შეჯიბრი, დოღი,
მას მოფერება უნდა ქალწულის.
ღვინო ლექსია ჩაკრულო,
სიყვარული და ბოჰემა სულის
გორული მწვანე, ლალი, თავკვერი,
რქაწითელი თუ ცოლიკაური,
ზომით დალიე, თაფლად შეირგე,
თორემ იციან შუაკური.
თავქარიანსა კაცსა ხარბ მსმელსა,
ცხვირს შეუღებავ წითლად ინითა,
დაატრიალებ, თავქვე აბრუნებ,
ჭინკა ეშმაკის ბორბალივითა.

გზა – გასაყართან

მომეძალება, სევდა ძლიერ მომეძალება,
გამახსენდება, ის ბავშვობა გალაღებული,
წარსულმა ისე გაირბინა ვერ მოვასწარი,
მეთქვა სიმართლე და სევდისაგან დავცლილიყავი,
    სოფლის შარაზე ფეხშიშველას თუ გირბენია,
    თუ გითქვამს მაშინ, რას ფიქრობდი ბავშვური ფიქრით,
    შენ რა იცოდი, წუთისოფელი რას გიმზადებდა,
    გზა-გასაყართან მიხვიდოდი ან რა გელოდა,
ბურუსი, ნისლი, შავი ღრუბელი, ეკლიანი გზა,
აი, განვლილი წუთისოფლის რუხი ბილიკი,
ო, ღმერთო ჩემო, რა სასტიკი არის ცხოვრება,
ამ ცხოვრებაში აღარ დარჩა ჩემი ადგილი.
    მივდივარ, ვტოვებ, წუთისოფლის საკალ ბილიკებს,
    უკან მომყვება, დარდი დედის ცრემლები წმინდა,
    და რა იქნება, ამა სოფლის, სევდის მორევში
    ჩაიძირება მწუხარება, დარდი ეული.
წავიდა, გაქრა, აქ მთავრდება ჩემი წარსული,
მოგონებები გადაუფრენს სოფლის შარაგზას,
გამახსენდება ჩემი ბავშვობა გალაღებული,
და ჩემი გული დაელოდება განაჩენს ღვთისას!...

ცხოვრების გზაზე

საკანში ფიქრებს, ღამეული ზმანება ერთვის,
დროის ფაეტონს ჩაუვლია ცხოვრების გზაზე,
თავისუფლების გაღმა ნაპირზე დედა მომელის,
უბედურების ქარავანს კი არ უჩანს ბოლო...
    ტყუილი, ბოღმა, ისევ ტკივილი აღარ დასრულდა,
    სულს ეუფლება მწუხარება, სევდა და დარდი.
    მთვარის სონატას თავდავიწყებით სატანა უკრავს,
    რა საზარელი არის ღამე ალბათ არ გესმით.
იმედი მოკვდა, ბრძოლის თავი აღარ მაქვს თითქმის,
გულის სიღრმიდან ჩემი ცხოვრება, ტკივილი მესმის,...
ალბათ ასევე, თუ დამივიწყებთ არც მაგას ვდარდობ,
ამ ღამით უკვე აუცილებლად წარსულში ვრჩები!..

შალვა ლოლაძე (კაცხელი)

* * *

თუ გინდა რომ დაწყებული საქმე,
დასრულო ლამაზად და მშვიდად,
მაშინ კარგო წუთისოფლის გიჟებს
თავი უნდა მოაჩვენო გიჟად.
არ დაფიქრდე თუ რა იყო გუშინ,
სიამაყის დავიწყება გმართებს,
გაიხსენე, თუ როგორი ტანჯვა
მოუმზადეს ბრძენებსა და მართლებს.
დაივიწყე ყოველგვარი შიში,
გადახურე გულში გრძნობის კარი
და სიკეთე გააკეთე ისე,
რომ ვერავინ მოგატანოს თვალი.
არ უცადო არასოდეს ჯილდოს,
ჯილდო არის გულში ძრახვა კარგი,
დანარჩენი ჭუჭყი არის მიწის,
უბრალი და ძალზე მძიმე ბარგი.
თუ გინდა რომ დაწყებული საქმე
დაასრულო ლამაზად და მშვიდად,
მაშინ კარგო წუთისოფლის გიჟებს
თავი უნდა მოაჩვენო გიჟად.

ძვირფასო ბავშვებო
(ჩანახატი)

„ძვირფასო ბავშვებო, მინდა თქვენ მოგმართოთ თხოვნითა და ვედრებით, თქვენ უცოდველებო, პატარებო და ლამაზებო.

შეხედეთ ამ ზეცას, მიწას, მზესა და მთვარეს, ნახეთ რა ლამაზია ეს ყველაფერი, შეხედეთ, საყვარლებო, რა მშვენიერია სიცოცხლე, ცხოვრება. ახლა დაფიქრდით, დაფიქრდით, რატომ არის ირგვლივ ამდენი გაჭირვება? გეტყვით. ჩვენ, წინა თაობებმა ჩვენი ცოდვებით ღმერთი განვარისხეთ. მან ზურგი გვაქცია. ჩვენ ეშმაკმა გვძლია, გვძლია იმიტომ, რომ ისარგებლა ჩვენი სისუსტით, ჩვენ ჩვენი გულები სიამაყით, შურითა და მტრობით ავივსეთ და დავივიწყეთ უფლის განგება. იცოდეთ, ღმერთის ძალა სიყვარულია. გთხოვთ, გული აივსეთ სიყვარულით, შეიყვარეთ ერთმანეთი, შეიყვარეთ ცა და ქვეყანა, შეიყვარეთ მცენარეები და ცხოველები.

თუ თქვენი სულები, თქვენი გულები სიყვარულით აივსება, ეშმაკი დამარცხდება, ირგვლივ მხოლოდ სიყვარული და სიხარული იქნება, დედამიწა სამოთხედ გადაიქცევა.

გთხოვთ, არ დაუშვათ ის შეცდომები, რაც ჩვენ დავუშვით. მტრობითა და შურით სულს დაიღუპავთ. სიძულვილი ეშმაკის იარაღია. ჩასჭიდეთ ხელი ხელს, ჩვენო იმედებო, გაივსეთ გული სიყვარულით, მოუბრუნეთ გული უფალს.

თქვენ შეგიძლიათ იხსნათ სამშობლო, იხსნათ დედამიწა ეშმაკისაგან. თქვენ შეგიძლიათ იხსნათ ყოველი არსებული არარსებობაში დაკარგვისაგან.

გთხოვთ, გვაპატიეთ ჩვენც, თქვენს წინა თაობებს ჩვენი უძლურება და ეშმაკზე დამორჩილება.

ქარვებს დაუთოვია

ოდეს ტკბილად მარები
მზის სხივებში ბროლია
ის ლაჟვარდი დარები
ზღვად მცურავი თოლია
პეიზაჟის მგვანება
შენთვის მომიგონია.
ლურჯი ზღვა და ზმანება,
მთოლვარევ „მაგნოლია“,
თუკი ქარვა გერევა
უჩვეულო თოვლებით
ქროლვით ზღვა დაილევა
ისევ მაგნოლიებით,.ნანაობ და განიცდი
ზღვა ტბორს დაგიტოლია,
შემოგკვრია გარს ბინდი
ჟამთა მელანქოლია,
ტკივილს შენაფარები
ქარვებს დაუთოვია,
ის ლაჟვარდი დარები
ზღვად მცურავი თოლია.

რუ

მოედინება რუ
წყალზე ქაღალდის გემი,
მოაქვს ტკივილი ყრუ
სულის სილრმიდან ჩემი
მოაქვს მრავალი ძღვნად

მარგალიტი და ლალი
დაუვიწყარი დღეთა
პატიოსანი თვალი
ეგზოტიკური ტაიტის
დაუშთომელი ალი
გადამრჩენელი ჭოგრიტი,
კონცხებში გამამტარი
მოაქვს სიზმრების დაფნა
უშენობისგან ზმნილი
ცამდე გაშლილი აფრა
ფერად ძაფებით წნილი.
ნაკადულებით ლამის
კალაპოტს გადამლვარე
გადავსებულა ღამით
ალბათ შენც ამჩნევ, მთვარევ,
მოედინება რუ
ლურჯა ტალღებზე გემმი
მოაქვს ტკივილი ყრუ
დაკარგულ ნაუდების.

* * *

ქარი დაჰქრის და ზეცა ირევა
მე მაშინ მიჭირს ბინის მიგნება,
არსად არ არის აქ მყუდროება,
დღეები რბიან ჰქრიან ყორნებად
და ხშირად მინდა დავტოვო მიწა,
რადგანაც შავად შემომეწია,
ნუთუ ის ასე ხანდაზმულია,
მისთვის ვედრება ყრუ ზუზუნია,.
აჰა, ზაფხულმა ზამთარს მისწერა
სამშვიდობელი თითქოს სიმღერა,
ეს შემოდგომის არის რითმები

მისავით ალბათ ხნიერ ვითვლები.
მიწას ფოთლები დაეფინება,
შექუჩქუჩებულ ყვითელ ბინებად
და ამ ბინების სადმე სიღრმეში
შეეხიზნები კვლავ ღრმა ფიქრებში.

თეთრი ფარშავანგია

გადმოლახა უკვე მტკვარი
დაბა სოფლებს მთიანებს
და ქალაქებს იანვარი
თეთრად აერთიანებს.
ახოვანი თოვლის დაფნათ
ახალი წლის იალქნებს
ბავშვებისთვის ზღაპრად ქარგავს
მომავლის რეალებს.
ალაჟღაჟებს ლალად ნაკვთებს
ნაძვისტანა ხათუნებს
ფიფქებიან მტკვარში ახვევს
ვით ელექტრონათურებს.
საშობაოდ შემკულ ქუჩებს
ზამთრის პასტორალებით
ჩიჩილაკებს აქუჩქუჩებს,
კაფე-რესტორანებით
ალავერდით მელომანებს
ეს თამადა ჩანგებით
და თბილისში დაგოგმანებს
ყანწის ამხანაგებით.
გადალახავს იანვარი
იმ შარშანდელ იპოებს
ახალბედა წინამძღვარი
ნუგეშს გაგვიზიარებს.
მას იმედი მოაქვს ფრთებით

ფეიქარი მქარგია
იანვარი ალბათ ხვდებით,
თეთრი ფარშავანგია.

შემოდგომის საგა

არემარე ისეთია ფერით
პოეზიის არ მასვენებს საგა,
შემიყვარდა თრობა სექტემბერით,
რიონივით მშობლიური ნანა.
შემოდგომის სტრიქონების რითმა
სევდიანი მონაზვნობის დროა,
ო, ძვირფასო, განშორების მხრიდან
გამზირებზე და ფოთლების გროვა
სინამდვილე, ვითარც კართაგენი
გარინდული პატიმარის წინა
ნანგრევებზე კარტი და ყვითელი
დაასველა შემოდგომის წვიმამ
ოცნებები შემოსილი კვართით
ტკივილებით მოტანილი მუზა,
თვალწინ მიდგას კოხტა იმერეთი
და ციხეში სიყვარულზე ზრუნვა.
არ მშორდება გარდასული წლებიც...
ფოთლებშია ქუთაისი ალბათ
ამ სტრიქონებს მარტოობით ვწერდი,
მიმოფანტა ის სივრცეში ქარმა,
არემარე ასეთია ფერით
პოეზიის არ მასვენებს საგა,
შემიყვარდა თრობა სექტემბერით,
რიონივით მშობლიური ნანა.

ლაჟვარდებით შემოსილი

ვფიქრობ, ვისწავლი სივრცეში ფრენას
და თან ავიტან ყოველგვარ ურვას
ასეთი ჟინით, ასე მოთმენას
მუდამ ზვირთებში ნაჩვევი ცურვას
შეგეგებები, ზაფხულის სივრცევ
განა შეგსჩივლებ, ტკივილებს, ვკვეცავ
მასში შემჩნეულ ლაჟვარდებს ვიცმევ
მოგესალმები, თბილისის ზეცავ.
ამ სამოსელით ერთობ მსუბუქით
სიოთ ქუჩებში დავექანები
ო, ვიცი, დარჩეს ისევ ქარბუქი
შენსავით არვის შევებრალები.
ვფიქრობ, ვისწავლი სივრცეში ფრენას
და თან ავიტან ყოველგვარ ურვას
ასეთი ჟინით, ასე მოთმენას
მუდამ ზვირთებში ნაჩვევი ცურვას.

ხელები

ეს მოარული თეთრი ზვირთები
ის ნამქერებად დაიწიწვება
და გადაცრილი ჩემში ფიქრები
მიმოფანტული პანტად მიწვება.
მიწვება ღამე, ნატვრის ცრემლები
სიცივე მუდამ თან დამყოლია
როგორც ოცნების ნელსაცხებელი
რა ვქნა, რომ ჩემში მხოლოდ თოვლია
დაზვავებული სავსე პეშვებით
უშენობისგან რაც დამმართია
ჩაგიკრავ როცა, არ შეგეშვები
ხელები ჩემი ანდამატია
და მოარული თეთრი ზვირთები

დღეს კი ულონოთ დაიწიწვება
ფიფქებად წვება ჩემში ფიქრები
და ნამქერებად, პანტად მიწვება.

* * *

გუშინ ვიპოვნე იგი
ჩემს სარეცელზე იწვა,
შეუდრეკელი, ცივი
განტევებლობის სიძვა.
ვნებებს იწვევდა ჩემში
და აფეთქების სიცხე
ფიქრით: — დაგკარგე, კარგო,
მის ტყვეობაში მიწვევს
ჩემი სამყარო მცირე
გრძნობებს სრულად ვერ იტევს
ის შევიწროვდა კიდევ
დეკემბერი რომ მიტევს
ვინმე ასეთი ღმერთი
უცებ ყინვებით მთვრალი
ამ უდაბნოში მოდის,
მოდის ქარების შხამით.
ჩემს სარეცელზე ნამობს
სატევარივით ცივი
ლამობს და ასე ამბობს
ჩემში დაუდევს წილი
და შენ კი არა ეჭვებს
მისი სურვილთა მონა
ეს ლუციფერის ჩვევებს
ვჩუქნიდი ვარდების კონას.
და იმ ვარდებით მჭკნარით,
რომ სარეცელზე მიწვა
შევიცანი და მოვკალ
განტევებლობის სიძვა.

ისევ

დილა იღვიძებს ნისლის სადაფში
მზე არ მინახავს ოცი წელია
მე ისევ ვცხოვრობ ციხის სარდაფში
და სახლში ისევ ნატვრით მელიან.
ისევ მტკიოდა სისხლი წუხელი
გაქრა ზმანება შენ რომ შეგფერის
მეტად დამძიმდა ცოდვის ულელი
და შემეყარა ცოდვა ცერბერის...
თუმცა მომარჩენს მწვანე მაისი
ვარდის სურნელით სავსე ქუჩები
ოხ! როგორ მინდა, როგორ მაისი
წვიმა და შენი სველი ტუჩები.
აქ კი განცდები ისევ უხეში,
მძაფრი ვნებები გრძნობებს თელავენ,
მე კვლავაც ვცხოვრობ ცოდვილ ციხეში
და სახლში ისევ ნატვრით მელიან.

იცი?!

სიკვდილი ხდება შვებათა ტოლი,
გაქრა ფერები და სიშავეა,
იცი?! ოცნება არის იოლი
სინამდვილე კი შემზარავია.
მიდიხარ ბაღში, გიღიმის ვარდი,
შენ ამჩნევ ჭინჭარს, მსუსხავ ბეწვებას,
ერთგულ ძაღლივით მიგყვება დარდი
და მიწა ფეხქვეშ ისევ გეწვება.
ისევ ტკივილით ფეთქავს სამყარო,

ვერ გაზაფხულდა, არ ჩანს იები,
მესმის, ძვირფასო, გულ'ში საპყარო,
ციდან მწუხარე მელოდიები...
და ბორგავს, ბორგავს! სული მარტივით
ცოდვის მორევ'ში ლოცვა ნავია,
იცი'?! სიგიჟე არის მარტივი
ჭკუაზე ყოფნა შემზარავია.

მოდი ი. მ.

წყნარდები ველზე დაჭრილი ქართან
როცა იარას სალბუნს ადებენ,
ო! თვალდანისლულს პაემნის კართან
ეს მერამდენედ არ მაცხადებენ...
ნუთუ არ მორჩა წარსულთან ქირა
რაც სულში დია სევდის მრეწვია,
ეს მერამდენე გავიდა კვირა
შენს ნაცვლად ისევ დარდი მეწვია.
ისევ დამესხა ცოდვის აფთარი,
ოი! შენს იქეთ გული ლეშია,
ო, უსასრულო ისევ ზამთარი
სამყარო ისევ სიბნელეშია.
ისევ მოედო სივრცეს ობები,
არ მოეწყინა დემონს სიავე...
მოდი! წაიღე ჩემი გრძნობები
და მწვანე მოლზე მოანიავე.
მოდი, მაკმარე დროის თათრობა,
ვნებად წამიღე, რომ არ იწვალო,
ერთხელ მაღირსე შენით დათრობა
და მერე თუნდაც გარდავიცვალო.

წარსულის გამო

დამაქვს ტკივილი მთათა ოდენა,
მწუხარე ხმაზე რეკენ ზარები,
ცივმა ქარებმა ისევ მოდენა
ღრუბლები სევდის მათოვარები!
ისევ სუსხი, ცა ფიფქს აჯინებს,
თოვლში აბოლებს სოფლად ოდები,
მე ეს ზამთარი ისე მაშინებს –
ვით სიკვდილმისჯილს ეშაფოტები.
ვხედავ სერავენ სივრცეს ქარები
ჟამი თანდათან ვგრძნობ დემონდება,
დახურულია ციხის კარები
და გული! გული! გული ღონდება.
გააძლიერა ზეცამ ქუხილი,
მეხს ამზადებენ ელვის ქურები.
მხრებზე წარსულის მადგას უღელი
და მახრჩობს ცოდვის აპეურები.

გაქურდული ქურდი

ღამის მეფეა
მთვარე შუქნათელი,
სხივი მოცინარი
ბნელის გადამთელი,
    ნათლით დახარჯული
    დახლად წოდებულა,
    ცაზე ქედმოხრილი
    ვერცხლად მოდებულა.
დიადია მთვარე –
სავსე, ნახევარი
მონატყორცნი სხივი
ვარდზე ნამთხვევარი,

    მაგრამ ქურდი არის
    მთავრე, სხივთა თვალი
    მზე მონაპარი
    შუქით შენამკრთალი.
დაიცლება ნათლით,
იწყებს ისევ პარვას
მონაპარი შუქით
ემგვანება ქარვას.
    იგრძნობს მზის ამოსვლას
    იპარება ციდან,
    მიწას მოექცევა
    უჩინარი მხრიდან.
თვალი მაინც რჩება
სხივი გათანგული
ვარდზე მოქსოვილი
ბალახს მინამული.
    და თუ ვერ შეიგრძნო
    მზე სხივნათელზრდილი
    ცაზე ეკიდება
    სახე ფერმიხდილი,
მზე თვალებში ჩაჰხედს —
ქრება მისი ქება,
წასწრებული ქურდი
ციდან იკარგება...
    მეც ასევე მომდის
    სიყვარულის მპარველს,
    ოდეს დაგინახავ
    ჩემი გულის მჩაგვრელს
მახსენდება ღამე
მოგეპარე როცა,
სარკმლით შემოვედი
და მოგპარე კოცნა
    მე იმ ერთი კოცნით
    დღესაც ვეწამები

შენი სახის ნახვას
მთვარეს ვემადლები,
მისი სხივთა ფერით
მაგიურად მწვავდი,
შუქით შემოსილი
ქალღმერთს მიაგავდი.
სიყვარულის ცრემლი
თვალთგან ტკბილად წამსკდა,
ბაგე შენს ბაგეზე
უნებურად წამცდა.
მთვარის თანდასწრებით
კოცნა შევიწიე,
სურნელება შენი.
ოხ, იმ მოპარულში
რაღაც ეშხი ბუდობს,
ალბათ მთვარეც მიტომ
მზისგან სხივებს ქურდობს,
მთვარის შუქზე ზღაპრად
ელავს ვერცხლის მოლი
გული, გული მტკივა
ტრფობით ჩანაქოლი.
ყველა ჩემი გრძნობა
კოცნას ჩაგიბუდე,
მოსაპარად მოველ
თავად გავიქურდე.

* * *

ტყეში სიჩუმე, ღამეა ბნელი,
გამოდის კაცი, მოძვრება ნელა,
სისინი იწყო ბუჩქებში გველმა
შხამიანმა და დაუნდობელმა.
კაცი აჩრდილი დაუნდობელი
ბილიკს დაუყვა ტყის სილრმისაკენ,
რას ვიფიქრებდი. თუ მომიწევდა
მე ხეტიალი ტყეში, ვით ნადირს.
თუ ვაჯობებდი მე სისასტიკით
გაველურებულ, ცხოველებს ნამდვილს,
თუ შევხედავდი ჩემს ხელებს გაწვდილს
ცოდვიანსა და სხვის სისხლში გასვრილს.
მომიძულებდა მე კაცთა მოდგმა,
თუ მომიჩენდა მე ტყეში ადგილს
და დამარქმევდა სიკვდილის აჩრდილს
ახლა მივდივარ მსხვერპლს ვეძებ ახალს
კვლავ დავინახავ მე თვალებს დამფრთხალს.
ხვალ რომ ნახავენ გაძარცვულს დამხრჩვალს
მე კი ცოდვილი წავალ და წავალ
— ششش — იყუჩე უარყვე აზრი,
აღარ გაინძრე, ადგილს გაქვავდი
ყურით მიგდე და სულით დაწყნარდი
მომისმინე და მენდე, დამთანხმდი,
ნუღარ მიყურებ ასე დამფრთხალი,
შენ ახლა დრო გაქვს შეკრიბო აზრი
გამოარჩიო მცდარი და საღი,
რომ რეალობას უსწორო თვალი
და მოიხადო უფლის წინ ვალი
აბა, დაფიქრდი, რა გაქვს შედეგი

და ვინ იქნება შენი მშველელი?!
შენ არც გზა დაგრჩა სხვაგან საკალი,
უნდა უარყო ტყე და სანგარი,
მხოლოდ მიგიღებს საყდარ-ტაძარი,
სადაც წმინდანი არის მრავალი.
ხედავ? – გახედე გორაზე მარცხნივ
ნუ გეგონება ის მოსაცდელი,
სახელად ჰქვია მას მონასტერი
შენებრ ბევრია აქ მონასვლელი,
ბევრიც იქნება აწ მოსასვლელი
უფლის დიდება, სულის გოდება
ლოცვა-კურთხევა, ყოვლის მოთმენა
აღსარებები, მოძღვრის მოსმენა,
მოკრძალება და დიდსულოვნება,
თავმდაბლობა და მარხვით ცხოვრება,
შენი სულისთვის არის მოლხენა.
ნუღარ მიყურებ გაოცებული,
გაორებული, გაოგნებული,
ხო, მე გველი ვარ სამეფო კობრა,
დაწყევლილი მაქვს ჯიში და მოდგმა,
მაიგივებენ სატანას, ეშმაკს
დასაბამიდან განვიცდი დევნას,
მიჩვეული ვარ გმობას და წყევლას
ჩემთვის ვატარებ გულით დიდ სევდას
რომ გამაჩინა განგებამ გველად
და მარტოსული დავძვრები ქვეყნად.
აღარ იქნება შენდობა ჩემი,
აღარ მიმიღებს მე თქვენი ერი,
ველარ ჩაცხრება ის შულლი ძველი
გველი ხომ გახდა ადამის მტერი,
მაგრამ დრო იყო ვიყავით ხალხში
ერთად ვცხოვრობდით ედემის ბაღში,
სადაც ჩამიძვრა ეშმაკი ტყავში
და დამეკეტა სამოთხის კარი.

ასე, ამ დღიდან დაღი მაქვს დიდი
და ამ დღისას მე დღემდე ვიმკი
დღეს კი რა მოხდა,
ვერ ვხვდები, ვერ ვხსნი,
თუ დამიჯერებთ სიმართლეს გეტყვი:
წამში ვიგრძენი გარდაქმნა სულის
გრძნობით გალღობა გაყინულ გულის
სასწაულს ვარქმევ ამ ამბავს უფლის
და მე ვასრულებ ალბათ მის სურვილს.
სიკეთის ქმნისას რომ ვიკლავ წყურვილს
წადი გზას დადექ, დრო არ დაკარგო
თუ გინდა სული რომ გაახარო
ეშმა უარყო და დაამარცხო
დრო არ გაფანტო,
დრო არ გაფანტო,
არ შეუშინდე, არვინ დაგაფრთხოს!
მონასტერს მოდი,
მონასტერს მოდი,
მონასტერს მოდი, დრო არ დაკარგო.
სასწაული იყო სურათი ღამის,
ჯერ უნახავი ის კაცთა თვალის,
ადამის მოდგმას რომ ედგა გვერდში
ის უცნაური მისტიკურ გველი.

გთხოვ, მოინანიე

აი, აღსრულდა სურვილი.
სატანის გულის ნადები,
შეურაცხყვეს და გათელეს
სახელი წმინდა მამების,
ჩვენი სულისთვის მლოცველებს
გულში უმარჯვეს დანები,
უნეტარესს და უწმინდესს
ცრემლით აუვსეს თვალები,
მის სათნო, ღვთიურ სახეზე
კვალი შევნიშნე წამების,
ერს შეაფურთხეს, აიგდეს
განგაშის მესმის ზარები,
ათის, ათასად გარდამქმნელს
ასე უფასეს ამაგი,
უფლის სახელით მოუბნეს
ასე უტევენ წარმართნი,
ჩვენი ტკივილის მოამე,
სულის მკურნალი, წამალი,
რატომ გინდა რომ დაჯაბნო
შენ პატრიარქი მართალი.
ქალავ, რას სცოდე, თუ ფიქრობ,
შენს ცოდვას თუ იაზრებო?
ასე ხმამაღლა ღვთის გმობით
რა მიზან დაისახეო?
გონს დროზე მოდი, ილოცე
პირჯვარი გადისახეო,
მოინანიე ცოდვა და
ეშმაკი განიდევნეო
მიმტევებელი, შემნდობი
შენგან შებღალულ არისო,
შენი წარწყმედით პატრიარქს
გული ტკივილით აევსო.

შენგან დაჭრილი შენზედვე
დღე და ღამ ლოცვას ავლენსო,
უფალს ავედრებს შენს სახელს
ცოდვამ რომ არა გავნოსო,
ცრემლად ქცეული, ფიქრობს, რომ
გულში ჩაგიკრას, დაგლოცოს.
ასეთ თავმდაბალს, ღვთისნიერს,
თავისი მტრების მოყვარეს,
ასე მოპყრობა, თუ ხვდება
თავის თავს ჰკითხოს „მოავემ“.
თუ დროზე მოინანიებ,
ერი შეგინდობს, მიგიღებს,
თუ არა, კარგად გახსოვდეს,
ცოდვა სულ მალე გიყივლებს,
ოცდაათ ვერცხლსაც დაკარგავ
იუდას ბედსაც იწვნიებ.

* * *

სინანულ'ში ჩავარდნილმა
ღმერთს შევთხოვე დახმარება,
სანთელს ცეცხლი მოვუკიდე,
ხატის წინ ვთქვი აღსარება.
სულს მიმძიმებს ცოდვა დიდი,
გულს მატკიებს მასზე ფიქრი
ვიცი, ძალზედ გვიანია
ამ ცოდვებზე ამ წამს ფიქრი.
ღმერთი მუდამ მიფარავდა,
მანიშნებდა თითქოს თითით
არ ადგახარ გზას მართალსა
უნდა გქონდეს ჩემი შიში.
არ ვუსმინე მაღალ უფალს,
გავაგრძელე გზა ცოდვილი
ერთ დღეს თვალი გავახილე
ღმერთის რისხვა მე ვიხილე.
როცა მოდის განსაცდელი,
მაშინ გინდა უფლის ხელი,
ცოდვას როცა სჩადიოდი
არ გინდოდა მაშინ ღმერთი.
იმედია ამ ჩემს ცოდვებს
მომიტევებს ჩვენი ღმერთი
უცოდველ გზას დავადექი,
სანთელს ლოცვით ვევედრები.
სინანულ'ში ჩავარდნილმა
ღმერთს შევთხოვე დახმარება
იმედი მაქვს მხოლოდ ერთის
მოწყალეა ჩვენი ღმერთი!

ჩემს პატარა ნუციკოს

ჩემო ანგელოზო, პატარა ქალო,
ჩემი ცხოვრების მოავარო აზრო,
ნეტავ, მანახა მე შენი თავი
როგორ გაზრდილხარ, როგორი ხარო.
მამას აკლიხარ, მამა გნატრულობს
შენზე ლოცულობს, ღმერთს ევედრება
ჩემი ნუციკო, ჩემი პატარა
კარგად მიმყოფოს, უფალს დიდება
როგორ დაგტოვე, ჩემო პატარავ,
თავს ვერ ვპატიობ ამხელა ცოდვას
თვალებს მაკლიხარ, მაგრამ ლამაზად
სიზმარში ვნახავ თუნდაც ამაღამ.
მომენატრები ცოტა ხანს,
დამესიზმრები მრავალ ღამ,
გულში ვიჯავრებ, ავიტან
დარდს ცოტა ძალას დავატან.
ღმერთი მიწყალებს, შემინდობს
ცოდვებს ლოცვებით გავფანტავ
სახლში რომ მოვა მამიკო,
შენთან იქნება მარადჟამს.

* * *

უსიყვარულოდ რა არს ცხოვრება
მუდამ სიცივე გულში ბინადრობს,
ძარღვებში სისხლი შედედებულა
თითქოს არ ჩქარობს გულის მიდამოს.
ბინდისფერია გარეთ სამყარო
შავ-თეთრ ფერებში დილა თენდება,
ფიქრს მიცემული გზას მივუყვები
ჩემს თავს ვკარნახობ, არ ღირს ცხოვრება!!!

არ ღირს ცხოვრება უსიყვარულოდ,
რად ღირს ცხოვრება ერთფეროვანი
შავ-თეთრ ფერებში დღე მიღამდება
და ჩავეშვები ღამის მორევში.
გარშემო ბნელა, ხმაური ქრება,
დაისადგურა სიჩუმის ველმა
ლამპიონების დაბალ ნათებას
მე მივუყვები ძალიან ნელა.
მინდა მიყვარდეს, მინდა განვდევნო
გულის სიღრმეში ყინვა მავალი,
მინდა გამითბეს გულის მიდამო
სისხლმა დაიწყოს ძარღვში ნარნარი.
მინდა გათენდეს ლამაზ ფერებში
ბინდისფერ ყოფას ბოლო მოეღოს,
მინდა ჩავეშვა გულის მორევში
გრძნობამ დამათბოს, გული გამითბოს.
ვის გულშიც სუფევს გრძნობა ლამაზი,
ვის გულსაც ათბობს განძი მალული,
ბედნიერია გულის პატრონი
სიყვარულია მისი მნათობი.

მოკარი თვალი ბალახზე

მოკარი თვალი ბალახზე
ღამის მიწურულს ანაზდად,
აფრქვევდნენ თავის სიტურფეს
წვიმის წვეთები ლამაზად.
    ისე ბრწყინავდნენ გავოცდი,
    თითქოს რაღაცას ამბობდნენ,
    მერე ბალახზე ნელ-ნელა
    სევდის მომგვრელად ქრებოდნენ.
გვერდით, ეჭვებით აღძრული,
სხივებს აფრქვევდა ლამპარი
და ისეთ სურათს ხატავდა
გეგონებოდა ზღაპარი.
    უეცრად ჩემსკენ მობრუნდნენ
    შემომანათეს ლალები
    და სიმორცხვისაგან დაჰხარეს
    თავისი ნაზი თვალები.
ჰოი, თვალებო, ბრწყინვალე,
ნუ გამირბიხართ უგონოდ,
რადგან სიცოცხლე რა არის?
რომ იარსებო უსულოდ.
    თვალთა შეხვედრის წერტილი
    სულის სიღრმიდან ციალებს,
    და დედამიწა მზის ირგვლივ
    განა ტყუილად ტრიალებს?
სტუმრად მოსულნო, მითხარით,
რა დაგაბარათ იხიდამ?
მგონი, ვუხვდები გულის თქმას,
მისმა სახელმა იდიდა.

გთხოვთ, მოითმინოთ ცოტა ხნით,
ნუ ჩამოუშვით ლალები,
რადგან ყოველთვის მიყვარდა
ეგ შენი ნაზი თვალები.

სიზმარი ხონში...

ფიქრის გორაზე ნაბახუსევს გამომელვიძა,
ჯიბე მოვჩხრიკე აღარ მქონდა არც ერთი გროში
და ჩავუყევი ვარაზის ხევს მძიმე ნაბიჯით,
მაგრამ ვის ესმის ჩემი დარდის არეულ დროში...
წყურვილისაგან გამიშრა პირი, თავბრუც მესხმოდა,
მთელ ჩემს ქონებას გავიღებდი ერთ ღვინის დოქში.
როს მივაღწიე საჭაშნიკეს გულის ფრიალით,
გამომელვიძა, ციხეში ვარ ამჯერად ხონში...
მე აქ ვისწავლე მკაცრი ბრძოლა საკუთარ თავთან, —
სიკეთის ღვაწლი გამოჩნდება გამოყრილ ყლორტში.
ღვინის ნაცვლად კი მე მწყურია თავისუფლება,
მწამს, რომ უფალი შემეწევა ამ მძიმე დროში!

ველი გაზაფხულს...

იანვარია, ველი გაზაფხულს,
პირველი მერცხლის მოფრენას ველი.
ველი სიყვარულს, ველი სიხარულს,
თავისუფლების ზარის ხმას ველი...
როდის დადგება აპრილის დღენი,
ოჰ, რა ძნელია ლოდინი – გრძელი.
ოჰ, რომ იცოდეთ ჩემს მახარობელს,
ჩემს პირველ მერცხალს რა ღელვით ველი...

* * *

მთაში მოსძოვენ ჯიხვები
მაღალ მთას დიდსა მთისაო
შენმა შემყურე ვაჟკაცი
როგორ შევირცხვენ პირსაო.
მეამაყება რომ გვერდზე
გვერდზე მიდგახარ, ქალაო,
ეს ჩემი სიტყვაც გაიგე
სიტყვას არ მოვდებ ბანსაო.
მთაში ნაზარდსა ყვავილსა
მე ჩამოვიტან ბარსაო
სახელსა ქვემოთ მიუწერ
და დავწერ ჩემსა გვარსაო.
არცა მრცხვენია მთიულსა,
ვატარებ მამის გვარსაო,
დედა მე პირსა არ დამბანს
და არც შევირცხვენ თავსაო.
გინდ მოკვდე, შენთვის მოკვდები,
შევრცხვე, მოვიკლავ თავსაო,
შენს წინ მუხლებზე დავდგები
და ნუ შემირცხვენ გვარსაო.
მთაში ნაზარდი ყვავილი
ჩამოვიტანე ბარადა,
ნოდარი მქვია სახელად
ნაზლაიძე ვარ გვარადა
ვამთავრებ ლექსების წერას
მე გეფიცები თავსაო,
გინდ მოკვდე, შენთვის მოკვდები
შენთვის გავწირავ თავსაო!

* * *

გზაზე შემომხვდა სიკვდილი
ჩემთან სჯობს, აქა ძნელია
უჩემოდ თქვენი ცხოვრება
რა ძნელი სამყოფელია.
    ცოტა მაცალე, — მე უთხარ,
    ის გზა მაქ გასავლელია
    დავტკბე ცხოვრებით, ვიხარო
    რატომ მომკიდე ხელია
მაინც თავისას არ იშლის
სიკვდილი საძაგელია,
სულ წარამარა გზას მხვდება,
რომ შემიშალოს ხელია.
    მივედი მასთან, ვუთხარი,
    არ ვარ წინააღმდეგია,
    მე თვითონ შენთან წამოვალ,
    არ გამიხარო მტერია.
არც ქრთამი შველის სიკვდილსა,
ყველას კლავს საძაგელია,
ღარიბ, მდიდარსა არ არჩევს,
ის სუყველასი მკვლელია.
    დავფიქრდი, მერე მივედი
    მაინც ვარ წასასვლელია,
    გავყევი, ბედსა დავყევი,
    თვალები ცრემლით სველია.
გოდება ისმის საფლავზე,
ეს რამოდენა ხალხია,
თურმე სიასა აკეთებს
სიკვდილი სისხლის მსმელია!

სიზმარი

ღამეა მშვიდი, სიზმარი მრიდი
მოფრინდა გვრიტი, გული აქვს დიდი
თვალებში ბინდი, ცრემლებად ტკვირთი
ფაუნას მკვიდრი, ეტყობა რიდი.
    ეფიქრობდ დავხატო, ტილოს გავანდო,
    ფუნჯი აღვმართო, ხელი გავმართო,
    ცეცხლი ავანთო, მუზა გავათბო,
    ჭიქა დავნათლო, გული დავათრო.

ეპილოგი

სამწუხაროდ, ეს სილამაზე მე ვერ დავხატე,
ვერ ჩავწვდი მზერას, მის ნარნარ ფრენას,
თვალებში ცქერას, ფერიის ნებას, ვარსკვლავს
და სიყვარულის დიდ განათებას...

ცად ფანტელი მოფარფატებს, სოფო

ცად ფანტელი მოფარფატებს, სოფ...
ახალი წლის ფერი ადევს ზეცას
დიდ ფერდობზე ულამაზეს ფონს
ფანტელების სურნელება ეცა.
ამაღლებულ გორაკებზე ლაღად
ნაძვის ხეებს გაუმართავთ კლიო,
ტოროლების სამადლობელ ზღაპარს
ესალმება ჩვენი შვილი გიო.
ლოლუები ჩურჩხელების მსგავსი
იბადება საოცრების მრწამსი
მედიდურად შეკიდულა კლდეზე
ოცნება აქვს, რომ არ დადნეს მზეზე.
ფანტელები მოფარფატებს, სოფ,
არემარე გაპენტილა თეთრად,
რუხ ოცნებებს რკალად წმინდად ყოფს,
ფიქრის გორას დაუფარავს მედგრად
ახალი წლის ღამე დგება კენტად,
ტოროლები ჭიკჭიკებენ ერთხმად,
ერი ჯალაბს ესალმება მღერით
ბახუსში ვარ, მთვრალი შენი ცქერით.
საამური რითმად ისმის გრძელი,
სალამური ჰანგს გამოსცემს სტვენად,
ორთა გული სიყვარულით ფეთქავს
ფანტელები მოფარფატებს თეთრად.

* * *

ვის დავაბრალო ჩემი ცხოვრება
რატომ მივეცი ტყუილს და ფიცილს,
რატომ დავეცი ადამიანი,
ვის დავემონე ან ეს ვინ იცის
და მახსენდება წარსული ჩემი
თითქოს ბავშვობა იწყება სუფთად,
გულში პატარა სანთელი მენთო
და კმაყოფილი ვიყავი მუდამ.
აღარც ფიქრები მემორჩილება,
სულში დამაწვა ლოდად სიმძიმე,
გულში სანთელი აღარ გიზგიზებს,
ჩემი ბავშვობა შთანთქა სიბნელემ.
ჩემი ბრალია, მე შემოვუშვი,
მე ვიმეგობრე ბოროტებასთან,
ოჰ, რა ძნელია, ღმერთო უშენოდ,
მიახლოება გადარჩენასთან.

* * *

წელში გატეხილ მიმინოებს არ მოსდით ცრემლი,
არც არასოდეს დაუხრიათ თავი საბრალოდ,
სადაც მოისმის ეკლესიის ღვთიური ხმები
ლოცვად ქცეულან წმინდანების ხატებთან მარტო.
როცა ყოფილა ყველაზე ძნელი დაცვა სიმშვიდის,
როცა მაცდური უკითხავად სულში ჩამძვრალა,
ვერ უნახავთ ის კუნჭული ღმერთთან სავალი,
გაქცეულან ცოდვილები ისევ მავანთან,

მიდის ცხოვრება უსამართლოდ ტანჯვა-წამებით,
ანგელოზებს მძიმე ჯაჭვი კვლავ ხელთ უპყრიან,
ქართლის დედა წაქცეულა თავის ვაჟებით
ბოროტება შემდგარიყო გადასათელად.
წელში გატეხილ მიმინოებს არ მოსდით ცრემლი,
მარტო სული აბარიათ მხოლოდ სარჩენად,
ხორციელი ცხოვრებისგან ცემით, განდევნით
მაღლა ზეცას მიაპყრობენ გადასარჩენად.
გაყინულა მთა და ბარი როგორც გოდების
გაუძარცვავთ, წაულიათ ნიჭი ფარჩებად
და ფიქრები გაცრეცილი გადაგვალული
დაიცალნენ, ეჩვენებათ თავი კარგებად.

* * *

ისევ მომეძალა სევდა
გულში დაგორაობს ლოდი,
შენი ვნებისა და თრთოლვის
შენი ჟრუანტელის ლოთი.
    სადღაც გაანათებს არეს
    შენი თვალების შუქი,
აქ კი გისოსების შიგნით
ჩემთან სიბნელეა მუქი.
ისევ დატრიალდა კალო
სხვა რომ შეგიყვარებს ვხედები,
ისევ მომეძალა სევდა,
სული კაეშანით იწვის.
    ციხე ბავშვობიდან მდევდა,
მდევდა საქციელი სიძვის,
მდევდა გასროლილი ტყვია
წყევლა დემონების ტანით.
მაგრამ მხოლოდ შენი ტყვეა

გული დაგლეჯილი დანით
სისხლი მონატრებით მტკივა
როგორც მოტეხილი ძვალი,
მარად მიუწვდომი გახდი,
ჩემო ოცნებების ქალო.

* * *

სანთელი ქრება და დნება სწრაფად
შუქი მათხოვრობს კვლავ ისევ ჩემთან
მე მაინც დავწერ ვიცი ამ სიტყვებს
და ეს სიტყვები ლექსად მოვა შენთან.
    ისევ გავაგრძელებ მე ამ ფურცელზე ხატვას,
    ვხატავ კალმით და გისმევ მელანს
    ნელ-ნელა ჩნდები მარტო შენ ქალი
    მე დავანახებ თავს დილისკენ ყველას.
მე შენ დაგხატავ, მოვხატავ სახეს
და მას მოჰყვება ტანი თეთრი სულები,
ლექსად გაქცევ იცოდე ამ ღამეს,
იცი, თითქოსდა მე შენ გეხები.
    და გავივლი შენ სხეულზე ნაზად
    რომ გაქვს ნაზი შავი ამური
    შუქი გამორბის, მიცდის თან სიცივე
    მომყვება ხელში შენი ნაზი მხრები.
მე კვლავ ვაგრძელებ, ჩნდები ქალი
როგორც ლამაზი შენ არსებობ გარეთ,
მინდა შეგიგრძნო შეგქმნა კალამით
ამ შუქზე შენ მინათებ მე, მთვარეო,
    ვჩერდები და ასობს გისმევ მაინც
    შუქიც სანთლის თითქოს სხეულზე რჩება,
    მე შენ ვერ დაგამთავრებ ვიცი,
    თორემ განცდა ჩემ სიტყვაში კვდება.

აი, გამოხუნდა დილაც ჩემი
შენ მე გიყურებ ისევ გაკვირდები მარტო,
წუთმა მომილოცა ლექსი ჩემი
ნეტავ, იცოდე როგორ დაგხატე, კარგო.
    სულ დაგამთავრე დილა რომ ჩამოწვა
    წამოდგა ჩემთან შენი ლამაზი სახე
    შეგქმენი შენ უკვდავება
    და ამჯერად ჩემ თავს დავუგე მახე.
მე მაინც გიყურებ და შენ ადექი,
სიტყვებით აეწყობიან დაეცემათ წვეთები,
ლამაზი გახდა აქ ყველაფერი
და მე კითხვას ხშირად ვეცდები.
    როგორ მიგახვედრო, რა გახდი ჩემთვის
    ვგრძნობ, რომ ლექსში მართლაცდა ვქრები,
    მე დაგხატე და დაგტოვე ჩემთან
    და ამ სიტყვებში ყოველდღე გხვდები.

ლექსებო დაუწერელო

შეუბუმბლავი ბარტყივით,
ჯერ თვალებ-გაუხელელო,
ზღვის ფსკერზედ მიძინებულო
გრძნობებო გაუმხელელო.
ან ლამაზ პატარძალივით,
სამოსელ შეუკერელო,
აუნთებელო ლამპარო,
ლექსებო დაუწერელო.
მოგავლენ ამ ქვეყანაზე,
ვარსკვლავს ავანთებ ცაზედა,
დაგწნავ, დაგვარცხნი რითმებით,
გვირგვინს დაგადგამ თავზედა.
ფრთებს გამოგასხამ არწივის,
და გაგამზადებ საფრენად,
მერე გაფრინდი იქ სადაც,
მე ვერ მივდივარ სათქმელად.

მიმაცილებენ ხოტბით

მიმაცილებენ ხოტბით
ციხეს დემონთა ხროვა,
ჯოჯოხეთისგან ისმის
ცრემლი და მწარე გლოვა.
ღაწვებს მისველებს ცრემლი,
მრცხვენის უფლის წინ დგომა,
ვგავარ ეჭვიან პეტრეს,
ხან ვარ ურწმუნო თომა.

მიდის და მოდის ისევ,
ამა სოფლისა მდგმური
პარვა, მრუშობა, კაცკვლა,
კაენის ფესვის შური.
    ქაოსი შინ და გარეთ
    სისხლის ყივილი და ღრეევა,
    ქვიშაზე ნაშენები კომკის,
    მოულოდნელი ნგრევა.

* * *

სადღაც ისე შორს მივდიოდი, რომ არც ვიცოდი,
თუ იმის იქით არსებობდა სამყარო, ყოფა –
როცა მოვფხიზლდი, გისოსებში ვიჯექი მარტოდ
ეშმაკს ვებრძოდი, არ წაერთვა უფალთან ყოფნა.
– ნუ, ნუ გამიცხავ, ღვთისმშობელო, ასე მეგონა,
რომ უფალმაც კი დაივიწყა ადამთა მოდგმა.
რწმენაშერყეულს რაღაც ხმები ჩამჩურჩულებდნენ,
დაივიწყეო იესოსთვის მუხლებზე ლოცვა...
მაგრამ პატიმარს ვერ შეურყევს რწმენას ეშმაკი,
ის თავად ებრძვის გამხეცებულ სულებთა გოგმანს,
გთხოვ, შემეწიე, მაცხოვარო, რომ ვიხსნა ყველა
ვისთვისაც კმარა განსაცდელი, ვაება, მოთქმა...
შემეწიე, რომ დავუბრუნო დედას – შვილები,
შვილებს – დედები და მათ ცრემლებს შეეასხა ხოტბა,
მზად ვარ, ყოველი განსაცდელის გადატანისთვის
დაე, მე ვზიდო ამ ეპოქის ტვირთი და ცოდვა!

* * *

მკერდში დარდად აროკდება გული,
სისხლი სხეულს წითელ ფერით ხატავს
ცრემლი თვალზე ნაკადულად მოდის,
ტუჩზე ნაღველს ცრუ ღიმილი ფარავს.
    გადაცურავს ცის კიდეზე მთვარე
    შიშველ ტოტებს შეიფოთლავს ვერხვი
    გონებაში არარსებულ ბოროტს
    შინაგანი შთაგონებით ვებრძვი.
დროც სასტიკად გაიწელა თითქოს
ღამემ ისევ შეიცვალა ფერი,
ღმერთო, ნატვრა ამიხდინე მხოლოდ
სხვა არ მინდა ქვეყნად არაფერი.
    გთხოვ, ცრემლს მისცე გზა თავისი დენის
    ტუჩებს ნულარ გაუჩერებ სათქმელს,
    ღმერთო, მომეც გამძლეობა, თმენა,
    სხვა ყველაფერს მე დავარქმევ სახელს

მკერდში...დარდად...შეჩერდება...გული!

* * *

მე ყოველ ღამით მოვდივარ შენთან,
უჩუმრად ვაღებ ოთახის კარებს,
ჩამოგიჯდები ლოგინთან ახლოს
და მოგიყვები ოცნების ზღაპრებს.
მე ყოველ ღამით მოვდივარ შენთან
და შენს საწოლთან თმებს ვიშლი მხოლოდ

სიზმრად მოგივლენ უცხო დედოფალს,
რომლის ოცნებას არა აქვს ბოლო.
მე ყოველ ღამით მოვდივარ შენთან
და ყოველ ღამე გიკოცნი ბაგეს,
ყოველი ღამე გჩუქნი ჩემს სხეულს
ნეტავი, მაინც თუ ხვდები რამეს?!
მე ყოველ ღამით მოვდივარ შენთან,
ჩემს ოცნებებში, სიზმრებში მხოლოდ
ყოველი წუთი ხვედრია შენი
ოჰ, ამ ყველაფერს ექნება ბოლო?!

ჩემი ცხოვრების კაპიტალი

დახურული სივრცე, თუკი კლაუსტროფობიით არ ხარ ავად, ფილოსოფიური აზროვნებისაკენ გიბიძგებს, მით უმეტეს მაშინ, როცა კითხვაზე მეტ-ნაკლებად ადეკვატური პასუხის მოძებნა გიჭირს. ფიქრობ და აანალიზებ რატომ? რისთვის? როგორ? ყველა კითხვას პასუხი სჭირდება! მალევე აღმოაჩენ, რომ პასუხები უშუალოდ იმ მოვლენას კი არ ეხება, რომლისთვისაც დაისვა კითხვა, არამედ უფრო აბსტრაქტულია, უფორმო, ისეთი, რომელიც თან ესადაგება და თან არ გამომდინარეობს მოვლენიდან.

როგორც არ უნდა იყოს, თვითონ პროცესი პასუხის ძებნისა, მთელი ეს ეგრეთ წოდებული „ფილოსოფოსობა", იმდენად გიტაცებთ და გართობთ, რომ სრულიად გავიწყდებათ, რომ დახურულ სივრცეში ხართ და თან კლაუსტროფობია არ გაწუხებთ!

თქვენი ნააზრევის ფურცელზე გადატანა კიდევ უფრო სასიამოვნო საქმიანობაა, ეს კონტრაქტია მარადიულობასთან: — ფიქრი მოდის და ქრება, ფურცელზე გადატანილი კი მარადიულობისთვისაა „განწირული"!

ერთ-ერთი ასეთი ფილოსოფიური ნაფიქრალი მეც გავამარადიულე. ერთი ამოსუნთქვით მოვაფრქვიე ფურცელზე, ფორმისა და კანონზომიერების დაუცველად, შემდეგ კი, კმაყოფილების გრძნობით განმსჭვალულმა, ათასჯერ გადავიკითხე... დავმშვიდდი... დავკმაყოფილდი... გავთავისუფლდი!

ჩემი ფიქრები ქმედებასა და შედეგს ეხებოდა. საწყისებს ვეძებდი იმისას, რამაც სივრცე შემიზღუდა, შემომიფარგლა. ჩემდა გასაკვირად, ისეთი პასუხი ვიპოვნე, რომ მისი გააზრებაც კი შვებას მგვრიდა. აფორიაქებულ გულში სიმშვიდე ჩამელვარა. თითქმის მაშინვე გადავწყვიტე, რომ ახლახან აღმოჩენილი „სულის მალამო" გამოცდას საჭიროებდა. დავინტერესდი იგი მარტო ჩემზე მოქმედებდა ფსიქოლოგიური ტრანკვილიზატორივით, თუ სხვებსაც უშველიდა, ჩემსავით გატანჯულებსა და დათრგუნულებს?!

უფლება არ მაქვს არ ვცადო, მხოლოდ იმ პირობით, თუ შედეგს შემატყობინებთ!

საზოგადოდ მიღებულია, რომ სასჯელი საზღაურია იმ არასათანადო ქმედებისათვის, რაც წარსულში ჩაგიდენიათ. ლოგიკურია ისიც, რომ საზოგადოებამ თქვენი ქმედება შეაფასა და განგისაზღვრათ გარკვეული სასჯელი; ამ შეხედულებას მხოლოდ ერთმა ჯგუფმა კი არა, არამედ მთელმა საზოგადოებამ დაუჭირა მხარი, ამიტომაც არის იგი კანონის სახით ჩამოყალიბებული. აქედან გამოვიტანოთ ზოგადი დასკვნა: — ჩვენს ყველა ქმედებას საფასური ჰქონია! ამჯერად საფასური წარმოვიდგინოთ როგორც ქონება, იგივე კაპიტალი. ვინაიდან მოხდა თქვენი წარსული ქმედების შეფასება, გამოდის, რომ ყველა მოქმედებით თუ უმოქმედობით, რომელიც ხშირად ასევე მოქმედებაა, ჩვენ თავად დაგვიგროვებია ეს კაპიტალი.

როდესმე, არაპროგნოზირებადი ცხოვრების რაღაც ეტაპზე, ჩვენ ვვარდებით ისეთ მდგომარეობა'ში, რომ გვიხდება „შრომითა და გარჯით" ნაგროვები კაპიტალის გადაცვლა სხვა ფასეულობაზე: — ჩვენს შემთხვევა'ში, სასჯელზე. დიახ, მეგობრებო, სასჯელზე, რომელიც შემთხვევით არ მომიხსენებია ფასეულობად. დამეთანხმეთ, რომ თითქმის არასოდეს გიყიდიათ ის, რაც არ გჭირდებათ, ასე არაა?

თუკი ნაგროვებმა კაპიტალმა — თქვენმა ქმედებებმა, საზღაური, ანუ საფასური გამოიწვია და სულ უბრალოდ გადაიცვალა, ესე იგი ამ ქონებით სხვა ქონება შეგვიძენია, ერთი ფასეულობა სხვა ფასეულობაში გადაგვიცვლია, ჩვენი კაპიტალით სასჯელი გვიყიდია, ისეთივე ფასეული, როგორც თავად კაპიტალია! წარმოდგენაც კი მიჭირს, რომ ახლა წინ მიდევს ჩემივე ქონებით შეძენილი, ლამაზად შეფუთული, ე. წ. საზღაური... ანუ სასჯელი. მაგრამ, მე ხომ მისი შეძენა არ მინდოდა. როგორ მოხდა, რომ დაირღვა კანონზომიერება და შევიძინე სრულიად უსარგებლო რამ, ის რაც კოშმარულ სიზმარ'შიაც არ დამესიზმრებოდა?

ცოტას გადავუხვევ და ირიბად იმ განცდას შევეხები, რაც მსჯელობის ამ ეტაპზე დამეუფლა: რა თქმა უნდა, არ იყო სასიამოვნო გასააზრებელი. ჩემივე მსჯელობით, როგორ გავუმზადე

საკუთარ თავს ჩიხი. ერთბაშად სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, სწორედ ისეთმა, დიდი იმედგაცრუებისას რომ გვემართება ხოლმე. რამდენჯერ გაგიგონიათ – დროს უკან ვეღარ დააბრუნებო!... დალოცვილო, ეგ მეც კარგად ვიცი! რა ნუგეშია ჩემთვის მდგომარეობის გამოუვალობისა და შედეგის გარდუვალობის ფაქტის კონსტატირება? გამწარებულმა კალამი მოვისროლე და საკუთარ თავზე გავბრაზდი: – ნეტა, ვინ მრჯიდა ფილოსოფოსობა რომ წამოვიწყე?

წუთი წუთს გაჰყვა, საათს საათი და გონება კვლავ განათდა: – მე ხომ პრობლემა მხოლოდ ერთი მიმართულებით განვიხილე, ზოგადად კარგიდან ცუდისკენ, მე ხომ შეიძლება შემოვაბრუნო და ცუდიდან კარგის მიმართულებით, ანუ ნეგატიურიდან პოზიტიურისაკენ ვიმოძრაო? წარმოიდგინეთ, როცა თავისუფლებას შეგნებულად (პო, ნამდვილად შეგნებულად და ნუ ვიკამათებთ ამაზე!) ვცვლით ტანჯვაზე, გამოდის, რომ ჩვენთვის თავისუფლებასა და ტანჯვას ერთი ფასი ჰქონია!

ყველასათვის ცნობილია, რომ თანაბარზომიერი ფასეულობები ყველაზე წარმატებულად იცვლება. ჩვენ ვიყიდეთ ტანჯვა თავისუფლების ფასად, ე. ი. ისიც ისეთივე ღირებულია, როგორც თავად თავისუფლება!

არც ისე ცუდად ყოფილა საქმე: – თუკი ორი, თანაბარი ფასეულობიდან, ამჟამად ერთი, კერძოდ კი ტანჯვა, ჩვენს ხელთაა, მაშინ სავსებით რეალური საშუალება გვქონია კიდევ ერთი ბარტერის განხორციელებისა. ასეთი აღმოჩენის შემდეგ, მე მგონი, გაგიჩნდებოდათ მდიდარი ადამიანის განწყობა. თქვენ ისეთივე ქონების პატრონი ბრძანდებით, რომელშიც ამქვეყნად ყველაზე დიდი ფასია გადახდილი. ვინმეს თუ შეუძლია, რომელიმე ვალუტაში თქვენი შენაძენის რეალური ფასის გადაყვანა? მომილოცავს (რა თქმა უნდა, მათ ვულოცავ, ვინც ეს „კომერციულად მომგებიანი" გარიგება უკვე გააკეთა!), დიდი შენაძენი გააკეთეთ!

ასეთი ქონების პატრონებს, რამე ხომ არ შეგვეძინა კიდევ? რატომაც არა, მაგრამ რა? ჩვენს საკუთრებაში არსებული კაპიტალის თანაბარზომიერი ღირებულების მქონე, მხოლოდ ის ფასეულობაა, რომელიც უკვე გავყიდეთ.

ამ დროს აღმოვაჩინე, რომ იმით, რაც გამაჩნია, შემიძლია ვიყიდო ის, რაც ისე მომენატრა, რომ სიცოცხლე აღარ შემიძლია: — მომენატრა თავისუფლება და უბრალოდ ჰაერივით მჭირდება. მაშინ, რატომ ვარ უმოქმედოდ, როდესაც ისეთი ძვირად ღირებული კაპიტალი გამაჩნია, როგორიცაა ტანჯვა? თავისუფლება — ტანჯვა, ტანჯვა — თავისუფლება — ეს ხომ ასე მარტივია!

ჩემს არსებაში წინააღმდეგობრივი განცდები გაჩნდა: — ჩემთვის ესოდენ სასურველი პერსპექტივა, ისეთი შორეული და მიუწვდომელი ჩანდა, რომ ერთბაშად ვერ აღვიქვი ასეთი იოლი გამოსავალი. გამოდიოდა, რომ ჩემი ყოველი წუთი, ყოველი დღე ჩემი ტანჯვისა, ვაჭრობა ყოფილა — მე ვყიდულობ თავისუფლებას!

დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი ზუსტად იმ დროში დამთავრდება, რაც ტანჯვის სასყიდლად დამჭირდა. შეიძლება ეს ფაქტი, ცოტათი ცუდი გასათავისებელია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დრო ჩემს სასარგებლოდ მოქმედებს, ერთხელაც დადგება დღე და ახალი შენაძენითაც გავიხარებ, შეთავაზება ხომ ჯერჯერობით ძალაშია!

ახლა კი ჩემს ქონებას მივხედავ, ჩემს ტანჯვას მოვუვლი, ისე როგორც ხარბი მოხუცი, რომელიც მთელი ცხოვრების ნაწვალებ სიმდიდრეს, დანაოჭებული, გამხმარი ხელებით ეფერება, დაჰკანკალებს და ნეტარებს იმის გაფიქრებითაც კი, რომ საკმარისია გაუჩნდეს ნება და ყველაფერს იყიდის, იბანავებს თავისი ნებელობის მატერიალიზებულ მორევში.

გთხოვთ, მადროვეთ, მეც უნდა მოვეფერო ჩემს ნაგროვებ სიმდიდრეს, შეძენილს ტყუილითა და სიხარბით, წუთიერი სიამოვნებითა და ღალატით, გაუტანლობითა და ავხორცობით. მაცალეთ, დავტკბე ჩემი ტანჯვით. ჩემი ცხოვრების კაპიტალით, ყველაფერი ხომ არც ისე ცუდადაა, მით უმეტეს მაშინ, როცა ყოველდღე მდიდრდები!

— სამყარო ტყუილით ცოცხლობს და ტყუილის გარშემო ტრიალებს, — ფიქრობდა გოგი და მტკვრის სანაპიროს მიუყვებოდა. სულ ახლახანს დაშორდა ძველ მევალეს ექსპრომტად შეთხზული სიცრუით, ამიტომაც საკუთარი თავით კმაყოფილი, წელში გამართულიყო და ისეთ ფიქრებს მისცემოდა, რაზეც, სხვა პირობებში, დროს არ დაკარგავდა. მუდმივად მობუზულს ჩვევად გადაექცა სახის დამალვა, თვალებს გამალებით აცეცებდა და თუ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, საერთოდ ერიდებოდა ქუჩაში გამოსვლას. უკვე დიდი ხანია თავადაც აღიარა, რომ ტყუილი მისი ცხოვრების წესად გადაიქცა. საკუთარ თავთან საუბრისას, ყოველთვის ჰქონდა მყარი მოტივი, რითაც ყოველ ახალ სიცრუეს ამართლებდა, ამიტომაც მის ცნობიერებაში დაბუდებულ სინდისს საბოლოოდ დაეკარგა პირველადი ფუნქცია და ახლა უფრო მოძველებული გარნიტურის როლს ასრულებდა, ძველებურ სახლებში რომ გვინახავს — აჭედილი და მტვრიანი.

ამჯერადაც გაიმართლა თავი. ჩვეულება ჰქონდა ასეთი, თითქოს მასში მცხოვრებ მეორე გოგის ელაპარაკებოდა. ეს, მეორეც, მასავით მატყუარა იყო, თუმცა კი „სცენარს“ სჭირდებოდა და მცირეოდენ წინააღმდეგობას მაინც უწევდა, ბოლოს, როგორც წესი, პირველი გოგი მეორეს ამარცხებდა და ეს უკანასკნელი, აუცილებლად, აღიარებდა პირველის უპირატესობას.

თუ კრიტიკულად მივუდგებით, მეორე გოგი, სინდისის სუროგაციად ანდა სუროგატულ სინდისად შეგვიძლია მივიჩნიოთ. რაღაც ახირებების გამო, სწორედ ასეთ სუროგატებს ქმნიან პროფესიონალი ცრუპენტელები: — თითქოს სასიცოცხლო აუცილებლობის გამო სჭირდებათ ვიღაც, ვინც მათ ქმედებას გაამართლებს, ოღონდ მაშინვე კი არ დანებდება, არამედ ცხარე პოლემიკაში „დამარცხდება“. ეს პროცესი, უფრო ხშირად, უკვე რეალიზებული სიცრუის შემდეგ ვითარდება, მაშინ როცა ასეთ შინაგან ბრძოლებს აზრი მართლაც აღარ აქვს.

ასეთ განცდებში მყოფმა, თავისდა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ დღეს, ამ ერთი, დაუსრულებელი ფრაზით ვერ გადარჩე-

ბოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მეორე „მე", მეორე გოგი ყველაფერს აიტანდა, დღეს მაინც ვერ გააჩუმებდა ასე იოლად, საჭიროება მოითხოვდა მყარი არგუმენტაციის მოშველიებას.

ორთაჭალპესის შლუზების გახსნის გამო მტკვრის დონე დაწეულიყო და ძველი ქალაქის ნაშთები მოეშიშვლებინა, ძველი თბილისური კვადრატული აგურით ნაშენები დუქნებისა და სამიკიტნოების ლამით დაფარული ნანგრევები ისეთ სიმყრალეს გამოსცემდა, რომ სანაპიროზე მხოლოდ თავგადაკლული მეთევზეები დარჩენილიყვნენ, მოყვარულები კი გორგასლის ხიდიდან ადევნებდნენ თვალს პროფესიონალებს.

— აი, თუნდაც მეთევზე, — იპოვნა გამოსავალი გოგიმ, — რომ არა ტყუილი, ისიც და მისი ოჯახიც მშიერი დარჩებოდა, ნემსკავზე წამოგებული ჭია კლასიკური ტყუილის მაგალითია, ამიტომაც ეძახიან სატყუარას!

— მეთევზე თევზს ატყუებს და არა ადამიანს, — გაიბრძოლა მეორე გოგიმ, თუმცა კი მისი ლოგიკა უფრო ხმამაღლა განცხადებასაც იმსახურებდა. მან პირველზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შეცბუნებულმა გამალებით დაიწყო ძებნა ნებისმიერი მაგალითისა, რომელიც კი მის ინტელექტუალურ „საგანძურში" ინახებოდა.

— უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ რა აზრი აქვს კამათს? არ მასვენებენ ეს ოხრები და იმიტომ ვიქცევი ასე! — დაასკვნა ბოლოს და ერთი ხელის მოსმით მოსპო ყველა წინააღმდეგობა.

მართლაცდა, რომ დავუკვირდეთ, რატომ მიწევს ტყუილის თქმა? — პასუხი ერთია: — მაიძულებენ ასე მოვიქცე! არ მიგებენ, არ მაძლევენ საშუალებას ვალდებულება პირნათლად შევასრულო! პრაქტიკულად, ტყუილი მათივე სარგებლობისთვისაა ნათქვამი: — ამით ხომ დროს ვიგებ, რათა შეპირებული ავასრულო, მათ კი არ ესმით ჩემი და ბრაზდებიან! ფულსაც იმიტომ ვართმევ ტყუილით, რომ სხვაგვარად არ მომცემენ, მაგრამ, იოტისოდენად მაინც რომ მენდონ, ტყუილის თქმა არ დამჭირდება და ვფიცავარ მაღალ ღმერთს, სიტყვას არ გადავალ!

ამ ფიქრებში გართული ანჩისხატის ეკლესიას მიუახლოვდა.

შეჩერდა, ქუდი მოიხადა და პირჯვარი გადაიწერა. გოგის ეშინოდა ღმერთის, ძალიან ეშინოდა, მაგრამ ამ შიშს შედეგი არ მოჰქონდა. ღვთისმოშიში კაცისათვის სიცრუე დიდი ცოდვაა და უზენაესის სასჯელის შიშით, კაცი ტყუილს უნდა ერიდებოდეს, მაგრამ გოგის აქაც თავისებური ფილოსოფია ჰქონდა: — ვინ იცის, რა უნდა ღმერთს? — მსჯელობდა იგი, — თუკი ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, მაშინ ჩემი სასაწაულებრივი გადარჩენებიც, რასაც ტყუილით ვახერხებ, ესეც ხომ ღმრთის ნებაა?! „... რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების!“ ასეთი მარტივი ფილოსოფიით კმაყოფილდებოდა გოგი, ალბათ, ამიტომაც ცხოვრებაში აღსარება არ ჩაუბარებია.

— რა მოვინანიო, მითხარით, რა შევცოდე ასეთი და ვის აქვს უფლება გამასამართლოს! — ამ წინადადებაში გოგი მახვილს ბოლო სიტყვაზე აკეთებდა. მას გულწრფელად მიაჩნდა, რომ ამ ცოდვილ დედამიწაზე, მისი გასამართლების უფლება არავის ჰქონდა, გულის სიღრმეში გოგიმ ის ნამდვილი მიზეზი იცოდა, რისთვისაც აღსარების ჩაბარებისაგან იკავებდა თავს: — რამდენადაც არ უნდა ვიმართლო თავი, როგორი მიმტევებელი სინდისიც არ უნდა გვქონდეს, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ვცოდავთ? სწორედ ამ მხილების ეშინოდა გოგის. უტყვი ხატები კი, რომლებთანაც თითქმის ყოველდღე ანთებდა სანთლებს, მის დასჯას არ აპირებდნენ, პირიქით, ისეთი სათნო მზერით ღებულობდნენ ცოდვილის შესაწირს, რომ გოგი კიდეე უფრო რწმუნდებოდა თავის სიმართლეში.

ანჩისხატიდან გამოსული მუსკომედიის თეატრთან შეჩერდა. კონკასთან, რესპექტაბელური, კარგად ჩაცმული მამაკაცი ხვდებოდა სტუმრებს, რომლებიც ძვირფასი მანქანებიდან გადმოიშალნენ და რესტორნის კარებისაკენ მიემართებოდნენ. ისეთი სილაღე, ისეთი სიმშვიდე და უზრუნველობა მოდიოდა ამ კომპანიიდან, რომ გამვლელებიც კი ღიმილითა და თანაზიარი სიხარულით შეჰყურებდნენ, მით უმეტეს, რომ საქეიფოდ შეკრებილნი, ახალგაზრდები იყვნენ და აშკარად რაღაც ისეთი მიზეზი ჰქონდათ შეკრებისა, რაც მათ სასწავლებელთან ან სამსახურთან იყო დაკავშირებული.

— იდიოტები! — გაიფიქრა გოგიმ და იგრძნო როგორ ერთბაშად გაუფუჭდა ხასიათი.

— მამიკოს ფულებით გრიალებენ და ცხოვრების კი არაფერი ესმით, ხალხი შიმშილობს, ესენი ქეიფობენ, — სადაა სამართალი! — ისეთი ხმით ჩაილაპარაკა გაბრაზებულმა, რომ გამვლელებს კარგად გაეგოთ. გოგის არავინ გამოეპასუხა. სხვა დროს ასეთი რამ არ ხდებოდა: — აუცილებლად გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც მაშინვე „გაიზიარებდა" მის წუხილს და ერთ-ორ სიტყვასაც დაუმატებდა. გოგის ბუზღუნი უპასუხოდ დარჩა. ხასიათი საბოლოოდ გაუფუჭდა. ჩვეული მანერით მოიბუზა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ორბელიანის მოედნისაკენ, იქვე, ფურცელაძის ქუჩაზე ბინა ჰქონდა ნაქირავები იტალიურ ეზოში და ახლა ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა ძალუმად: დროზე მისულიყო სახლში და კარები ჩაერაზა.

ორ თვეში ერთხელ მისამართს იცვლიდა. ამის მიზეზიც ჰქონდა: — თითქმის ყოველთვის პოულობდნენ მევალეები. სხვათა შორის, მუდმივი საფრთხის მოლოდინში, გოგის უნიკალური ინტუიციის უნარი ჩამოუყალიბდა, შეიძლება ითქვას, წინათგრძნობა, რასაც ბრწყინვალედ იყენებდა კიდეც. არაერთხელ დარწმუნებულა თავისი ნიჭის შესაძლებლობებში. ერთხელ, შინ მისულს, მაშინ ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა, მოულოდნელად შესძულდა ყველაფერი, კედლები თითქოს დაიძრა და სადაცაა გაჭყლეტდა საწყალს; გული ძლიერ აუძგერდა, რაღაც ამოუხსნელი, უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა. ბევრი არ უფიქრია, ხელი დაავლო ერთადერთ სპორტულ ხელჩანთას, მთელს მის ავლადიდებას რომ იტევდა და სახლიდან გავარდა. ათიოდე ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული, როდესაც ზურგსუკან მანქანის მუხრუჭების მჭახე ხმა გაიგო. არ გაუხედავს, ნაბიჯს უმატა და პირველივე შესახვევში შეუხვია. წამით შეყოვნდა. ფეხის ხმა არ ისმოდა, — ესე იგი არ მომდევენ, — გაიფიქრა და ფრთხილად გაიხედა. მანქანასთან ოთხი პირი შეკრებილიყო: ერთი მაშინვე იცნო: — ყველაზე „ველური" მევალე, უფრო ზუსტად „გადაგდებული"; ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც ხელიდან დაუსხლტა მდევარს — გაგვასწრო, მაგის დედა... — ხმამაღლა შეიგინა მომხდურმა, —

მეზობელმა თქვა, ეს წუთია გაეიდაო, მოვკლავ, მაგ უბედურს!... არ ვაცოცხლებ!

გოგიმ შვებით ამოისუნთქა, მანქანიდან ისეთ დისტანციაზე იყო, თან ნაცნობ უბანში, რომ საფრთხე არ ემუქრებოდა. რაღაც უნდა ელონა, სხვაგვარად არ შეეშვებოდნენ. მაშინ ეს პრობლემა ადვილად გადაწყვიტა: ახალი „მსხვერპლი" იპოვნა, ცოტა წაითაღლითა და ზუსტად იმდენი იშოვნა, რაც სჭირდებოდა. მესამე დღესვე გაუგზავნა ფული წინა მევალეს, თუმცა ხუთასი დოლარი მაინც დაიტოვა — გამოუქვითა „შეწუხებისათვის".

გოგი სახლისაკენ მიემართებოდა, ისევ მობუზული, თავჩაღუნული, როგორც ყოველთვის. არასოდეს შედიოდა სახლში ერთსა და იმავე დროს. ამჯერადაც შუადღის სამ საათზე ბრუნდებოდა. ქუჩაზე გადაირბინა და საქენერგოს შენობასთან მისული შეყოვნდა. გაინაბა. გოგიმ მოსმენა იცოდა, ერთ ადგილზე გაჩერებული საკუთარ თავს, მრავალნაცად ინტუიციას ჩაულრმავდა. ჭამის წინ, გზაზე გადასვლისას, მოეჩვენა, რომ რაღაც იგრძნო, მსგავსი იმ სიგნალისა, რომელსაც არაერთხელ გადაურჩენია. თვალი მოავლო გარემოს, მხედველობის არეალში მოხვედრილი ყოველი სახის იდენტიფიცირება მოახდინა. არავინ ეცნო.

— ნადირს დავემსგავსე!.. ღმერთო, რა დღეში ვარ! — გაიფიქრა გოგიმ და სიმწრისაგან ტუჩი მოიკვნიტა — ნეტა, როდის დამთავრდება ყველაფერი?! ადგილზე გაშეშებულმა, ფიქრს თავი ვერ მოსწყვიტა, იგრძნო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისაკენ უბიძგებდა უხილავი ძალა. მიხვდა რაშიც იყო საქმე, — ყველაფრის შეცვლის სურვილი რეალური გარდასახვის პერსპექტივას უქადდა.

— მოდი, შევეშვები ყველაფერს და მონასტერში წავალ, — ფიქრი ხმამაღლა გამოთქვა და საკუთარი ხმისაგან შეკრთა კიდეც.

— რას ელოდები, ახლავე წადი! — შეეხმიანა მეორე „მე".

— დღეს არა, ორშაბათს წავალ; პატარა საქმეები მაქვს, ხომ იცი? — შეეპასუხა და ფიქრებისაგან გამოერკვა გოგი. წუთიერი შემობრუნებისაგან კვალიც აღარ დარჩენილიყო. ხასიათიც გამოუსწორდა, ისე, როგორც ემართებოდა მაშინ, როდესაც მოუ-

ლოდნელ გამოსავალს იპოვნიდა სიტუაციიდან. ამჯერადაც მისი გადაწყვეტილება, საკუთარ ცოდვებზე წუხილი კი არა, უფრო პრობლემისაგან გაქცევა იყო, ისევ დამალვა. მხოლოდ უფრო გარანტირებული, ვინაიდან, ვინც მას იცნობდა, ყველაზე ნაკლებად მონასტერში დაუწყებდა ძებნას! მისი რელიგიურობა, რაც ურთიერთობის დასაწყისში, ნდობის მოპოვებაში ეხმარებოდა „გადასაგდებად" გამზადებულ კლიენტთან, მალევე გაქარწყლდებოდა ხოლმე, როგორც კი პირველ ტყუილში დაიჭერდნენ. ამიტომ აღარავინ ტყუვდებოდა მისი მარხვაზე ყოფნითა თუ ზიარებაზე სიარულით.

— ძმაო, ერთი წუთით! — მოესმა ბოხი, ჩახლეჩილი ხმა.

წამებში გაიაზრა, რომ ნაცნობი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მიმართვა, შინაარსის მიხედვით, შეეძლო წარმოეთქვა როგორც კეთილმოსურნეს, ისე მტერსაც, რბილი ინტონაცია ცუდს არაფერს მოასწავებდა, ამიტომაც გოგი სწრაფად შეტრიალდა ხმის მიმართულებით. „პირიმზის" კომბინატთან, სალათისფერი ჟიგულის მარკის მანქანიდან, გარუჯულსახიანი, ასაკიანი კაცი იმზირებოდა.

— გენაცვალე, არამიანცის საავადმყოფოს ვერ მიმასწავლი? — ალალი, ძარღვიანი კახურით მიმართა კაცმა. ახლაღა დაინახა გოგიმ, რომ მკითხველს კახური ქუდიც ეხურა და მთელი პირით, გადამდებად იღიმებოდა.

— ბრეჟნევი რო ჩამოვიდა, ბოლოს მაშინ ვიყავ ქალაქში, ჯო, სულ დამებნა გზა და კვალი — სიცილით დაასრულა კითხვა კახელმა.

ახლა, როცა მძღოლის წარმომავლობაში ეჭვი აღარ ეპარებოდა, გოგიც ხუმრობის ხასიათზე დადგა და მისი გაშაყირება გადაწყვიტა. ყოფილი კოლმეურნეობის, ამჟამად კი, ორბელიანის მოედანი მანქანებით იყო გადაჭედილი. მეყვავილეებს სანახევროდ ჩაეხერგათ ისედაც ვიწრო და გადატვირთული ქუჩა. ამ ორომტრიალში მოყოლილი მანქანა საათზე მეტს მოანდომებდა საცობიდან თავის დაღწევას. ავლაბრისაკენ, უმოკლესი გზით, ბაზრის პირდაპირ, კორტებთან ჩასვლით შეიძლებოდა გაღწევა. ეს მშვენიერად იცოდა გოგიმ, მაგრამ ოინის სცენარი სხვა სიუჟეტს

ითვალისწინებდა:

— როგორ ვერ მიგასწავლი, ჯიგარო, — თავადაც კახურად მოუქცია მეტი დამაჯერებლობისათვის — ამ ბაზარს წრეს დაარტყავ ძია და ზემოთ, სკვერისაკენ ახვალ, იქ კიდენა მარცხნივ შეუხვიე.

— კახელი ხარ, ჯო? — გაიღრიჭა მძღოლი.

— ნორიელი, ბიძაჯან!

—კახელი ყოფილხარ, რაღა! — დაადასტურა საკუთარი მიხვედრილობით კმაყოფილმა, დედაქალაქის სტუმარმა და საუბრის გაგრძელება დააპირა; ალბათ, თავისი ჩამოსვლის მიზანს მოუყვებოდა, მაგრამ ამისათვის აღარ ეცალა გოგის, ეს მის წესებში არ შედიოდა. არც გაჩერებულა, შეტრიალდა და მეყვავილეების მიმართულებით გაემართა.

— მადლობა, ძმაო! — ჩუმად ჩაილაპარაკა, ქალაქელის უცნაური ქცევით გაკვირვებულმა კახელმა და მთელი ძალით შემოიჯახუნა მანქანის კარები.

— კმაყოფილი ხარ? — ეს ისევ შინაგანი ხმა, გოგის მეორე „მე“ იყო.

— რით? — შეეპასუხა კითხვითვე გოგი, მან ხომ იცოდა რაზეც მიანიშნებდნენ!

— აღარ დაიღალე ამდენი ტყუილებით, რას ერჩოდი იმ საწყალს?

— არც არაფერს, ვიხუმრე რა, ბოლო ტყუილი იყო. აი, ორშაბათს წავალ მონასტერში და მორჩა ტყუილები! შენც გაქრები, ჩემო კარგო, უბრალოდ აღარ იქნები საჭირო, გაიგე? — ხმამ არაფერი უპასუხა.

— ხომ გაგაჩუმე? არ ღირდა ამ გულუბრყვილო ხუმრობაზე ამხელა ამბის ატეხვა, ბავშვური ტყუილი იყო, ვის რა უნდა ავნოს?

ხმა აღარ ისმოდა, პასუხიც, შესაბამისად, არავის გაუცია. ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო და წესით გოგი უნდა შეშფოთებულიყო მეორე „მე“-ს დუმილის გამო. რეალობის ობიექტური ანალიზი რაღაცას ცუდს მოასწავებდა, მაგრამ, მისდა გასაკვირად, გოგი სრულებითაც არ

ნერვიულობდა. საინტერესო იყო, რომ მას მოსწონდა კიდეც საკუთარი წესების დარღვევა, მოსწონდა, რომ არც ინტუიციას ემორჩილებოდა და არც შინაგანი ხმის დუმილი აღელვებდა. ეს ყველაფერი თავისუფლების ნეტარ განცდას ჰგვრიდა. სწორედ ამ განცდას ესწრაფვოდა, როგორც მომაკვდავი სიცოცხლეს, ამ შეგრძნების განცდის წყურვილი იყო მთელი მისი ცხოვრების არსი. მაგრამ ყველაფერი, რასაც კი ცხოვრებაში აკეთებდა, ამ მიზანს აშორებდა. რაოდენ პარადოქსულად არ უნდა მოგეჩვენოთ, გოგი პრაქტიკულად საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდა: — მიზანი ცაში იყო, ის კი მიწას ეხუტებოდა! ახლა კი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, სიფრთხილის ყველა ზომის უგულებელყოფის მიუხედავად, სულ იოლად განიცადა „იგი“.

ცას ახედა. მზე არ ჩანდა. გოგის თავი არ დაუხრია, ზევით იყურებოდა და მოძრაობას განაგრძობდა. წამით მოეჩვენა, რომ მაღლა სივრცეში დაიწყო ასვლა. მოულოდნელად გვერდ'ში მწვავე ტკივილი იგრძნო, რომლის მიზეზიც მასიური სხეულის დარტყმა იყო, სხეულმა ჯერ მიიზიდა, შემდეგ კი გაისროლა. გოგის გრძნობა არ დაუკარგავს, მიხვდა, რომ მიფრინავდა, ხელებიც კი გაშლილი ჰქონდა, თითქოს მოსაჭიდს ეძებდა სადღაც... ცა'ში.

— ყველაფერი ამისრულდა! — გაიფიქრა და მიწას დაენარცხა. ბოლოს ყველაფერი გაშავდა. ღია, კრიალა თვალებ'ში, რომლებიც კვლავ ცაში იმზირებოდნენ, მტვერითა და ცისფერი ბოლით გაჟღენთილმა, თბილისური ღრუბლის ანარეკლმა გადაიარა. გოგის ორივე „მე“ ერთდროულად აღესრულა!

— ხალხოო, მამეშველეთ... კაცი შამამაკვდა, ჯოო...! იღრიალა სალათისფერი ჟიგულის მძღოლმა, სწორედ იმ კახელმა, რამოდენიმე წუთის წინ რომ ელაპარაკა გოგის.

მოგვიანებით ყველაფერი გაირკვა. დეტალურად აღიწერა შემთხვევის ყველა, უმნიშვნელო წვრილმანიც კი. ჩანაწერებმა შემოინახეს გაუბედურებული კახელის ჩვენებაც, რომელიც ბავშვური ტყუილის გამო, სულ სხვა მიმართულებით გაემართა. მიუახლოვდა თუ არა საცობს, იქვე მდგარმა პოლიციელმა უკან გაბრუნება აიძულა. ბავშვური მიამიტობის გამო, კახელმა მითითებულ მარშრუტს არ გადაუხვია და წესების დარღვევით სკვერ-

თან ავიდა. იქ კი მეორე პოლიციელი დახვდა. ჩვენებაში ისიც აღიწერა, თუ როგორ ეკამათა ამ მეორე წესრიგის დამცველს, რომელიც ჯიუტად არ აძლევდა გასვლის უფლებას: — არამიანცის საავადმყოფოს აქეთ რა უნდა, მოქალაქევ, გაბრუნდით უკან. — უყვირა პოლიციელმა. რა თქმა უნდა, იმას არავინ დაწერდა, როგორ შეუკურთხა კახელმა აბეზარ სამართალდამცავს. ის კი აღნუსხეს, რომ გაბრაზებულს მანქანა დაუქოქავს და მოწყვეტით დაუძრავს სწორედ მაშინ, როცა გზაზე ცაში ხელებაპყრობილი კაცი გადადიოდა.

სკურპულოზურად შეკერილ საქმეში ერთი საუბარიც არ შესულა. ბუნებრივია, ვერც მოხვდებოდა, ვინაიდან მიწიერ მართლმსაჯულებაში საუბრის მონაწილეთა სტატუსი არასოდეს განუსაზღვრავთ. საუბარი მე მოვისმინე და უცვლელად გთავაზობთ:

— ხომ გითხარი ჩემი იქნება-მეთქი!

— დამითმე, გთხოვ!

— როგორ დაგითმო, თვითონ მომყიდა სული.

— შეიბრალე, რაში გჭირდება მისი სული?

— შენ რაში გჭირდება?

— მამას უნდა დავუბრუნო.

— სწორედ მაგისთვის არ გაგატან, მოვრჩეთ ვაჭრობა!

სამების ტაძრის ზარებმა ჩამოჰკრეს. ანგელოზმა ელიას მთას გახედა, თბილისური ღრუბელი მის ცრემლიან თვალებშიც აირეკლა, შემდეგ მოსწყდა და მიწას დაეცა ცრემლთან ერთად. ქალაქზე წვიმა დაეშვა.

ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲓᲐ
(ნოველა)

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა ზარის ხმა გაისმა. მამა სააბაზანოში პირს იბანდა, მე ტელევიზორს ვუყურებდი, კარი დედამ გააღო. არ დავინტერესებულვარ ვინ იყო, სანამ დედამ არ დაიძახა:

— თამაზ, გამოიხედე, პოლიციიდან არიან!

ამის გაგონებაზე კარისაკენ გავემართე.

შემოსასვლელში პატრულის ახალგაზრდა თანამშრომელი იდგა, ამასობაში მამაც გამოვიდა სააბაზანოდან.

— შემობრძანდით, რაშია საქმე?! — იკითხა მან.

— შემოპატიჟებისათვის დიდი მადლობა, მაგრამ საქმე საჩქაროა, ბოდიშს გიხდით ასე ადრიანად რომ გაწუხებთ, თქვენი დახმარება გვესაჭიროება.

— კი, მაგრამ მე რაში უნდა დაგეხმაროთ?! — გაიკვირვა მამამ.

— იცით, რა არის? — პატრულის თანამშრომელმა ფურცელს დახედა, რომელიც ხელში ეკავა და ამოიკითხა, ვარკეთილის მასივი, ხომლელის ქუჩა, კორპუსი 27, I სადარბაზო, ბინა 16, გოგლიძე თამაზი. ეს ხომ თქვენი მისამართია.

— მისამართი ჩემია. თამაზ გოგლიძეც მე გახლავართ, თუმცა მაინც ვერ ვხვდები, მე რით შემიძლია დაგეხმაროთ.

— ბატონო თამაზ, მიცვალებულის ამოსაცნობად უნდა წამოგვყვეთ, ბევრ დროს არ წაგართმევთ.

— ვერ გავიგე, რა საერთო მაქვს მიცვალებულთან, ან ჩემი მისამართი საიდან გაქვთ.

— მიცვალებულთან რა საერთო გაქვთ, ნამდვილად ვერ გეტყვით, ხოლო მისამართს რაც შეეხება, გვამს ჯიბეში აღმოაჩნდა წერილი, რომელიც თქვენ გეკუთვნით, მისამართიც ზედ არის მითითებული, მის შინაარსს გამომძიებელი ადგილზე გაგაცნობთ,

ასე რომ, გთხოვთ, დიდხანს ნუ გვალოდინებთ, სადარბაზოსთან საპატრულო მანქანაში გელოდებით.

პოლიციელი პასუხს არც დაელოდა ისე დაეშვა კიბეზე. დედამ კარები მიხურა და სამი ადამიანის გაკვირვებული, შეშფოთებული სახეები ერთმანეთს დაეჯახა. ინფორმაცია იმდენად მცირე იყო, აზრზე ვერ მოვედით რა ხდებოდა.

დიდი ხვეწნის შემდეგ ძლივს დავითანხმე მამა, რომ თან წავეყვანე.

რვა წლის წინ გაიყიდა ჩვენს სართულზე მდებარე მოპირდაპირე ბინა.

ბინაში მოხუცებული რუსი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. მათი შემოსავალი მარტოოდენ პენსიით განისაზღვრებოდა. ორი ბიჭი ჰყავდათ, რომლებიც რუსეთში მოღვაწეობდნენ, მშობლებს ისინი უწევდნენ დახმარებას, თორემ პენსიის შემყურენი ალბათ შიმშილით დაიხოცებოდნენ.

რვა წლის წინ ერთ-ერთი ვაჟი ჩამოვიდა და მშობლები სამუდამო საცხოვრებლად თან წაიყვანა. პატარა ვიყავი, მაგრამ მოხუცებისაგან ტკბილი, დაუვიწყარი მოგონებები დამრჩა.

დედა ხშირად შედიოდა მათთან, ისინიც მალ-მალე გვსტუმრობდნენ. ჩემი დანახვა განსაკუთრებულად უხაროდათ. საკუთარი შვილიშვილივით დამფოფინებდნენ, მეც ბავშვური სიყვარულით ვპასუხობდი მათ დამოკიდებულებას ჩემდამი.

ისინი გადამეტებით მანებივრებდნენ როგორც ტკბილეულით, ასევე მოხუცებისათვის დამახასიათებელი სითბოთი.

სულ რუსულ-ქართულად მესაუბრებოდნენ. ალბათ მათი დამსახურებაა დღეს გამართულად რომ ვლაპარაკობ რუსულად.

მათთან განშორებამ ძლიერ დამწყვიტა გული. დღესაც მახსოვს „ბაბა ლენას" ბლინები და „სმაროდინას მურაბა".

„ძველ კოლია" ძველი დურგალი იყო. სპეციალურად ჩემთვის ააწყო პატარა მაგიდა და სკამი. იმ მაგიდაზე მიშლიდნენ ხოლმე ტკბილეულის სუფრას, შემდეგ ჩამოსხდებოდნენ, მიყურებდნენ და კისკისებდნენ, მურაბით ცხვირ-პირ მოთხვრილს რომ მხედავდნენ.

დღესდღეობით დაძაბული ურთიერთობაა ჩვენს ქვეყანასა და

რუსეთს შორის, მაგრამ მჯერა, რომ ეს ურთიერთობა დროებითია. დარწმუნებული ვარ, ბევრია იქ „ბაბა ლენას“ და „ძედა კოლიას“-ნაირი ხალხი. მძიმე პოლიტიკური ვითარება კი, არ უნდა გახდეს მიზეზი ერებს შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებისა.

* * *

ოჯახი, რომელმაც მოხუცების ბინა შეიძინა, მელქაძეებს ეკუთვნოდა.

ირაკლი ძია და ნინო დეიდა არაჩვეულებრივი ხალხი იყვნენ. ჩვენს ოჯახებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ერთი გოგონა ჰყავდათ — ნათია, რომელიც ჩემზე სამი წლით პატარა იყო. სკოლაში ერთად დავდიოდით. თავისუფალ დროს თითქმის ერთად ვატარებდით.

ნინო დეიდამ კორპუსთან ახლოს „სუპერმარკეტში“ მოძებნა სამსახური, ირაკლი ძია რომელიღაც ავტოსერვისში მუშაობდა, ასე რომ, ოჯახს საშემოსავლო წყარო ჰქონდა. კარგი კაცი იყო ირაკლი ძია, მამას ბევრჯერ უთქვამს, უწესიერესი კაცია სამეზობლოდაც და სამეგობროდაც. მარტო სადარბაზო კი არა, მთელი კორპუსი პატივს სცემდა. საქმე არ იყო მას რომ არ გამოსვლოდა ხელიდან. ყველაფერი ეხერხებოდა, დაუზარელი კაცი იყო, ცდილობდა ყველას დასდგომოდა გვერდში რითაც შეეძლო. მისგან უკმაყოფილოს ვერავის ნახავდით. მათ ოჯახში კი მუდამ სიყვარული და სითბო სუფევდა. ბოლო ხანებში რამდენჯერმე შემომესმა კარებთან მისულს ცოლ-ქმარს შორის ხმამაღალი კამათი, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, ასეთი რამ ხომ თითქმის ყველა ოჯახში ხდება.

მოკლედ — ჩემი ბავშვობა თითქმის ამ სახლის კედლებში გავატარე, კარგის გარდა არაფერი მიგრძნია მის ჭერქვეშ, არც რუსი მოხუცებისაგან და არც მელქაძეებისაგან. თუმცა პირველად გული მათთან განშორებამ დამწყვიტა.

მეორედ კი...

ეს იყო ტრაგედია, რომელმაც ჩემს ცნობიერებას განსაკუთრებული დაღი დაასვა. ამ ტრაგედიამ დამარწმუნა, რომ საზოგადოების უმეცრებამ განსაკუთრებული როლი შეიძლება ითამაშოს ყველა ჩვენგანის არსებობაში. ამ შემთხვევამ მაფიქრებინა, რომ ცხოვრების გზები ერთ დიდ მავთულხლართს ჰგავს და არავინ იცის სად, როდის ან როგორ გადაკვეთენ ისინი ერთმანეთს. რამდენადაც ვშორდებით ადამიანები კეთილგონიერებას, გულმოწყალებას, შენდობას, მით უფრო მყარდება ეს ხლართი.

ამ თვისებების გარეშე ადამიანები ყოველ ნაბიჯზე მახეს ვუგებთ ერთმანეთს და ვერ ვხვდებით, როგორ მივექანებით იმ უფსკრულში, სადაც ღმერთის მოვალეობას ბოროტება ითავსებს.

* * *

— ალო, გისმენ.

ზდაროვა, ზუკ.

— ზდაროვა, რომელი ხარ?

ჭილიკა ვარ, ბიჭო, პროსტა სხვისი მობილიდან გირეკავ.

— ხოო, იმიტომ ვერ გიცანი, რა ხდება, ბრატ?

ზუკა იქნებ დამეხმარო, პონტი არა გაქვს?

— ბიჭო, აზრზე არა ვარ, უნდა გადავრეკო, თუ რამეა ზარს გამოკუშვებ. ქესი პოლნი გაქვს? ძმურად ნულარ მაჩალიჩებ, სხვა დროს მე გცემ პატივს.

კი, ტო, ორას ლარამდე მიდევს, დღეს მე დაგპატიჟებ, თან მანქანით ვარ.

ნახევარი საათის შემდეგ შავი ფერის გოლფი საბურთალოდან წყნეთისაკენ დაიძრა.

— ზუკა, კაი პონტია? — ჰკითხა ჭილიკამ.

მაგარი, თბილისური პონტი არაფერია მასთან შედარებით, ფასი იგივეა, მაგრამ ბლომადაა, სამს იმენნო მაგრად გაგვისწორებს. თან შუსტრი პონტია. ჰა, ჰა, 15 წუთი გვალოდინოს. დარწმუნებული ვარ ზედა აქვს, მაგრამ ხომ იცი ბარიგის ფსიქოლოგია, მაგათი დედაც.

— ბიჭო, ვერ გადავაგდებთ?

აუ, მოიცა რა, მერე ეგეთი პონტის აგდება არ გინდა? თან ხომ გეუბნები სერიოზული პონტია. ხო, იცი, კენჭო, ჩემი ძმაკაცი რომ არის.

— კი, ვიცნობ, ერთადაც გვიჩალიჩია, სერიოზულ დოზაზე ზის.

ხოდა, კინალამ დამებრიდა, ბიჭო, ლამის გავგიჟდი. პროსტა უბანში მეზობელთან სასწრაფო იყო მოსული, ბედი აქვს, თორემ ცვეტში ტრუპი იყო, ორი ნარკანი გაუკეთეს, ექიმს ოცი ლარი გავუმაზე, პატრულში უნდა გავაცხადოვო, გვღუპავდა ის ჩემისა აზრზე ხარ?

ასე ლაპარაკში მიუახლოვდნენ ვაკის სასაფლაოს, აღმართი გადაიარეს და ბაგებში შევიდნენ.

— ცოტაც და წყნეთში ვართ, — თქვა ჭილიკამ, რომელიც საჭეს მართავდა. ცალი ხელით ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირი მოიწმინდა და გააგრძელა, — დამეწყო აი, ვახ ჩემი რა ცუდად ვარ, მთელი ძვლები მტკივა, ნეტავი ვენაში როდის ვიქნები.

მალე, მალე ნუ გეშინია, — უპასუხა ზუკამ, — საქმე ისაა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, ყოველდღე ერთი და იგივე, ყელში ამომივიდა ასეთი ცხოვრება, საკუთარი თავი მეზიზღება უკვე.

შემოდგომის ბოლო თვე იწურებოდა.

თბილი ამინდები დაიჭირა, მაგრამ ღამის სიცივეები მაინც მორეოდა ხე-ტყეს. გაყვითლებული, ფერმიხდილი ფოთლები ძალგამოცლილი მოფარფატებდნენ მიწისაკენ და იქ პოულობდნენ საუკუნო სასუფეველს. მხოლოდ ნაძვები იდგნენ ვაჟკაცებივით, მომავალი ზამთრის მუქარას არად აგდებდნენ, თითქოს გაშიშვლებულ ტყეს დასცინოდნენ, — გვიყურეთ, რა მაგრები ვართ, წელიწადის არც ერთ დროს ქედს არ ვუხრითო, — მაგრამ არის ამქვეყნად რამე მუდმივი? ყველაფერი ხომ წარმავალია, ყველაფერს აქვს დასაბამი და დასასრული.

წყნეთის ცენტრში „მაია წყნეთელის“ ძეგლის წინ გაჩერებულ „გოლფს“ უკან თეთრი ფერის „მერსედესი“ მიადგა. მანქანებიდან ერთდროულად გადმოვიდა ორი ახალგაზრდა, ერთმანეთს ხელი

ჩამოართვეს და მალევე დაშორდნენ, „მერსედესმა“ მკვეთრად მოუხვია და უკან გაბრუნდა. ზუკამ მანქანაში ჩაჯდომისთანავე ბრძანებასავით გასცა, — მიდი, წინ იარე, გზაში დაგეწევიან და ფაქტს მოგვაწვდიან.

„შენ გაიხარე, ზუკა, დილის აქეთია ვჩალიჩობთ, ძლივს მოება თავი, — კმაყოფილებით წარმოსთქვა ილიამ, რომელიც უკან იჯდა. საზურგეს მიეყრდნო, ფეხები გადაფარჩხა და სიგარეტს მოუკიდა, რომელიც საბურთალოდან წამოსულს ორ თითს შუა ჰქონდა გაკვეხებული, თითქოს ამ წუთისათვის ინახავდა, „ლომკას“ ისე მოეჭირა, ყოველი ნაფაზი ზიზღის გრძნობას უფრო იწვევდა, ვიდრე სიამოვნებას. ფანჯარას ჩაუწია, ნახევრამდე ჩაუმწვარი სიგარეტი წკიპურტით მოისროლა და ზედ მიაგინა, თითქოს ამ ერთი სიგარეტის ღერის ბრალი იყო მისი ასეთ მდგომარეობაში ყოფნა.

გზად აფთიაქთან გაჩერდნენ. ილია გადავიდა და წამლის გასაკეთებლად საჭირო „პრიპასები“ შეიძინა. წყნეთის ბოლოში იყვნენ ასულები, როცა ნაცნობი „მერსედესი“ დაეწიათ. მანქანები ერთდროულად გადავიდნენ გზიდან და გაჩერდნენ. ორი ახალგაზრდა კიდევ ერთხელ მიესალმა ხელის ჩამორთმევით, ცოტა ხანს რაღაც ილაპარაკეს და დაშორდნენ.

— პირდაპირ წადი, აქ კაი ადგილი ვიცი გასაჩერებლად, — ჩაჯდომისთანავე უთხრა ზუკამ ჭილიკას.

* * *

ყველაფერი დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო. ზუკა საბურთალოზე, კერძო ორსართულიან ბინაში ცხოვრობდა. მშობლები მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ და აქედან გამომდინარე, მისთვის და მისი დისათვის გაჭირვება უცხო ხილი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან არაფერი აკლდა და განებივრებულ ცხოვრებას მისჩვეოდა, მის სისადავესა და უბრალოებაზე ამას არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია. აქედან გამომდინარე, ყველასგან სიყვარულით, პატივისცემით სარგებლობდა.

მისი საძინებლის ფანჯარა პირდაპირ ფანჯარას გადმოჰყურებდა. ჯერ დილა იყო, როცა კენჭომ ზუკას შესძახა. ალბათ ძმაკაცს მაგრად ეძინა, რადგან რამდენჯერმე მოუწია დაძახება, სანამ მან ფანჯრიდან გადმოიხედა.

— რა არის, შე ჩემა, საათის ცნობა დაგავიწყდა? ხაშზე მეპატიჟები? — იკითხა თვალების ფშვნეტით.

როგორ არ ვიცი, ათი საათი ხდება, გაგიგია ამდენი ძილი? — უთხრა კენჭომ.

— კარგი ხო, რა ხდება მითხარი, ფეხზე ძლივს ვდგევარ ისეთი „პახმელია" მაქვს, გუშინ ქეთის დაბადების დღეზე ვიყავი და ბევრი მომივიდა.

ბიჭო, სანდრო, ჩამოსულა წუხელ ევროპიდან. დილაადრიან დამირეკა, ზუკას შეეხმიანე და ჩემთან ამოდითო, მაგარი „ტაჩკა" ჩამოუყვანია. მიდი, დროზე გამოდი. „მალარიჩს" ვაკისრებინებთ და „პახმელიაზეც" გამოხვალ.

ბიჭები სანდროს მიადგნენ. მას მანქანა გამოეყვანა ქუჩაში გასარეცხად. ძმაკაცების დანახვაზე ღრუბელი ძარაზე მიაგდო, ხელები გაშალა და წაურუსულა.

— ვაა, „კაკიე ლიუდი ვ გალივუდე".

მერე ბიჭებს ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა.

ვა, ფრანცუზ, როგორ ხარ? ჰკითხა კენჭომ, — „სკოლკა ლეტ სკოლკა ზიმ", ეიფელის კოშკი ისევ დგას პარიზ'ში?

— მარაა, ტო, — უპასუხა სანდრომ.

ესე იგი იქ ქართველებს მაგრა არ უჭირთ, თორემ მაგ შენ კოშკს დაჭრიდნენ და ნაკუწ-ნაკუწ ჯართში ჩააბარებდნენ, — დაასკვნა ზუკამ.

— აბა, როგორი „ტაჩკაა", ლომებო, მოგწონთ? 2008 წლის „პეჟოა", პოლნი ნავაროტკით, სუპერ კომფორტია, ტრასაზე პირდაპირ „ოაზისია", — შეაქო შენაძენი სანდრომ.

კენჭომ გარშემო შემოუარა, სადედამთილო პატარძალს რომ ამოწმებს ისე. ჭერზე ხელი დაარტყა რამდენჯერმე და დაეთანხმა.

— მართლა მაგარია, ბრატ, სექსოა, მ'შვიდობაში, — მიულოცა კენჭომ.

მეც გილოცავ, სუპერია, მაგრამ მანქანას ხომ მერეც ვნახავდი, მაგისთვის წამომაგდეთ ლოგინიდან? ვერ მიყურებთ რა ცუდად ვარ? „პახმელიისაგან“ ლამის თავი გამისკდეს, — დაიწუწუნა ზუკამ.

— ძმებო, ჩემთან შედით, სახლში არავინაა, უკვე ვრჩები რეცხვას, შემოვალ და მოგხედავთ. — უთხრა სანდრომ.

კენჭო სავარძელში იჯდა და გიტარას აჩხაკუნებდა, თან შალახოს მელოდიას ღიღინებდა, არადა ისე გაეგებოდა კენჭოს გიტარის. როგორც ზღარბს — ქოლგის.

— ე, მუზიკანტ! ზუკა სად არის? — იკითხა ოთახში შესულმა სანდრომ

საბაზანოშია, კვდება გულისრევით, გუშინ დაბადების დღეზე ყოფილა თავის დაქალუშკასთან, თამადად დაუნიშნავთ, გამომივიდა გულბაათ ჭავჭავაძე, — ა, ბატონო, შედეგი.

ზუკამ წყალი შეისხა სახეზე, ონკანი დაკეტა, სარკეში თავის ორეულს შეხედა და შეუკურთხა: — ნახე, რას ჰგავხარ, შე ჩემის „კალოშო“, ამდენი უნდა დაგელია? ფუ, შენს კაცობას. პირსახოცზე ხელ-პირი გაიმშრალა და საბაზანოდან გავიდა.

კენჭო ისევ სავარძელში იჯდა. ფეხებშუა გიტარა ჩაედგა, თავზე შავი ფერის ცხვირსახოცი გადაეფარებინა, ხელები გაეშალა და გაბადრული სახით შალახოს გასძახოდა.

სანდრო იქვე ჩაცუცქულიყო. წინ დიდი ხელჩანთა დაედო და ჩამოტანილ ნივთებს იატაკზე ალაგებდა.

— აჰა, ეს შენ „საპახმელიო“, — დანახვისთანავე შეაგება ქილით ლუდი ზუკას.

„ჰეინეკენია“, ჯერჯერობით ეს იკმარე, მერე კი რესტორანში გაგჩითავთ. — ესენი კი, ერთი შენ, ერთი ამ მუზიკანტს. „ელექტროსაპარსებია“, ნაღდი „ფილიპსი“, პატენტი არ გეგონოთ. სანდრომ ზუკას ორი კოლოფი გაუწოდა, ხოლო თვითონ ამოლაგებული ნივთების უკან ჩალაგება დაიწყო.

— შენ ნამდვილი ძმა ხარ! — მადლობა მოუხადა ზუკამ და ერთი კოლოფი კენჭოს მიაწოდა.

კენჭო წამოდგა, გიტარა სავარძელზე მიაყუდა, პირსაპარსი გამოაროვა და ისევ შალახოს მელოდიით დაამღერა.

— შენ ნამდვილი ძმა ხარო.

— ბიჭო, რა გიჟივით გაფენია ეგ ცხვირსახოცი თავზე, ან ეს შალახო რას ჩაგიხვევია, ყველაფერი სულელური შენ უნდა მოიგონო, არასერიოზული კაცი ხარ რა!!! — გაუბრაზდა ზუკა.

ეს ცხვირსახოცი, მაგიური ცხვირსახოცია, ჩემო ზუკლიკო, წყალში ჩაალბობ და წყალი უცებ ჯადოსნურ სითხედ გადაიქცევა „გეროინ ს კოკაინჩიკომ", კოქტეილ, ბრატ, გაიგე? კო-ქტეილ, — დაუმარცვლა კენჭომ. სანდრომ ჩამოიტანა ფრანციიდან.

— მოკლედ არ ეშვებით მაიმუნობას, ჯანმრთელობას ხომ არ უფრთხილდებით და თავებს იხოცავთ, ერთ მშვენიერ დღეს მიგაბრძანებენ ორივეს ვირის აბანოში, ჰეროინასაც და კოკაინჩიკასაც, მერე იჩხირეთ ბალანდა და იცეკვეთ შალახო, მომავალი არ გინდათ გქონდეთ?...

კარგი,...ზუკა..რა მოხდა,...ათასში..ერთხელ..წაიკაიფო...უბრალოდ ვერთობით. შენ ხომ მაინც იცი, სხვა რა უნდა აკეთო ამ არშემდგარ ქვეყანაში. — თავი იმართლა სანდრომ, — სასმელს მაინც არა სჯობია? გამოექომაგა კენჭო,— ნახე რას ჰგავხარ.

— სიმართლე გითხრათ, ისე ცუდად ვარ, რომ ვიცოდე ეგ თქვენი „კოქტეილი" „პახმელიას" მომიხსნის, ნაღდად გავსინჯავდი ერთხელ.

მხოლოდ ერთხელ....

ასე ერთხელ იწყება ეს სიგიჟე.

ერთხელ პახმელიაზე, ერთხელ უსაქმურობით, ერთხელ გასართობად, ერთხელ დეპრესიის მოსახსნელად, ერთხელ ინტერესის გულისათვის და ერთ მშვენიერ დღეს ხვდები, რომ ამ ჭაობში ღრმად გაქვს შეტოპილი.

ნელ-ნელა იძირები და თუ ნებისყოფა არ გამოიჩინე, დროზე თუ არ გაჩერდი, ამ სიბინძურიდან ამოსვლა რთულია. ხშირ შემთხვევაში ფსონში საკუთარი ცხოვრებისა და სიცოცხლის ჩადება გიწევს, მისი გაგება კი ძალიან ძნელია.

* * *

მან იგრძნო როგორ გათბა სისხლი, მერე ამ თბილმა სისხლმა სასიამოვნო ტალღად დაირბინა ფეხის თითებიდან თმის ძირებამდე სხეულის ყველა კუთხე-კუნჭული, გული ჩიტივით აფართხალდა, ქუთუთოები დაუმძიმდა, სავარძელში ისე ჩაეშვა, ეგონა ღრუბლების ოკეანეში შეცურა, თვალები დახუჭა და მილიგრამმა სითხემ უცებ გადაიყვანა მისთვის უცხო სამყაროში, ზღაპრულ სამყაროში, სადაც არ არსებობს არანაირი პრობლემა და არანაირი დარდი და შიში, ამ სამყაროში მეფეც თვითონ იყო და ვეზირიც.

ზუსტად ეს ზღაპრული სიამოვნება იყო პირველი ნაბიჯი ჯოჯოხეთში, რომელსაც „ნარკო-მანია" ჰქვია.

* * *

ქაშუეთის ეკლესიიდან ასე ორმოცდაათ წლამდე ჩია, ჭაღარათმიანი მამაკაცი გამოვიდა. პირჯვარი გამოისახა, ფილებს ხელით შეეხო, გაიმართა და მზერა გუმბათს მიაპყრო.

ჩავარდნილი თვალები, გაყვითლებული, უსაშველოდ გამხდარი სახე იმაზე მეტყველებდა, რომ ჯანმრთელობა საგრძნობლად ჰქონდა შერყეული. სახეზე ტკივილსაც ამოიკითხავდით, მაგრამ ეს ტკივილი სულიდან უფრო მოდიოდა, ვიდრე სხეულიდან. ცოტა ხანს თვალები დახუჭა, გაახილა, ღრმად ამოიოხრა და ავტობუსების გაჩერებისაკენ წავიდა.

რა ხანია მისთვის ყველაფერმა დაკარგა აზრი. გაურბის ადამიანებთან ურთიერთობას და არ სჯერა მათი, გულცივები არიან ისინი, შეუძლიათ მოგისმინონ, მაგრამ გაგიგებენ კი?. მას ვერ გაუგეს.

როცა დახმარება დასჭირდა, უღალატეს. ჩათვალეს, რომ იგი საშიშია გარშემო მყოფთათვის. მერე მიხვდა, რატომ გასწირეს ასე უღმერთოდ. დღესაც ზარბაზნის ხმასავით ჩაესმის მოსამართლის ჩაქუჩის ხმა. ორი სასამართლო პროცესით გადაწყვიტეს მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. უცებ წაართვეს ყველაფერი

თავისუფლება, ახლობელი ადამიანები, ოჯახი — ღმერთო, ოჯახი, ეს ხომ ყველაზე უძვირფასესი იყო რაც გააჩნდა დედამიწის ზურგზე. არავინ დაინტერესებულა რამდენს წვალობდა იმ სენისგან თავის დასაღწევად, რომლის გამოც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ნებისყოფა ღალატობდა, თუმცა იცოდა, რომ აუცილებლად მოერეოდა თავს. უბრალოდ დრო სჭირდებოდა, რომელიც მას არ მისცეს.

თორმეტი წელი ციხე. ეს იყო ის დახმარების ხელი, რომელიც მას გაუწოდეს.

თითქმის ექვსი წელი დაყო გისოსებს მიღმა. შეიწყალეს, დაუბრუნეს თავისუფლება, მაგრამ რაღაში სჭირდება იგი?! რა დარჩენია ქვეყანაზე, სადაც მარტო სიმარტოვე და მოგონებები გამხდარან მისი ერთგული მეგობრები.

არადა, ხომ შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო?!

წყნეთში ბოლო გაჩერებაზე ჩამოვიდა. ღრმად შეისუნთქა შემოდგომის ტყის სურნელი. მოკლემეტრაჟიანი ფილმის კადრებივით გაირბინეს მოგონებებმა, რომლებიც ამ ადგილებთან აკავშირებდა. რამდენჯერ ამოსულა აქ ოჯახთან ერთად. ეს საუკეთესო ადგილი იყო მისთვის, ქალაქის ყოველდღიური ქაოსისგან თავის დასაღწევად.

ჰიპნოზური ძალა აქვს ბუნებას. გამშვიდებს, გაწყნარებს მასთან ურთიერთობა. კარგად თუ მიუგდებ ყურს, თითქოს გესაუბრება, თითქოს გრძნობ, როგორ გეფერება უხილავი ხელებით. გახსენებს, რომ მისი განუყრელი ნაწილი ხარ, მისი შვილი ხარ,

რა ბედნიერი იყო მაშინ.

გაჩერებაზე — წყაროსთან, ერთი საურმე გზა შედის. რამდენიმე ათეულ მეტრში მკვეთრად უხვევს, გეგონება გაგრძელება აღარ აქვს, შეუხვევ თუ არა, უცებ ტყის ტევრში იკარგები, ესეც ერთ-ერთი სამოთხეთაგანია უხვად რომ შეუქმნია ღმერთს ამ დალოცვილ დედამიწაზე.

გზას შეუყვა. მოსახვევს უახლოვდებოდა, როცა უცებ ძრავის ბღუილის ხმა შემოესმა, ხმას ავტომობილი გამოჰყვა უკუსვლით,

ინსტინქტურად გვერდზე რომ არ გამდგარიყო, ბორბლების ქვეშ აღმოჩნდებოდა. მანქანა გზატკეცილზე გავარდა, დაამუხრუჭა და წინსვლით ქვემოთ წყნეთისკენ დაეშვა.

ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, საბურავებმა ასფალტზე შავი კვალი დაამჩნია. იქაურობა კი მწვავე რეზინის სუნმა დაფარა.

— რამ გადარია ეს ხალხი, ამან ასე თუ იარა, სახლამდე ვერ მიაღწევს, — ჩაიბურტყუნა მან, თავი გააქნია და გზა განაგრძო.

მოსახვევში შევიდა თუ არა, ელდანაკრავივით ერთ ადგილზე გაქვავდა, თითქოს წინ ბეტონის კედელი აღიმართა და ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევდა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ახლა კი მიხვდა რას გაურბოდა ავტომობილი. რამდენიმე მეტრში „ნატვრის ხესთან" ადამიანის სხეული ეგდო. ნერვებმა აიტანა, სისუსტე იგრძნო, საჩქაროდ ამოიღო ნიტროგლიცერინის აბი და ენის ქვეშ დაიდო.

დაიბნა. ვერ გადაწყვიტა რა ექნა.

მივიდეს? — რომ მივიდეს, მერე რა, მკვდარს რა უნდა უშველოს, ზედმეტი პრობლემები ნამდვილად არ სჭირდება. მაგრამ იქნებ ცოცხალია, მაშინ?! იქნებ მასზეა დამოკიდებული მისი გადარჩენის ბედი. ფიქრებში გართულმა ვერც კი შეამჩნია ისე მიუახლოვდა ახალგაზრდა ბიჭის სხეულს. მის გვერდით მიმოფანტულმა ინსულინის შპრიცებმა და ვალერიანის ფლაკონმა ყველაფერი ნათელი გახადა. მისთვის ეს შორეულში მივიწყებული კარგად ნაცნობი სურათი იყო. ყოველი წამი შეიძლება ყოფილიყო გადამწყვეტი.

სხეულს არც გაკარებია, ისე გამოიქცა უკან. ჯანმრთელობა სიმარდეში ხელს უშლიდა, მაგრამ როგორც შეეძლო, ისე ეწინააღმდეგებოდა თავს. ტყის შესასვლელთან მდებარე პირველივე ეზოში შევარდა და აკანკალებული ხმით დაიძახა:

— გესმით? ვინმე თუ არის სახლში გამომხედეთ, გთხოვთ, კაცი მიკვდება გესმით?

სახლის ფანჯრიდან ვიღაცამ გამოიხედა, შემდეგ კარები გააღო და ასე სამოცდაათი წლის მოხუცი გამოვიდა.

— რაშია საქმე?! — მკაცრად იკითხა მან, თუმცა სიმკა-

ცრესთან ერთად ცნობისმოყვარეობასაც ვერ მალავდა. მადლობა ღმერთს სახლში ხართ, — სტუმარი ძლივს ლაპარაკობდა, ხშირი სუნთქვა ხელს უშლიდა, ღრმად ამოისუნთქა, პატარა პაუზა გააკეთა და განაგრძო, — „ნატვრის ხესთან" ბიჭი კვდება, გთხოვთ! სასწრაფოდ შპრიცი, მარილი, წყალი და ბამბა მჭირდება, შეიძლება მივუსწროთ.

რამდენიმე ხანში უნებლიე მასპინძელიცა და დაუპატიჟებელი სტუმარიც „ნატვრის ხესთან" იყვნენ.

უკანასკნელმა დაიჩოქა, ბიჭი გულაღმა დააწვინა და მკერდზე ყური დაადო. გული ყრუდ, დიდი ინტერვალით ფეთქავდა. მკლავი გაუშიშვლა, ოსტატურად, გამოცდილი ექიმივით უპოვა ვენა და ათი მილიგრამი მარილხსნარი ორგანიზმში შეუშვა.

შედეგი არ ჩანდა, ბიჭს სახე მთლიანად გაშავებოდა. კაცმა ლაბადა გაიხადა, დაკეცა, მომაკვდავს კისრის ქვეშ დაუდო და რამდენჯერმე ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა. უცებ მომაკვდავმა ხროტინით ჩაისუნთქა ჰაერი. სუნთქვა აღდგა, სიშავემ გადაუარა, თვალები გაახილა და ააფაციცა, ვერ გარკვეულიყო რა ხდებოდა. მამაკაცმა, რომელიც მის გვერდით მუხლებზე იჯდა, გაღიმებულმა დახედა.

— კეთილი იყოს შენი დაბრუნება სააქაოში, — უთხრა მან. შემდეგ ფეხზე მდგომ მოხუცს ახედა, რომელსაც აშკარა ცნობისმოყვარეობა გამოხატვოდა სახეზე, და ჰკითხა:

— სახელი რა გქვია, კეთილო ადამიანო.

ვახტანგი მქვია. ისე წყნეთელები ვასილიჩს მეძახიან.

— ძალიან კარგი. მე ირაკლი მქვია, ჩვენ ეს შევძელით, ვასილიჩ, გესმის? მადლობა უფალს. — შენ რა გქვია? — მიუბრუნდა ირაკლი ახალგაზრდას, რომლის მდგომარეობა უკეთესობისაკენ მიდიოდა.

ზუკა, — ამოილუღლუღა ბიჭმა.

— ვასილიჩ, გთხოვ, მოდი, ეს ყმაწვილი შენთან გადავიყვანოთ, თუ სიკეთეა, სიკეთე იყოს. სახლში მოგიყვები რაც შემემთხვა, თან მოვიფიქრებ როგორ მოვიქცეთ. — ზუკა, შეძლებ წამოსვლას? — ჰკითხა ბიჭს.

კი, როგორ ვერ შევძლებ. — ზუკამ წამოდგომა სცადა, მა-

გრამ ვერ შეძლო.

— რა მოგივიდა, — ჰკითხა ირაკლიმ.

არ ვიცი, მუხლი მტკივა ძალიან.

ირაკლი ვერ მიხვდა მუხლი რა შუაში იყო, მაგრამ მკითხაობა არ დაუწყია.

— ვასილიჩ, შემოგეკლე, მოდი, მომეხმარე.

კაცები აქეთ-იქით ამოუდგნენ და ახალგაზრდა კოჭლობით წაიყვანეს სახლისაკენ.

ოთახში თბილი, სოფლური გარემო სუფევდა, კუსტარულად დამზადებული ღუმელი სასიამოვნოდ ფუთფუთებდა, დამწვარი შეშის სუნი საკმეველივით გასჯდომოდა კედლებს.

ზუკა ტახტზე დაეწვინათ. ირაკლი და ვასილიჩი მაგიდასთან ისხდნენ. სტუმარმა დაწვრილებით მოუყვა როგორ იპოვა მომაკვდავი „ნატვრის ხესთან". მანქანის თაობაზე კი არაფერი უთქვამს.

ზუკა ისმენდა. შინაგანი სირცხვილის გრძნობა აწუხებდა, ფეხი რომ არა, უკანმოუხედავად მიატოვებდა აქაურობას. თავში ათასი აზრი უტრიალებდა. ახსოვს, როგორ მოხარშეს წამალი, როგორ გაიკეთეს, მერე კი სიბნელე. ნერვები ეშლებოდა მეგობრების უყურადღებობაზე. საკუთარი ტყავის გადასარჩენად სასიკვდილოდ გაიმეტეს. ესეც „წამლის" მეგობრები.

მაგრამ თვითონ ასე არ მოიქცეოდა. ყველაზე ცუდის მოლოდინშიც კი, არც ერთს არ მიატოვებდა გასაჭირში.

კაცები საუბარს განაგრძობდნენ.

— ასეა, ჩემო ვასილიჩ, ადამიანს რაც გიწერია, არ აგცდება, ალბათ ამ ბიჭის ბედისწერის წიგნში ჩვენც ვწერივართ, სხვაგვარად არ შეიძლება იყოს..

ეჰ, რა ვიცი, ჩემო ირაკლი, რა ვიცი, — ვასილიჩმა ასტრას მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და კვამლთან ერთად გამოსცრა: — ვერ გამიგია, რატომ იღუპავენ თავებს, ირაკლის ვენაცვალე, განა ამ დალოცვილ ქვეყანაზე ცოტაა სასიამოვნო, მაგ შხამს რომ არ მოაკვლევინო თავი? წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდნენ მშობლები, ამ ბიჭს რომ რამე დამართოდა. კაცო, — როგორ დავიჯერო ღვინოს სჯობია ეგ მორფია თუ რაღაცა.

— მაგას ნუ იტყვი, ვასილიჩ, განა სასმელს ცოტა ზიანი მოაქვს? — უკბილო პროტესტი გამოთქვა ირაკლიმ ვასილიჩის გაკეთებულ შედარებაზე,— მე თუ მკითხავ, სასმელით გაგიჟებულ კაცზე უარესი არაფერია, რამდენი მკვლელობა და უბედურება მომხდარა სიმთვრალის ნიადაგზე.

მართალი ხარ, არ შეგეკამათები, მაგრამ შენ ერთი რამე გავიწყდება, ზომიერების გრძნობას არ უნდა კარგავდეს კაცი. განა მუცელი შენს ქვემოთ არ არის? საერთოდ კი ერთი რამის ბრალია ეს ყველაფერი. ხალხმა სიყვარულის გრძნობა დაკარგა, ძლიერები მაშინ ჰგონიათ თავები, თუ ვინმეს დაჩაგვრა შეძლეს. მამაჩემი იტყოდა ხოლმე, „სული თუ მღვრიე აქვს კაცს, მისი გულის ფსკერზე ოქროს ვერ იპოვიო", ჰოდა, მაგაშია მთელი უბედურება. იცი, კიდევ რა არის, ჩემო იკა? სიტყვის და საქმის დაშორება ისწავლა ხალხმა კარგად. ქადაგებენ ერთს, აკეთებენ მეორეს. აი, რაშია საქმე. თორემ, სასმელი აქ არაფერ შუაშია.

— მართალი ხარ, ვასილიჩ, მართალი, — დაეთანხმა ირაკლი. შემდეგ ზუკას მიუბრუნდა და ჰკითხა,: — რა ვქნათ, ვაჟკაც, შენი საქმე როგორ გადავწყვიტოთ.

ძმაკაცს დავურეკავ და მომაკითხავს, — თქვა ზუკამ, რომელსაც ერთი სული ჰქონდა აქაურობას გასცლოდა. ირაკლი წამოდგა, ბიჭთან მივიდა, ტახტზე ჩამოუჯდა და წყნარად მიმართა:

— მომისმინე, ჩემო ზუკა, კარგად მომისმინე. შენს პრობლემას ძმაკაცები ვერ გადაწყვეტენ. ვიცი მე რა არის შენს მდგომარეობაში ყოფნა. მაგ სენმა მე მთელი ცხოვრება დამინგრია. დიდი ხანია იკეთებ?

ზუკას ესიასმოვნა ასეთი გულობილი საუბარი და აჰყვა, — თითქმის წელიწადია.

— მშობლები გყავს?

კი.

— იქნებ მათ გავაგებინოთ.

არა, გულს ვერ ვატკენ, რომ გაიგონ გაგიჟდებიან.

— მოიცა, ნუ ჩქარობ დასკვნების გაკეთებას. განა გულს არ ატკენდი რომ მომკვდარიყავი? მათზე მეტად ვინმე დაზარალდებოდა? გთხოვ, დამიჯერე ამ შემთხვევაში მშობლები უფრო

დაგიდგებიან გვერდში, ვიდრე ვინმე სხვა. ენდე ჩემს სიტყვებს, მარტო გაგიძნელდება ამ ჭირის გადატანა. ზუკა დაფიქრდა.

— ისე მამაჩემი შეგნებული კაცია, მაგრამ არ ვიცი, როგორ გავაგებინო ეს ყველაფერი, ბატონო ირაკლი.

ნუ გეშინია, მე მომანდე ყველაფერი, ერთხელ უკვე დამავალა ღმერთმა შენი გადარჩენა, ნება მომეცი ბოლომდე დაგეხმარო.

ზუკამ დიდხანს იყოყმანა, მერე მობილური ამოიღო ჯიბიდან, მამის მობილურის ნომერი აკრიფა და ირაკლის გაუწოდა.

ირაკლი და გურამი კარგა ხანს საუბრობდნენ ვასილიჩის ეზოში. მამა-შვილს ხმა არ გაუცია ერთმანეთისთვის, ისე გამოიყვანეს და ჩასვეს მანქანაში ზუკა. გურამმა კიდევ ერთხელ-მოუხადა მადლობა შვილის გადამრჩენებს. მისამართი დაუტოვა, სთხოვა, აუცილებლად სტუმრებოდნენ, დაემშვიდობა და ავტომობილი თბილისისკენ დაეშვა.

ირაკლი ცოტა ხანს კიდევ დარჩა ვასილიჩთან.

* * *

ორ კვირაზე მეტი იყო გასული როცა ირაკლიმ გადაწყვიტა ზუკას მონახულება. არ უნდოდა მისვლა, მაგრამ შეპპირდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, უნდოდა გაეგო როგორ გაგრძელდა მისი ისტორია.

ალაყაფის კარი გურამმა გაუღო. ირაკლის დანახვაზე სახე გაებადრა, გადაეხვია და დიდხანს ჰყავდა ასე გულში ჩაკრული.

— შენ შემოგევლე, ჩემო ირაკლი, შენ ჩვენი ოჯახის კეთილი ანგელოზი ხარ, ზუკას რომ რამე მოსვლოდა, ალბათ თავს მოვიკლავდი, მაგაზე ამომდის მზე და მთვარე, ჩემი გვარის გამგრძელებელია, ჩემი იმედი, — გაუჩერებლად ლაპარაკობდა გურამი, თან ხელგადახვეულს მიჰყავდა სტუმარი სახლისკენ.

ორსართულიანი სახლი, დიდი ეზო, ლამაზი ხელოვნური მცენარეებით დამშვენებული, საცურაო აუზი, ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ საკმაოდ შეძლებული ოჯახი იყო.

ამ დროს, მეორე სართულიდან 15-16 წლის გოგონამ გადმოი-

ხედა — მამიკო, ვინ არის? — იკითხა მან.

იკა ეს ჩემი გოგონაა, ჩემი ნათათო, — მამი, ჩამოდი გაიცანი, ეს ირაკლი ძიაა.

გოგონამ სხარტად ჩამოირბინა კიბეები, კაცებთან მივიდა, ირაკლის ხელი გაუწოდა და მიესალმა.

ირაკლიმ იმის მაგივრად რომ მისალმებოდა, ხელი თავზე გადაუსვა და წაიჩურჩულა „ნათათო". თვალები აუწყლიანდა, მისი გოგონაც ხომ გახდებოდა ამხელა, რა ბედნიერი მამა იქნებოდა, მის გვერდით რომ ყოფილიყო.

— ირაკლი, რა მოგივიდა? — ფიქრიდან გამოარკვია გურამმა.

არა, არაფერი, ბედნიერი მამა ხარ, ჩემო გურამ.

— ხო, ცოტა ზუკამ მანერვიულა, თორემ.... ოთახში შევიდნენ. გურამმა ნათოს ყავის მოდუღება დაავალა, სტუმარს სავარძელი შესთავაზა, თვითონ ტელეფონთან მივიდა. ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა და საუბარი გააგრძელა:

— ჩემი მეუღლე მეზობელთანაა, დღეს შაბათია და ისვენებს, გადაირევა შენი სტუმრობის ამბავს რომ გაიგებს. სულ მსაყვედურობს, რატომ არ გამოართვი მისამართი იმ კაცს, ჩვენ თვითონ ვნახავდითო.

აბონენტმა უპასუხა:

— ალო, ეთერი, გურამი ვარ, მაკო სადაა, დამალაპარაკე. — მაკო, ჩქარა გამოდი ირაკლი გვესტუმრა, — ხო, ხო ის ირაკლი. — მოკლედ დაამთავრა საუბარი, ყურმილი დაკიდა და სტუმარს მიუბრუნდა. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ირაკლიმ სიტყვა გააწყვეტინა.

— ბოდიში, გურამ, ზუკა სად არის, ძალიან მინდა ვნახო.

ზუკა გუშინწინ გერმანიაში გავისტუმრეთ. იქ ჩემი მეუღლის ძმა ცხოვრობს. აეროპორტში დახვდნენ, ხვალ სარეაბილიტაციო ცენტრში დააწვენენ. სამთვიანი კურსი უნდა გაიაროს. ჩემმა სიძემ გვითხრა, ძალიან მაღალი დონის სპეციალისტები არიანო. შენი დამსახურებაა ყველაფერი.

— ეჰ, — გაიფიქრა ირაკლიმ, — რამდენი ადამიანია ჩვენს ქვეყანაში, ვისაც ასეთივე დახმარება ესაჭიროება, მათ კი ციხეებში მიერეკებიან, თან საზოგადოებაში ისეთ აზრს ამკვიდრებენ, რომ

ეს ხალხი მომავლის ღირსნი არ არიან. ნეტავი, როდესმე მოეღება ბოლო ამ უგუნურ სისასტიკეს? ნუთუ ყველა ოჯახს უნდა შეეხოს ეს „მსოფლიო დილემა", რომ საღი აზრი ჩამოყალიბდეს. ამ დროს კარები გაიღო და ოთახში პალტოწამოსხმული ქალბატონი შემოვიდა. გურამი მეუღლეს შეეგება, — აი, მაიკო, ეს არის ჩვენი გადამრჩენელი.

ქალი გაღიმებული მიუახლოვდა ირაკლის, ირაკლი ფეხზე წამოდგა მისასალმებლად, მაგრამ უცებ სახეზე ფერი დაეკარგა, ნერვიულობისაგან მთელი სხეული აუკანკალდა, თვალებში დაუბნელდა და ნელ-ნელა დაეშვა სავარძელზე. ნიტროგლიცერინის აბის მიღება მოასწრო, თორემ უკვე გრძნობას კარგავდა.

კრიზმა გაიარა.

მასპინძლები ისე დაიბნენ, ყველაზე მეტი რაც მოიფიქრეს, მაიამ წყალი გამოუტანა ჭიქით.

— ნუ გეშინიათ, უკვე კარგად ვარ, — დააწყნარა ირაკლიმ და წყალი მოსვა. — ნუ ნერვიულობთ, ეს გულის ბრალია, ამ ბოლო ხანებში შეტევები გახშირდა, საერთოდ ველარ ვერევი თავს. მაპატიეთ ცოტა ხანი გავჩერდები და წავალ.

რას ამბობთ, — შეწუხდა მაია, — ასე არსად არ გაგიშვებთ, თან ძალიან მინდა ახლოს გაგიცნოთ თქვენც და მომავალში თქვენი ოჯახიც.

ირაკლის გაეღიმა — ოჯახი?! ეგ შემდეგში იყოს, ახლა კი უნდა დაგტოვოთ. თქვენს წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, ასეა საჭირო.

უარი იმდენად კატეგორიული იყო, ხვეწნა-მუდარას აზრი არ ჰქონდა.

— ნება მომეცი მანქანით მაინც წაგიყვანო, — შეეხვეწა გურამი, — რა მოგივიდა გაწყენინეთ რამე?

ყველაფერი კარგადაა გურამ, ჰაერზე მირჩევნია ახლა ფეხით გავლა, გთხოვ, გამაცილე.

ეზოდან ქუჩაში გამოვიდნენ.

კაცებს მაიაც და ნათიაც გამოჰყვნენ.

ირაკლი მოტრიალდა, მაიას თვალი თვალში გაუყარა, გაუღიმა და უთხრა:

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო მაია, „უფალი ყველას იმას მიუზღავს, ვინც რას იმსახურებს“. — თავი დახარა და თითქოს ურჩხულის კლანჭებიდან განთავისუფლდა, ისე გაეცალა იქაურობას.

გურამმა მაიას შეხედა, ქალმა მხრები აიჩეჩა. ცოლ-ქმარი ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა ან ასე ორაზროვანი ფრაზა რას ნიშნავდა.

გაურკვევლობიდან ნათიამ გამოიყვანა მშობლები.

— საინტერესო კაცი ჩანს ეგ თქვენი ირაკლი. დიდხანს უნდა ვიდგეთ გარეთ? იქნებ შევიდეთ სახლში.

ირაკლი ტაშკენტის ქუჩას მიუყვებოდა. არავისი ესმოდა და ვერავის ხედავდა. მის მეხსიერებაში მანტიაში გახვეული ქალის სილუეტი ტივტივებდა, ეს ქალი მაია ესაკია იყო. მაია ესაკია — გურამის მეუღლე, ზუკას დედა, ირაკლისი კი მოსამართლე, ადამიანი, რომელმაც თავისი გადაწყვეტილებით სამუდამო წერტილი დაუსვა ირაკლის მომავალს.

* * *

გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. წელიწადის ეს ოთხი დრო უფლის მიერ აკინძულ ღვთაებრივ მძივს ჰგავს. ყველას თავისი სიდიადე და ბრწყინვალება გააჩნია, მაგრამ გაზაფხული თითქოს გამორჩეული დროა. მას სხვანაირი სურნელი აქვს. მიწის, ბალახის, აყვავებული ხეხილის და ნორჩი კვირტების სურნელი განსაკუთრებულ ენერგიად იღვრება სულში, ენით აუწერელ სითბოს გრძნობ. თითქოს სხვაგვარად გიხარია ყველაფერი. სხვაგვარად გიყვარს, გრძნობ, სხვაგვარად აღიქვამ სამყაროს.

თოთხმეტი წლის წინ გაზაფხულზე გაიცნეს ერთმანეთი ნინომ და ირაკლიმ.

ერთი თვის მანძილზე სულ შვიდჯერ შეხვდნენ ისინი. მეშვიდე პაემანზე, შვიდ აპრილს შვიდი წითელი ვარდი მიართვა ბიჭმა გოგოს და შეხვედრის ადგილზე „მარჯანიშვილის მეტროსთან“ ხმამაღლა დაიძახა:

— ხალხო, გთხოვთ მომისმინოთ.

გამვლელ-გამომვლელმა მისკენ მიაპყრო ყურადღება, ირაკლიმ თვალებში ჩახედა ნინოს და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ამ ხალხის წინაშე და ღმერთის წინაშე გეფიცები, ცივ ნიავს არ მოგაკარებ, გეფიცები, რომ სიცოცხლის ბოლომდე მეყვარები და შენი ერთგული ვიქნები. გთხოვ, გამომყევი ცოლად. თაიგულთან ერთად საქორწილო ბეჭედი გაუწოდა და პასუხს დაელოდა.

ნინომ დამორცხვებულმა დახარა თავი და თვალებიდან ბედნიერების ცრემლები წამოუვიდა. იმ დღიდან ერთმანეთს აღარ დაშორებიან.

პლეხანოვზე დედასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობდა ირაკლი. ნინო ბავშვთა სახლში გაიზარდა. ლონდონის ბაღთან პატარა ბინა ჰქონდა ნაქირავები და მარჯანიშვილის მეტროში მუშაობდა მოლარედ. იქ ნახა ირაკლიმ პირველად თავისი საბედო, ის გახდა მის ცხოვრებაში ერთადერთი და განუმეორებელი ქალი.

2009 წლის 7 აპრილი.

დღეს ზუსტად თხუთმეტი წლისთავი შეუსრულდა ცოლქმარს იმ დღიდან, რაც ერთად გადაწყვიტეს ცხოვრება.

ნინო და ნათია დილიდან სამზადისში იყვნენ, ისინი რუსთავში მიდიოდნენ პაემანზე, სადაც ირაკლი იხდიდა სასჯელს.

ნინომ თეთრეული, ტანისამოსი და ხილი ცელოფნის პარკებში ჩაალაგა.

— ნათი, ცოტა მალე, დედიკო, ხომ იცი რიგში მოგვიწევს დგომა, არ დაგვაგვიანდეს, — გასძახა შვილს, რომელიც თავის ოთახში ფუსფუსებდა.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა. ნინომ კარები გააღო. სახლში თამაზი, ქეთინო და ლაშა შემოვიდნენ.

აბა, როგორ ხართ, მეზობლებო, ემზადებით? — იკითხა ქეთინომ.

— ეს ჩვენგან შეუგზავნე ირაკლის, სიგარეტია და საზაფხულო მაისური. მცირედია, მაგრამ გულითაა მოწოდებული, — უთხრა თამაზმა და ნინოს ცელოფნის პაკეტი გაუწოდა.

დიდი მადლობა, ხალხო, რატომ წუხდებოდით.

— რას ამბობ, ნინო, რა შეწუხებაა, შენ ხომ იცი როგორ გვიყვარს ირაკლი. თუ ვინმე ლოცულობს მისთვის მათ შორის ჩვენც ვართ. შენ ვერ წარმოიდგენ როგორ გვენატრება.

ნათია თავის ოთახიდან გამოვიდა.

— როგორ ხარ, ანგელოზო? — ჰკითხა თამაზმა, თან მეუღლეს გადაულაპარაკა, — შეხედე, ქეთი, პრინცესას არა ჰგავს?

კარგად, მადლობთ, მიესალმა ნათია.

— ნინო, თამაზი სამსახურში მიდის და სადგურამდე მიგაცილებთ, იქიდან კი თქვენ იცით. —უთხრა ქეთიმ.

— რუსთავშიც ჩაგიყვანდით, მაგრამ სამსახურში დამაგვიანდება, — მოუბოდიშა თამაზმა.

რას ამბობთ, თამაზ, მაგაზეც დიდი მადლობა, ღმერთი გადაგიხდით იმ სიკეთისათვის, რასაც თქვენ ჩვენი ოჯახის მიმართ იჩენთ. თამაზ, სამომავლოდ ერთი სათხოვარიც მაქვს თქვენთან.

— გისმენ, ნინო, არ მოგერიდოს, ხომ იცი რითაც შემიძლია ყველაფრით დაგიდგებით გვერდში.

ირაკლიმ მთხოვა, რომ მისი დედისა და ძმის სასაფლაოზე ნაძვები დავრგო. ნამდვილად არ შეგაწუხებდი, მაგრამ ქალი ვარ და გამიძნელდება, იქნებ დამეხმარო, მინდა აღდგომისათვის მზად იყოს.

— პრობლემა არ არის, ნაძვებსაც მე მოგიტან გამწვანებიდან, შენ მარტო თქვი როდის.

ის იყო მეზობლებმა გასვლა დააპირეს, რომ ნათიამ ცხვირსახოცი გაშალა ხელში ალამივით.

— ნახე, დედიკო, მამას რა ამოვუქარგე.

ყველამ ცხვირსახოცს შეხედა. გოგონას ლურჯ ფონზე ყვითელი ასოებით ამოექარგა:

„მამიკო ძალიან გვენატრები, მალე დაგვიბრუნდი“

ქეთინოს თვალებზე ცრემლი მოადგა და მალე რომ არ გასულიყო სახლიდან, ალბათ აქვითინდებოდა.

თამაზმა ნათოს გაულიმა, ლაშას მხარზე ხელი დაადო, ქეთინოს მიჰყვა და ორივემ კარები გაიხურა.

ამ დღეს საშინელი ამბავი გავიგეთ.

რუსთაველის გზატკეცილზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. ერთმანეთს დაეჯახა სატვირთო ავტომანქანა და სამარშუტო ტაქსი. ამ ავარიის შედეგად დაიღუპა ხუთი ადამიანი, მათ შორის იყვნენ ნინო დეიდა და ნათათო, რომლებიც პაემანიდან უკან ბრუნდებოდნენ.

ხუთი წლის შემდეგ პირველად ვნახე ირაკლი ძია, რომელიც ხელბორკილდადებული მოიყვანეს მეუღლისა და შვილის დაკრძალვაზე.

პოლიციელების თანხლებით შემოვიდა.

არავისთვის არ მიუქცევია ყურადღება ისე მიუახლოვდა ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარ სასახლეებს. გაოგნებული და შეშლილი სახით უცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს.

მერე მზერა ხალხს შეავლო და თითქოს ყველას სათითაოდ ეკითხებოდა, მითხარით რატომ, რისთვისო. უცებ მუხლები მოეკვეთა, დაეცა და გონება დაკარგა. როგორც შემდეგ გავიგე გულის ინფარქტის დიაგნოზით სამოქალაქო კლინიკაში მკურნალობდნენ.

* * *

საპატრულო მანქანით „დამპალოს" სასაფლაოსთან მივედით. ცენტრალურ შესასვლელთან კიდევ რამდენიმე ეკიპაჟი და სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა. გადმოსვლისთანავე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული მამაკაცი მოგვიახლოვდა, რომელსაც იღლიაში საქაღალდე ჰქონდა ამოჩრილი.

— თქვენ ბრძანდებით თამაზ გოგლიძე? — მკაცრი, საქმიანი გამომეტყველებით იკითხა მან.

კი, მე გახლავართ, — უპასუხა მამამ.

— მე ამ საქმის გამოძიება დამავალეს, თვითმკვლელობაა. ალბათ უკვე გითხრეს რაში დაგვჭირდა თქვენი შეწუხება. მამას ხელი გაუწოდა და წარმოგვიდგა, — დავით სიდამონიძე, მომყევით.

საფლავებს შორის გაკვალულ, ლაბირინთიანით ბილიკებს შევუყევით. ყვითელ ლენტაშემოვლებულ საფლავს მივადექით. ორ ბორცვს შორის მამაკაცი იწვა. გაშლილი ხელებით გადაფარებოდა ორივეს, ისე თითქოს გულში ჩახუტებას ლამობსო და საუკუნო ძილს მისცემოდა. ეს იყო ირაკლი ძია.

მამას მხარზე დავადე თავი და ავტირდი. ვტიროდი ნათიას, ვტიროდი ნინო დეიდას, ვტიროდი ირაკლი ძიას, თანაც სადღაც მიხაროდა, მიხაროდა, რომ ისინი ახლა ერთად იყვნენ და მათ ვერასოდეს ველარავინ დააშორებდა.

გამომძიებელი მამას რაღაც ძლიერმოქმედ წამლებზე ელაპარაკებოდა, მაგრამ მე აღარაფერი მესმოდა.

მგონი, მამასაც არ ესმოდა არაფერი. ისიც ტიროდა. ტიროდა უცრემლოდ, აი, ისე კაცებს რომ სჩვევიათ, დარდს ერთ დიდ ბოღმად დააგროვებენ, გადაყლაპავენ და გულის სიღრმეში სადღაც ბნელ კუთხეში გადამალავენ ხოლმე.

მოგვიანებით ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამი იყო შემდეგი: „გარდაცვლილი აპირებდა სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას ძლიერმოქმედი წამლებით. გვამის გაკვეთის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გარდაცვალების მიზეზია გულის მწვავე ინფარქტი.

* * *

დაღუპვის წინა დღეს, 2009 წლის 14 დეკემბერს ირაკლი ძია ჩვენთან იყო შემოსული. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი ასეთი ბედნიერი არასოდეს გვენახა. იცინოდა, ციხის ისტორიებს ჰყვებოდა, ნინოსა და ნათოს გახსენებაზე ცოტა ხანი ჩაფიქრდებოდა, მაგრამ შემდეგ ისევ აგრძელებდა მხიარულობას. გვიანი ღამე იყო როცა სახლში გადიოდა, გასასვლელთან შეჩერდა, მამას მოუტრიალდა და უთხრა:

— იცი, რას ააქვს ყველაზე დიდი სიამოვნება ადამიანის ცხოვრებაში? — ოჯახს, ჩემო ირაკლი. მას ვერანაირი ნარკოტიკი ვერ შეედრება, თუ გიყვარს იგი, თუ მას მიჩვეული ხარ, მასთან

განშორების ტკივილს ვერაფრით ვერ გაიყუჩებ, ბედნიერები იყავით, გიყვარდეთ ერთმანეთი, ეს ჩემი თხოვნაცაა და დალოცვაც.

* * *

წერილი, რომელიც გამომძიებელმა მამას გადმოსცა, შემდეგი შინარსისა იყო: ვინც ჩემს გვამს იპოვის, ვთხოვ, შეატყობინოს შემდეგ მისამართზე: ვარკეთილის მასივი, ხომლელის ქუჩა, კორპუსი 27, I სადარბაზო, ბინა 16, თამაზ გოგლიძე.

ჩემო თამაზ!

მინდა ბოდიში მოგიხადო იმ პრობლემებისათვის, რომელიც ჩემი გარდაცვალების შემდეგ მოგეხვევა თავს. შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც დამარწმუნა, რომ კეთილი ადამიანები კიდევ არსებობენ ამ წყეულ ქვეყანაზე. ჩემი ბინის გასაღები დატოვილია დარეჯანთან, პირველ სართულზე. ოთახში მაგიდაზე დევს ორი კონვერტი. პირველი გეკუთვნის შენ. რაც შეეხება მეორეს, გთხოვ, იგი მიიტანო მითითებულ მისამართზე.

რა ვქნა თამაზ, სხვაგვარად არ შემიძლია, ტკივილი, რომელიც ზურგზე კუზივით მადგას, დღითი დღე იზრდება. აღარ შემიძლია მისი ტარება, უსაშველოდ დავიღალე.

ვთხოვ უფალას, შემინდოს!

* * *

მამისათვის კუთვნილ კონვერტში იდო ანდერძი, რომლის მიხედვით მელქაძეების ბინა ეკუთვნოდა მამას. მას ევალებოდა ბინის გაყიდვა. აღებული თანხის ნახევარი ჩვენ ოჯახში უნდა დარჩენილიყო, ხოლო მეორე ნახევარი უნდა გადარიცხულიყო რომელიმე უპატრონო ბავშვთა სახლში. მამამ ანდერძი ისე შეასრულა როგორც ირაკლი ძიამ სთხოვა, მხოლოდ ერთი განსხვავებით, მან მარტო ის თანხა დაიტოვა, რაც საფლავის გაკეთებისათის იყო საჭირო. დანარჩენი უკლებლივ გადავრიცხეთ კოჯრის უპატრონო ბავშვთა სახლში.

მეორე კონვერტი ერთად მივიტანეთ მითითებულ მისამართზე, ვინმე გურამ და მაია ესაკიებთან.

ახლა ნამდვილად მიჭირს იმ ტკივილის გადმოცემა, რომელიც მე და მამამ ამ ოჯახში განვიცადეთ.

ინტერესმა, რომელიც ამ ხალხის ვინაობით იყო გამოწვეული, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ქალბატონო მაია!

ალბათ გაგიკვირდათ, რატომ დაგტოვეთ იმ დღეს ისე სწრაფად, ეს გასაგებიცაა, ამას რას წარმოიდგენდით, რომ იმ ადამიანის სახით, ვინც შვილი გადაგირჩინათ, თქვენს წინ იდგა ადამიანი, ვისაც 2004 წლის 23 აგვისტოს თქვენ და თქვენმა სასამართლომ თავისი უსასტიკესი კანონებით გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. იცით, რისთვის? ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვა, გადაზიდვისა და მოხმარებისათვის, — ღმერთო, რა საშინელი და უაზრო ფრაზაა. სულ რამდენიმე წუთში გადაწყვიტეთ ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი. თავისუფლებასთან ერთად წამართვით ყველაფერი. მომავალზე ფიქრის უფლება, უფლება სიყვარულის, მამობის, ქმრობის, თქვენ ალბათ წარმოდგენაც არ გაქვთ, რას ნიშნავს თუნდაც ერთი წელი გატარებული გისოსებს მიღმა. რას ნიშნავს საკუთარ ფიქრებთან და ტკივილთან დარჩენა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა ძნელია როდესაც ხვდები, რომ დამნაშავე ხარ იმ ადამიანების წინაშე, ვინც გიყვარს, ვისაც უყვარხარ. გინდა ვინმემ მოგისმინოს, გაგიგოს, მაგრამ არავის არ აინტერესებს, რას განიცდი, რას გრძნობ, რას ფიქრობ. გინდა გამოასწორო შენი შეცდომა და ცხოვრება ახალი ფურცლიდან დაიწყო, მაგრამ საშველი თითქოს ცხრა მთას იქით გადაკარგულიყოს.

თქვენი „თემიდა" ყინულისაა, ქალბატონო მოსამართლევ. მას არანაირი კავშირი არა აქვს მართლმსაჯულებასთან. იგი არ წონის ცოდვა-მადლს. ხელთ მხოლოდ მახვილი უპყრია და უმოწყალოდ იქნევს აქეთ-იქით. მას არც თვალები აქვს ახვეული, რათა ვინმე არ გამოეპაროის „თავისიანი", განა ასე არ მოხდა თქვენს შემთხვევაში? განა თქვენს შვილს დასჯიდით ისე მკაცრად, როგორც მე?!

ხედავთ? რა უცებ გადაწყვიტეთ პრობლემა, როდესაც იგი თქვენს შვილს შეეხო.

ალბათ მოვა დრო, მიხვდებით, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. თუმცა მე და ჩემს ოჯახს ამით აღარაფერი გვეშველება. ჩემი სიკეთის სანაცვლოდ, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ, ქალბატონო მაია. ათასჯერ დაფიქრდით, ვიდრე ვინმეს განაჩენს გამოუტანდეთ. აუტანელი ტკივილია, როდესაც უსამართლობისა და უიმედობის განცდა გეუფლება ადამიანს. გთხოვთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ღმერთისოდენა ძალაუფლება გაკისრიათ ამქვეყნად.

ღმერთი გფარავდეთ თქვენცა და თქვენს ოჯახსაც. მე ყოველთვის ვილოცებ თქვენი შვილისათვის.

* * *

2010 წლის 5 თებერვალია, 10 საათი.

გარეთ თოვს. დედა და მამა ოთახში სხედან და რაღაცაზე საუბრობენ. მე ფანჯარასთან ვდგავარ. ვხედავ ლამპიონის შუქებზე ლამაზად მოფარფატე ფიფქებს. ვხედავ, როგორ მიმოდიან მანქანები, როგორ მიიჩქარიან ადამიანები სახლებში, რათა დროზე დააღწიონ თავი ზამთრის სუსხს და ვხვდები, ცხოვრება მშვენიერია. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული: — ვერასოდეს დაათოვს ნათათოს კოხტა კულულებს, ნინო დეიდას თბილ ლამაზ სახესა და ირაკლი ძიას ჩია, გამხდარ მხრებს.

ბიოგრაფია თუ ტრაგედია?!

არაფერია ისეთი საამური და ტკბილად გასახსენებელი, როგორც ბავშვობა და მასთან შეზრდილი უდარდელი წლები. ზაფხული, ეს ხომ ყველა ბავშვისათვის სანატრელი და ოცნებად გადაქცეული დროა. იწურება გაზაფხულის ულამაზესი თვე – მაისი, იწყება ფუსფუსი, საგამოცდოდ მზადება და ნერვიულობა. ივსება საკლასო ოთახი. პედაგოგებთან თავდახრილი, ლმობიერი დამოკიდებულება, ვიღებთ დარიგებებს, უპასუხოდ ვემორჩილებით მათ მოთხოვნებს და ჩუმად, თავდახრილი ვაჩვენებთ თავს ანგელოზ ბავშვებად, რათა კიდევ ერთხელ მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს და დავწინაურდეთ, კლასიდან – კლასში. შემდეგ არდადეგები, ვტოვებთ ქალაქს და მივემგზავრებით სოფლად, ბებია-ბაბუის გულის გასახარებლად, ანდა მათი ნერვების მოსაშლელად.

თენდება დილა და ისმის ბებია ელენეს წყევლა, შენ არ მოიყარე ჩემი ხნისა, შენ არ გელირსოს ფეხზე გავლა. აეთრიე ზეზე, აშენდა ქვეყანა. წაეთრიე ბაღში, ხეხილს მიუგდე წყალი, გადი ლელვზე და მომიკრიფე ორი კალათა, რომ არ მოკვდე მშიერ-მწყურვალი იმ დაქცეულ ქალაქში. შუადღისთვის გადარეკე საქონელი მდინარეზე, შენ რომ იცი, უცბად არ გამოაქციო და ვინ მოთვლის კიდევ რას. ნუ გეტკინებათ ნურაფერი, ლაშა, როგორც კი ფეხზე წამოდგებოდა, გაიხურავდა კარს და გარბოდა ქუჩაში. სადღაც შუადღისთვის ბებია ელენე მდინარის პირას გადმორეკავდა საქონელს და ახლა უკვე იქ იწყებდა მისეულ ლოცვა-კურთხევას ჩემი მისამართით. ამოეთრიე წყლიდან, მიეცი ძროხებს შეგრილების საშუალება, დოუარე ზევიდან, არ შეიპაროს ტყეში და ბოლოს ენერგიაგამოცლილი მუქარითა და მუშტის ქნევით ერეკებოდა საქონელს საძოვრისაკენ, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ბებიას საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ, ჩემთვის წყევლა ან რაიმე გადაბრუნებული სიტყვა ეკადრებინა. ის ყოველთვის თბილი, მოსიყვარულე და მზრუნველი ბებია იყო. არ არსე-

ბობს ქვეყნად ისეთი სილამაზე და სიყვარული, რომელიც ჩემთვის ბებია ელენე იყო. მაგრამ, ისევე როგორც ყველას, ბებიასაც ჰქონდა ცუდი ხასიათი, ჩვენი ოჯახის გარდა, ყველა ქალაქელს, გოგოსაც და ქალსაც „ბოზს და გათახსირებულს“ უწოდებდა. მხოლოდ მე ვიყავი მისთვის ქალაქში სწავლის გულისათვის მივლინებული და ღრმად მოწყურებული ახალგაზრდა, რომელსაც ვერ დამაკმაყოფილებდა სოფლის პედაგოგთა ცოდნა-გამოცდილება და ამიტომაც მაგზავნიდა მშობლებთან ქალაქში, სწავლის გულისათვის და სწამდა ღრმად, რომ ქალაქის პედკოლექტივი, პროფესორ-მასწავლებლების დასით იყო დაკომპლექტებული. მე კი უდარდელად სოფლის რომელიმე ორღობეში, ხის ჩრდილში, წყაროსთან, ადგილობრივ თუ სტუმრად ჩამოსულ გოგო-ბიჭებთან ერთად, მხიარულად ვატარებდი ზაფხულის ლამაზ და დაუვიწყარ დღეებს. ის კი ჩუმად, სხვადასხვა მხრიდან წამომეპარებოდა და მადევნებდა თვალს და თუ რამ არ მოეწონებოდა, ან შემნიშნავდა რომელიმე ქალაქელი გოგონას გვერდით, შემოიწყობდა „დოინჯს“ და ახლა უკვე მათ დასანახად მომიახლოვდებოდა და თავაწეული მკაცრი ტონით მიბრძანებდა შინ გაყოლას. გზად, მისეული ტონით იწყებდა ჩემს წყევლა-კრულვას. შენ დაგეფსო ეგ თვალები, გადმოგიშალა ხო მკერდი და გაყლაპინებს ნერწყვს, გადაგიშალა ხო ფეხები და გადენინებს დუჟს. მაგისთანა ქალები დაგღუპავენ და დაგადგამენ რქებს თავზე, დაგიჯდებიან სახლში და დაგაზრდევინებენ „ნაბოშრებს“. მისთვის იდეალი მხოლოდ სოფლელი ქალი იყო, რომელიც გაზრდიდა შვილებს, დაალაგებდა სახლს, დაურეცხავდა, დაუუთოებდა ქმარ-შვილს, მოუვლიდა საქონელს და გაუძღვებოდა ოჯახს. ეს მხოლოდ მე მეკუთვნოდა, უნდა გამოვსულიყავი ექიმი, მევლო მოწესრიგებული, პიჯაკსა და თეთრ ხალათში და არ უნდა მეკეთებინა სხვა გარეშე ოჯახური საქმეები. თვითონ ბაბუას სულ მიწაში დებდა, უსაქმურსა და ტუტუც ქალაქელს ეძახდა, მხოლოდ მის დაუსწრებლად. მე მირჩევდა, რომ მომეყვანა ჩვენივე მეზობლის, სოგრატიეს შვილი-შვილი იზოიე. ის გამრჯე, ლამაზი და შრომისმოყვარე გოგონა იყო, იცოდა ყველა საოჯახო საქმე და რაღა თქმა უნდა, ოჯახის მოვლა, მატარებდა სულ მუდამ სუფთად თეთრ ხალათში და გაუ-

ძღვებოდა საოჯახო მეურნეობას. მიიწურა ზაფხული, მე და ბებია ჩვენს ნაშრომ-ნაჯახირებთან ერთად ვემშვიდობებით სოფელს და ვბრუნდებით ქალაქში, სწავლას მოწყურებულნი.

მიილია საშუალო განათლების სანატრელი წლები. ოჯახურ გარემოში მოეწყო საგანგებო თათბირი და გადაწყდა, უმაღლესი სამედიცინო განათლების დასაუფლებლად ბებია ელენესთან ერთად გავმგზავრებულიყავი ქალაქ მოსკოვში. იმავე წელს ჩავირიცხე ქალაქ მოსკოვის „ლუმუმბას" სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე დასავლეთევროპული განხრით და იწყება ყველაზე რთული, საპასუხისმგებლო და გადამწყვეტი ეტაპი. ის რაც ბებია ელენეს თავის წარმოდგენაში გააჩნდა, რეალობად ექცა. პირველად ნახა მოსკოვში, სიგარეტით ხელში, მოკლე კაბაში ლაჯებგადმოყრილი ქალები და სასწრაფოდ მიბრძანა წავსულიყავი მაღაზიაში, რათა მეყიდა ორი შავი სათვალე, ერთი — მისთვის და მეორე — ჩემთვის, რომ არ დაგვთხროდა თვალები და მე მათ ყურებაში არ შევვარდნოდი მანქანას და მას კი არ გახეთქოდა გული და არ დასჭირვებოდა მის შვილს მისი გადასვენება, რადგანაც ის თვლიდა, რომ მიცვალებულის გადასვენება, უფრო მეტ ხარჯს მოითხოვდა, ვიდრე ცოცხალი ადამიანის გადაადგილება. გარდა ამისა, ბებია ელენემ ზედმიწევნით შეისწავლა ჩემი ლექციებისა და გადაადგილების განრიგი და მკაცრად მომთხოვა დღის რეჟიმის დაურღვევლად მართვა. ვაი მე, თუ თუნდაც ერთი საათით გადავაცილებდი ლექციებიდან შინ დაბრუნებას, მტრისას. იდგა ფანჯარასთან და მომკრავდა თუ არა თვალს, „ცოფიანივით" გამოვარდებოდა სადარბაზოში და დაეშვებოდა კიბეებზე. ისე როგორც დააგორო ლოდი და თან მისებური გატეხილი რუსულით მოფრინავდა ჩემსკენ. „ნესჩასტნი დურაკ, გძე ტი ბილ, უ ნადინკი, ია ტებე პოკაჟუ" და ასე ბედნიერი სიტყვებით მომყვებოდა უკან კიბეებზე, რათა ირგვლივ მყოფ მოყურადებულ მეზობლებისთვის დაემტკიცებინა თავისივე სიძლიერე. კორიდორში შესვლისთანავე მიბრძანებდა, დავმდგარიყავი მუხლებზე, გადამაფარებდა თავზე თავისავე წინსაფარს და მაძლევდა კითხვებს, რომელსაც მისავე დასაკმაყოფილებლად, მისივე სასარგებლოდ ვპასუხობდი. იყავი ნადინკასთან?! კი... ვპა-

სუხობ მე და გაშლილი ხელი წინსაფრის ზემოდან მხვდება გამეტებით და თან მეუბნება: შემომფიცე რომ სხვა დროს აღარ გაივლი მასთან! ვფიცავ... გიყვარს ნადინკა?! არა მგონია, ვპასუხობ მე, კიდევ ერთი გაშლილი ხელი მხვდება თავში და მიყვირის, თქვი რომ ვინ, ნადინკა, არა, მე ის არ მიყვარს. ისმის მესამე კითხვა, ხომ არ იფიქრებ სხვა რუსის ქალზე. შეეცდები, — არა — ვპასაუხობ მე. და ამ დროს მხვდება გაშლილი ხელი და მეუბნება, უნდა მიპასუხო: არასდროს. მოკლედ ასე თეატრალურად, ურთიერთგაგებით, იუმორში გავატარეთ მე და ბებია ელენემ სტუდენტობის ექვსი წელი, რომ კინორეჟისორ მიხალკოვს ერთი წამით შეევლო ამ წლებში განსახიერებული ჩვენი სცენარისათვის თვალი, დარწმუნებული ვარ, რომ ის თავისავე რომელიმე ფილმში ქალის მთავარ როლს არგუნებდა ბებიას, ხოლო მამაკაცის როლი მე მერგებოდა წილად. კომუნისტების პერიოდში, ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი სადიპლომო სტაჟირებას გადიოდა საბჭოეთის სხვადასხვა ქალაქში და მეც მარგუნეს განაწილებით გავმგზავრებულიყავი ბამზე, რაც ბებია ელენესთვის გარკვეული მიზეზების გამო მიუღებელი აღმოჩნდა, ის იმ ასაკში ვერ შეძლებდა აღმოსავლეთში ჩემთან ერთად გამგზავრებას. ვზივართ ორივე ერთად გაუნძრევლად ტახტზე და ჩუმად ფიქრებში ვეძებთ გამოსავალს. რამოდენიმე საათის განმავლობაში ბებია შეაჩერდა ჭერის ერთ წერტილს გაუნძრევლად. ფიქრობს, მაგრამ რას, ვერ ჩავმხვდარვარ, ამ დროს ის, მისებური მანერით წამოფრინდა და მეუბნება: ხვალვე წახვალ ჯანდაცვის სამინისტროში და შეხვდები მინისტრს; მომისმინე ყურადღებით და ჩემი ნალაპარაკები სიტყვასიტყვით გადაეცი მას, რომ შენ დაიბადე ავადმყოფი და შეუძლებელი იყო იმ პერიოდში შენი გადარჩენა. წამოგიყვანა ბებიამ და მანვე გაგზარდა და მოგიყვანა დღემდე. ის ვერ შეძლებს დამოუკიდებლად ჩემს ბამზე გამგზავრებას და ვერც ჩემთან ერთად წამოსვლას. თუ დაგთანხმდა და საქართველოში გაგგზავნა, მაშინ დაჰპირდი, რომ უახლოეს დღეებში ჩვენს გამგზავრებამდე ბებია ელენე მიართმევდა ქართულ ნობათს სუფრითა და ქართული ცქრიალა ღვინოს თანხლებით. შეხვედრა შედგა და როცა მე ბატონ ვახტანგთან აუდიენციაზე

შევედი, იქ დამხვდა ჩემთვის უცნობი ქალბატონი, ვისთან საუბრის უფლებაც შეუზღუდავად დამრთო ბატონმა ვახტანგმა. დიალოგი გაიმართა რუსულ ენაზე და როცა მე ვთხოვე შეეცვალა, ჩემთვის სტაჟირების ადგილი, ჩამეკითხა თუ სად მსურდა დარჩენა. საქართველოში, – ვუპასუხე მე, ქართველი ხარ და მხოლოდ მას შემდეგ გამომკითხა ვინაობა. ბოლოს დამშვიდობებისას გამაცნო იქ მჯდომი ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც აღმოჩნდა მისივე ქალიშვილი „ნინო" და მიიღო ბებიის დანაპირები სიტყვა „ქართული ნობათი", რაზეც დამთანხმდა და მომცა საავიზიტო ბარათი. შინ დაბრუნებულს ბებია აღფრთოვანებული დამხვდა. სასწრაფოდ გადარეკა საქართველოში და სულ რაღაც ორ კვირაში მატარებლით მივიღეთ ქართული ნობათი. შეთანხმებისამებრ დავუკავშირდით ბატონ ვახტანგს და ვაუწყე საქართველოდან მიღებული ძღვენის თაობაზე, აქვე შევთანხმდით, თუ სად გაიშლებოდა სუფრა და იმავე დღეს ბებია ელენე წავიყვანე მასთან ქალაქგარეთ „კუნცოვოში" აგარაკზე, სადაც დაგვხვდა მისი ქალიშვილი და შვილიშვილი (სამი წლის ელენე), რომელიც იყო დაბადებული ქ. მოსკოვში და ერთი სიტყვაც არ იცოდა ქართული. საკმაოდ თბილი იყო ბებიასა და პატარა ელენეს შეხვედრა. იმ საღამოს ბატონ ვახტანგთან ერთად, სუფრას მივუსხედით, იმდროინდელი საბჭოეთის მოქმედი მინისტრთა საბჭოს სხვადასხვა პასუხისმგებელნი პირნი. სუფრის გაძღოლა, ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, მერგო მე. სუფრამ მშვიდ და მუსიკალური ჰანგების გარემოში განვლო. ფორტეპიანოს თანხლებით გავიხსენეთ და ვიღიღინეთ კარგად ნაცნობი ქართულ-რუსული ჰანგები, ბებია ელენეს იმდენად მოეწონა პატარა ელენე, რომ მთელი იქ ყოფნის პერიოდში არ მოსცილებიან ერთმანეთს და უფრო მეტიც. ბებიამ იმ სუფრაზევე დაითანხმა ბატონი ვახტანგი და მისი ქალიშვილი, რომ იმავე ზაფხულს, ელენე დედიკოსთან ერთად, ჩამოეყვანა საქართველოში. ივლისის დასაწყისში მე, ბებია და პატარა ელენიკო გადმოვფრინდით თბილისში და და მეორე დღესვე ბაბუის მანქანით გავემგზავრეთ სოფელში. სულ ორიოდე კვირაში, პატარა ელენიკო თითქმის გამართულად და უფრო მეტიც, ბებიასეული კილოკავით „ტიკტიკებდა" ქართულად. აგვისტოს

დასაწყისში საქართველოში კუთვნილი შვებულებით გვესტუმრა ელენიკოს დედა, ქალბატონი ნინო. თქვენ წარმოიდგინეთ, არანაირი განსაკუთრებული რეაქცია არ მოჰყოლია ელენიკოსა და ნინოს შეხვედრას. ბავშვმა ერთი შემოირბინა ეზოში, დალანდა დედა, გაუღიმა ისე, რომ მასთან ახლოს არ მისულა და გავარდა ბებიასთან ერთად ქუჩაში. გადაირია ქალბატონი ნინო, მაგრამ დავამშვიდე და ვთხოვე, გაეთვალისწინებინა ელენიკოს გრძნობა. ქალბატონი ნინოს მობრძანებიდან ბებიამ შეცვალა დღის წესრიგი, გვაღვიძებდა ათ საათზე, გვახვედრებდა საუზმეს და მთხოვდა, ქალბატონ ნინოსთან ერთად წავსულიყავი და დაგვეთვალიერებინა საქართველოს კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლები. პირველად სიცოცხლეში ვიგრძენი, რომ დამოუკიდებელი გავხდი, მოკრძალებით მესაუბრებოდა ბებია, მეკითხებოდა და იზიარებდა ჩემს რჩევებს.

მიიწურა აგვისტოს თვე, დასრულდა ჩვენი ვიზიტიც, მივდივართ აეროპორტისკენ, ელენიკო უზის ბებიას კალთაში, ეფერებიან ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ (მე და ნინო) ვზივართ და თითქმის გაუნძრევლად, გართულნი ვართ ფიქრებში, დადგა ჩვენი განშორების წუთები, ბებია მაწვდის ელენეს, რომელიც მხოლოდ ახლა აცნობიერებს განშორებას; და თუ რა რეაქცია მოჰყვა, სულ რამოდენიმე სიტყვით მიმოვიხილავ: „არ მინდა მოსკოვში, ბებიასთან დამტოვეთ მე, გეხვეწები, მამიკო, რაა...“ და ამ დროს ჩემი რეაქცია მობრუნდა ბებია და ცრემლნარევი თვალებით, თითქოსდა შეცბუნებული მეუბნება: ხომ ხედავ, შვილო, მიაქციე ელენიკოს ყურადღება და აჩუქე სითბო, რომ აღიზარდოს და არ მოაკლდეს ბავშვს მამობრივი სიყვარული. შემდეგ მიახლოვდება, მაწვდის ელენიკოს, მსუბუქად მკოცნის და მიემართება უკან-მიუხედავად გასასვლელისაკენ. არ ვიცი როდის, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემში, შემოიპარა ის თვალით უხილავი გრძნობა, რომელმაც რადიკალურად შემცვალა და გადამისროლა სულ სხვა სამყაროში. იგივეს გრძნობდა ნინო, რომელიც იჯდა უძრავად, თვითმფრინავში, სკამის საზურგეს მიყრდნობილი და უმშვენებდა ლოყაზე დადენილი, თვალისმომჭრელად მოკაშკაშე ცრემლი.

ქალბატონი ნინო გახლდათ, ჩემზე 14 წლით უფროსი, მეუ-

ღლესთან განქორწინებული, საბჭოთა კავშირის იმდროინდელი კულტურის მინისტრის მოადგილე და დედა ელენიკოსი, რომელიც მამასთან ერთად ცხოვრობდა და (ზრდიდა) უძღვებოდა მათსავე ოჯახს. აეროპორტიდან ჩვენ ორივე უთქმელად გავეშურეთ მის სახლში, სადაც ბატონ ვახტანგს ვუამბეთ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ. მაგრამ სიცოცხლეში, მიუხედავად ჩემი და ჩემივე ოჯახის დიდი მცდელობისა, არ მოხდა მე და ნინოს შეუღლება; ჩვენ მისი სიცოცხლის ბოლომდე დავრჩით ერთგული და უღალატო მეგობრები. აღვზარდეთ ელენიკო, გახდა 18 წლის, მთხოვა, მიმეცა ჩემი გვარი და მეღიარებინა შვილად. ქალბატონი ნინო ამ დროს უკვე შვიდი წლის გარდაცვლილი იყო, ხოლო ბატონი ვახტანგი, შვილის გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ ნერვიულობის ნიადაგზე გულით გარდაიცვალა. მე კი, დაახლოებით ორი წლის შემდეგ ნინოს გარდაცვალებიდან, დავოჯახდი ქართველ ქალბატონზე „ხათუნაზე", პროფესიით მუსიკათმცოდნე, შემდგომში საბავშვო კომპოზიტორზე, რომელმა ქალბატონმაც მიიღო და მასთან შეძენილ ორ ვაჟიშვილთან („ლევანი" და „ირაკლისთან") ერთად აღზარდა და გაუწია წრფელი დედობრივი სიყვარული ელენიკოს. ვიყავით ორი ძმა, ის ჩემზე რვა წლით უფროსი — დიპლომატი. საბჭოეთისა და მისი დაშლის შემდეგ, მუშაობდა ელჩად სხვადასხვა ქვეყანაში. ჰყავდა ქართული ოჯახი. მეუღლე ია, ვაჟიშვილო სოსოია და ქალიშვილი ანა, რომლებიც (მხედველობაში მყავს მისი ოჯახი) მისივე გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდნენ ჯერ იტალიაში — მილანში, ხოლო ახლა ავსტრიაში, ქ. ვენაში. ცხოვრება დიდი მოულოდნელობებითა და სიურპრიზებითაა აღსავსე, ამავდროულად, ჩვენდა სამწუხაროდ, ვხდებით დიდი და მოუშუშებელი ტრაგედიების თანამონაწილენიც. საბჭოეთის არსებობის უკანასკნელი წლები დგას. მოსკოვში, ჩვენი საცხოვრებელი ბინის გარეთ ეზოში თამაშობენ სოსოია, ირაკლი, ლევანი და ანა. ირგვლივ შებინდდა, უცაბედი შეძახილი, კივილის ხმა და გავრბივართ გარეთ. რა ხდება და ამ დროს თავბრუდამხვევი სცენა: ეზოდან იტაცებენ ირაკლის, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესრულებული სამი წელი. მე ამ დროს ვმუშაობ ქ. მოსკოვის ბოტკინის სახელობის კლინიკაში; ქირურგ

ონკოლოგად. ძმა რუსეთის „მიდში“ საგარეო საქმეთა სამინისტროში, დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის განყოფილების გამგედ. ირაკლის გატაცებიდან რამდენიმე დღით ადრე, კლინიკაში ვარ. წინასწარი შეთანხმებით, კონსულტაციის მიზნით, მოდის ჩემთან კაბინეტში დასავლეთ გერმანიის სრულუფლებიანი ელჩის მრჩეველი კულტურის საკითხებში ქალბატონი მინეზა ანდერსონი. საათი, რომელსაც მე ყოველთვის მარცხენა ხელის მაჯაზე ვატარებდი, ვიხსნიდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გინეკოლოგიურად მიხდებოდა ავადმყოფის გასინჯვა. მას თან ახლდა, თავისავე საელჩოს წარმომადგენელი, როგორც თვითონ განმიმარტა. მე პაციენტთან ერთად გავდივარ სამანიპულაციოში, რაღა თქმა უნდა, საათის გარეშე. გამოვდივართ, ვიხდი ხელთათმანს, ვიბან ხელს, ვიკეთებ საათს და ვემშვიდობები მათ.

ირაკლის გატაცებიდან მეთერთმეტე დღეს, ჩემს კაბინეტში შემოგდებული წერილით მთხოვენ მივიდე ქ. მოსკოვის ერთ-ერთი მეტროს სადგურთან. ცხადია, მათი მოთხოვნების გათვალისწინებით. ვემორჩილები მათ განკარგულებას, მივდივარ დანიშნულ დროს, დანიშნულ მისამართზე, სადაც მიბრძანეს, რომ გათენებამდე ამეღო თვითმფრინავის ბილეთი და გადავფრენილიყავი მათთვის სასურველ ქალაქში. დამატებით ინსტრუქციას ჩაფრენის შემდეგ მივიღებდი. დაუყოვნებლივ შევასრულე მათი მოთხოვნა, ჩავფრინდი აღნიშნულ ქალაქში, შევხვდი მას და შევასრულე მათი მოთხოვნა, გაოცებულმა... და რატომ იცით?! მათ ირაკლის დაბრუნების სანაცვლოდ მომთხოვეს მაჯის საათი, რომელიც დაუფიქრებლად გადავეცი. მას შემდეგ მივდივარ საქალაქთაშორისო ავტომატის ჯიხურთან და ვრეკავ მოსკოვში. მოვნახე სასტუმრო, ავიღე ნომერი და ველოდები, ახლა უკვე ჩემი ოჯახის წევრებიდან ზარს. საღამოს შვიდი საათი,ადგილობრივი დროით. მირეკავენ და მეუბნებიან, რომ ირაკლი სახლშია.

აი.... შემდეგ უკვე გავათვითცნობიერე, თუ რა მოჰყვებოდა ჩემდამი ამ ქმედებას. ასე ალბათ ორი დღის შემდეგ გამოვდივარ სასტუმროდან, მივდივარ ერთ-ერთი ქვეყნის საელჩოში და ვითხოვ თავშესაფარს. მაფიქრებს მხოლოდ ერთი რამ, თუ როგორ მოხვდა ჩემი ამ ქვეყნიდან (მხედველობაში მაქვს რუსეთი) გად-

მოფრენა ისე, რომ თან უკან მალულად არ მომყვა იმჟამინდელი „სუკი“, როცა ყოველივე ეს საკმაოდ გახმაურდა იმჟამინდელი საბჭოეთის მაღალ ეშელონებში.

თავშესაფარი მივიღე. ამასობაში არაადამიანურად განვლო ცხოვრების ხუთიოდე თვემ, ოჯახის წევრებისაგან და ნათესავებისაგან განცალკევებით. ადრიანი დილაა, გაისმა სატელეფონო ზარი, ვიღებ ტელეფონს, ხაზზეა რუსეთის „მიდის“ წარმომადგენელი. მთხოვს დაუყოვნებლივ შევხვდე მათ წარმომადგენელს. უსაფრთხოება გარანტირებულია და მაინც გადამოწმებისა და კონტროლის მიზნით, შემომთავაზეს საფოსტო ყუთიდან ამომელო აუდიოკასეტა და მენახა ჩანაწერი. მოსკოვიდან გამგზავრების ორი თვის შემდეგ ავიაკატასტროფაში იღუპება ქალბატონი ნინო, რომელიც იმჟამად მუშაობდა რუსეთის „მიდში“ მინისტრის მრჩეველად კულტურის საკითხებში. ყოველივე ეს ხდება ჩემი განსჯისა და თავსატეხის საგანი. თუ რა მოხდა იქ მაშინ, ჩემს სამუშაო ოთახში და ვინ ჩაამონტაჟა, ან რა მიზნით და მაინცა და მაინც მე გამხადეს სამიზნედ ესეთი საშინელი და ტრაგიკული დრამისა. ნუთუ გამომიყენა ნინომ?! ისარგებლა ჩემი ესოდენ დიდი სიყვარულით, ან არადა ჩემი ძმის მსხვერპლი ვარ?!. შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე, ჩემთან სახლში ერთ-ერთი ჩემი ძმის სტუმრობის დროს, მისსა და ნინოს საუბარში, გაიჟღერა სიტყვამ „აგენტურამ“. სწორედ ეს გახდა მოტივი ჯერ ირაკლის გატაცების, რომელიც სიჩქარეში შეეშალათ ჩემს ძმისშვილში და შემდეგ ნინოს ტრაგიკული გარდაცვალების. სიმართლე გამჟღავნდა ჩემი რუსეთში დაბრუნების შემდეგ და მაშინ,თურმე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, მართლა ყოფილა ვიღაც ადგილობრივის სახით აგენტი, რომელიც სარგებლობდა ყველა უფლებებით და ამიტომაც დაკვირვების მიზნით, ყველა იქ მომუშავე პასუხისმგებელ პირზე განხორციელებულა ღია თვალთვალი. „აგენტმა“ კარგად შეისწავლა თანამშრომელთა ბიოგრაფია და კვალის არევის მიზნით გათვალა და ჩემამდე კლინიკაში მოაღწია, რათა მე, ამ ორი მიდში მომუშავე პასუხისმგებელი პირთათვის (მხედველობაში მყავს ჩემი ძმა და ნინო), რომელთათვისაც ვიყავი ერთისათვის – ძმა და მეორესთვის – მეგობარი, გაითამაშა ჯერ

ჩემი ირაკლის გატაცების ინსცენირება, მხოლოდ მანამდე საათში ჩაამონტაჟეს მათთვის საჭირო, საიდუმლო შიფრკოდი, მას შემდეგ ბევრმა წელმა განვლო, ჩემდა სამწუხაროდ, აღარ არიან ის ადამიანები, რომლებიც მაძლევდნენ სტიმულს და მიმაგრებდნენ გვერდს ცხოვრებისეული გზებისას, რასაც ჩვენ დიდი და დაუზოგავი შრომის შედეგად ვაღწევთ. გასახსენებლად კარგია მაშინ, როცა ის ტკბილი და საამური მოგონებებითაა აღსავსე, მაგრამ მე, შეიძლება ითქვას, ამ ამბის შემდეგ, აღარ მომცემია ბედნიერი ცხოვრების შანსი. ბრძენს უთქვამს.... ვეღარასოდეს დავიბრუნებთ წარსულს, მაგრამ ნუ გავუშვებთ შანსს ახალი ცხოვრების დასაწყებადო. და მეც მას შემდეგ ტრაგიკულად მივყვების გზებს.

ოთხმოცდაათიან წლებში ექიმთა დახელოვნების მიზნით რუსეთსა და ევროპას შორის მოხდა ექიმთა გაცვლა. მეც მერგო წილად გავმგზავრებულიყავი ავსტრიაში, ონკოლოგიურ სნეულებათა სტატისტიკის ნაციონალურ ცენტრში. ექვსთვიანი ხელშეკრულების დამთავრებისთანავე, მივიღე წინადადება დავრჩენილიყავი აღნიშნულ ცენტრში. დამენიშნა საკმაოდ სოლიდური ხელფასი და მომცეს ნება, გადავსულიყავი ოჯახთან ერთად მათსავე გამოყოფილ ბინაში. ერთი წლის შემდეგ შეგვეძინა მეორე ვაჟიშვილი ირაკლი და მასთან ერთად მივიღეთ მოქალაქეობის ნებართვა ყველა წევრმა. ამავდროულად, რუსეთის სრულუფლებიან ელჩად იტალიაში ინიშნება ჩემი ძმა, რომელიც ოჯახთან ერთად გადასახლდა რომში. ამ ფაქტორმა გარკვეულწილად დიდი როლი ითამაშა ჩემს პირად ცხოვრებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპელები მეტად დაკვირვებული ხალხია და როგორც აღმოჩნდა, უმნიშვნელო ფაქტორსაც კი ადევნებენ თვალყურს. დაახლოებით ორ თვეში, კლინიკის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა დამეკავებინა აღნიშნულ კლინიკაში მამოლოგიის კათედრაზე, წამყვანი ქიურურგის ადგილი. გამომეყო კრედიტები ბინის შესაძენად. მოვიწყვე კომფორტი, მეუღლეს მიეცა საშუალება ჩაებარებინა კონსერვანტ-მაგისტრანტის ფაკულტეტზე დაუსწრებლად და ემუშავა „მოცარტის სახელობის უმაღლეს სამუსიკო სკოლაში" ფორტეპიანოს კლასით. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, ჩემი მეუღლე ამავე კათედრაზე დაინიშნა გამგე-კონსერვანტად. და თან

განაგრძობდა საბავშვო სიმღერების წერას; ორი წლის შემდეგ მათვე მიანიჭეს ხათუნას საბავშვო კომპოზიტორობა, რომლის პრემიერაც შედგა ჩემი ძმის უშუალო დახმარებით „ლასკალას“ საოპერო თეატრში. თითქოსდა ხელმეორედ დაიწყო ჩემი ოჯახის აღმაფრენა. ცხოვრება საინტერესო გახდა, დავუახლოვდით და შევიძინეთ ევროპის ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლობა, გვიწევდა გამგზავრება, მანამდე უცნობ და ჩვენს ფიქრებში ილუზიებად ქცეულ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ვიხილეთ საბერძნეთი, დანია, ბელგია, სკანდინავიის ქვეყნები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ. როცა ადამიანები აღწევენ ზეწოლას, ისინი ხშირად კარგავენ საკუთარი თავის მიმართ კონტროლს. ივიწყებენ ირგვლივ მყოფთ და ავიწყდებათ წარსული. ეს მხოლოდ მე მეხება და არა ჩემს უძვირფასეს მეუღლეს, რომლის ფასი და სიყვარული მისი გარდაცვალების შემდეგ შევიგრძენი და დავაფასე. იტალია ყოველთვის იყო და ალბათ დარჩა „კლანურ და მაფიოზურ“ ქვეყნად. ალბათ, ძმაცა და მეუღლეც სწორედ ამ გაუთვალისწინებლობისა და მაფიის მსხვერპლნი გახდნენ. ერთ-ერთი ვიზიტის დროს, ვბრუნდებით იტალიიდან, ჩემი ძმის მანქანით, გზად, თითქმის მოსულებმა, ავსტრია-იტალიის საზღვართან, გადაგვეღობა სატვირთო მანქანა, რამაც იმსხვერპლა ჩვენს წინ მიმავალი დაცვის შვიდი და ჩვენს მანქანაში მჯდომი მძღოლი, ჩემი მეუღლე და ძმა. ჩემი დიდი მცდელობისა, გარკვეული წლები, ვერანაირად ვერ მივაღწიეთ სიმართლის დადგენას და შემდეგ უკვე, შვილებისა და ძმისშვილების უსაფრთხოების მიზნით, შევწყვიტეთ წარსულის გამოძიება. დღეს, ირაკლი სწავლობს ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო დიპლომატიის ფაკულტეტზე და მჯერა, რომ მან ეს გზა აირჩია მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ ახადოს ფარდა დედისა და ბიძის მკვლელობას.

უფროსი ვაჟიშვილი ლევანი ამავე ფაკულტეტის საბაჟო-ეკონომიური ფაკულტეტის კურსადმთავრებული, რომელიც განაწილებით მოხვდა ავსტრია-იტალიის საზღვართან, იმ ადგილიდან სულ ორიოდე კილომეტრის დაშორებით, სადაც მას 12 წლის წინ გარდაეცვალა დედა. მთელი ამ წლების განმავლობაში, ბევრი

ენერგია და ძალა დამჭირდა მარტოოდენ საიმისოდ, რომ სრულყოფილად აღმეზარდა ჩემი შვილები, რაშიც დიდად დამეხმარა ჩემი ელენიკო.

როგორც იტყვიან არა წლები, არამედ ადამიანები ცვლიან წლებს, მეც ასე მომიწია. ვერ დამცა და გამანადგურა ჟამთა ესოდენ უიღბლო და ტრაგედიებით აღსავსე ცხოვრებამ. XXI საუკუნის დასაწყისში გადავწყვიტე დავბრუნებოდი საქართველოს. იქ სადაც დავიბადე და აღვიზარდე, იმ ქალაქსა და უბანს, სადაც გადავდგი პირველი ნაბიჯი. ალბათ კაცობა არის ის, რომ იყო ამაყი, შენი ერისადმი მოსიყვარულე, თავაწეულმა იარო ქუჩაში და არ გაშინებდეს უკანმოხედვა. გიყვარდეს ერი და მიგიძღვოდეს შეძლებისდაგვარად წვლილი მათთან მიმართებაში. ბევრს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, იქ რა გავაკეთე ამ წლების განმავლობაში ერისა და ქვეყნისადმი. ბევრი არაფერი, მაგრამ მეტი მათზედ, ვინც გამოდის პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, „ლაყბობს" და გაიძახის, ამას ვაკეთებ და იმასო... XX საუკუნის მიწურულს, ავსტრიელებსა და ქართველებს შორის შედგა დიპლომატიური ურთიერთობა. განხილულ იქნა მრავალი საკითხი, მათ შორის – მედიცინა. დამყარდა ურთიერთობები ექიმთა დახელოვნების საკითხში. ავსტრიელების მიერ მიწვეულ იქნა ადგილობრივი კადრი. მომავალი სპეციალობის დასაუფლებლად დიდი სიფრთხილით შეირჩა სამედიცინო ინსტიტუტის დამამთავრებელ სტუდენტთა სია, რომელი ახალგაზრდებიც ათი კაცის შემადგენლობით, გაემგზავრნენ იმავე წელს ავსტრიაში, ერთი წლის ვადით სპეციალობის დასაუფლებლად. ამავდროულად ამ ორ ქვეყანას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ონკოლოგიის სფეროში და მეც, ახლა უკვე სამსახურებრივად მომიწია საქართველოსთან მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა.

რამდენად რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს სხვებისთვის, ჩემთვის და ალბათ იმ ადამიანებისათვის, ვინც ჩემსავეთ რამდენიმე ათეული წელი ნებაყოფილობით გადახვეწილი იყო საქართველოდან შორს ათასობით კილომეტრით, დამეთანხმება, რომ ნოსტალგია, სამშობლოს სიყვარული, უათკეცების სურვილს სამშობლოში დაბრუნებისას, მე, რომელიც დავიბადე, გავიზარდე

და დავეაჟკაცდი ძირძველ და ულამაზეს უბანში (სოლოლაკში), არასდროს, სხვა ქვეყნებში ცხოვრების დროს, არ ამომსვლია თვალებიდან ის სილამაზე, სიყვარული, რომელიც გააჩნია ჩემს ერსა და ჩემს ქალაქს, ქართველს თუ არაქართველს, საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ ერსა თუ ბერს. და ეს ნოსტალგია ხდება უფრო მეტად მიმზიდველი და გულამაჩუყებელი, როცა ის ჩვენ წლების მატებასთან ერთად გვემატება. გადავწყვიტე დამეტოვებინა ის ქვეყანა და წამოვსულიყავი საქართველოში. იმ პერიოდისათვის ჩემი შვილები: ელენიკო იყო დაოჯახებული ქართველ ვაჟკაცზე, ჰყავდა ორი ვაჟიშვილი, დამთავრებული ჰქონდა ვენის კონსერვატორია – ვოკალის კლასით, მუშაობდა ამავე კათედრაზე და საკუთრებაში გააჩნდა საკუთარი საცხოვრებელი სახლი. ლევანი – იყო პირველი კურსის სტუდენტი, ცხოვრობდა ჩემთან, ჰქონდა ასორმოცდაათი კვ. მეტრის საცხოვრებელი ფართი და შექმნილი ყველა ის პირობები, რომლის მემილიონედიც არ გამაჩნდა მის ასაკში. ის დღესაც დასაოჯახებელია, მაგრამ მუშაობს. დაბოლოს – ირაკლი, ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი, მასაც გააჩნია კუთვნილი იმავე ფართის საცხოვრებელი ბინა და არის დასაოჯახებელი. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ჩემი შვილი არ დაბადებულან საქართველოში, ყველა გრამატიკულად ფლობს ქართულ ენას და უყვართ საქართველო. აქვთ იუმორის დიდი გრძნობა, არიან ევროპის ჩემპიონები წყალბურთში. დამატებით მიღებული აქვთ მუსიკალური განათლება და კლასიკურ მუსიკასთან ერთად, უკრავენ და მღერიან ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების მიერ, შექმნილ სიმღერებს. მხოლოდ ამან გადამაწყვეტინა საქართველოში დაბრუნება. ეს ნატვრაც ოცნებად მქონდა გადაქცეული. სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა. დავბრუნდი და დამხვდა სიცარიელე. ირგვლივ ყოველივე უცხო, დილიდან საღამომდე დავხეტიალობდი თბილისის ნაცნობ ქუჩებში, ვათვალიერებდი სახლებს, ვეძებდი ნაცნობ-მეგობრებს. თითქოსდა ცამ ან დედამიწამ გახსნა პირი და ყველა ერთად გადაყლაპა. შევშინდი, მარტოობამ იმედი გადამიწურა. მე სულ სხვა, არაბუნებრივი, მაგრამ ძვირფასი და შეუდარებელი თბილისი დავტოვე ოცდახუთი წლის უკან.

და არა ისეთი, როგორი ცივიც დღეს ის დამხვდა. ყველაფრის დაწყება ნულიდან მომიწია. იმ უბანში, რომელშიც მე გავიზარდე, საერთოდ აღარ გამიწია გულმა. დავიწყე ბინების ძებნა, რომელიც საბურთალოს რაიონში მშენებარე კორპუსებზე შევაჩერე, მაგრამ იქ შესახლებიდან რამდენიმე თვეში ისეთი ტკივილი მივიღე, რომ ეს სინანული, ალბათ სიცოცხლის ბოლომდე დარჩება ჩემსავე გულში. ჩემ ძველ უბანში, არც ერთ სახლში კარები არ იკეტებოდა. ყველამ ერთმანეთის ყველაფერი ვიცოდით, გვიყვარდა და ერთურთს ვეხმარებოდით. აქ კი მეზობელი ვერ დავითანხმე ჩემთან ოჯახში სტუმრობაზე. ასეთი რამ თვით ცივ რუსეთში და არც ევროპაში არ მიგრძნია. გაცივდა ერი, წახდა ქართველი და გადავგვარდით ჩვენც. ის რაც შვილების დაბადებიდან ოცნებად მქონდა გადაქცეული, იყო ის, რომ დაიზრდებოდნენ ბიჭები და შექმნიდნენ ქართულ ოჯახს. მეშინოდა იმის, რომ მესტუმრებოდნებნ შვილები და ზღაპრად ჩამითვლიდნენ ჩემს ნაამბობს. მე ხომ მათ ბავშვობიდან ვუყვებოდი ქართველ კაცზე, თუ რა თბილი და ტკბილი, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყვნენ ერთურთისათვის.

ყოველდღიურად უფრო და უფრო ახლო კონტაქტში შევდიოდი თანამშრომლებთან, ვეძიებდი ძველს და არ მავიწყდებოდა უსაყვარლესი მწერლის ბატონ ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „ჩვენ ქართველები, ადამიანებთან გაცნობისას, უნდა ვეცადოთ, რომ განვაწყოთ თავები, მათზე მხოლოდ და მხოლოდ კარგი შთაბეჭდილების მოსაპოვებლად“ და თუ რამე ცუდს აღმოვაჩენთ ჩვენ მათში, მაშინ ვალდებულნი ვართ, ჩავეკითხოთ თავებს, ვართ კი იმ საკითხში, ჩვენ მათზე უკეთესნი?! ნუთუ არ გვესმის, რომ სული ჩვენი, გაცილებით მძიმეა, ვიდრე ჩვენი სხეული. რომელ სხეულსაც მარტოოდენ, გაუჭირდება, ვებერთელა სულის ტარება, თუ მას სხვა, იმ სხვას -- სხვა და კიდევ სხვები არ ამოუდგებიან გვერდში და ერთობ შეეცდებიან, შეძლონ მისი ტარება. თორმეტი წელი შესრულდა ჩემთვის ძვირფასი ადამიანის გარდაცვალებიდან. შეძლებისდაგვარად მარტოდ გავუძეხი ოჯახს, და ვაჟკაცურად ბოლომდის მივაგე პატივი მის ერთგულებასა და ხსოვნას. გადავწყვიტე, შვილებთან შეთანხმებით მექორწინა ქარ-

თველ ქალბატონზე. მალულად, დიდი სიფრთხილით და შეუმჩნეველად შეუდექი მათ თვალიერებას. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. იმდენი გასათხოვარი ქალბატონი აღმოჩნდა ჩემს გვერდით, რომ ცოტა არ იყოს შევშინდი. ევროპელებს უთქვამთ, „ქალი რომელიც, გარკვეულ ასაკამდე მიაღწევს გაუთხოვარი, გამოდის რომ პრობლემატურია და ის შენ არ დაგიწმინდავებს წყალსო."

წინასწარ ბოდიშს მოუხდი ყველა აქ მაცხოვრებელ ქალბატონს და თუ ვიმსჯელებთ დღევანდელი სტატისტიკის მიხედვით, მაშინ არსებობს, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოსავალი, რადგანაც საქართველოში ყოველდღიურად ათი ახალშობილიდან, ორი ვაჟი და რვა გოგონა იბადება და თუ ყველა ქართველი ჩემებრ მოინდომებს შექმნას ტრადიციული ოჯახი, მაშინ რა ქნას დანარჩენმა რვა გოგონამ, როცა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულია ერთცოლიანობა, და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ერთხელ და უღალატოდ შექმნილი ოჯახები, მაშინ ჩიხში შევდივართ, მაგრამ არის გამოსავალი, რადგანაც მათ, ე. ი. ჩვენს წინაპრებს არ ჰყოლიათ რვა შვილზე ნაკლები, მხოლოდ დღევანდელ წყვილებს, როგორც ქურთს უთქვამს: „ქართველს რომ შეეძლოს ნახევარ შვილს იყოლიებდაო", მაშინ აუცილებელია შევიმუშაოთ ახალი კანონმდებლობა და დაუშვათ მრავალცოლიანობა, თორემ გადაშენდა ერი. და თუ კანონით ვერ დაუშვებთ მრავალცოლიანობას, მაშინ დავუშვათ მრავალმეგობრიანობა, ანუ „საყვარლობანა". ეხ... მეც ვნატრობ რა...! რომელი ქართველი ქალი აიტანს ამას... იქნება განუკითხაობა, ხოცვა-ჟლეტა და ისედაც სოკოებივით, აქა-იქ მეჩხერად აღმოცენებულ ჭაბუკებს მოუწევთ გადაშენება ცოლების ხელით. მხოლოდ ქალებით გაივსება ისე, როგორც ყვარყვარეს ჰქონდა გადავსებული, საპყრობილე. გვინდა ჩვენ ეს? არა ბატონო, არა...! მალულად და მხოლოდ მალულად! ხომ გვეხერხება, ჩვენ ეს?! კი და თანაც, როგორ კარგად გამოგვდის! ყველას, მედიკოსს თუ არამედიკოსს გვაქვს იმის გამოცდილება, თუ რაოდენ დიდ დეფიციტს განიცდის მამაკაცებისას. ჩემთან კლინიკაში, უმაღლესი სამედიცინო განათლებით ათას ორასი ადამიანია დასაქმებული, მათ შორის, სადღაც ცხრაასამდე, ქალბატონი და მათ

შორის შვიდასზე მეტი უიღბლოდ დარჩენილნი.

შეიტყვეს რა ჩემი მარტოხელობის ამბავი, შეიცვალეს ვარცხნილობა, გამომწვევად მოიწესრიგეს თავები და მოუხშირეს ჩემთან, ვითომდა საქმიან ვიზიტებს. ცხადია, ეს მეც შევიმშვენე, მხოლოდ მალულად, მაგრამ რას გამოაპარებ შენ ამას ქალს, ისინი ჩემზე უფრო მეტად მოქნილნი და თეატრალურები აღმოჩნდნენ. ბევრჯერ წყალს მოწყურებული წყაროსთან ჩაუყვანივარ და უფრო მეტად მწყურვალ უკან მარტო გამოვუშვივარ. იურისტი მყავს, იმერელი, სადღაც ოცდათორმეტიოდე წლის. მაღალი, ტანწერწეტა, ულამაზესი პირსახის. შემიჩნდა, მეგობრობის ხელი შემომთავაზა და დამპატიჟა ერთ-ერთი შვებულების დროს თავისთან იმერეთში. ვეძიე, მაგრამ წასასვლელად გვერდში მყოფი ვერავინ მოვიძიე. ჩავდივარ და რას ვხედავ, საკუთარი სახლის დიდ ოთახში გადაჭიმული სუფრები, ასე დაახლოებით ორმოცდაათ კაცზე. ყოჩაღ, იმერლებო-მეთქი გავიფიქრე და თან დავძინე, თქვენ არ შეცვლილხართ, ბარაქალა თქვენს მარჯვენას და ზრდილობიანად, ხელის მოკრძალებითა და ფაქიზათ ჩამორთმევით ჩავუყევი სიგრძეზე რამდენიმე რიგად ჩამწკრივებულ სტუმარმასპინძელს, ბოლოს მოვიხმე ჩემი მასპინძელი ქალბატონი და უთხარი, რა ხდება, გოგო, თუ ქორწილში მეპატიჟებოდი, გეთქვა და საპატიო საჩუქრით გესტუმრებოდი-მეთქი. არ მქონდა სიტყვა ბოლომდე დასრულებული, რომ იკივლა მასპინძელმა, მობრძანდი სიძე-ბატონო ახლოს სუფრასთან. თუ არ გამისკდებოდა გული, არ მეგონა. გადავყლაპე ენა, გამიშრა სისხლი. ჯერ გავლურჯდი, შემდეგ გავშავდი, ის იყო უნდა გადავვარდნილიყავი, რომ მოვარდა ცოლისძმა, მომკიდა ხელი და ორიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ საიმედოდ ჩამსვა ნეფე-დედოფლის საპატივცემულოდ გაწყობილ სავარძელში.

რა დავარქვათ ამას, უგონო მდგომარეობა?! ალბათ გამიგებს მკითხველი. ხშირად ნაოპერაციები პაციენტისთვის მიკითხავს, ხომ არაფერი გიგრძნია?! ისე რომ დამმახსოვრებოდა, ან ყოფილიყო მტკივნეული, არაფერი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მქონდა არასასიამოვნო შეგრძნება, — უპასუხია მას. მე კი, ჩემო ბატონო, როგორც დღეს ვიხსენებ, შემიძლია თამამად ვთქვა, ყოველგვარი

სიცოცხლის ნიშანწყალი დაკარგული მქონდა. არ მახსოვს, რამდენი ხნის შემდეგ, თითქოს ვიღაცამ ხელის სახეში მორტყმით მომიყვანა გონს. ირგვლივ მყოფნი კარგად შექეიფებული იყვნენ. ბოლომდეს შესვი სიძე-ბატონო, მესმის თამადის ხმა. წამოვდექი და ვატყობ ვბარბაცებ. მოვიკრიბე ძალა და ენის ბორძიკით ვეკითხები ჩემს დედოფალს, რა სადღეგრძელო შეისვა? ჩემი მშობლების, — მპასუხობს ის. ჰოდა შენი, მერე შენი მშობლების, ძმის, რძლის და იქ ყველა იმ შენი გულშემატკივრების, და აღარ მაბოლოვებინებს სიტყვებს. ვკიდებ ხელზე ხელს და ყოველგვარი ბოდიშის მოხდით მივიწევ გარეთ და მივათრევ მასაც, ეზოსკენ. მე იქ მას გინება ავუტეხე, ვინმეს, მის ახლობლობაში ეს სიტყვები რომ მოესმინა, იმდენს მცემდნენ, გადასასვენებლად აღარ ვივარგებდი. ან გადასვენებას რა აზრი ექნებოდა, თუ ჯერი ჩემს ამოცნობაზე მიდგებოდა, დარწმუნებული ვარ, ვერავინ ჩემს შინაურობაში ვერ მიხვდებოდა, თუ ის მე ვიყავი, და ამიტომ, რა აზრი ჰქონდა, თუ უპატრონოდ მიგდებული სად დავიმარხებოდი, იმიერში თუ ამიერში. შემდეგ რა მოხდა?! იდგა უდრეკად ის ქალბატონი და ასე უნამუსოდ მიყურებდა. სიმართლე გითხრათ, ახლა უკვე მისმა მტრულმა და დამცინავმა გამოხედვამ შემაშინა. შევჩერდი, წამით დავფიქრდი და ახლა უკვე მე მივმართე მისეულ ხერხს. გავიშალე წელში და რიხიანად მივმართე: ახლა უკვე მზად ვარ ვიქორწინო შენზე, თითქოს შეცბა და ჩუმად გამომხედა, დავასწარი და უკითხვოდ ვუპასუხე, გამოგცადე ძვირფასო. ისევ მოკიდე ხელი, უფრო სწორედ, მხარზე მოკიდე ხელი და ნელი ნაბიჯებით, სახეზე კმაყოფილების გამომეტყველებით შევბრუნდით სუფრასთან. ვიღებ ჭიქას ხელში, ვითხოვ საზოგადოების ყურადღებას და ვიწყებ: ჩემო ძვირფასებო, მე და დედოფალმა გადავწყვიტეთ, ოცდაცხრა აგვისტოს, ე. ი. მარიამობის მეორე დღეს, ჩამოვდივარ მე ჩემს უახლოეს ნათესავ-მეგობრებთან ერთად, მივდივართ თბილისში, ვაწერთ ხელს და ვიწერთ ჯვარს. რაღა თქმა უნდა, ყველა თქვენთაგანის თანდასწრებით. ვიღებ ჯიბიდან დაუთვლელად ფულს, ვაწვდი ჩემს დედოფალს და მათ გასაგონად ვეუბნები: იყიდი საქორწინო ბეჭედს, კაბას, ფეხსაცმელს და რასაც მოისურვებ იმას. ვლოცავ ოჯახს და ვუხდი მადლობას

ძვირფასი დახვედრისათვის. ეს ისე დამაჯერებლად შევასრულე, რომ არც ერთ მათგანს არ უთქვამს სიტყვა, რა მოხდა, რატომ ასე უცბად და გაუფრთხილებლად გვტოვებო. გასვლის წინ დავძინე, დრო ცოტა მრჩება, თუ დღესვე არ დავბრუნდი, ახლობლებს მოვიმდურებ-მეთქი. უთქმელად ყველა ჩემთან ერთად ადგა ფეხზე, გამაცილა მანქანამდის და დიდი ხვევნა-კოცნით დამილოცა გზა. მაქსიმალურ დროში დავფარე ასობით კილომეტრი და პირდაპირ მივედი ქაშუეთის ტაძარში, სადაც სამჯერ მუხლებზე დაჩოქილმა შემოუარე ტაძარს და თან აღუთქვი სამღვთო შესაწირად, ცხვარი ოცდაცხრა აგვისტოს. შაბათ დღეს უახლოეს ადამიანებთან ერთად ვესტუმრე ქაშუეთის ეკლესიას და შევწირე დანაპირები ცხვარი. თუ რისთვის, ეს მათთვის არ გამიმხელია, რატომ?! იმიტომ, რომ მე ჩემი გაჭირვებაც მეყოფოდა!

უწინ საუბარში მოგახსენეთ, რომ დავიბადე თბილისის ერთ-ერთ ძირძველ და კოლორიტულ უბანში „სოლოლაკში", სადაც ცხოვრობდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, თეატრისა და კინოს განუმეორებელი ვარსკვლავები, ისეთი, როგორიც იყო: ქალბატონი სესილია თაყაიშვილი და კიდევ მრავალი სხვანი. ქალბატონი სესილია იყო პირადად ჩემი კარის მეზობელი. იქ იკრიბებოდნენ მისი მეგობრები, სადაც მე ხშირად მიწევდა დასწრება. თუ გაიხსენებთ ჩემს სიტყვებს, ალბათ დამეთანხმებით, რომ არანაკლებად მათზე მხიარული და იუმორის დიდი გრძნობით დაჯილდოებული გახლდათ ბებია ელენე. ქალბატონი სესილია ყველა თავის სცენარს უკითხავდა ბებია ელენეს და თუ დამერწმუნებით, ბევრი რამ მის როლში ქალბატონ სესილიას აქვს ნათამაშები ბებიასეული ინტელექტით. და მე, ამ ორი უძვირფასესი ადამიანის აღზრდილი, რატომღა ვიქნებოდი „უფხო". თავისუფალ დროს, როგორც იტყვიან, არ ვკარგავდი უქმად. ჩემი საუკეთესო განტვირთვა არის: სუფრა, მეგობრები, მანდილოსნები და სიმღერა, ფორტეპიანოსა და გიტარის თანხლებით. გიტარა განუყრელი მეგობარივით სულ თან მსდევს, მანქანაში თუ სახლში. ყველა მანდილოსანს სიამოვნებს მამაკაცის ყურადღება, არც მე ვარ შეუგნებელი და გამაჩნია ჯენტლმენობა ყველა ქალბატონის მიმართ. ვიცი და მჯერა, რომ ეს, რასაც მე

მათ მიმართ ჭარბად გავცემ, არის საკუთარი თავის პატივისცემა. არ გავასაიდუმლოებ და სიყვარულით ვიტყვი, რომ ადამიანი, რომელიც მე განსაკუთრებული შემთხვევიდან გამომდინარე გავიცანი, არის უძვირფასესი და დიდი სულის მქონე ქალბატონი რუსუდან კორძაია. მიყვარს, ვეთაყვანები და მწამს მხოლოდ მისი. ის არის ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული, აბსოლუტური სმენის მქონე, ვოკალისტი, დედა და ძვირფასი ბებია და ამღზრდელი-პედაგოგი. ვერ გავუგე მას, მე ვარ ყველაფერში მასთან დამნაშავე, არ ვითხოვ მისგან პატიებას, უბრალოდ მინდა, რომ იცოდეს მან ეს და სჯეროდეს ადამიანისა, რომელმაც შეიგრძნო მისი გული და ეყვარება სიკვდილამდის. კახეთთან მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებს და ამიტომაც სისტემატურად მიხდება მათთან კონტაქტი. ადამიანისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თავშესაფარი. თუ თავზე ჭერი გახურავს და არა გაქვს მისი პრობლემა, ვფიქრობ, დანარჩენს გაართმევ თავს. ჰოდა, მეც მივეკუთვნები იმ ადამიანების რიცხვს, ვისაც შესწევს უნარი გაუძღვეს საყოველთაო პრობლემას.

ჩავდივარ თელავში, შეხვედრა და მასპინძლობა კახელებს არ ეშლებათ, ოჯახიდან ოჯახში გადაპატიჟება, სუფრები და რაც მათთვის მისაღები და დასაფასებელია არის ის, რომ უხვად სუფრასთან იყოს ხორცეული, ხაშლამა, მწვადი და ვინ მოსთვლის რა სახეობის კერძებს არ მოგართმევენ. მაგრამ მათ სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, ახასიათებთ ერთი კარგი რამ: თუ მოგიპატიჟებს, ეცდება ბოლომდე გაიხარჯოს და არას დაგაყვედრებს რას და თუ ის ჩათვლის, რომ სტუმარს ბოლომდე ემსახურა, ბოდიშმოუხდელად მოგიხდის ქუდს ისე, რომ არც შეგეკითხება, სად წახვალ, ან გაქვს ღამის გასათევი თუ არა. ჰოდა, მეც კარგად რომ შევისწავლე მათი გუნება-განწყობილება და მიხდებოდა კახეთში ხშირ-ხშირად სიარული, გადავწყვიტე უფრო კომფორტულად მომეწყო ჩემი იქ სტუმრობის პირობები. გავიცანი და დავუახლოვდი ბევრ ადამიანს, მათ შორის სამსახურებრივად ქალბატონებს, სადაც აღმოვაჩინე ჩემი გემოვნების შესაფერისი მანდილოსანი. კახელი, მოხდენილი ტანის, ხორბლისფერი პირსახით, ამაყი და კოპწია, მეუღლესთან განქორწინებული. „ჰოდა ჩვენც

მეტი რა გვინდოდა, ოოო...“ სახლი ძვირფასი, სამსახურშით მე შევუქმენი პირობები და დავაწინაურე, დროთა განმავლობაში მანქანაც შევუცვალე. ასე რომ, არც ერთი არ ვემდუროდით ბედს. თუ არა ის ჩემი მორიგი ვიზიტის დღე, როცა მან უჩვეულო ქედმაღლობით განმიცხადა, რომ იყო რამოდენიმე თვის ფეხმძიმე, და კიდევ უფრო მეტიც, მაგრამ უფრო მორჩილად და თავმდაბლურად შემომაპარა, იცი შენ ჩემი ოჯახი მამა — „ბობოლა“, დიდი თანამდებობის პირი, დედა — ექიმი, ძმა — თელავის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ოლიმპიური და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, თავისუფალ ჭიდაობაში. დაბოლოს, რის თქმას აპირებ, — ვკითხე მე?! შენ თუ ხარ ნორმალური, მეუბნება ის, ახლა მეცნობი-ვპასუხობ მე, ხოდა გესმის, რომ ვარ გამოუვალ მდგომარეობაში და ვერასოდეს, ვერც ჩემს ოჯახში და ვერც ამ პატარა ქალაქში გამოვყოფ თავს, ხალხმა რომ ამის შესახებ შეიტყოსო... ჰოდა შენც ადექი, ჩამიჯექი მანქანაში და წამომყევი თბილისში. იქ ჩემს კლინიკაში მოგაშორებ ნაყოფს-მეთქი. რააო.. იღრიალა და კინაღამ მწვდა ყელში. მე ქმარი მხოლოდ იმის გულისთვის დავტოვე, რომ არ შეგვეძინა შვილი, და შენ გინდა, რომ ახლა მე, ამ ჩემს ნანატრ ოცნებას მოუღო ბოლო..?! თქვა და კახური „ჯორივით, გააბიჯა ფეხები, ჩამოყარა ყურები“ და დადგა ერთ პოზიციაზე. ჩავთვალე, რომ მე მასთან ვერას გავაწყობდი რას და ჩათრევას, ჩაყოლა ვამჯობინე. ბევრი ვიმსჯელეთ და ბოლოს შევჩერდით ერთ აზრზე, უნდა გაგვეთამაშებინა ქორწინება! დავწერეთ სცენარი და ერთთვიანი დაუღლელი რეპეტიციის წყალობით, შევქმენით განუმეორებელი სცენა, რომელმა სპექტაკლმაც დიდი ოვაციებით დაგვიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი ნაცნობ ადამიანებს შორის. მას შემდეგ, თელავის თეატრის ცნობილი მსახიობები, ისეთები, როგორებიც არიან: ვანო იანტბელიძე, ავთო და ლალი გულიაშვილები და კიდევ სხვანი ჯერ სცენარისთვის, შემდეგ კი როლისთვის კარგახანი მიკავშირდებოდნენ და მთხოვდნენ მონაწილეობის მიღებას მათსავე თეატრში. რაოდენ უცნაურად არ უნდა გამოიყურებოდეს ჩემსავე ნაამბობში, ჩემივე ქმედებანი, ისევე როგორც სხვას, ალბათ მეც, მექნება თავის გამამართლებელი სიტყვები, რომ არასდროს, არავის მიმართ,

არ მახასიათებდა ძალდატანებითი ქმედებანი. თუ დამეთანხმებით, დაგარწმუნებთ, რომ ქალში არის მიზანმიმართული მამაკაცის გულისადმი დამპყრობელი გრძნობა, რომელიც აკომპესირებს მის აზრებს და აძლევს უფლებებს, მხედველობაში მაქვს საკუთარ თავთან მიმართებაში. იჭერს მისი აზრებიდან გამომდინარე, მისავე გემოვნებით შერჩეულ მამაკაცს და ებღაუჭება მანამ, სანამ მას ეყოფა ძალა მის საბოლოოდ დაყოლიებაში. უკიდურეს შემთხვევაში, ყრის ფარხმალს. რა უქნა მუცელს?! ეს სამუდამოდ დიდ და ჩვენს პირად საიდუმლოდ დარჩება, ჩვენსავე გონებაში. მეუღლის გარდაცვალებიდან რამოდენიმე წელი არ მიმიცია უფლება, მეღალატა მისთვის. არც არასწორედ მიცხოვრია და არც არასდროს მივცემ თავს უფლებას შევარცხვინო ჯერ თავის, შემდეგ შვილების, დაბოლოს — მისი გულისა და უღალატო სულის სიწმინდე. ის, რაც ამ წლების მანძილზე მე უენებლივ თუ წინასწარი განზრახვის გარეშე გადამხდა თავს, არის ნებისმიერი უცოლოდ, წლების განმავლობაში დარჩენილი მამაკაცის ხვედრი. რატომღაც ვცდილობთ არ შევულახოთ თავებს პატიოსნება და არ შევლახოთ ჩვენივე მიცვალებულის სული და უფრო ამ გზით ვირჩევთ, გავირთოთ თავი. რთულია და თანაც მამაკაცისთვის იშრომოს დაუღალავად, იზრუნოს შვილების აღზრდაზე და მათ მოვლა-პატრონობაზე და ამავდროულად იყოს მარტოსული. ამ პერიოდში ბევრჯერ მიფიქრია დაოჯახებაზე, მაგრამ ყოველთვის ამ საკითხს ბავშვების წლოვანებიდან გამომდინარე ვუყურებდი. დავუშვათ, მე დამღუპოდა დედა ჩემი შვილების ასაკში და მამაჩემს მოეყვანა სხვა ქალბატონი, როგორ შევეგუებოდი მე ამას, თქვენ წარმოიდგენთ, იმ ასაკში, რომელშიც ჩემი შვილები იყვნენ, ყოველთვის ვაფასებდი უარყოფითად მანამ, სანამ ჩემი შვილები არ წამოიზარდნენ და თვითონ არ მივიდნენ ამ ლოგიკურ გადაწყვეტილებამდე და არ მირჩიეს დაოჯახება.

მას შემდეგ ჩამოვედი საქართველოში და შევუდექი თიოქმის ნულიდან ცხოვრების შექმნასა და აწყობას. გავუკეთე რესტავრირება მშობლებისა და ბებია-ბაბუის საფლავებს. იქვე დავამატე რამოდენიმე კვ. მეტრის მიწა და გავაერთიანე საფლავები, რათა მომავალში გადმომესვენებინა, ძმა — იტალიიდან და მეუღლე —

ავსტრიიდან, თავისივე მიწა-წყალზე. ამავდროულად დავისახე მიზნად, შემექმნა ტრადიციული ოჯახი, ჩემივე წარმომავლობიდან გამომდინარე. რადგანაც ოჯახი, სადაც მე აღვიზარდე და გავიზარდე, ოდითგანვე იყო და შევეცდები გავაგრძელო, შემდგომში შვილებში და თუ მეყო ძალა და სიცოცხლე, შვილიშვილებში, ქართული სისხლისა და წარმომავლობის ხალხთან ქორწინებით შეიქმნას მათივე ოჯახები. არ ვიცი ამ ჩემს შეხედულებებს ვინ როგორ გამიგებს, მაგრამ მე მიყვარს ჩემი ხალხი და ჩემივე ქართველები და მსურს, რომ არ აიმღვრეს სისხლი და დაიბადონ საუკუნეებით ჩემს შთამომავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ქართველები. ამ წლების განმავლობაში, ვცდილობდი მომეძია ის ადამიანები, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ ჩემს მიზნებს. როგორც იტყვიან, მარჩევალს დარჩენილი შეხვდაო. რამდენ კარგ ქალბატონს შეუკავებია თავი და რამდენზე მე დამიხუჭავს თვალი. „ბედი მომეცი და ქვაზე დამსვიო" ვაკვირდებოდი და მიკვირდა, ვგებულობდი და ვოცდებოდი, ჩემს აქ არყოფნაში ისე გადასხვაფერებულიყო საქართველო, რომ ეს სხვას ჩემს სხვა ქვეყანაში ცხოვრების პერიოდში რომ ეამბა, ნამდვილად დაუჯერებლად მომეჩვენებოდა. დაუჯერებელია, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, რეალობა, თითქოსდა სიყვარულით იქმნება ოჯახები, იბადებიან შვილები და უცბად ინგრევა ოჯახები. თქვე დალოცვილებო, ამ შვილებს რაღას ერჩით?! თითქოსდა წესად ექცათ ქართველებს ოჯახების რღვევა. ერთხელ და არა ყველანი, არ არის გამორიცხული ადამიანთა შეუთავსებლობით გამორიცხული, ოჯახების დარღვევა, შემდეგ ის მეორედ და როცა მათ შორის არა აქვს მნიშვნელობა, ქალში თუ ვაჟში, მესამედ და ალბათ აღარ გავაგრძელებ, მრავალჯერ... მოხდება შენაცვლება, დარწმუნებული ვარ იმ ადამიანში, არ არის საეჭვო, რომ ჯანმრთელობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იწვევდეს ეჭვს, მისსავე სრულყოფილებაში. გამამართლებელი მათ ერთმანეთის გარეშე, იცოცხლეთ, გააჩნიათ, მაგრამ ცალ-ცალკე, ორივე ძლიერ მხდალები არიან. რაც ქართველობაში ჭარბად მოიძებნება, ჩვენდა სამწუხაროდ. ნიჭიერი და კარგი ხალხნი ვართ ქართველები, მაგრამ გვაქვს იმდენად ცუდი

და დაუგმობელი განზრახვები, რომლებიც, ამ დიდ ნიჭთან ერთად, ხაზს უსვამს და გვაკარგვინებს იმ კარგს და იწვევს ზიზღს, გარშემომყოფთათვის. „მოიყვან ინანებ, არ მოიყვან, მაინც ინანებ". ხოდა მეც ვძიობ! დროდადრო ვეცნობი და ვსწავლობთ ერთმანეთის ხასიათს. ბევრ მათგანს პირადი შეხვედრებიდან და ბევრს კომუნიკაციების საშუალებით ვწერთ და ვსაუბრობთ შეძლებისდაგვარად, დაბოლოს, ვექცევი ჩიხში, არჩევანში გადაწყვეტილების მისაღებად. აქვე განვმარტავ, რომ მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთა მიმართ მქონდა გასაიდულოებული ნაცნობობა, ფსევდონიმით. არა, არ მინდა იფიქროთ თქვენ ისე, რომ მე მათ მხოლოდ სატელეფონო საუბრებით ვეკონტაქტები. ბევრ მათგანთან კონტაქტში, ორივე მხარე მივსულვართ დასკვნამდე, რომ შევხვედროდით და გაგვეცნო ერთმანეთი. არ ვიცი როგორ მოახერხა, მაგრამ მირეკავს ერთ-ერთი. ჩვენი ეს ხშირი ზარები და მიწერ-მოწერა გადაიზარდა გაცნობის სურვილში. შეხვედრა შეთანხმებით დაინიშნა თბილისის ერთ-ერთ „მაკდონალდსში", რადგანაც მას ჰყავდა ხუთიოდე წლის გოგონა. თუ რამ გამოიწვია ჩემში მისით ესოდენ ინტერესი, გამომდინარეობს შემდეგიდან: რომ ეს ქალბატონი, ჩემი წარმოდგენიდან, გახლდათ განათლებული, კარგად მოსაუბრე და კონტაქტური პიროვნება. ნანახმა წარმოდგენას გადააჭარბა, ის რაც ჩემში მის მიმართ შეუთავსებელი აღმოჩნდა იყო ის, რომ მისი შეხედულება, ბევრად ახალგაზრდული აღმოჩნდა ასაკთან შედარებით. თითქმის ხუთიოდე საათი დავყავით ერთად, ბევრი ვისაუბრეთ, შევეხეთ იმ პრობლემებს, რომელი კითხვებიც დიალექტში გვიქმნიდა უხერხულ სიტუაციებს, მაგრამ სათქმელი დაუმალავად ითქვა.

იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა მისი პიროვნება ჩემში, რომ გამიჭირდა მასთან გულახდილი აღიარება. რადგანაც ის გაცილებით მეტს იმსახურებდა, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მიაღწევს, თუ ვინმემ სხვამ, ბოროტად არ გამოიყენა და არ აურია გზა-კვალი, ისე როგორც უწინ სხვამ ისარგებლა მისი გულუბრყვილობით და ამ სულითა და სხეულით ულამაზეს გოგონას, დაუკარგა რწმენა და აქცია დაუნდობლობის მსხვერპლად. ჩვენ

მას შემდეგ, თავისუფალ დროს შვილთან ერთად, ყოველგვარი სიბინძურის გარეშე ვხვდებოდით, ხან მასთან და ხანაც ჩემთან ბინაში, ვუზიარებდით აზრებს და ვეხმარებოდი ეკონომიურად. შემდგომში მან გამაცნო მშობლები და ძმა, მე კი შვილები. დავმეგობრდით და ახლა უკვე რეალობაში შევაფასეთ ჩვენი მაშინდელი შეხედულებების ძირითადი შეუსაბამობები. რადგანაც ეს ძვირფასი ქალბატონი იყო არა ჩემი, არამედ ჩემი ვაჟიშვილების შესაფერისი, ასაკობრივადაც და შეხედულებებითაც. და მე თუ ამ შეხედულებებს არ გავითავისებდი, დადგებოდა დრო, როცა ჩემი შვილები, ან ჩვენ იქ შვილებთან მოგვიწევდა ჩასვლა. და როცა ისინი გაიცნობდნენ ამ ქალბატონს ალბათ გულში იტყოდნენ, რომ რამ გამოაშტერა ეს მამაჩვენი და გადააწყვეტინა, შვილების ტოლი გოგონას შერთვაო, პირადი განათლება და მრავალწლიანი გამოცდილება მაძლევს საშუალებას ქალთან მიმართებაში, მაფიქრებს თუ რა არის მდედრი ბიოლოგიურად. ქალი მწიფდება მაშინ, როცა ის მიაღწევს ცხოვრებისეულად საშუალო ასაკს და მხოლოდ მაშინ აღწევს ანატომიურ პიკს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. და ამ დროს მამაკაცი, ასაკით უფროსი, დაქვეითებული პოტენციით, ხდება უძლური კმაყოფილების, რაც იწვევს მდედრში არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას და უავადმყოფებს ორგანიზმს და უსვამს ხაზს, წარსულში მოპოვებული სიყვარულისა და ნდობის ფაქტორს. მაშინ ხარ ვაჟკაცი, როცა ჯერ შეიყვარებ და შემდეგ სიყვარულით შექმნი ოჯახს და უფრო მეტად ხარ კაცი, როცა ეს დიდი სიყვარული შეესაბამება შენსავე ასაკობრივ ბარიერს და ერთად სიცოცხლეში აღწევთ მიზნებს და მიდიხართ სიბერემდე, მყარი, ურყევი და ულალატო სიყვარულით. არა მხოლოდ ჩვენ, თვით ჭკუასუსტსაც, შესწევს უნარი განვლილი წლების უკან დაბრუნების შემთხვევაში, მოიწყოს ცხოვრება, ბევრად უფრო აზრიანად და არ გაიმეოროს ადრე დაშვებული შეცდომები.

ის გოგონა, არ ტყუოდა, ის სწორედ ხედავდა, სჯეროდა მისი, რომ შექმნიდა ოჯახს, თავისზე მეტად გამოცდილ და ასაკით უფროს ადამიანთან, რომელსაც ექნებოდა ცხოვრებისეული დიდი გამოცდილება და არ დაუშვებდა შეცდომას, ოჯახისთვის

საკალდებულო და აუცილებელ საკითხებში. მაგრამ არ იცოდა ქალი, მისი ბიოლოგიური მდგომარეობა და მხოლოდ იმ გადმოსახედიდან ათვითცნობიერებდა თავს, რომელ წერტილშიც მან დაამთავრა მამაკაცთან ცხოვრება. მე კი დავარწმუნე, რომ ცხოვრებას მისთვის, ამ ასაკიდან უფრო ჰქონდა აზრი. სიყვარული ოჯახიდან იწყება, ბებიის, დედის, მამის და რაღა თქმა უნდა, დედმამიშვილის. შემდეგ იზრდება მეზობლებში, ნათესავებში, ბიძაშვილ-მამიდაშვილებში, ეზოთი, ქუჩით და ვიძენთ მეგობრებს, რომელი ადამიანებიც მოგვყვებიან, სიცოცხლის ბოლომდე.

უმეგობრო ადამიანი უთვისტომო კაცის ტოლფასიაო (უთქვამს წინაპარს!), ხშირად მსმენია „ყველაფერს ბედი უნდაო", გეთანხმებით, მაგრამ ზოგ საკითხში არ ხდება ასე. ალბათ მეგობრებს, შეხედულებებიდან გამომდინარე, ჩვენივე აზროვნებისა და შესაფერისობის მიხედვით ვირჩევთ, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, ვეთავსებით. ის ხომ, ჩვენდა უვნებლივ ცხოვრებისეული გზით, შეუმჩნევლად შემოდის ჩვენსავე გულებში და რჩება მარად, სანამ გულს შესწევს უნარი ჩვეულ რიტმში იწიკწიკოს და ამ რიტმს, ურღვევად, სიცოცხლეში ყოფნის ძალა, გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ სირთულეებს და მეგობართან ერთად, ჭირშიც და ლხინშიც, მართონ თავები და მშვიდი სვლით გაუძღვნენ მას.

ბავშვობის წლები, ჩვენ ხუთეულმა, ერთ სიყვარულში გავატარეთ. სკოლის დამთავრების შემდეგ თითქმის დავშორდით. მე მოსკოვში გავემგზავრე, მერაბი — კიევში, შოთიკო (ბლოხინა) — ლენინგრადში, ხოლო თამაზმა და თენგიზმა სწავლა თბილისში გააგრძელეს. ეს ორი უკანასკნელი, უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ. თენგიზმა გამომძიებლობიდან დაიწყო და განვლო სხვადასხვა თანამდებობებით გენერლობამდე, თამაზმა უშიშროებაის ხაზით, მინისტრის მოადგილემდე, მერაბი, ექიმ-კარდიოლოგობიდან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორამდე. „ბლოხინა" ფიზკულტურის ინსტიტუტიდან ფეხბურთში გადაიზარდა. ლენინგრადის „ზენიტით" დაიწყო და სხვადასხვა წლებში თამაშობდა მოსკოვის „ცეესკაში", „ლოკომოტივში", ტაშკენტის „პახტაკორში" და ბოლოს მწვრთნელად დაასრულა კარიერა მოსკოვის „ცეესკაში", დაბოლოს, მე, მოგეხსენებათ ექიმი ვარ,

ექიმი ონკოლოგი. დავიწყე და მივდივარ ჯერჯერობით მამოლოგიის კათედრით, ქირურგ-მამოლოგად. წლებია მკურნალი და არა დრო, რომელ განზომილებასაც არ შესწევს ძალა დაანგრიოს, წლობით ნაკოპიწარი, მრავალი სირთულეების წინაშე მდგომი ნებისმიერი ჩვენთაგანი, რომლებმაც გავუძელით და ვაჟკაცურად გავართვით თავი, ჩვენს მყარ და უღალატო მეგობრობას. წლებმა ვერასგზით, მაგრამ დრომ ბევრჯერ შეგვიქმნა დისკომფორტი ერთმანეთთან განშორებისა, მაგრამ არა დაშორებისა. ვერასდროს ჩვენ ხუთეულმა, ერთად თბილისში, თუნდაც ერთი წლით, განუშორებლად ვერ მოვიყარეთ თავი, მაგრამ არ გაგვიშვია არც ერთი წელი ერთმანეთის იუბილის აღუნიშნავად. და როცა ჩვენ შევქმენით ოჯახები, ეს დიდი მეგობრული სიყვარული გადავზარდეთ ცხრათაობით მირონ-ნათესაობაში, რომელმა ნათესაობამაც ურყევი და მყარი გახადა ჩვენი მომავალი. დღეს უკვე მე მომიწია საქართველოში დაბრუნება, მხოლოდ ისინი ცხოვრებისეულმა სირთულეებმა ოჯახებით გადახვეწა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, გარდა თენგიზისა, რომელიც რამოდენიმე წლის წინ, აფხაზეთის ომში მიღებული ტრავმების გამო გამოგვაკლდა სამარადისოდ და დაგვიტოვა ძვირფასი ოჯახი, რომელ ადამიანებსაც, დღეს უკვე ჩვენ ოთხეული, მაქსიმალურად ვუძღვებით და ვუმსუბუქებთ ყოფა-ცხოვრებას. ჩვენ ისევ ძველებურად, ვაგრძელებთ, ჩვეულ რიტმში, ცხოვრებას და ოჯახებით ვიკრიბებით, ჭირშიც და ლხინშიც, ერთურთის პატივსაცემად და ვინც შემომრჩა, მიყვარს და ვაფასებ, ვენდობი და მიმაჩნია უღალატოდ. ჩემი შვილებისა და ძმიშვილების გვერდით არიან ჩემი მეგობრები, ოჯახებით. ღმერთმა მიცოცხლოს და მიბედნიეროს მათი თავი.

სტუდენტობის უდარდელი წლებია, მხოლოდ ზაფხულობით გვაქვს პატივი შევიკრიბოთ მეგობრები და ეიფერაში გავანდოთ ერთურთს თავს გადახდენილი ამბები.

მორიგი ჩვენი შეხვედრა შედგა თბილისის ზღვაზე, ჩვენთვის კარგად ნაცნობ რესტორან „ფაცხებში". ნაადრევად მოგვიწია სუფრასთან დაჯდომა და სადღაც, დღის ხუთ საათზე, კარგად შექეიფებული გახლდით. გიტარა, რომელიც ჩემი თანამგზავრია, ვიღებ მანქანიდან და გადავდივართ მეორე განყოფილებაში. ე.

ი. მხიარულებაზე. ჯერ ღიღინით და შემდეგ სიმღერებით ვუ-ბრუნდებით ნაცნობ ტრადიციებს; გვერდით მდგარი ფაცხიდან მოგვესმა სიმღერის ხმა, რომელიც დროდადრო გადადის მრა-ვამლხმიანობაში. დავინტერესდით, თუ ვინ მღეროდა. მომტანმა გვიპასუხა, რომ ისინი იყვნენ თეატრალური ინსტიტუტის სტუ-დენტები, ძირითადად ქალიშვილების დასით დაკომპლექტებული ჯგუფი. მოვიხმეთ მიმტანი და ვთხოვეთ მათთვის შეელამაზებინა სუფრა დამატებით და თან მიერთმიათ ის სასმელი, რომელსაც ისინი სვამდნენ. ცოტა ხანში ახლა ჩვენს სუფრას უბრუნდება მიმტანი სავსე ხელებით, ეს იმ სუფრიდან და ძღვენს გვიწყობს, შამპანურთან ერთად. ცოტა ხანში, ორივე სუფრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, გავაერთიანეთ სუფრები და შევუდექით პირი-სპირ გაცნობას, რასაც თანმიმდევრობით მოჰყვა მსუბუქი ჰანგები და ნელ-ნელა ჩავიძირეთ ბახუსისა და სიმღერების კორიანტელში და როგორც ჯენტლმენ მამაკაცს შეშვენის, ჩვენ მეგობრებმა ჩვე-ნივე მანქანით მივაცილეთ გოგონები თავთავიანთ საცხოვრებელ ბინებში. მეორე დღეს მაღვიძებს ტელეფონის ზარი, ვპასუხობ და განვცვიფრდი, რაზედ?! მასზედ, რომ არ მახსოვს, თუ როდის მივეცი მე მათ ტელეფონის ნომერი. დღეს უკვე ვიწრო წრეში ვხვდები მათ და ახლა უკვე რეალობაში გავიცანი ისინი. შეხვე-დრაზე მოვიდნენ, როგორც მერე გავიცანი, ორი და, მაღალნი, ულამაზესი ტან-ფეხის, შეხედულნი და ენაკვიმატნი. შევთავაზე შევსულიყავით „ლალიძეში" და იქ მოგვეფიქრებინა შემდგომი დღის განრიგი.

იმ პერიოდში მე გახლდით რამდენიმე დღით თბილისის სტუმარი, რაც სრულად გამოვიყენე და ამ პერიოდში სისტემატუ-რად ვხვდებოდი მე ამ ორ დას, გავიგე, რომ იყვნენ იმერეთიდან, ჰყავდათ მშობლები, ვესაუბრე ჩემს ოჯახზე, მაგრამ..., მაგრამ ის, რომ მე, უფრო სწორად ჩვენ არ შევხებივართ ჩვენი გვარის წარმომავლობას. ჩვენი ეს ყოველდღიური შეხვედრა გადაიზარდა სიმპათიებში, მაგრამ მე პირადად ჩავვარდი დიდ გაუგებრობაში. ვერაფრით ვერ მივხვდი მათ მიზანს, რადგანაც ჩემთან შეხვე-დრაზე მოდიოდნენ ორივე ერთად და მე კი მათში ვერ ვხედავდი ვერანაირ განსხვავებას. აგვისტოს ბოლო რიცხვებია, ვემზადები

გასამგზავრებლად, საღამოსთვის მეგობრები შევთანხმდით შეხვედრას ბუნებაში დროებით განშორების აღსანიშნავად. დავუკავშირდი გოგონებს და ვთხოვე წამობრძანებულიყვნენ პიკნიკზე. ვხვდები მათ თეატრალურ ინსტუტუტთან და მიწისქვეშა გადასასვლელით გადავდივართ ოპერის მოპირდაპირე მხარეს, რადგანაც მანქანა მყავდა იქვე, ათარბეგოვის ქუჩის კუთხეში გაჩერებული. ჩავდიართ გვირაბში და გოგონები მომყვებიან, ხელიხელ ჩაკიდებულნი. ამ დროს ერთ-ერთი მათგანი მეკითხება, რა გვარის ხარ?! ვპასუხობ და ამ დროს ორივე მიშვებს ხელს და მაფრინდებიან სახეში კოცნით, დაკიბენი.. რა ხდება, ვეკითხები, ჩვენც მაგ გვარისები ვართ, — მპასუხობენ. მას შემდეგ ბევრჯერ დავფიქრებულვარ და არასოდეს გადამიდგამს ნებისმიერი ქალბატონის, რომ საფუძვლიანად არ გამომეკითხა ძირძველი შთამომავლობა. კარგია, რომ ის რა გრძნობაც მე და ალბათ მათაც გაგვაჩნდა ერთურთის მიმართ, არ გადაიზარდა სიყვარულში. მას შემდეგ დავმეგობრდით და წლობით ვაგრძელებდით ერთურთის პატივისცემას მანამ, სანამ, არ დაიშალა საბჭოეთი და არ მოუწია მათ, შექმნილი ოჯახებით უცხოეთში გადახვეწა. დაინტერესება ოჯახის შესაქმნელად იმდენად დიდ როლს თამშობდა ჩემში, რომ ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე და დავსვი წერტილი, რატომლაც გაურკვეველ და ახლა უფრო ვხვდები არასწორად გაკეთებული არჩევანის მქონე მანდილოსნის მიმართ.ყოველივე დაიწყო იმით, რომ ჩვენი ორივეს დაინტერესება იყო, როგორც მე მიმაჩნდა, ოჯახი. ჩემივე განცხადებით დამიკავშირდა ის და გამეცნო. ჩვენი სატელეფონო საუბრებიდან გამომდინარე გაცნობა გადაიზარდა პირად შეხვედრაში. ჩავდივარ მასთან და ვხვდებით იმავე ქალაქის ერთ-ერთ კაფე-ბარში. ამ ქალბატონს თან ახლდა მეგობარი. ვისაუბრეთ და ბოლოს დავშორდით. მას შემდეგ თითქმის უფრო გავშინაურდით, ხშირად ვსაუბრობდით ტელეფონით, ვწერდით მესიჯებს და ხშირად ვკამათობდით, ხან ისე, რომ რამოდენიმე დღით ვწყვეტდით კონტაქტს. მერე რატომლაც, თითქოსდა შეცდომით, როგორც თვითონ განმარტავდა, ეჭირებოდა ხელი ჩემს ნომერზე და სულ ერთი ზარის შემდეგ ჩემს ტელეფონში წყდებოდა კავშირი. მივწერდი თუ რა ნებავდა მას. მერე

რატომღაც განახლდებოდა კონტაქტი და ისევ შეხვედრები. ამ სიახლოვემ ჩვენ მიგვიყვანა იმ დღემდე, რომ შეგვექმნა ოჯახი. ის, რაშიც მე მის მიმართ თავს დამნაშავედ ვგრძნობ, არის ის, რომ მე მას, თვით ოჯახის შექმნის დროს, რაც დავუმალე და რა არის მის კრიტიკაში რეალური, ეს არის ის ფაქტორი, რომელ სიმართლეს ვერ გავექცევი და უნდა მეთქვა მისთვის, რომ პიროვნებას, რომელსაც ის იცნობდა ფსევდონიმით, ვიყავი მე. დანარჩენი თუ რა მოხდა მას შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში, მისი და მისივე მეგობრებ-ნათესავების ჩვენებიდან გამომდინარე, არის სრული და უნიჭო რეჟისორის მიერ დადგმული სცენარი. როლი უნიჭო მსახიობებმა ითამაშეს.

თუ ეს ჩემი ნაწარმოები პოვებს უფლებას და გამოქვეყნდება, რომელიმე წიგნში ან ჟურნალში და ამავდროულად გამოიწვევს მკითხველში დაინტერესებას, გპირდებით, რომ მე შემწევს იმის უნარი და ვაჟკაცობა დეტალებში მოგითხროთ არსებული საქმის ირგვლივ, რათა შეფასდეს საზოგადოების მიერ და ჩამოყალიბდეს საერთო აზრი. ყოველივე ამის შექმნა ჩემში, მოითხოვს დიდს ნებისყოფას და პასუხისმგებლობას, მაგრამ ვარ ღრმად დარწმუნებული, რომ ეს ნაწარმოები გამოიწვევს ინტერესს არა მხოლოდ მკითხველში, არამედ იმ ადამიანშიც, რომელმაც დაუნგრია საკუთარ თავს ბედნიერება და არანაკლებად მე, გამინადგურა ხალხში წლობით მოპოვებული სახელი და საკუთარი თავის რწმენა.

ეძღვნება მამაჩემის, ნოდარი შევჩენკოს ხსოვნას,
რომელიც გმირულად დაეცა 1993 წელს
საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში.

მამა

გაზაფხულის ლამაზი დილა გათენდა. გარეთ ცხრათვალა მზე ანათებდა, თუმცა თითქოს არავის უხაროდა ცხოვრება. არავინ იღიმოდა, არავინ ხარობდა ახალი დღის გათენებით. მოსახლეობის ყოველდღიურ პრობლემებს კიდევ ერთი დაემატა, ერთი და ალბათ ყველაზე მთავარი, მშვიდობა... საქაროველოში ომი მძვინვარებდა, ჩვენი სამშობლო ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს აფხაზეთს კარგავდა.

მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხნის გათენებული იყო, ნოდარი ადგომას მაინც არ ჩქარობდა. მისი ფიქრებიც აფხაზეთისაკენ იყო მიმართული. ხვალ უკვე მის ბატალიონსაც ცხელ წერტილში გააგზავნიდნენ და ვინ იცის, კიდევ როდის მოუწევდა მას საყვარელ ცოლ-შვილთან ყოფნა.

მთელი დღე პატარა ირაკლისთან ერთად გაატარა და ცდილობდა მისთვის ეს დღე გაელამაზებინა. გული რაღაც ძალიან ცუდს უგრძნობდა, თუმცა არაფერს იმჩნევდა. მისი მეუღლე ანა ძალიან გახარებული იყო ქმრის უეცარი ცვლილებით, რამდენი ხანია ნოდარი ასეთი მოსიყვარულე და თბილი არ უნახავს. ან კი რას ნახულობდა საერთოდ? სახლ'ში მის გვიან დაბრუნებას და დილით ადრე გასვლას უკვე შეგუებული იყო. თუმცა არავინ იცოდა რა ცეცხლი ტრიალებდა ნოდარის გულში. არავინ იცოდა, რომ ხვალ უკვე ბრძოლის ველზე იქნებოდა და ეს მისი მხიარულება გამოსათხოვარი ცერემონია უფრო იყო.

საღამოს პატარა ვახშამი მოაწყო ოჯახთან და ახლო მეგობრებთან ერთად. სუფრასთან, როცა სასმელზე უარი თქვა, ამით

კიდევ ერთხელ გააკვირვა მეუღლე და ძმაკაცებიც, თუმცა ძალა აღარავის დაუტანებია. მეგობრების წასვლის შემდეგ, ძილის წინ ირაკლის ზღაპარიც წაუკითხა და დააძინა, ადრე ხომ ასეთი რამ არასდროს გაუკეთებია. მხოლოდ ახლა მიხვდა რა ტკბილია ოჯახთან ერთად გატარებული დღე, რა კარგია, როცა პატარა შენს კალთაში იძინებს და უყურებ როგორ დასთამაშებს მძინარეს სახეზე ეშმაკური ღიმილი.

უკვე შუაღამე იყო დასაძინებლად რომ დაწვა. თუმცა რული არ მიეკარა. მას ახლა ძილი არ შეეძლო. ჩუმად ადგა, ფეხაკრეფით გაიარა საძინებელი და მისაღებ ოთახში გავიდა. ლამპა აანთო და წერილის დაწერა დაიწყო. ორი წერილი გაამზადა. ერთი უსაყვარლესი მეუღლისათვის, რომელშიც პატიებას სთხოვდა ყველაფრისათვის. ამონარიდი წერილიდან: „ანა, ჩემო ძვირფასო, ხომ იცი ასეთი ვარ, არ შემიძლია ჩემი გრძნობების ასე ფართოდ გამომჟღავნება. ალბათ ამიტომაც არის, რომ ბევრ რამეზე ხარ ჩემზე გულნატკენი... ვიცი, ახლაც გამამტყუნებ რომ არ გითხარი და ისე მივდივარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გცოდნოდა ჩემი განზრახვა, ყოველნაირად ეცდებოდი, რომ აზრი შემეცვალა. დამიჯერე ასე სჯობია. მე იქ უნდა ვიყო, სადაც ომია... მაპატიე ყველაფრისათვის“

მეორე წერილი კი პატარა ირაკლისთვის იყო განკუთვნილი, რომლის შინაარსსაც დროთა განმავლობაში ძალიან კარგად გაიგებდა და გაამართლებდა კიდეც მამას, ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის. ამონარიდი წერილიდან: „ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემო იკუნა, მე მივდივარ. ვიცი, შენ ახლა ამას ვერ გაიგებ, მაგრამ დადგება დრო და აუცილებლად გამამართლებ. არ შემიძლია სახლში ვიჯდე მაშინ, როცა ჩვენს სამშობლოს უჭირს. მაშინ როცა ბრძოლის ველზე ახალგაზრდა ბიჭები იხოცებიან. ბიჭები, რომლებსაც ჯერ რძე არ შეშრობიათ პირზე, გმირულად უშვერენ მკერდს მტრის ტყვიას. დრო მოვა და ჩემით იამაყებ. შენ მიხვდები რატომ გადავდგი ეს ნაბიჯი. ძალიან მიყვარხარ, შენი მამიკო“.

ძილსაც უკვე აზრი აღარ ჰქონდა. დილის ექვს საათზე უნდა გასულიყო ქალაქის ცენტრში, სადაც მებრძოლები უნდა შეხვე-

დროდნენ ერთმანეთს. ერთი საათით ადრე დაიწყო მომზადება საკმაოდ გრძელი მგზავრობისათვის. თბილად ჩაიცვა, ცხელი ჩაი დალია და კიდევ ერთხელ დახედა მძინარე ირაკლის, რომელიც ლამაზ სიზმარს ხედავდა და ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. გასვლისას ტუმბოზე დადებული ირაკლის სურათი აიღო და ფეხაკრეფით გავიდა სახლიდან...

აფხაზეთის თითოეული ქალაქი ომის ქარცეცხლში იყო გახვეული. დღე დღეს მისდევდა, ყოველდღიურად ათობით ქართველი ახალგაზრდა სწირავდა თავს სამშობლოს ერთიანობას, თუმცა სიტუაცია სულ უფრო იძაბებოდა. უკვე ორი თვე იყო გასული მას შემდეგ, რაც ნოდარი მამაცურად იბრძოდა. ბევრი ტანჯვა გადაიტანა ამ ორი თვის განმავლობაში. ყოველ საღამოს კი გულისჯიბიდან ბავშვის სურათს ამოიღებდა და უაზროდ დააშტერდებოდა ხოლმე. შემდეგ კი ძმაკაცები ერთმანეთს უყვებოდნენ თუ როგორი ვაჟკაცები ეზრდებოდათ, ერთმანეთს გულისტკივილს უზიარებდნენ. დრო კი მტანჯველად იწელებოდა...

08.07.1993 წ. ქ. თელავის №17 ბატალიონი, სოფ. ტამიშთან დაბანაკდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ღამეს გაათევდნენ და დილით გზას გაუდგებოდნენ, თითქოს საიმედო ადგილი იყო, სამი მხრიდან ჭაობი იყო შემორტყმული. ამიტომ მტრის შემოტევა მხოლოდ ერთი კუთხიდან იყო შესაძლებელი. დასაზვერად წასულმა ბიჭებმაც საეჭვო ვერაფერი შენიშნეს. ბატალიონს მშვიდად ეძინა. ელვიძათ მხოლოდ ღამის მორიგეებს. 03 სთ-სა და 17 წთ-ზე მოულოდნელად მორიგეებმა განგაში ატეხეს, თუმცა ყველაფერი უკვე დაგვიანებული იყო. პირველად საჰაერო შეტევა განხორციელდა ტამიშთან დაბანაკებულებზე, ორ წუთში კი მთელი ბატალიონი ალყაში მოექცა. ახალგაღვიძებული, გამოუცდელი ბიჭები ტყვიას უმისამართოდ ისროდნენ, რადგან მტერს თითქმის ვერ ხედავდნენ. 15 წუთში კი ყველაფერი ჩაწყნარდა. იქაურობა გვამებით გაივსო, გაქცევა თითქმის ვერავინ შეძლო. მთელი სამი დღის განმავლობაში ვერც გვამების გამოტანა მოხერხდა. ჭაობიანი ადგილის გამო გვამები გაფუჭებული იყო, მაგრამ ამოცნობა მაინც არ გასჭირვებიათ და იმავე დღესვე გადაასვენეს გარდაცვლილები მშობლიურ მიწაზე.

11.07.1993 წ. ნოდარის მეუღლის ანას დაბადების დღე იყო. ოჯახის ახლო მეგობრები შეიკრიბნენ იუბილართან და ადღეგრძელეს მებრძოლი ნოდარიც, მეტი ამტანობა და გამძლეობა უსურვეს. სწორედ ამ დროს მოვიდა მაცნე და შეატყობინა ნოდარის გარდაცვალების შესახებ და ანას სთხოვა, გაჰყოლოდა ქალაქის მოედანზე, სადაც წუთი წუთზე თვითმფრინავი დაეშვებოდა და გარდაცვლილთა გვამებს ჩამოასვენებდა.

მძიმე დღეები გადაიტანა ანამ. მძიმე იყო ნოდარის დასაფლავების დღე პატარა ირაკლისთვისაც. მან თავისი ნამცეცა მუჭით სამჯერ მიწა მიაყარა საფლავს, თუმცა ვერ ხვდებოდა რას ნიშნავდა ეს რიტუალი...

აფხაზეთი დაეცა... საქართველომ კიდევ ერთი ულამაზესი კუთხე და ასობით ახალგაზრდა დაკარგა.

ირაკლი წამოიზარდა და უკვე ხვდებოდა, მამამისი გმირი იყო, ის აფხაზეთის შენარჩუნებისათვის იბრძოდა და ის მართლაც ამაყობდა რომ ასეთი მამა ჰყავდა.

P.S. მამა, მე მივხვდი 2008 წლის აგვისტოში თუ რას გრძნობდი შენ მაშინ, მე მივხვდი და ჩემშიც იყივლა პატრიოტის სისხლმა, მაგრამ მე არ შემეძლო, სამშობლოს დავხმარებოდი იმიტომ, რომ... მე პატიმარი ვარ. მაპატიე, მამა.

მონატრება

მონატრებიხარ ფიქრებს,
ჩემი ოცნების ქალი.
გული სულ შენთან მითრევს,
როგორც უგონო მთვრალი.
არც სიყვარული მიჭირს,
არც მოფერება ნაზი,
შენ ერთადერთი გნახე,
განსხვავებული აზრით.
იასამანის გულო,
მოდი, მომადე თავი,
ლალებით მოქარგულო,
როგორც ზურმუხტის თვალი.
მინდა მიყვარდე სულით,
ბოროტი მოვკლა შურით,
მინდა მოგტაცო გული
სიკეთით მონათლული.
მინდა ყვაოდე მუდამ,
ვით თაიგული ვარდის,
და სურნელება შენი
ცრემლები ტკბილი წამის.
მინდა ვკვდებოდე შენთვის,
შენთვის გავწირო თავი,
რომ სულ მიყვარდე, მუდამ,
ჩემი ოცნების ქალი.

* * *

თავი გამახსენეს ძველმა სონეტებმა,
ძველი სატკივარი გამანდეს.
ისე მომენატრა შენი მოფერება,
როგორც არასოდეს აქამდე!
წარსულს უმღეროდა ძველი როიალი
თითქოს მეძახოდი შორიდან!
პირჯვარს ისახავდა ღამე მთვარიანი,
გარეთ ხეტიალი მომინდა.
ფიქრთა ჩირაღდანზე წლები აელვარდნენ,
გაქრა ყველაფერი უკვალოდ,
ისე მომენატრე, ისე მომენატრე...
ვერც კი წარმოიდგენ უბრალოდ!

სიკვდილის წინ დანახული თვალები

სიკვდილის წინ მე დავინახე შენი თვალები
და ის თვალები ძლიერ ნაღვლიან,
ძლიერ სევდიან ამბებს ამბობდა:
ნუთუ სიკვდილი ასე მწარეა,
ნუთუ სიკვდილი შენთან არ მოვა.
არ გიფიქრია ნუთუ ამაზე,
რომ სიკვდილი უსიყვარულოდ ძალზე მწარეა,
მაგრამ მე ხომ არ ვკვდები უსიყვარულოდ
და ეს სიკვდილიც უბრალოდ ფარსია...
მე მხოლოდ შენი თვალების ნახვა მინდოდა.

ტამიშთან ისევ

ტამიშთან ისევ თოვლი მოვიდა,
წითლად ღაჟღაჟებს სისხლის წვეთები
მე იმ ტალღების ნახვა მომინდა,
სადაც ბავშვობის გაქრნენ დღეები.
    სოხუმის ტალღა კვლავ ჩვენ გვეძახის,
    ვინც რომ შევფიცეთ მას დაბრუნება,
    მივალთ ჩვენ ბრძოლით, სხვა ხომ ვერასგზით
    ომის გარეშე არ დაბრუნდება.
სადაც ახლახანს წითლდებოდნენ მდინარეები.
და ლომთა ცხედრებს უწეწავდა ფაფარს ნიავი,
დაჭრილ მეომრებს უძიძგნიდნენ სხეულს სვავები,
სადაც სიკვდილი თარეშობდა პირსისხლიანი.
    შავ ჩარჩოებში გამომწყვდეულ ლომგულ ვაჟკაცებს
    თავს დასტიროდნენ შავ ძაძებში ქართლის დედები
    და იხუტებდა ლომგულთ ცხედრებს შავი სამარე
    ქართველთა ზეცას თვალთ სდიოდა გლოვის ცრემლები.
გაგრა, სოხუმი, ლაბრა, ტამიში,
ცაგერა, კინდხი, კოჩარა, რეკა
მე დვბრუნდები ბრძოლაში ვიცი,
აფხაზეთისთვის ბრძოლას გავბედავთ.
    საძმო საფლავზე ცეცხლი ბრდღვიალებს,
    ლომთა სულები საბრძოლველად ემზადებიან,
    გაიხსენებენ ბრძოლის ველის გმირულ იარებს
    ქართლის ცხოვრებას მათი სისხლიც შემატებია.
ნულარ იტირებ, მშობელო ზეცავ,
ნუ შეშინდები, მიწავ დიადო,
ჩვენ ბრძოლის ველზე მივიღებთ შვებას,
თრთოდე შიშისგან, მტერო ტიალო.

თეთრი ვარდი

მაისობას ყვავილობს ბაღში თეთრი ვარდები,
ჩემო ნაზო ფერიავ, შენც მალე აყვავდები,
ოაიგული მოგართვი, დილის ცვარ-ნამ დაყრილი,
გული თან მოგაყოლე, ოცნებაში დაღლილი.
ფოთოლცვენას ლამაზსა, დაგზაფვრიან ფიფქები,
ფანტელებიც გაგყინავს, დაგიმონებს ფიქრები,
მოვალ, ტრფობით გაგათბობ, შეგიყვარდე იქნება,
ჩემო ბედის ვარსკვლავო, მარად ჩემთან იქნები.

* * *

ხილვა მომეცლინა, ვით მოსეს სინაის მთაზე
ანგელოზი ალმოდებული მაყვლოვანიდან
თვალი სანთელია. მდოგვის მარცვალზე ახალ აღთქმაში
უფლის ხელთდასმული ხართ ტანჯულთა მხსნელი
თვით მოსეს მსგავსი
ნელ-ნელა იწვის იდუმალი სანთელი ხატთან
არემარეში სუფევს სიწყნარე, ვლოცულობ ახლაც
კაპერნაუმში შემოხვედით იესოს მსგავსად
აქ დავრდომილებს, დატანჯულებს, სნეულთ იხილავთ
მრავლად,
ლალის თვალივით მოჭედილხართ ჩვენს გულში
კიაფობთ ნათლად,
მარადიული არაფერია — მიმიხვდით ნათქვამს,
აქ თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში
ხორციელება და ანგარება ამაოა, მიწიერია ქმედითი მისი
ერთიანობის და თავმდაბლობის შესახებ, ქრისტე ნიმუში
ლაღი სიკეთე თუ ერთგულება, სულიერია მკეთებნი მისი
იესო ქრისტე გფარვიდეთ, მუდამ თქვენს გვერდით იხილეთ
ძე ღვთის წინ ცოდვილთ მონანულს ცოდვები მოგეტეოდეთ!

სამყარო გისოსებს მიღმა

დემოკრატიულ ინიციატივათა ცენტრი

რედაქტორი *ნელი ელიზბარაშვილი*

ტექ. რედაქტორი *კახა რუსიძე*

კომპიტერული უზრუნველყოფა *დავით კუტუბიძე*

დიზაინერი *ლილი ოყროშიძე*

გამომცემლობა „მერიდიანი“,

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

☎ 39-15-22

E-mail: info@meridianpub.com